

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და
თეორიის საკითხები**

XXXVIII

**ISSUES OF HISTORY AND
THEORY OF CULTURE**

XXXVIII



**კულტურის ისტორიისა და
თეორიის საკითხები**

XXXVIII

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies**

**ISSUES OF HISTORY AND
THEORY OF CULTURE**

XXXVIII

Tbilisi 2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXVIII



უნივერსიტეტის
გამოცემა

რედაქტორი – მარიკა მშვილდაძე, თსუ პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor – Marika Mshvildadze,
Doctor of Historical Sciences, Professor

სარედაქციო კოლეგია: მარიკა მშვილდაძე (რედაქტორი, საქართველო), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), მამუკა ბუცხრიკიძე (საქართველო), ელენე გეგეშიძე (საქართველო), ნანა გელაშვილი (საქართველო), ზაირა დავარაშვილი (საქართველო), რუსუდან დოლიძე (საქართველო), ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი), ზვიად კვიციანი (საქართველო), კონსტანტინე ლერნერი (ისრაელი), ქეთევან ლორთქიფანიძე (საქართველო), იაკობ ოფირი (ისრაელი), გურამ პაატაშვილი (საქართველო), ანეგრეტ პლონტკე-ლუნიჩი (გერმანია), მანანა რუსიშვილი (საქართველო), მარიკა ჩაჩიბაია (საქართველო), დავით ყოლბაია (პოლონეთი).

Editooral Board: Marika Mshvildadze (Editor. Georgia), David Braund (Great Britain), Mamuka Butskhrikidze (Georgia), Trevor Cartledge (Great Britain), Marika Chachibaia (Georgia), Zaira Davarashvili (Georgia), Rusudan Dolidze (Georgia), Elene Gegeshidze (Georgia), Nana Gelashvili (Georgia), David Kolbaya (Poland), Zviad Kvitsiani (Georgia), Konstantin Lerner (Israel), Ketevan Lortkipanidze (Georgia), Jacob Offir (Israel), Guram Paatashvili (Georgia), Annegret Plontke-Lüning (Germany), Manana Rusieshvili (Georgia).

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო
საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2024

ISSN 1512-0694

შინაარსი

CONTENTS

ლერი ჯიბლაძე, ნინო ქობალია, გელა გობეჯიშვილი ბრინჯაოს ხანის ახალი მასალები მთის რაჭიდან (დარღვეული სამარხეული კომპლექსი ვირისტყისპირა რუდან).....	9
Leri Djibladze, Nino Kobalia, Gela Gobejishvili SOME NEW FINDS FROM THE HIGHLAND RACHA (A DAMAGED BURIAL COMPLEX UNCOVERED AT VIRISTKISPIRA RU)	30
მარიკა მშვილდაძე ანტიკური სამყაროდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯანმრთელობის ღვთაებები (ახ. წ. I-IV სს.)	41
Marika Mshvildadze HEALTH DEITIES HAVING SPREAD FROM ANTIQUITY TO THE TERRITORY OF GEORGIA (1ST-4TH CENTURIES AD)	54
ნონა შუშანიძე სამეკლესიანო ბაგნილიკის ტიპი სხალთის ეპარქიის სოფელ თხილვანაში	63
Nona Shushanidze ARCHITECTURAL TYPE OF THREE-CHURCH BASILICA IN THE VILLAGE OF TKHILVANA, SKHALTA DIOCESE	75
ნანა გელაშვილი ინოვაციები იაპონურ კულტურაში – კამაკურას ეპოქა	79
Nana Gelashvili INNOVATIONS IN THE JAPANESE CULTURE – THE KAMAKURA ERA	95

სოფიო გუგუნავა

მიმოლოგიის გავლენა ჩინურ კულტურაზე 97

Sopio Gugunava

INFLUENCE OF MYTHOLOGY ON CHINESE CULTURE 102

ქეთევან ლორთქიფანიძე

რიცხვი 9 ქართულსა და თურქულ კულტურებში 103

Ketevan Lortkipanidze

NUMBER 9 IN GEORGIAN AND TURKISH CULTURES 109

ნინო თომაძე

ლევან II დადიანი და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

ისტორიულ-მენტალურ ჭრილში 110

Nino Tomadze

LEVAN II DADIANI AND JERUSALEM CROSS MONASTERY

IN HISTORICAL-MENTAL ASPECT 117

ემზარ კახიძე, ნადიმ ვარშანიძე

ქართული ცივილიზაციური იდენტობის

არამეინსტრიმული ინტერპრეტაციისათვის 120

Emzar Kakhidze, Nadim Varshanidze

ON THE NON-MAINSTREAM INTERPRETATION

OF GEORGIAN CIVILIZATIONAL IDENTITY 127

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე, რომის პირველ იმპერატორ

ოქტავიანუს-ავგუსტუსზე, პირველი ნაწილი 129

Merab Kalandadze

DIMITRI UZNADZE ON ROMAN EMPEROR

OCTAVIUS AUGUSTUS 153

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

გიორგი ლეონიძის შავშური ფესვები 156

Avtandil Nikoleishvili

SHAVSHETIAN ROOTS OF GIORGI LEONIDZE 169

ლალი გუღედანი, ანი კვირიკაშვილი

ისრაელში გამოცემული 70-იანი წლების ქართული

დოკუმენტური პროზიდან ერთ-ერთი ნიმუშის

დოკუმენტაციის საკითხისათვის 171

Lali Guledani, Ani Kvirikashvili

ON THE ISSUE OF DOCUMENTING ONE OF THE SAMPLES

OF GEORGIAN DOCUMENTARY PROSE OF THE 70S,

PUBLISHED IN ISRAEL 183

ინგა ზაბახიძე

ისრაელის ომების ისტორია – XX საუკუნე 185

Inga Zabakhidze

HISTORY OF ISRAEL'S WARS – 20TH CENTURY 198

ხატია ცეცხლაძე

ქართველი ებრაელები და მათი ეთნოგრაფიული

მახასიათებლები ოჯახის მაგალითზე 200

Khatia Tsetskhladze

GEORGIAN JEWS AND THEIR ETHNOGRAPHIC

CHARACTERISTICS ON THE EXAMPLE OF A FAMILY 205

ელენე გეგეშიძე

გურამ ლორთქიფანიძე – 85

მამულიშვილი, რომელიც დროის გამოწვევას

ღირსეულად პასუხობდა 206

Elene Gegeshidze

GURAM LORTKIPANIDZE – 85 PATRIOTS, WHO ANSWERED THE
CHALLENGE OF TIME WITH DIGNITY 213

გურამ ლორთქიფანიძე †

გურამ პაატაშვილი – 75. ბრავო, მამსტრო –
ადამიანი დღესასწაული 215

ახალი ნიშნი

გურამ პაატაშვილი

აგრეთა კრებული „მამსტროს აგრეთა სამყარო“ 235

Guram Paatashvili

THE WORLD OF MAESTRO'S IDEAS 293

ლერი ჯიბლაძე
ნინო ჟობალია
ბელა გობეჯიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ბრინჯაოს ხანის ახალი მასალები მთის რაჭიდან
(დარღვეული სამარხი კომპლექსი
ვირისტყისპირა რუდან)

1964 წელს სოფ. ლებიდან ბრილისკენ მიმავალი გზიდან 1.5 კმ. დაშორებით (უფრო კონკრეტულად კი, თევრეშოსა და ბრილს შორის მესამე კმ-ზე) ადგილ ვირისტყისპირა რუსთან შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოსა და გიშრის¹ ნივთები, რომლებიც აღმოჩენისთანავე სოფ. ლების მაცხოვრებლებს შორის გაიფანტა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ფაქტი მაშინვე შეატყობინეს რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ცნობილ არქეოლოგს, გერმანე გობეჯიშვილს, რომელმაც იმავე წელს, არქეოლოგების – შოთა ჩართოლანის და ბედი შატბერაშვილის თანხლებით დაათვალიერა აღმოჩენის ადგილი და ჩაიბარა სოფ. ლების მოსახლეობაში გაფანტული ვირისტყისპირა რუს ბრინჯაოსა და გიშრის ნივთები. ბატონმა გერმანემ აღნიშნული მასალა თავიდანვე ბრილის სამაროვნის უძველესი ფენისა და პროტოცობანური პერიოდის მასალების სინქრონულად მიიჩნია და მის წინასწარულ თარიღად შუაბრინჯაოს ხანის დასასრული განსაზღვრა.

საინტერესოა, საიდან მომდინარეობს ვირისტყისპირა რუს სახელწოდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, თევრეშოსა და ბრილს შორის მესამე კილომეტრზე მოედინება პატარა ნაკადული, რომელიც სათავეს იღებს მის ზემოთ მდებარე, ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ შერქმეული ვირისტყისპირა

¹ გერმანე გობეჯიშვილის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ კოლექცია შეიცავდა გიშრის მძივებსაც, თუმცა მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

რუს ტერიტორიიდან. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში ეს რუიკარგება, ხოლო წვიმების დროს მოდიდება იცის. სავარაუდოდ, ეს ნივთები სწორედ ამ რუს მიერ უნდა იყოს ზემოდან ჩამორეცხილი, ან ჩამოტანილი.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული არტეფაქტები დარღვეული კომპლექსიდან (ან კომპლექსებიდან) არის წარმოდგენილი, რომლის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ, ხოლო აღმოჩენის დღიდან გასულია თითქმის 62 წელი, მათი თარიღის განსაზღვრისას არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინების საშუალება არ გვაქვს, თუმცა მასალების შესწავლასა და მეცნიერულ გააზრებას აიოლებს ფაქტი, რომ მათი დიდი ნაწილი ტიპოლოგიურად იმეორებს ბრილის სამაროვნის შუა თუ გვიანი ბრინჯაოს საწყისი საფეხურის სამარხებში აღმოჩენილ მასალებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით კარგად არის ცნობილი და განსაზღვრულია არქეოლოგიურად შესწავლილი სამარხეული კონტექსტის ფონზე. აქედან გამომდინარე, ვირისტყისპირა რუს არტეფაქტების შესასწავლად ძირითადად ვეყრდნობით ბრილის სამაროვნის უძველესი ფენების მასალებს და მათ განვიხილავთ ბრილის აღნიშნული პერიოდის ლითონის ინვენტართან ერთიან კონტექსტში. ბრილის აღნიშნული კომპლექსები ძირითადად ცნობილია ძველი გამოცემების სახით, თუმცა ასევე გვაქვს ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოცემული ერთი კოლექტიური ხასიათის ნაშრომიც [33].

აღსანიშნავია, რომ ბატონი გერმანე თავის ნაშრომებში არაერთხელ აღნიშნავს ბრილის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდის სამაროვნების არსებობისა და შემთხვევითი მონაპოვარი სამარხეული ინვენტარის აღმოჩენის ფაქტებს. მაგ., ასეთ პუნქტებად იგი ასახელებს: თევრემოს, სათხეურს, გოგრიჭიანთ ნატეხებს, ფიცრიხულას, კვაშხიეთს, ჯოისუბანს (ტაბ. 1) და სხვ.¹

¹ ბ-ნი გერმანეს აღნიშვნით, მდ. ჩვეშურას ხეობაში, წმინდა გიორგის სახელობის მთავარანგელოზის ეკლესიის გვერდით, მიუკვლევიან 10 მ. სიმაღლის ყორღანისთვის, რომლის გათხრები

ჩვენ ხელთ არსებული ვირისტყისპირა რუს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების კოლექცია, დღევანდელი მონაცემებით, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მცირე ექსპედიციების I ფონდში და აერთიანებს ბრინჯაოსგან დამზადებულ ოცამდე არტეფაქტს. სამუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნულ კოლექციაში შემავალმა გიშრის ნივთებმა მუზეუმამდე ვერ მოაღწია.

ყუამილიანი ცული

ვირისტყისპირა რუს კოლექციაში ბრინჯაოს ყუამილიანი ცული ერთი ნიმუშის სახით არის წარმოდგენილი (ტაბ. 21). იგი მომცრო ზომისაა, შუბლში მცირედ მოხრილი, ოთხნახნაგა, ასიმეტრიული მოყვანილობის პირით. ყუა კოჭისებრი მოყვანილობისაა, ვიწრო და მრგვალი ხვრელით, წინა და უკანა მხარეს გამოყვანილია ორი რელიეფური ზოლი (რგოლი), რომელთა

დაიწყო 1939 წელს, თუმცა ვერ დასრულდა. აქ, ზედა ფენებში აღმოჩენილია კერამიკა, ხელსაფქვავეები და სხვა არტეფაქტები [7. 46]. გ. გობეჯიშვილი ზემო რაჭიდან, ბრილისა და შოშეთის გარდა, ასახელებს თევრეშოს, სადაც ბავშვებს უპოვიათ ბრინჯაოს ნივთები, მძივები, შავზედაპირიანი კერამიკა; ასევე, ორლობისა და საარწივადის ნეკროპოლებს, რომლებიც არ გათხრილა და, შესაბამისად, პერიოდები მითითებული არ არის [6. 46; 7. 46]. ერთი ასეთი სამაროვანი ივარაუდება სოფ. ლეხის აღმოსავლეთითაც [7. 45]; ასევე, აღნიშნულია შრომისუბნისა და კვამხეთის სამაროვნები. ამ უკანასკნელზე (ამოზიდული სერი) ჯერ კიდევ 1953 წელს გამოავლინეს სამი სამარხი, ხოლო 1962 წელს - ახ. წ. II-III დათარიღებული რვა სამარხი. შრომისუბანში დაფიქსირებულია რბილ ქანში ამოჭრილი სამი ორმოსამარხი. აქ ადრე გაძარცვული ძვ. წ. V-IV სს-ების სამარხის ამონაყარ მინაში უნახავთ ოქროს კილიტი და ბრინჯაოს ზარაკი [9. 26-30].

2015 წელს ზემო რაჭაში, სოფ. ჯოისუბანში, გორიმოს სამაროვანზე, არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. შესწავლილ იქნა წინაანტიკური და კლასიკური ხანის რამდენიმე გაძარცვული სამარხი.

შორის მოქცეული სივრცე ერთგვარ ჩაღრმავებას ქმნის. ზომებია: საერთო სიგრძე – 12 სმ, პირის სიმაღლე – 5.4 სმ, ყუის დიამ. – 1.9 სმ, ხვრელის დიამ. – 1.9 სმ.

ვირისტყისპირა რუს ცული კოჭისებური მოყვანილობის ყუით და ვიწრო ტანით ახლოს დგას ბრილის ყუამილიანი ცულების ერთ ჯგუფთან და სვანეთში აღმოჩენილ ზოგიერთ ცულთან [8. ტაბ. XIII₄; 30. ტაბ. XIII₄, XVII₁₋₃; 33. ტაბ. I_{5,6}], თუმცა, ეს უკანასკნელი ვირისტყისპირა რუს ცულისაგან ფართო, მაროსებური და ზემოთ აპრეხილი ფხით განსხვავდება.

ზემო სვანეთში მრავლად არის წარმოდგენილი შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები, რომლებიც ცალკეული დეტალის მიხედვით იმეორებენ ვირისტყისპირა რუს ცულის ფორმას, თუმცა მის ზუსტ ანალოგებს არ წარმოადგენენ [30. 65-74, სურ.5_{1,2}, სურ.61₃, სურ.7₁₋₃]. გარკვეული შეხების წერტილები შეინიშნება მოდინახეს N23 სამარხში აღმოჩენილ კოჭისებურყუიან ყუამილიან ცულთანაც [20. 17]. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემო იმერეთის პლატოზე არსებული იმპულსები, რომელიც კერამიკული და ლითონის ნაწარმის ზოგიერთ სახეობაში იკვეთება, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონიდან, კერძოდ, ბრილის სამაროვნიდან უნდა მომდინარეობდეს [20. 11]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს ხანაში ყვირილას ხეობა მოქცეულია იმ კულტურის წრეში, რომელსაც მიეკუთვნება ნული, ქვასათალი, ნალვლი, აწყურის სამარხი, ხოლო საკონტაქტო ზონა უფრო დასავლეთით, ცენტრალურ კოლხეთშია საძიებელია [20. 11].

ვირისტყისპირა რუს ცული ახლო კავშირს ავლენს ჩრდილო კავკასიაში, ფასკაუსა (სოფ. გალიათი) და ზემო რუთხას (სოფ. კუმბულთა) ანალოგიურ ნიმუშებთანაც [56. ტაბ. XCIV₅, CXV₃, CXVI₃₋₅; 45. 54, 201, ფოტო. 26₄, ტაბ. I₃₋₇].

ს. კორენევსკი ბრილის ცულების ერთ ჯგუფს, რომლის ანალოგადაც ვირისტყისპირა რუს ცულს მოვიაზრებთ, ფასკაუ მესამე ტიპში აერთიანებს. მათთვის დამახასიათებელია

კოჭისებური მოყვანილობის, შუბლში მოხრილი ყუა [51. 28, 29, 30, სურ. 6, 13-15, 19-21]. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ცულები ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით, ან მეორე ნახევართით არის განსაზღვრული [51. 37]. ცალკეული დეტალებით იგი ასევე ემსგავსება ს. კორენევსკის კლასიფიკაციის 2.17 ვარიანტის ცულსაც [51. 30]. ელგუჯა გოგაძეს და ლეილა ფანცხავას ისინი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით აქვთ დათარიღებული [46. ტაბ. II₁₄]. ინგო მონცენბეკერი კოსსნიერსკას¹ კოლექციაში შემაჯალ ამ ტიპის (Mb-2) ცულებს 1600-1400 წლებით საზღვრავს [45. 28].

ისრისპირი

ვირისტყისპირა რუს მასალებში ისრისპირიც ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი (ტაბ. 9₂). ესაა რომბისებური ფორმის ისრისპირი მრგვალგანივკვეთიანი ყუნწით. იგი, სავარაუდოდ, თავთან წაწვეტებული უნდა ყოფილიყო, ამჟამად ნაკლულია. ზომებია: სიგრძე – 8.6 სმ., სიგანე – 1.9 სმ., მრგვალგანივკვეთიანი ყუნწის სიგრძე – 4.5 სმ.

აღნიშნული ისრისპირი ანალოგს პოულობს ფასკაუს სამაროვანზე [56. ტაბ. CXXI₄₋₆]. მსგავსი ბრინჯაოს ისრისპირი, ოლონდ განსხვავებული ყუნწით, აღმოჩენილია ბოგრემის სამარხშიც [30. 338-142, ტაბ. XLV₉].

¹ ვირისტყისპირა რუსა და ბრილის სამაროვნის უძველესი სამარხებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ბრინჯაოს ინვენტარი გვხვდება ბერლინის წინარე და ძველი ისტორიის მუზეუმში. 1903 წელს ეს კოლექცია, დაახლოებით 2000 ნივთი, რომელთა ნაწილი მოძიებული იყო ზემო რუთხაში (კუმბულთა) და გალიათში (ფასკაუ), რუდოლფ ფონ ვირხოვს შეუძენია ვაჭარ კოსსნიერსკას ქვრივისაგან - ადელაიდა კოსსნიერსკაისაგან. აქედან მომდინარეობს კოლექციის სახელწოდებაც [45; 5. 7, ტაბ. I_{3,5}, ტაბ. III].

შუბისპირი

ვირისტყისპირა რუს მასალები შეიცავს კარგად შემორჩენილ ერთ ბრინჯაოს შუბისპირს (ტაბ. 9₁). არტეფაქტი ბრტყელგანივკვეთიანია, შუაში ბოლომდე გასდევს ქედი. აქვს მომრგვალებული მხრები. ფხა ორივე მხარეს მცირედ დაზიანებულია. ზომებია: საერთო სიგრძე – 22.2 სმ. ბოლომდე გახსნილი მასრის სიგრძე – 9 სმ; დიამ. – 1.7 სმ; პირის ყველაზე განიერი ადგილის სიფართე – 3.8 სმ.

ვირისტყისპირა რუს შუბისპირი ახლო პარალელებს პოულობს შუაბრინჯაოს მიწურულისა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი საფეხურის ანალოგიურ არტეფაქტებთან. ესენია: ბრილის, ნულის (N3, კოლექტიური დაკრძალვის ორმოსამარხი), ქვასათალის (N3 და N8, კოლექტიური დაკრძალვის ორმოსამარხები), წალვლის, თლიას (ადრეული კომპლექსი), მოდინახეს, მესხეთ-ჯავახეთის, გაგიდისა და სხვა პუნქტებიდან მომდინარე ამ სახის იარაღები [8. ტაბ. X₁₀₋₁₂; 19. 5-18; 20. 13, ტაბ. 13₁₈₋₂₅; 26. ნახ. VIII; 27. 131, ტაბ. IV_{6,13}, ტაბ. XIV₈₋₁₉; 33. ტაბ. XI; 38. 19, 20, 37, 40, სურ.1-3, სურ. 2, 5-9, სურ. 10, 6-9, სურ. 15, სურ. 22; 35. 125-128, ტაბ. I; 39. 74-75, ტაბ. I₁₋₁₀; 16. 43, ტაბ. X₃; 30. 76]. ვირისტყისპირა რუს შუბისპირი ახლო მსგავსებებს ავლენს ზემო რუთხას შუბისპირებთან [45. 223, ტაბ. 23_{2,3}].

კოლხეთის დაბლობზე როგორც ქედიანი, ისე უქედო ბრინჯაოს შუბისპირები (ასევე ვგულისხმობთ მათ ჩამოსახმელ ყალიბებსაც) სათავეს იღებს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII-VII კულტურული ფენები). ვირისტყისპირა რუს შუბისპირი და, შესაბამისად, ბრილის ქვედა ფენის ანალოგიური ნივთები, ტიპოლოგიურად (ყალიბების მიხედვით) ახლოს დგანან ფიჩორის VIII-VII ფენაში აღმოჩენილ უქედო და მკვეთრქედიან მასრიან შუბისპირებთან [40. 69, ტაბ. CII₁₀, CIV₃]. აღსანიშნავია, რომ მკვეთრი ქედით გამოირჩევა

გრძელყუნწიანი და ღილისებურდაბოლოებიანი შუბისპირი ქვემო სვანეთიდან (ყახუნდერი) [57. XV₂]. ეგებ, ფიჩორის ნივთები ჩავთვალოთ ბრილისა და ვირისტყისპირა რუს უქედო და ქედიანი, მასრიანი შუბისპირების ერთგვარ პროტოტიპად.

ზოგადად, მასრიანი შუბისპირები საქართველოში ვრცელდება შუაბრინჯაოს ხანიდან. მათგან ყველაზე ადრეულად თრიალეთის XV ყორღანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი ითვლება, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, ტიპოლოგიურად ახლოს დგას ნულის, ქვასათალისა და ბრილის შუბისპირებთან [32. 86].¹

აღსანიშნავია, რომ ელ. გოგაძე თრიალეთის XV ყორღანს მის მიერ გამოყოფილ მესამე ჯგუფში განიხილავს და 1600-1450 წლებით ათარიღებს. მასაც თრიალეთური შუბისპირის ანალოგად ზემოთ ნახსენები პუნქტების ამ რიგის იარაღები მოჰყავს [12. 69]. ვირისტყისპირა რუს შუბისპირისგან განსხვავებულია ჭოლიპას ნამოსახლარზე აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღი, რომელსაც თანმხლები მასალების მიხედვით არქაულად მიიჩნევენ (არქეოლოგი ი. ჩავლეიშვილი), თუმცა პერიოდს არ აკონკრეტებენ [40. 70, ტაბ. CVII₁₆]².

სატევრები

ვირისტყისპირა რუს მასალებში სატევრები ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან. აქ ისინი წარმოდგენილია 5 ნიმუშის სახით. ხუთივე სატევარი ჭედვით არის დამზადებული:

¹ საქართველოში მასრიანი შუბისპირები ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაოს ხანაში. პირის მოყვანილობის მიხედვით შუბისპირებში ოთხ ტიპს გამოყოფენ, რომელთაგან ზოგიერთი მასრა გახსნილია (I-III და IV-ტიპის შუბისპირები). შუაბრინჯაოსა და მისი მომდევნო პერიოდის ადრეული შუბისპირების ყველა მასრა გახსნილია და იგი სიძველის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტორად განიხილება [32. 91].

² ჩვენ ეს ნივთი უფრო სატევარი გვგონია.

სატევარი N1 (ტაბ. 3₃) – ქედიანია, მინიატურული ზომის, ყუნწზე წრიული სამანჭვლით. გვერდებზე და წვერში ნაკლულია. შემორჩენილი ზომებია: სიგრძე – 12 სმ, სიგანე – 2.9 სმ;

სატევარი N2 (ტაბ. 4₁) – ყუნწიანია, სწორმხრიანი, შუაში ოდნავ შესამჩნევი ქედით. ცალ გვერდზე ნაკლულია. ზომებია: სიგრძე – 25 სმ, ყუნწის სიგრძე – 4.7 სმ, პირის მაქსიმალური სიგანე – 5.4 სმ;

სატევარი N3 (ტაბ. 4₂) – ბრტყელყუნწიანია, სწორმხრიანი, თავისკენ თანდათან შევიწროვებული, ოდნავ შესამჩნევი ქედით, შედარებით ვიწროპირიანი, წვერში წამახვილებული; თავთან ნაკლული. ზომებია: სიგრძე – 22.1 სმ, სიგანე – 3.4 სმ, ყუნწის სიგრძე – 3.4 სმ;

სატევარი N4 (ტაბ. 3₁) – ბრტყელი ყუნწით, დაქანებული მხრებით და ვიწრო, წვერში წამახვილებული პირით. ზომებია: სიგრძე – 19 სმ, სიგანე – 2.8 სმ, ყუნწის სიგრძე – 4.1 სმ;

სატევარი N4 (ტაბ. 3₂) – აქვს მსუბუქად დაქანებული მხრები, ქედიანია. ბრტყელ ყუნწზე დატანილია არასრულად შემორჩენილი სატარე წრიული სამანჭვლით. ფხა ორივე მხარეს ძლიერ დაზიანებულია. ზომებია: სიგრძე – 17 სმ, სიგანე – 3.6 სმ.

ვირისტყისპირა რუს სატევრის პირები ტიპოლოგიურად იმეორებენ ბრილის ქვედა ფენის სამარხების როგორც ქედიან, ისე უქედო (მათ შორის მცირე ზომის მანჭვლიან და მომრგვალებულყუნწიან ნიმუშებს) სატევრებს [8. ტაბ. X_{10,11}, ტაბ. XII₄; 31. 113, ტაბ. XI_{3-6, 14}; 33. 41, ტაბ. II₁₅₋₂₁]. აღსანიშნავია, რომ ბრილის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის ფენაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს, შუბისპირებთან ერთად, სწორედ სატევრისპირები ქმნიან.

ჩვენი კვლევის სფეროში შემავალი ვირისტყისპირა რუს სატევრის პირები (მათ შორის მინიატურული ზომის) ფორმით და ცალკეული დეტალების მიხედვით ახლო პარალელებს პოულობენ გაგიდას, აწყურის, მოდინახეს, თლიას (ძვ. წ. XVI-XIII სს-ების სამარხეული კომპლექსები), ბოგრემის შუაბრინჯაოს მი-

წურულისა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი პერიოდის ანალოგიურ არტეფაქტებთან [38. 32, სურ. 9₁; 31. ტაბ. X I₅₋₉, ტაბ. 11₇; 48. სურ. 9₃₋₇; 54. 98, სურ. 25_{2,3}; 55. 9, 11, 16, 32, 35, სურ. 5, სურ. 6_{1,2}, სურ. 30₁₋₅, ტაბ. 64₄; 30. 356, ტაბ. XLV₈; 20. ტაბ. 13, 18-25, 14-26; 34. ტაბ. II_{2,3,8-10}; 17. 27]. საინტერესოა, რომ მსგავსება ვლინდება ფასკაუსა (სოფ. გალიათი) და ზემო რუთხას (სოფ. კუმბულთა) სამაროვნებიდან მომდინარე უქედო და ქედიან სატევრისპირებთანაც, რომლებიც კომპლესგარეშეა აღმოჩენილი და შეგროვებულია პ. უვაროვას მიერ [56. ტაბ. XCIV_{5,9,10}, CXVI₃₋₅; 45. 218, 220, ტაბ. 18₅₋₈, ტაბ. 19_{1-6,8,11}; ტაბ. 20₄₋₈].

ფასკაუს, კუმბულთას, დონიფარსის სამაროვნებიდან ცნობილია ბრინჯაოს დანები თუ პატარა სატევრები, რომელთა შორის გვხვდება, როგორც ფოთლისებური, ისე წაგრძელებული ფორმის ამ ტიპის იარაღები [33. 42]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი დანა პატარა, წვეტიანი სატარე ყუნწის გამო, შეიძლება მივიჩნიოთ შუბისპირებად და არა დანებად, ან სატევრებად [58. 48, სურ. 14_{5,6,7}]. საერთო მოყვანილობის მიხედვით, ვირისტყისპირა რუს მასალები ტიპოლოგიურ მსგავსებებს ავლენს ქვასათალის (კოლექტიური დაკრძალვის N1 ორმოსამარხი) თანადროული სატევრისპირების [38. 32, სურ. 9₁] მიმართ. გარკვეული შეხების წერტილები შეინიშნება თლიას სამაროვნის ადრეული კომპლექსის (ძვ. წ. XVI-XIII სს.) ზოგიერთ სატევრისპირთანაც [55. ტაბ. 48_{1,3,4}].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს მიწურულში ბრინჯაოს სატევრების მიხედვით თლიას სამაროვანი და დასავლეთ საქართველო ერთი კულტურის წრეს უნდა მივაკუთნოთ. იგივე ითქმის ჩრდილო კავკასიაზეც, სადაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თლიას X ვარიანტის სატევრის პირები¹. ავტორის აზრით, თლიას I-B მასა-

¹ თლიას სამაროვნის ბრინჯაოს სატევრების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შეიმუშავა ბ. ტეხოვმა, რომელმაც ერთმანეთისაგან ცალ-

ლებს (ძვ. წ. XIII ს-ის პირველი ნახევარი) პარალელები ეძებნება პროტოყოზანური კულტურის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთის, კელასურის გაღმა აფხაზეთისა და მცხეთა-სამთავროს მასალებში [2. 227].

ფიქრობენ, რომ ბრილის სატევრისპირები, რომლის პარალელადაც ჩვენ ვირისტიცისპირა რუს ზოგიერთ სატევარს მოვიაზრებთ, შესაძლოა, უფრო ორპირა დანები იყოს, ვიდრე ამ ტიპის იარაღი, რადგან ზოგ მათგანზე ქედი კარგად არის გამოკვეთილი [8. 58,59; 33. 41]. ო. ჯაფარიძის ვარაუდით, ბრილის სატევრისპირები მომცრო ზომის და ფოთლისებური მოყვანილობისაა. ხოლო ამ ძეგლის ფართოპირიანი სატევრისპირები ტიპოლოგიურად ახლოს დგანან კატაკომბური კულტურისა და ჩრდილო კავკასიის ანალოგიურ ამ ტიპის იარაღებთან. ცნობილ მეცნიერს მიაჩნია, რომ ორივე დანისპირი ჩვენთან გავრცელდა ჩრდილო კავკასიის გზით [36. 156, 157]. ვფიქრობთ, სამართლიანად არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და მიაჩნიათ, რომ მათ არავითარი საერთო არ აქვთ ბრილის სამაროვნის ანალოგიურ საბრძოლო იარაღთან, რადგან ისინი შედარებით ადრეული პერიოდისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი [33. 41].

ვფიქრობთ, შესამჩნევია განსხვავება ბრილსა და ვირისტიცისპირა რუს სატევრისპირებსა და სამთავროს სამაროვნის სატევრისპირებს შორის [18. ტაბ. II 2,3,4, tab. III 2,4].

მძივები

I ბრინჯაოს მძივი (ტაბ. 2). ვირისტიცისპირა რუს მასალებში ყურადღებას იპყრობს ფუყე, წრიული მოყვანილობის, პროფილში ნახევარსფეროსებური ფორმის, ერთ მხარეს დაბ-

ცალკე გამოიჯნა ძვ. წ. XVI-XIII და ძვ. წ. XII-X სს-ების სატევრები [55. 20-24, 87-110, სურ. 30-33, 83-89]. ს. რაინჰოლდი თლიაზე აფიქსირებს 29 ტიპის სატევრების არსებობას. ჯ. აფაქიძემ და ა. პრუსმა მეტნაკლები ცვლილებები შეიტანეს თლიას სამაროვნიდან მომდინარე ამ რიგის იარაღების კლასიფიკაციაში [2. 138-143].

რტყელებული, დიდი ზომის ორნახნაგა მძივი, დიდი ზომის მართკუთხა მოყვანილობის ნახვრეტი. ზომებია: დიამ. – 4.1 სმ, სიმაღლე – 2.6 სმ.

ამ ტიპის ბრინჯაოს მძივები ზომების სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება ბრილის სამაროვნის თანადროულ და მომდევნო პერიოდის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებშიც. ჩვენთვის ხელისმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, საქართველოს სხვა რეგიონებში და ჩრდილო კავკასიის მასალებში ამ ნივთის პარალელებს ვერ მივაკვლიეთ. იგი არ გვხვდება კოსსნიერსკას კოლექციაშიც.

II. გიშრის მძივები. წარმოადგენს ბიკონუსური ფორმის, მოზრდილ, სტანდარტულ მძივებს. გამომდინარე იქიდან, რომ შემორჩენილი არ არის, მასზე დეტალური საუბარი არ შეგვიძლია.

ზოგადად, გიშრის მსგავსი მძივები დამახასიათებელია ბრილის ქვედა ფენის სამარხებისათვის (N12 სამარხი) [8. 60; 31. 113; 33. 39]. ისინი ასევე წარმოდგენილია ბრილისა და ვირისტიკისპირა რუს დაახლოებით თანადროული ხანის (შუაბრინჯაოს მიწურული, გვიანი ბრინჯაოს საწყისი პერიოდი) ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: ნული (სამი კოლექტიური ორმოსამარხი), ქვასათალი (N1 და N6 სამარხები), წაღვლი და სხვ. [38: 21, 37; 27. 127]. საინტერესოა, საიდან უნდა მომხდარიყო გიშრის შემოტანა ამ ძეგლებზე და შემდეგ, დიდი ალბათობით, მათი დამუშავება-დამზადება.

საქართველოს ტერიტორიაზე გიშრის საბადოები მრავალადგილზეა დადასტურებული [23. 92-94]. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სართიჭალა-უჯარმის და ოკრიბას გამოსავლები და საბადოებია. ვარაუდობენ, რომ ისინი ძველ დროშიც უნდა ყოფილიყო ექსპლუატაციაში [23. 68-72]. მაგ., გერმანე გობეჯიშვილი ბრილის გიშრის მძივების დასამზადებლად ზემო იმერეთის საბადოების გამოყენებას ვარაუდობს [8. 60].

ჯ. აფაქიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ცენტრალური კოლხეთის მძივების სანარმოო სახელოსნოები ოკრიბა-

ში მოპოვებული მინერალებით სარგებლობდნენ [2. 113]¹. სხვა ნივთებთან ერთად გიშრის 46 ერთეული მძივი აღმოჩენილია ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ადრებრინჯაოს დასასრულის VIII კულტურულ ფენაში განთავსებულ 30 სმ. დიამეტრისა და 40 სმ. სიღრმის მქონე ორმოში [40. 158]. გიშრის მძივები ასევე ცნობილია ბოგრეშის სამარხიდან [30]. დაახლოებით სინქრონულ პერიოდში ვრცელდება ისინი ჩრდილო კავკასიაში, პროტოყობანური პერიოდის სამაროვნების ფენებში.

კოვზისებური ნივთი

ვირისტიცისპირა რუს მასალაში ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, მეტნაკლებად ერთი ზომის ოთხი ნივთი ოვალური ფორმის თავითა და ბრტყელგანივკვეთიანი ყუნწით (ტაბ. 5). ყველა ნიმუში თავთან და გვერდებზე ნაკლულია. შუა ნაწილში აქვთ 0.7-1 სმ. სიღრმის კოვზისებური ჩაღრმავება, რომელიც ზოგიერთ ნიმუშს უფრო გამოკვეთილად ემჩნევა. ნივთების შემორჩენილი სიგრძეა: 1) - 8 სმ; 2) - 8.2 სმ; 3) - 10 სმ; 4) - 7 სმ. სიგანეა: 1) - 3.7 სმ; 2) - 3.9 სმ; 3) - 4.5 სმ; 4) - 4.6 სმ. ამ არტეფაქტის ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევა ჭირს.² დაახლოებით ამგვარი ბრტყელყუნწიანი კოვზისებური ჩაღრმავებიანი ნივთი, რო-

¹ მხედველობაში აქვთ მარტივის, სენაკისა და ჩხორონყუს ტერიტორიაზე გამოვლენილი მძივების საწარმოო სახელოსნოები: მუხურჩის ნანისქვილარი, ბანძა, ოჩხომური, ნოქალაქევის ნამოსახლარის გალავნებშორის მდებარე ტერიტორია. ამ ძეგლების კულტურულ ფენებში გამოვლინდა ქალცედონის, იასპის, კვარცის, აქატის, სარდიონის, გიშრის და სხვა მინერალების ნამზადები, მათ შორის მძივების დასამზადებელი იარაღ-ინსტრუმენტები [13. 160-167; 1. 14-26].

² ამ ნივთის შორეულ პარალელებად მოყავთ წვერმომრგვალებული სპილენძის არტეფაქტები ნოვოსვაბოდნაის და კოსტრომსკაიას ყორღანებიდან, ასევე აფხაზეთიდან. ბ. კუფტინი ნახულობს შორეულ პარალელებს ძვ. წ. IV ათასწლეულის შუმერულ სამართლებლებთანაც [30]. ამ საკითხზე დეტალურად იხილეთ [40. 67-68].

მელსაც დანას უწოდებენ, ცნობილია ბოგრემის შუაბრინჯაოს დასასრულის სამარხიდან [30. 139, ტაბ. XLV₁₀]. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, პარალელები თითქმის არ მოგვეპოვება. თუ არ ჩავთვლით იდენტური კოვზისებური ფორმის ჩაღრმავებულ ყუნწიან არტეფაქტს კუმბულთადან, რომელსაც ვირისტყისპირა რუს მასალების მიხედვით გ. გობე-ჯიშვილი საკინძს უწოდებს [56. XLXXXVII₇].

საკინძები

I. ფირფიტოვანთავიანი საკინძი (ტაბ. 7₂). ვირისტყისპირა რუს მასალებში გვხვდება საკინძი, რომლის თავი წარმოადგენს ბრტყელ, ოვალურ ფირფიტას. ზემოდან, შუა ნაწილში, ორი საპირისპირო მიმართულებითაა გადაშლილი. ყუნწი მრგვალგანიკვეთიანია, ფრაგმენტირებული. ზომები: თავის შემორჩენილი სიმაღლე – 3.7 სმ, სიგანე – 3.9 სმ;

ამ ნივთის ფორმისა და ტიპის შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია, რადგან ფრაგმენტულია და არ იძლევა სრული ფორმის წარმოდგენის შესაძლებლობას.

II. დაფანჯრულთავიანი საკინძები. ვირისტყისპირა რუს მასალებში განსაკუთრებულად გამორჩეული და საყურადღებოა ნივთების ჯგუფი, რომლებიც კოლხეთის მთიანეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან (დიგორია) მომდინარე შუაბრინჯაოს მინურულისა და გვიანბრინჯაოს სანყისი საფეხურის მასალების მიხედვით, სამეცნიერო ლიტურატურაში ცნობილია, როგორც ჭვირული, ან დაფანჯრულთავიანი (ფარშავანგისფრთების დაბოლოების მაგვარი) საკინძები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალზე დაზიანებული სახით, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, მათში ფორმისა და ტიპის გარჩევა მაინც შესაძლებელია.

საკინძი II. 1. (ტაბ. 6₂), ჭვირული, დაფანჯრულთავიანი, ფრაგმენტირებული და ნაკლული. ყუნწი არ აქვს შემორჩენილი. სრულადაა შემონახული მხოლოდ თავის ნაწილი. ზომები: სიმაღლე – 7.7 სმ, სიგანე – 6.5 სმ.

საკინძი II. 2. (ტაბ. 6₁), დაფანჯრულთავიანი, შემორჩენილია ფრაგმენტულად. ყუნწიანად საერთო შემორჩენილი სიგრძეა 16.8 სმ.

საკინძი II. 3. (ტაბ. 7₁), დაფანჯრულთავიანია, ძლიერ ფრაგმენტირებული, ახლავს მრგვალგანივკვეთიანი ყუნწი. ზომე-ბია: სიგრძე – 4.5 სმ, სიგანე – 6.4 სმ.

გარდა ამისა, შემორჩენილია 2 ფრაგმენტული საკინძის თავი და ყუნწი (ტაბ. 8), რომელიც დიდი ალბათობით უნდა ეკუთვნოდეს ჭვირულ დაფანჯრულთავიან, მათ შორის, შესაძლოა, ე. წ. მარაოსებური ტიპის დაფანჯრულთავიან საკინძებს¹.

ვირისტყისპირა რუს მასალების გარდა, დაფანჯრულთავიანი საკინძები იშვიათად გვხვდება (2 ც) ბრილის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ფენაში, კომპლექსურ მასალასთან ერთად [8. ტაბ. XIII; 31. 116, 119]. ამ ტიპის წვერში მოღუნული ერთი საკინძი (შ. ჩართოლანი ამ ნივთს მოიხსენიებს, როგორც ქინძისთავს) შემთხვევითი აღმოჩენის სახით ცნობილია ზემო სვანეთიდან, სოფ. კალადან. არტეფაქტი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში [30. 329, ტაბ. 18₃]. მიუთითებენ, რომ მსგავსი დაფანჯრულთავიანი საკინძები ნაპოვნია შიდა ქართლში გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში [30. 76]. დაფანჯრულთავიანი საკინძები, რომელსაც პ. უვაროვამ უწოდა ფარშავანგის ფრთისმაგვარი დაბოლოებიანი, წარმოდგენილია ჩრდილო კავკასიაში პროტოყოზანური პერიოდის თითქმის ყველა სამაროვნის ფენაში: ფასკაუ, ზემო რუთხა, დონიფარსი [56. 278, 292, სურ. 213, 214, 224, ტაბ. LXXXVII-₁₂; 53.

¹ ვირისტყისპირა რუსა და ბრილის სამაროვნის უძველესი სამარხებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ბრინჯაოს ინვენტარი გვხვდება ბერლინის წინარე და ძველი ისტორიის მუზეუმში. 1903 წელს ეს კოლექცია, დაახლოებით 2000 ნივთი, რომელთა ნაწილი მოძიებული იყო ზემო რუთხაში (კუმბულთა) და გალიათში (ფასკაუ), რუდოლფ ფონ ვირხოვს შეუძენია ვაჭარ კოსსნიერსკას ქვრივისაგან - ადელაიდა კოსსნიერსკაისაგან. აქედან გამომდინარე, კოლექციას მიუღია ეს სახელწოდება [45; 5. 7, ტაბ. I_{3,5}, ტაბ. III].

593, 594, სურ. 302. 1.1, 302. 1.2, 302.1.7]. მრავლად გვხვდება ამ ტიპის საკინძები კოსსნიერსკას კოლექციაში (ფასკაუ, ზემო რუთხა) [45. 210, 225, 226, 235, 259, ტაბ. 25₃₋₄, ტაბ. 26₁₋₄, ტაბ. 39₁₋₇].¹ აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის საკინძები ამერკავკასიაში ფართოდ ვერ გავრცელდა. მათ პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. იგი გამოიყენებოდა შალისა და სხვა ქსოვილის გარეთა სამოსელის შეკვრა-შეზღვევისათვის [30. 78]. როგორც ჩანს, ამ ტიპის სამკაულისადმი ინტერესი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ქინძისთაგების გატეხვა-დაზიანების შემთხვევაში მათი სხვადასხვა მეთოდით აღდგენის მცდელობები, რომელიც კარგად ჩანს არტეფაქტებზე [57. 75].

ვირისტყისპირა რუს მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს ერთი ჭვირული საკინძის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ თავისა და ყუნწის ფრაგმენტებია შემორჩენილი. დიდი ალბათობით ეს საკინძი უნდა ეკუთვნოდეს მარაოსებურ ტიპს. როგორც ვხედავთ, საკინძის ეს ტიპი, რომელიც დაფანჯრულთავიანი საკინძების ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს, გავრცელებული ყოფილა კოლხეთის მთიანეთში. ყოველ შემთხვევაში, ვირისტყისპირა რუს მასალები ამის წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ამ ტიპის საკინძის ერთი ნიმუში წარმოდგენილია ბრილის სამაროვნის თანადროულ ფენაში. ჩრდილო კავკასიაში იგი გვხვდება პროტოყოზანური ეპოქის სამაროვნებში, მათ შორის კუმბულთაში [56. 250, სურ. 202, 203; 53. 592, სურ. 301₁₂]. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საკინძი, რამდენადმე სახე-შეცვლილი, დასტურდება უფრო მოგვიანო პერიოდში, ყოზა-

¹ სვანეთის ნიმუშის მსგავსად, ჩრდილო კავკასიაში პროტოყოზანურ ხანაში ხშირად გვხვდება წვერში და შუა წელში ღერომოღუნული სხვადასხვა ტიპის საკინძები [45. 254, 256, 258, 289, ტაბ. 51_{3,4}, ტაბ. 56_{1,2}, ტაბ. 58_{1,2}]. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ტანსაცმლის უკეთესად დამაგრების მიზნით სპეციალურად ხდებოდა მათი მოხრა.

ნური კულტურის დასავლურ ვარიანტში, ტერეზინსკის სამაროვანზე [49. ტაბ. XXXVII₁₁].

როგორც ვნახეთ, ვირისტყისპირა რუს კომპლექსგარეშე აღმოჩენილი მასალები ტიპოლოგიურად ძირითადად იმეორებს ბრილის უძველესი ფენის სამარხების არტეფაქტებს. ამ ფენის დათარიღებაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, რომელთაგან ყველაზე მისაღებად გვეჩვენება მისი განსაზღვრა შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით (დაახლოებით ძვ. წ. XVI-XIV სს.). თავისთავად ეს აღმოჩენა ძალზე საყურადღებოა იმიტაც, რომ ბრილის სამაროვნის უძველესი ფენის გავრცელების არეალში ექცევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, ვირისტყისპირა რუს სამარხული ინვენტარი. იგი კიდევ ერთხელ სვამს დღის წესრიგში ისეთ პრობლემურ და ძნელად გადასაწყვეტ საკითხებს, როგორიცაა: ბრილის უძველეს ფენასთან ერთად ვირისტყისპირა რუს მასალების ურთიერთმიმართება ჩრდილო კავკასიის (დიგორია) სინქრონული კულტურის სამაროვნებთან (ფასკაუ, ზემო რუთხა, დონიფარსი, კარი ცაგატი და ა. შ.). მართალია, ეს პრობლემა, რიგ საკითხებთან ერთად, ერთხელ უკვე განვიხილეთ ბრილის უძველესი ფენიდან მომდინარე მასალების მიხედვით [41], მაგრამ ვირისტყისპირა რუს წარმოდგენილ კოლექციას კვლავ წინა პლანზე გამოაქვს აღნიშნული საკითხი და მთის რაჭაში არსებული სურათის კიდევ უფრო შეცვლის პერსპექტივას გვისახავს – ცხადი ხდება, რომ ბრილის სამაროვნის ქვედა ფენის შესატყვისი სამაროვნები ან ცალკეული სამარხები (ასევე მხედველობაში გვაქვს სხვა პერიოდებიც) მთის რაჭის¹

¹ მთის რაჭა მოიცავდა მდ. რიონის ხეობის სათავეებს, გლოლასა და ჭანჭახის წყლებს შორის არსებულ ტერიტორიას, რომელსაც ეკავა დაახლოებით 640 კვ. მ. ფართობი [22:22]. ეს მხარე წარსულში დასავლეთ საქართველოს მთიულეთად იწოდებოდა, რომელიც დაახლოებით VIII ს-ის დასასრულიდან [11. 44] XV-XVI-ის მიჯნამდე სვანებს ეკუთვნოდა [15. 32-33; 4. 24; 25. 147; 10. 39]. მთის რაჭაში შემავალი სოფლები: ბრილი, ზედქალაქი (ღებისა და გლოლას ცენტრალური უბნები, ზედქალაქის სახელს ატარებ-

ტერიტორიაზე მოსალოდნელია სხვა ადგილებშიც. პარალელურად, დღის წესრიგში დგება ისეთი პრობლემებიც, როგორიცაა: ბრილური ე. წ. შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების ცენტრის ლოკალიზაციისა და დათარიღების საკითხები; ბრილის ე. წ. შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი, ვირისტყისპირა რუს და ბრილის მასალების ურთიერთმიმართების გარკვევა კოლხეთის სხვა რეგიონების სინქრონული პერიოდის მასალებთან და ა. შ.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. აფაქიძე ჯ., კოლხური კულტურის საწარმოო ნამოსახლარების დათარიღებისათვის, ძიებანი N7, 2001, გვ. 14-26.
2. აფაქიძე ჯ., გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002.

დენ) [14. 118], თევრეშო, ლები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, ბუბა (ნასოფლარი კურორტ შოვთან მდ. ჭანჭახის ხეობა), გლოლა თავისი ეკლესიებითა და თავდაცვითი ნაგებობებით [4. 24; 3. 139, 143] სვანებმა სისხლის საფასურში გადასცეს რაჭის ფეოდალ ჯაფარიძეებს, რაც დოკუმენტალურად აისახა იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ 1503 წ. მიღებულ სიგელში (წიგნში): სასისხლო საქმე ბარს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის. გარდა ამისა, ამ სიგელით რაჭველების კუთვნილება გამხდარა მდ. ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სოფ. ხიდარი ორი მონასტრით (ზოგჯერ მთიულეთში შემავალ ადგილად მოიხსენიებენ ხერიასაც) [10. 19]. ამჟამად ლებს ზემოთ მდებარე სოფლები განადგურებულია [28. 24]. სიგელის მიღების თარიღად ასახელებენ სხვადასხვა წელს: 1434 წ. - მ. ბროსე, ს. მაკალათია, ს. კაკაბაძე; 1493 - ივ. ჯავახიშვილი; პ. ინგოროყვა - 1490-1503 წწ. [10. 41-42]. ამჟამად მიღებულია 1503 წ. მთის რაჭაში გულისხმობენ უწერას ზემოთ მდებარე სოფლებსაც [24. 61]. როგორც აღნიშნავენ, რაჭა ისტორიულ წყაროებში X ს-დან მოიხსენიება [34. 8].

3. ბერაძე თ., რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, N5, თბილისი, 1975, გვ. 132-152.
4. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში, თბილისი, 1966.
5. ბუხრაშვილი პ., ბრინჯაოს ხანის დროშები (?) და ხევის-ბრის ინსიგნიები (?) ზემო ზგიდოდან (დიგორიდან). ჟურნ. ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, X, თბილისი, 2004, გვ. 7-21.
6. გობეჯიშვილი გ., ანგარიში სოფ. ლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა, ენიშკის მოამბე N4, თბილისი, 1939, გვ. 345-361.
7. გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებებით), თბილისი, 1942.
8. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952.
9. გობეჯიშვილი გ., შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციის კვლევა-ძიებანი, XI სამეცნიერო სესიის მასალები საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1963, გვ. 26-30.
10. გობეჯიშვილი ვ., ლები, თბილისი, 2000.
11. გობეჯიშვილი ვ., ჩემი თვალთ დაწახული რაჭა, თბილისი, 2017.
12. გოგაძე ელ., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972.
13. გოგაძე ელ., დავლიანიძე ც., ფანცხავე ლ., ლომიტაშვილი დ., ქვის საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან, ძიებანი, N19, თბილისი, 2010, გვ. 160-167.
14. თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალეები, თბილისი, 2016.

15. ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ნაკვ. მეორე, ტექსტები, თბილისი, 1941.
16. კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ., უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), თბილისი, 2015.
17. ლიჩელი ვ., აწყურის არქეოლოგია, წარმართული ხანა, თბილისი, 2020.
18. ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატევარი და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1974.
19. ლომთაძე გ., მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, არქეოლოგიური ჟურნალი I, თბილისი, 2000, გვ. 5-17.
20. ლომთაძე გ., მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, II, თბილისი, 2002, გვ. 5-15.
21. ლორთქიფანიძე ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986.
22. მაკალათია ს., მთის რაჭა, თბილისი, 1987.
23. მგელიაშვილი თ., საქართველოს გეოარქეოლოგია, 1991.
24. მეტრეველი რ., რაჭა, შტრიხები წარსულიდან, თბილისი, 2013.
25. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1980.
26. რამიშვილი ალ., შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი (ხელნაწერი), 1998.
27. რამიშვილი ალ., ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში, I, თბილისი, 2004.
28. რეხვიაშვილი ს., საუღელტეხილო გზები და ბილიკები რაჭაში. საქართველოს ბუნება, N4, თბილისი, 1965, გვ. 8-9.
29. რეხვიაშვილი ს., ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1977.
30. ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი, თბილისი, 1996.
31. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

32. სახაროვა ლ., უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის (ბრინჯაოს შუბისპირები), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია N3, თბილისი, 1973, გვ. 82-94.
33. ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი N12 სამარხის დათარიღებისათვის საისტორიო ძიებანი, N8, თბილისი, 2001, გვ. 39-44.
34. ფრუიძე ლ., რაჭა ეთნოგრაფიის თვალთ, თბილისი, 1986.
35. ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რაიონში. ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატება VI, თბილისი, 2001, გვ. 125-128.
36. ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969.
37. ჯაფარიძე ო., შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970, გვ. 201-242.
38. ჯაფარიძე ო., შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან, თბილისი, 2009.
39. ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ., შუა და გვიან-ბრინჯაოს ხანის სანყისი პერიოდის უახლესი აღმოჩენა გალის რაიონის სოფ. გაგიდაში, ძიებანი, №13-14, თბილისი, 2004, გვ. 74-82.
40. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი, 2007.
41. ჯიბლაძე ლ., დავლიანიძე რ., გობეჯიშვილი გ., ბრილის ე. წ. შუაბრინჯაოს ხანისა და დიგორიის პროტოკოზიანური პერიოდის მასალების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თბილისი, 2017.
42. ჯიბლაძე ლ., ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელები (რაჭა, ბაღყარეთი, დვალეთი) კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუ-

ტის მოამბე, კრებული „ამირანი“, XXXIII, თბილისი-მონრეალი, 2020, გვ. 62-84.

43. ჯიბლაძე ლ., კვიციანი ზ., ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად, მეორად კერებსა და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები (ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური მიმოხილვა), კრებული „ამირანი“, XXXVI, თბილისი, 2022, გვ. 22-61.
44. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურები, ხელნაწერი (იბეჭდება).
45. Motzenbäcker Ingo, Sammlung Kossnierska, Berlin, 1996.
46. Горадзе Э., Панцхава Л., Колхидская культура эпохи бронзы и раннего железа. სსმმ, XLII-B, Тбилиси, 1997, с. 64-91.
47. Иессен А., Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. МИА, 23, Москва, 1951, с. 75-124.
48. Крупнов Е., Материалы по археологии Северной Осетии Докобанского периода МИА, 23, Москва, 1951, с. 17-74.
49. Козенкова В., Кобанская Культура. Западный вариант. Свод археологических источников, выпуск В-2-5, Москва, 1989.
50. Козенкова В., Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры), Москва, 1996.
51. Кореневский С., Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи Средней бронзы. Северный Кавказ и Средняя Азия в древности и Средневековье, Москва, 1981, с. 20-41.
52. Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949.
53. Мошинский А., Воины, металлурги, художники, Северного Кавказа Эпохи бронзы. Бронзовый Век Европа без границ. Четвертое – первое тысячелетия до н. э., Санкт-Петербург, 2013, с. 218-227.

54. Техов В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тбилиси, 1971.
55. Техов В., Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э., Цхинвали, 1977.
56. Уварова П., Могильники Северного Кавказа вып.VIIIэ., Москва, 1990.
57. Чартолани Ш., История нагорья западной Грузии до классовой эпохи, Тбилиси, 1989.

LERI DJIBLADZE

NINO KOBALIA

GELA GOBEJISHVILI

Georgian National Museum

**SOME NEW FINDS FROM THE HIGHLAND RACHA
(A DAMAGED BURIAL COMPLEX UNCOVERED
AT VIRISTKISPIRA RU)**

Summary

The article is about bronze and jet artifacts found by chance at an area called Viristkispira Ru in 1964. The spot is in a 1.5 km distance from the road going from Ghebi village to Brili site. Later the finds were scattered among the villagers. The local authorities informed a well-known scholar, director of Racha team of archaeologists German Gobejishvili about the fact,. The archaeologist visited the find spot in the same year. The villagers returned the artifacts coming from the damaged complex. Supposedly the bronze objects had been washed down by heavy rain falls from the above spot called Viristkispira Ru. This is why the scholar gave the site the same name.

The collection of the chance finds coming from Viristkispira Ru are kept safe in the 1st chamber of so-called department of small expeditions in the S. Djanashia National Museum, Georgia. It includes about 20 artifacts: a socket eared axe, an arrowhead with a shaft, a spearhead,

30


daggers with flat tangs, bronze beads, four spoon-shaped objects, pins with openwork tops etc.

Typologically the artifacts coming from the Viristkispira Ru share shapes and features characteristic to metal objects uncovered earlier at the same spot, at much older period site called Brili and also at Digoria Proto-Kuban cemeteries (Faskau, Zemo Rutkha etc). Even more, some of the artifacts can easily be paralleled with the similar objects coming from Upper Svanetian and Shida (Inner) Cartlian (earlier burial complexes of Nuli and Kvasatali) sites containing metal objects. The finds themselves, i.e. the ones coming from Viristkispira Ru complex, deserve a special attention because they may easily be included within the same area of distribution occupied by the most ancient layers of Brili cemetery.


It seems quite possible that scholars may bring to light some other cemeteries or even separate burials contemporary with the lower level of Brili cemetery at any other spots of highland Racha region (taking into consideration the other periods too) in future.

As to the date of metal artifacts coming from Viristkispira Ru we rely upon the date of the burials belonging to the earliest layers of Brili cemetery as there had already been offered scholars' various opinions about their age.


We believe that the most appropriate date for Brili and Viristkispira Ru burials should be 16th-14th centuries BC.




ტაბ. 2. ბრინჯაოს ცული და მძივი ვირატყის რუს კოლექციიდან




ტაბ. 3. პრინჯაოს სატევრები ვირატყის რუს კოლექციიდან




ტაბ. 4. ბრინჯაოს სატევრები ვირატყის რუს კოლექციიდან




ტაბ. 5. კოვზისებური ნივთები ვირატყის რუს კოლექციიდან




ტაბ. 6. პრინჯაოს თავდაფანჯრული
საკინძები ვირატყის რუს კოლექციიდან



ტაბ. 7. ბრინჯაოს თავდაფანჯრული
საკინძები ვირატყის რუს კოლექციიდან



ტაბ. 8. ბრინჯაოს თავდაფანჯრული საკინძის
ფრაგმენტები ვირატყის რუს კოლექციიდან



ტაბ. 9. ბრინჯაოს შუბისპირი და
ისრისპირი ვირატყის რუს კოლექციიდან

მარიკა მშვილდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტიკური სამყაროდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯანმრთელობის ღვთაებები (ახ. წ. I-IV სს.)

ძველ საბერძნეთში ჯანმრთელობის ძირითად ღვთაებად აპოლონი ითვლებოდა. ჰიპოკრატეს ფიციც იწყებოდა სიტყვებით: „გფიცავ აპოლონ მკურნალს“... („Ὁμνυμι Ἀπόλλωνα ἰατρον“...). ანტიკურ სინამდვილეში ჯანმრთელობის ღვთაებად კიდევ ითვლებოდნენ: დიოსკურები (ძვ. ბერძნ. Διόσκοροι), ჰერა (ძვ. ბერძნ. Ἥρα), ათენა (ძვ. ბერძნ. Ἀθηνᾶ), ჰეფესტოსი (ძვ. ბერძნ. Ἥφαιστος), ასკლეპიოსი (ძვ. ბერძნ. Ἀσκληπιός, რომანიზირებული ესკულაპე. ლათ. Aesculapius), ჰიგიეია (ძვ. ბერძნ. Ὑγεία, ὕγεια. ლათ. Hygēa).

ნაშრომში შესწავლილი გვაქვს ანტიკური სამყაროდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯანმრთელობის ღვთაებების – ასკლეპიოსისა და ჰიგიეიას კულტან დაკავშირებული არტეფაქტები. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, დავადგინოთ, თუ რამდენად გავრცელდნენ და პოპულარულები იყვნენ ჩვენში ეს ღვთაებები.

ძველი ბერძნული და რომაული მითოლოგიის მიხედვით, ჯანმრთელობის ღვთაება ასკლეპიოსი (ძვ. ბერძნ. Ἀσκληπιός, რომანიზირებული ესკულაპე. ლათ. Aesculapius) აპოლონისა (ძვ. ბერძნ. Ἀπόλλων) და კორონიდას (ძვ. ბერძნ. Κορωνίς) შვილი, ჯერ კიდევ ჰომეროსთან ღმერთად არ არის მოხსენიებული (ილიადა, IV, 194). ღმერთად ასკლეპიოსის მოხსენიება ძვ. წ. VII საუკუნიდან ხდება. ასკლეპიოსის ძირითადად გამოსახვენ დაფნის ფოთლებით შემკობილ ჭარმაგ მამაკაცად, რომელიც კვერთხს ეყრდნობა, რომელზეც გველია შემოხვეული, რაც ღვთაების ქტონურ ხასიათზე მეტყველებს (სურ. 1).

ასკლეპიოსს, რომელიც წინასწარმეტყველებასაც მიმართავდა ხოლმე ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად, ხშირად გამოსახავდნენ, აგრეთვე, პითიას (ძვ. ბერძნ. Πύθια, ლათ. Pythia) ომფალოსთან (ძვ. ბერძნ. Ὀμφαλός) – წმინდა ქვასთან ერთად, რომელიც დელფოსის აპოლონის ტაძარში იდო. ძველი ბერძნების რწმენით, ეს იყო დედამიწის ცენტრი. იქ, სადაც ცხოვრება დაიწყო, მედიცინის ღმერთი სიცოცხლეს უბრუნებდა ავადმყოფებს [15]. ასკლეპიოსის წმინდა ცხოველებია ძალი და თხა. ღვთაებასთან ერთად ხშირად გამოსახავდნენ, აგრეთვე, „ბრძენ“ ფრინველებს: არწივს, ბუსა და ყვავს. ასკლეპიოსისადმი შესაწირი ფრინველი კი იყო მამალი. სწორედ მამალს სწირავდნენ მსხვერპლად გამოჯანმრთელებული ავადმყოფები ღვთაებას [11.42].

ასკლეპიოსი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ღმერთად ითვლებოდა ანტიკურ სამყაროში. ღვთაების პოპულარობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ძველ საბერძნეთში ასკლეპიოსისადმი მიძღვნილი 300 ტაძარი – ასკლეპიონი არსებობდა [16.130], სადაც ასკლეპიადები – იმ ოჯახის წევრები, რომლებიც თავიანთი გვარის წარმოშობას ასკლეპიოსს (ან ესკულაპედან) უკავშირებდნენ – დაკავებულნი იყვნენ ავადმყოფების განკურნებით. ასკლეპიადები წარმოადგენდნენ ერთგვარ საოჯახო კავშირებს, რომლებიც საექიმო ხელოვნებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ [13. 42-65]. ასკლეპიადი იყო მედიცინის მამა ჰიპოკრატეც (ძვ. ბერძნ. Ἱπποκράτης, ძვ.წ. 460-370). ხშირად ასკლეპიადებს განიხილავენ როგორც დასავლური, რაციონალური მედიცინის ფუძემდებლებს. ასკლეპიონებში ავადმყოფების გამოჯანმრთელების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენებოდა. იქმნებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა „სამეცნიერო სკოლები“. ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო ეპიდავროსის (Ἐπίδαυρος), კნოსოსის (Κνωσ), კნიდოსის (Κνίδος) სკოლები. რომში არაერთი ცნობილი ექიმი იყო გამოსული ასკლეპიადების სკოლიდან. მაგალითად, ბერძნული წარმოშობის რომაელი მე-

დიკოსი, ქირურგი და ფილოსოფოსი გალენოსი (ძვ. ბერძნ. Γαλιένος, 129-211 წწ.).

ასკლეპიოსის კულტი ძვ. წ. IV საუკუნიდან გავრცელდა მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც იგი კონკურენციას უწევდა ადგილობრივ ანალოგიური დანიშნულების ღვთაებებს და იმარჯვებდა კიდეც. შეიძლება ითქვას, ასკლეპიოსი მკურნალობის მთავარ ღვთაებად იქცა, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასკლეპიადების მკურნალობის მეთოდებიც ასრულებდა, რომლებიც, მისტიკურ და რიტუალურთან ერთად, რაციონალურ მეთოდებსაც იყენებდნენ, რაც, ავადმყოფის განკურნების მხრივ, კარგ შედეგს იძლეოდა. ნიშანდობლივია, რომ ასკლეპიადები ავადმყოფობას განიხილავდნენ, როგორც ბუნების მოვლენას, მაგრამ, იმავდროულად, პატივს მიაგებდნენ ღმერთებს.

ძვ. წ. III საუკუნეში ასკლეპიოსის კულტი რომშიც შევიდა (რომანიზებული ფორმით ესკულაპე) და მყარად მოიკიდა ფეხი, რასაც ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ რომში ექიმთა უმრავლესობას ბერძნები წარმოადგენდნენ. პოპულარობით სარგებლობდა ასკლეპიოსი რომის ძლევაამოსილ ლეგიონებში. სევერუსებიდან მოყოლებული ასკლეპიოსი რომში განსაკუთრებული თაყვანისცემის ღვთაებას წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ რომის იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი (Lucius Septimius Severus, 193-211 წწ.) თვითონ იღებდა ასკლეპიოსის სადმი მიძღვნილ მისტერიებში მონაწილეობას [14. 285-286].

გვიან ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე ასკლეპიოსის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები არცთუ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ღვთაება გავრცელებული ჩანს ძირითადად ურბანისტულ ცენტრებში: მცხეთა, ურბნისი... ქართლის დედაქალაქის – მცხეთის ტერიტორიაზე 1958 წელს სამთავროს სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის დროს დაფიქსირდა ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში

(ინვ. №1119) (სურ. 2, 2ა). კრამიტასამარხი №7 (სამარხი 9). გე-
მა ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ას-
კლეპიოსი, რომელსაც მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს.
კვერთხზე გველია შემოხვეული. ღვთაება წელს ქვემოთ მან-
ტიითაა შემოსილი, რომლის ბოლო მარცხენა ხელზე აქვს გა-
დაკიდებული. ასკლეპიოსი წელს ზემოთ შიშველია. ბეჭდის
რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ გადადის
თვალბუდეში. ინტალიოს სიგრძეა 12 მმ, სიგანე – 9 მმ. გამოსა-
ხულების სტილის და ბეჭდის შემორჩენილი რკალის მიხედვით,
ინტალიო ახ. წ. I-II საუკუნეთა მიჯნით თარიღდება [2. 88].

ასკლეპიოსის გამოსახულებიანი რამდენიმე ინტალიო აღ-
მოჩენილია, აგრეთვე, ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე:
1. (ინვ. №1092), ურბნისის სამაროვანი, 1962 წ., სამარხი №258,
ბრინჯაოს ბეჭდის ოვალური ფორმის მომწვანო-თეთრი მინის
ინტალიოზე (სურ. 3, 3ა). ინტალიოს პირი ამობურცული აქვს.
ღვთაება დგას მანტიით შემოსილი (თასი(?) უჭირავს), მარჯვე-
ნათი კვერთხს ეყრდნობა, რომელზედაც გველია შემოხვეული.
ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამო-
ბურცული. რკალი მხრებთან საგრძნობლად ფართოვდება და
საკმაოდ განიერ თვალბუდეში გადადის. თვალბუდე შიგ ბე-
ჭედშია ამოჭრილი. ინტალიოს სიგრძეა 14 მმ, სიგანე – 11 მმ. ინტა-
ლიო ახ. წ. I-II საუკუნეებით თარიღდება; 2. (ინვ. №1087), ურბნი-
სის სამაროვანი, 1961 წ., სამარხი №243, ოვალური ფორმის ინ-
ტალიო შავი გაუმჭვირვალე მინისა (სურ. 4). ინტალიოს ბრტყე-
ლი პირი აქვს. ღვთაება დგას. მარცხენა მკლავზე წამოსასხამი
აქვს გადაკიდებული, მარჯვენათი კვერთხს ეყრდნობა, რომელ-
ზეც გველია შემოხვეული. ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვ-
დება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. თვალბუდე შიგ ბე-
ჭედშია ამოჭრილი, ინტალიოს სიგრძე – 12 მმ, სიგანე – 10 მმ.
ინტალიო ახ. წ. II საუკუნით თარიღდება; 3. (ინვ. №945), ურბნი-
სის სამაროვანი, 1957 წ., სამარხი №14, ოვალური ფორმის ნა-
რინჯისფერი სარდიონის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში (სურ.5,

5ა). ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს. ღვთაება დგას. შემოსილია ჰიმატიონით, რომლის ბოლო მარცხენა მხარე აქვს ჩამოშვებული. მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, რომელზეც გველია შემოხვეული. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამოზურცული. რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. რკალს ოდნავ შესამჩნევი მხრები აქვს. თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ინტალიოს სიგრძეა 10 მმ, სიგანე – 7 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 17 მმ, სიმაღლე – 20 მმ. ინტალიო ახ. წ. II საუკუნის მინურულითა და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება [7.53, ტაბ. IV, 68; 7.58, ტაბ. V, 82; 7.64, ტაბ. VI, 97].

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მეორე ღვთაება, რომლის კულტიც ანტიკური სამყაროდან შემოვიდა იბერია-კოლხეთში, იყო ჰიგიეია – ასკლეპიოსისა და, ერთი ვერსიით, ეპიონეს (ძვ. ბერძნ. Ἥπιόνη, ტკივილების გამყუჩებელი), ხოლო მეორე ვერსიით, ათენას (ძვ. ბერძნ. Ἀθηνᾶ) შვილი (ძვ. ბერძნ. Παισάνια, ლათ. Pausanias, Graeciae descriptio, I 23,5). ძველ საბერძნეთში უფრო გავრცელებულ ვერსიას ათენას შვილობა წარმოადგენდა, იმდენად, რომ ძვ. წ. V საუკუნეში პერიკლემ ათენა ჰიგიეიას ქანდაკებაც კი დაუდგა (Πλοῦταρχος, Βίαι παράλληλοι, Περικλῆς, 13; Plinius Maior, Naturalis historia, XXII, 44). (სურ. №6). ჰიგიეია დაკავშირებული იყო არა იმდენად ჯანმრთელობასთან, არამედ ავადმყოფობის პროფილაქტიკასთან, პრევენციასთან, ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან, ჰიგიენურ რეკომენდაციებთან; იყო ფარმაცევტების მფარველი. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ჰიგიეია მამამისის – ასკლეპიოსის მუდმივი თანამგზავრი, უცვლელი და მნიშვნელოვანი დამხმარე იყო. უვლიდა ასკლეპიოსის გველს. რომში ჰიგიეია ასოცირებულ იქნა სალუსთან (ლათ. Salus) – ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და წარმატების რომის ერთ-ერთი უძველეს ღვთაებასთან, რომელიც რომელი ხალხის (იმპერიის პერიოდში მმართველი წრისაც) ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განმასა-

ხიერებელი ქალღმერთი იყო (*Salus publica populi Romani*) და კვირინალზე ტაძარიც კი ჰქონდა [19]. დროთა განმავლობაში რომში ჰიგიეის კულტი პირადი ბედნიერებიდან საზოგადოებრივ ბედნიერებასთან იქნა ასოცირებული. ჰიგიეის გამოსახავდნენ ფიალითა და გველით ხელში. მისი სახელი აპოლონისა და ასკლეპიოსის სახელებთან ერთად, ჰიპოკრატეს ფიცის დასაწყისშივეა მოხსენიებული: „ვფიცავ აპოლონ მკურნალსა, ასკლეპიოსსა, ჰიგიეისა და პანაკეას და ყველა ღმერთსა და ქალღმერთს, მონმეებად ვრაცხ რა მათ...“ („Ὁμνυμι Ἀπόλλωνα ἰητρὸν καὶ Ἀσκληπιὸν καὶ Ὑγίαν καὶ Πανάκειαν, καὶ ἰ θεοὺς πάντας τε καὶ πάσας ἱστορας ποιούμενος ...“).

საქართველოს ტერიტორიაზე ჰიგიეის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები, ისევე, როგორც ასკლეპიოსის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები, ფიქსირდება ძირითადად ანტიკური პერიოდის ქართლის დედაქალაქ მცხეთისა და ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე.

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ღვთაება ჰიგიეის გამოსახულება რამდენიმე ინტალიოზეა აღმოჩენილი: 1. (ინვ. №12), ოქროს ბეჭდის ოვალური ფორმის ბრტყელ სარდიონის ინტალიოზე; მცხეთა, 1938 წელი, სამთავროს სამაროვანი, ქვაყუთი; №5. ღვთაებას გრძელი ქიტონი აცვია. ხელში თასი უჭირავს. ტანზე ასკლეპიოსის გველი ჰყავს შემოხვეული, რომელსაც ასმევს თასიდან. ფურცლოვანი ოქროსგან დამზადებული ბეჭედი რამდენამდმე დაზიანებულია. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს. რკალი მხრებთან ოდნავ ფართოვდება და მაღლა აწეულ თვალბუდეში გადადის. თვალბუდეს ოქროს ცრურგებილი შემოუყვება. ინტალიოს სიგრძეა 10 მმ, სიგანე – 0,8 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 20 მმ, სიგანე – 16 მმ. ძვ.წ. I-ახ. წ. I ს-ს მიჯნა; 2. (ინვ. №1411), რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის ბრტყელი ნითელი იასპის ინტალიოზე, მცხეთა, 1939 წელი, სამთავროს სამაროვანი, ქვაყუთი, №144 (სურ. 7). ჰიგიეია ასკლეპიოსის გველს ასმევს თასიდან. ბეჭდის რკალი დაზიანებულია; ინტა-

ლიოს სიგრძე – 13 მმ, სიგანე – 0,9 მმ, ახ. წ. III ს.; 3. (ინვ. №1406 S), რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის ბრტყელ სარდიონის ინტალიოზე, მცხეთა, 1939 წელი, სამთავროს სამაროვანი, ქვაყუთი №144; ჰიგიეია ასკლეპიოსის გველს ასმევს თასიდან. ბეჭდის რკალის ნახევარი მოწყვეტილია; ინტალიოს სიგრძე – 0,9 მმ, სიგანე – 0,7 მმ, ბეჭდის სიგანე – 24 მმ, ახ. წ. III ს.; 4. (ინვ. №293), ვერცხლის ბეჭდის ოვალური ფორმის სარდიონის ბრტყელ ინტალიოზე, მცხეთა, 1938 წელი; სამთავროს სამაროვანი, კრამიტსამარხი, №30. ღვთაებას ტანზე ასკლეპიოსის გველი ჰყავს შემოხვეული, რომელსაც ასმევს თასიდან. ბეჭდის რკალი დაზიანებულია, მაგრამ ფორმა მაინც დგინდება; ინტალიოს სიგრძე – 0,9 მმ, სიგანე – 0,6 მმ, ბეჭდის რკალის სიმაღლე – 22 მმ, სიგანე – 20 მმ, ახ. წ. III ს. [17. 242, ტაბ. I, 4; 17. გვ. 259, ტაბ. II, 51, 52; 17. გვ. 260, ტაბ. II, 57(222-277)]; 5. (ინვ. №616) რკინის ბეჭდის სარდიონის ინტალიოზე, მცხეთა, სამთავროს სამაროვანი, ჩრდილოეთის უბანი (სურ. 8, 8ა). ღვთაება დგას პროფილში მარჯვნივ. სახის ნაკვეთები არ უჩანს. გრძელი კვართი აცვია. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი უჭირავს. ტანზე გველი აქვს შემოხვეული. გამოსახულება მქრქალია; ინტალიოს სიგრძე – 10 მმ, სიგანე – 8 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 15 მმ, ახ. წ. II ს. [3. 19-20, ტაბ. II, 13.]; 6. (ინვ. №2703. გლიპტ. ფონდი №1576), ოქროს ბეჭდის ოვალური ფორმის ზედაპირამოზურცული ფორმის ამეთვისტოს ინტალიოზე, მცხეთა, 1985 წელი, სამთავროს სამაროვანი, სამარხი-აკლდამა №905 (სურ. 9, 9ა). ღვთაება დგას, ტანზე გრძელი ქიტონი აცვია. თავზე დიადემა (?) თუ ქუდი ახურავს. სახე მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ აქვს წადგმული. მარცხენა ხელში თასი უჭირავს, რომლითაც ღვთაების ტანზე შემოხვეულ გველს ასმევს. ღვთაების გასწვრივ ორივე მხარეს თითო სტრიქონად აქვს ნეგატიური ბერძნული

წარწერა.¹ ΑΘΗΚΑΜΑ ΥΓΕΙΑΝ ინტალიოს ბეჭდის რკალი მრგვალი ფორმისაა, რომელიც ზედა ნაწილში მხრებისკენ ფართოვდება. თვალბუდე ბეჭდის რკალშია ამოჭრილი, სიგრძე – 15 მმ, სიგანე – 12 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 24 მმ, რკალის დიამეტრი – 29 მმ.

ჰიგიას გამოსახულება ურბნისის სამაროვნის ტერიტორიაზე ერთ ინტალიოზეა წარმოდგენილი, კერძოდ, (ინვ. №975) ბრინჯაოს ბეჭდის მონითალო-ყავისფერი სარდიონის ინტალიოზე. ურბნისის სამაროვანი, სამარხი №54 (სურ. 10). ღვთაება დგას გრძელი ქიტონით შემოსილი. მარცხენა ხელში თასი უჭირავს. ტანზე გველი ჰყავს შემოხვეული, რომელსაც თავი თასთან მიუტანია. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამოზურცული. რკალი მხრებთან თანდათან ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი; ინტალიოს სიგრძე – 10 მმ, სიგანე – 6 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 16 მმ, სიმაღლე – 20 მმ. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. II ს-ის მინურული -III ს-ის დასაწყისით თარიღდება [7. 66, VI, 100].

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენს ინტერესს იწვევს 1985 წელს სამთავროს სამაროვნის №905 სამარხი-აკლდამაში დაფიქსირებული ამეთვისტოს ინტალიოზე გამოსახული ჰიგიეია წარწერით ΑΘΗΚΑΜΑ ΥΓΕΙΑΝ. თავად სამარხი-აკლდამა

¹ №905 აკლდამაში დაფიქსირდა ორი მიცვალებული ქალის - მცხეთის წარჩინებული ოჯახის (სამეფო სახლის) წარმომადგენლების ჩონჩხი ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში ერთმანეთის პირისპირ ოდნავ ადრე (45-50 წლის) და გვიან (25-30 წლის) დაკრძალული. სამარხეული ინვენტარი გამოირჩევა რომაული ნაწარმის ფუფუნების საგნების სიუხვით. მასში ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინისა და სხვა მინერალებისაგან დამზადებული 32 ნივთი აღმოჩნდა. ჰიგიას გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭედი პირველი მიცვალებულის სამარხის ცენტრალურ ნაწილში პირველი მიცვალებულის უსახელო ძვალზე [1. 24-25(7-79), ტაბ. XXXII, 5, LI, 5].

№905 ახ. წ. II ს.-ის II ნახევრითა და III ს.-ის I ნახევრით (შესაძლოა, შუახანებით) თარიღდება [1. 41].

თ. ყაუხჩიშვილმა შეისწავლა რა აღნიშნული წარწერა, იგი ასე წაიკითხა: – Ἄθικα μὰ Ὑγεί αὖ და შემოგვთავაზა წარწერის თარგმნის ორი ვარიანტი: 1. „ათეკა, გეფიცები ჰიგიას“ – ე. ი. ბეჭდის პატრონი ათეკა(?) ევედრება ჰიგიას ჯანმრთელობის ქალღმერთს – ე. ი. ითხოვს მფარველობას. „ათეკა“ საცნობარო ლიტერატურაში დადასტურებული სახელი არ არის და 2. ბეჭდის პატრონი (მისი სახელი არ გვაქვს) ამ თვალს – (ἄθικα τὰ – შესაძლოა, აღნიშნავდეს მარჯანს; თვალი სინამდვილეში ამეთვისტოა) ავედრებს ჰიგიას, ე. ი. ამ თვალზე ეფიცება ჰიგიას, შესთხოვს ჯანმრთელობას. ასოთა მოხაზულობის მიხედვით, ამეთვისტოს ინტალიოზე არსებულ წარწერას ახ. წ. I საუკუნეებით თარიღებს და აღნიშნავს, რომ სამარხი ახ. წ. III საუკუნით თარიღდება ისე, რომ ეს თარიღები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება [6. 262].

უპირველესად შევეხებით ოქროს ბეჭდის თარიღს, რომელშიც ჰიგიეიას გამოსახულებიანი (წარწერით) ამეთვისტოს ინტალიოა ჩასმული. №905 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჰიგიეიას გამოსახულებიანი ინტალიოა ჩასმული, დამზადებულია ოქროს ფურცლისაგან. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სამარხში რამდენიმე ანალოგიური ფორმის ბეჭედი დაფიქსირებული, რომლებშიც ჩასმულია წითელი გრანატის მამაკაცის გამოსახულებიანი კამეა (ინვ. №2699. გლიპტიკის ფონდი №1572) (სურ. 11); 2) იისფერი ამეთვისტოს ამურის გამოსახულებიანი კამეა (ინვ. №2700. გლიპტ. ფონდი №1573) (სურ. 12); 3) მუქი წითელი გრანატის ქალის გამოსახულებიანი კამეა (ინვ. №2701. გლიპტ. ფონდი №1574) (სურ.13); 4) გრანატის ქალის გამოსახულებიანი (ინვ. №2707. გლიპტ. ფონდი №1577); 5) ამეთვისტოს ათენას გამოსახულებიანი ინტალიო (ინვ. №2702. გლიპტ. ფონდი №1575) (ნივთები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში).

ოქროს ფურცლისაგან დამზადებული დიდი ზომის ბეჭედი ახ. წ. I საუკუნით, ან უფრო საფიქრებელია, ახ. წ. II საუკუნით თარიღდება [7. 84]. საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგიური ბეჭედი დაფიქსირებულია არმაზისხევეში, რომელიც ახ. წ. II საუკუნითაა დათარიღებული [4. 30, №1, სურ. 7]. შესაბამისად, №905 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჰიგიეიას გამოსახულებიანი ინტალიოა ჩასმული, ახ. წ. I საუკუნის ბოლო – II საუკუნით უნდა დათარიღდეს. ნიშანდობლივია, რომ ოქროს სპექტრული ანალიზის შედეგის მიხედვით, №905 სამარხში აღმოჩენილი ჩვენ მიერ საკვლევი ბეჭდისა და ანალოგიური ფორმის ბეჭდების რკალი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშადაა მიჩნეული, რომელიც მაღალი სინჯის ოქროსგანაა დამზადებული. ოქროს შემცველობა 91%-დან 94%-მდე მერყეობს. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური ოქროსგან არის დამზადებული სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში №14 ქვასამარხში აღმოჩენილი III ს.-ით დათარიღებული „დედოფალი ულბიას“ საბეჭდავი ბეჭედიც [5. 69-70], რაც უთუოდ მრავლისმთქმელია იბერიაში გვიან ანტიკური პერიოდში ოქრომჭედლობის განვითარების შესახებ, რომელსაც არქეოლოგიური მასალის მიხედვით, საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნდა.

რაც შეეხება ამეთეისტოს ინტალიოს და მასზე არსებულ წარწერას, მართლაც ანტიკურ სინამდვილეში ფერისა და განსაკუთრებული თვისებების გამო გემა-ინტალიო შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ასტროლოგიასა და მაგიასთან. ამა თუ იმ ღმერთის ინტალიოზე გამოსახვა მის მფლობელს ღვთაების მფარველობის ქვეშ აყენებდა [18. 7-8]. ამეთეისტოს სახელწოდება ბერძნული αἰθερστος-დან მომდინარეობს. α უარყოფის ნიშანია, αἰθερστος „დათრობას“ ნიშნავს. ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ამეთეისტოს თვალს შეეძლო დათრობისაგან დაცვა [10. 74]. ქვას ეს სახელი ეწოდა თავისი ფერის გამო. ამეთეისტო გაზავებული ღვინის (რომელიც ნაკლებად ათრობს) ფერია [9. 102]. პლინიუს უფროსი, თავის „ბუნების

ისტორიაში“ მოგვითხრობს რა ქვების სხვადასხვა მაგიურ თვისებებზე, ამეთვისტოს შესახებ ამბობს, რომ ის ადამიანი, რომელიც ამეთვისტოს ატარებს, არასდროს დათვრება (*Naturalis historia*, XXXVI, 40. XXXVII), მაგრამ, იმავდროულად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამეთვისტო რომაულ გლიპტიკაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქვას წარმოადგენდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც იგივე №905 სამარხი-აკლდამაში დაფიქსირებული იისფერი ამეთვისტოს ამურის გამოსახულებიანი კამეა (ინვ. №2700. გლიპტ. ფონდი №1573) (სურ. 12), ამეთვისტოს ათენას გამოსახულებიანი ინტალიო (ინვ. №2702. გლიპტ. ფონდი №1575) (სურ. 14), რომის იმპერატორ კარაკალას გამოსახულებიანი ამეთვისტოს ინტალიო, რომელიც ოქროს ყელსაბამს ამკობს (ინვ. №1104) (სურ. 15) (ურბნისის ნაქალაქარის XXXV უნბის მომიჯნავე ტერიტორია, შემთხვევითი აღმოჩენა).

№905 სამარხი-აკლდამა, მასში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით, ქართლის (იბერია) ძველი დედაქალაქის – მცხეთის წარჩინებული ოჯახის (სამეფო სახლი) წარმომადგენელ – ოდნავ ადრე (45-50 წლის) და გვიან (25-30 წლის) დაკრძალულ ქალბატონებს განეკუთვნება, ხოლო ჰიგიეიას გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭედი პირველად დაკრძალული 45-50 წლის ქალის კუთვნილებაა (საბეჭდავი სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღნიშნული ქალბატონის უსახელო ძვალზე აღმოჩნდა). ერთი მხრივ, მართლაც შესაძლებელია, აღნიშნული ქალბატონი ღვთაება ჰიგიეიას მფარველობის ქვეშ მყოფ ადამიანად მიიჩნეოდა თავს და ამ თვალზე ეფიცება ჰიგიეიას, შესთხოვს ჯანმრთელობას, მაგრამ ამეთვისტოს ინტალიოზე არსებული წარწერის მიხედვით (ნეგატიური), ინტალიო ამ ქალბატონის პირადი საბეჭდავია, საბეჭდავის დანიშნულებიდან გამომდინარე კი არ არის გამორიცხული ბეჭდის პატრონი ქალბატონის მედიცინასთან კავშირი.

ამრიგად, არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ახ. წ. I-IV საუკუნეებში ჯანმრთელობის ღვთაებების ას-

კლესიოსისა და ჰიგიეიას კულტი საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ურბანისტულ ცენტრებში: მცხეთა, ურბნისი..., სადაც დაფიქსირებულია ჯანმრთელობის ღვთაებების გამოსახულებიანი გემა-ინტალიოები. ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ინტალიოები არცთუ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ღვთაების გამოსახულებიანი ინტალიოები გვხვდება ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდებში ჩასმული. ინტალიოებად გამოყენებულია სარდიონი და მინა, რომლებიც ახ. წ. II-III საუკუნეებით თარიღდება. ასკლესიოსის კულტი გავრცელებული ჩანს მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებში. რაც შეეხება ჰიგიეიას კულტს, იგი იბერიის მოსახლეობის ყველა ფენაში იყო გავრცელებული. ღვთაების გამოსახულებიანი ინტალიოები გვხვდება როგორც ოქროს, ისე ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდებში ჩასმული. ინტალიოებად გამოყენებულია ამეთეისტო, სარდიონი, იასპი, რომლებიც ძვ. წ. I - ახ. წ. I ს.-ის მიჯნა - III ს. თარიღდება.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნისა, აკლდამა N905, მცხეთა XI, თბილისი, 1996, გვ. 7-79.
2. გაბუნია ა., გლიბტიკური ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან, იბერია-კოლხეთი, №13, 2017, გვ. 87-98.
3. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბილისი, 1954.
4. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბილისი, 1958.
5. ქებულაძე ნ., კალანდაძე ნ., სამთავროს ოქროს ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი, ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები სამთავროს სამაროვნიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2017, გვ. 10-11.

ნული მუზეუმის კოლექციები (ინტერდისციპლინური კვლევა), თბილისი, 2019.

6. ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი, 2009.
7. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1972.
8. ჯავახიშვილი ქ., ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით), ძიებანი, №12, თბილისი, 2003, გვ. 73-88.
9. Bailly A., Dictionnaire grec-français, 1950, s.v. ἀμύστος.
10. Marcell N. Smith, Diamonds, Pearls and Precious Stones, Griffith Stillings Press, Boston, Mass., 1913.
11. Mees L. F. C., Blessed by Illness, Phoenix: Anthroposophic Press, 1990.
12. Martin F., Les mots grecs, Hachette, 1937, s.v. μέθυ.
13. Vitrac B., Médecine et philosophie au temps d'Hippocrate, Saint-Denis, Presses Universitaires de Vincennes, 1989, გვ.42-65.
14. Абрамзон М. Г., Монеты как средство пропаганды официальной политики Римской империи. Москва, Российская Академия наук. Институт археологии, 1995.
15. Грибанов Э. Д., Медицина в символах и эмблемах. Москва, 1990.
16. Джарман О. А., Эллинистическая религия Асклепия в поздней греко-римской культуре в свете христианской духовной традиции. Христианское чтение. 2010, № 3, გვ.113-143.
17. Максимова М., Геммы из некрополя Мцхета-Самтавро, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 242, ტაბ. I,4; გვ. 259, ტაბ. II, 51, 52; გვ. 260, ტაბ. II, 57(222-277).
18. Неверов О. Я., Геммы античного мира. Москва, 1983, გვ. 7-8.
19. Обнорский Н. П., Salus. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т. (82 т. и 4 доп.). СПб., 1890-1907.
<https://ru.wikisource.org/wiki/%D0%AD%D0%A1%D0%91%D0%95/Salus>

MARIKA MSHVILDADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

HEALTH DEITIES HAVING SPREAD TO THE TERRITORY OF GEORGIA FROM ANTIQUITY (1ST-4TH CENTURIES AD)

Summary

The artefacts related to the cult of health deities – Asklepios and Hygieia, which came to the territory of Georgia from the ancient world (1st-4th centuries AD) are studied in the work. Our area of interest was to determine how popular these deities were among us in I-IV centuries AD. From the point of view of studying the issue, we have analyzed the inscription of amethyst intaglio, recorded in 1985 in tomb №905 of the cemetery of the Principality (2nd century AD and 1st half of the 3rd century AD), the image on it is Hygieia with the inscription ΑΘΗΚΑΜΑ ΥΓΕΙΑΝ (the print was found on the nameless bone of one of the 45-50-year-old women buried in the central part of the tomb). There are two options for reading the inscription: 1. "Atheke swears by Hygia" – i.e. The wearer of the ring is Atheke(?) supplicating to Hygia, and 2. The wearer of the ring is supplicating to Hygieia, i.e. On this eye she swears to Hygieia, she asks for health. Inscription It dates back to the 1st century AD. In our opinion, on the one hand, it is really possible that the mentioned lady considered herself a person under the protection of the deity Hygieia and swears to the deity on this eye, asking for health, but according to the inscription on the intaglio of the amethyst (negative), the intaglio is the personal imprint of this lady. Depending on the purpose of the seal, it is not excluded that the owner of the ring is related to medicine.


As a result of the study of the artifacts, it is established that in the 1st-4th centuries, the cult of health deities Asklepios and Hygieia was

spread on the territory of Georgia mainly in urban centers: Mtskheta, Urbanisi... where gema-intaglios depicting health deities are recorded. Intaglios with the image of Asklepios have not been found in large numbers. Deity intaglios are found in bronze and iron seals. Carnelian- and glass are used in intaglios, which date back to the II-III centuries BC. The cult of Asklepios seems to be widespread among the middle and lower classes of the population. As for the cult of Hygieia, it was spread among all classes of the population of Iberia. Intaglios with images of deities can be found in both gold and silver, bronze and iron seals. Amethyst, carnelian and jasper are used as intaglios, which date to the boundary of I c. B.C and I c. A.D. – to the III c.

სურათების აღწერილობა:

1. ასკლეპიოსის ქანდაკება. ეპიდავრის თეატრის მუზეუმი.
2. ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ნარინჯისფერი სარდიონის ინტალიო რკინის ბეჭედში (ინვ. №1119), სამთავროს სამაროვანი, 1958 წ., სამარხი №9, წ. I-II სს-ის მიჯნა.
3. ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ოვალური ფორმის მომწვანო-თეთრი მინის ინტალიო (ინვ. №1092) ბრინჯაოს ბეჭედში. ურბნისის სამაროვანი, 1962 წ. სამარხი №258, ახ.წ. I-II სს.
4. ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ოვალური ფორმის შავი, გაუმჭვირვალე მინის ინტალიო (ინვ. №1087). ურბნისის სამაროვანი, 1961 წ. სამარხი №243, ახ. წ. II ს.
5. ასკლეპიოსის გამოსახულებიანი ოვალური ფორმის ნარინჯისფერი ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში (ინვ. №945). ურბნისის სამაროვანი, 1957 წ., სამარხი №14, ახ. წ. II ს-ის მიწურული-III ს-ის დასაწყისი.
6. ჰიგიეიას ქანდაკება, ბერძნული ორიგინალის (ძვ. წ. 360 წ.) რომაული (ახ. წ. 130-161 წწ.) კოპიო, ლოს-ანჯელესის საგრაფოს ხელოვნების მუზეუმი.

7. ჰიგიეიას გამოსახულებიანი ოვალური ფორმის ბრტყელი, წითელი იასპის ინტალიო რკინის ბეჭედში (ინვ. №1411). სამთავროს სამაროვანი, 1939 წ. ქვაყუთი №144. ახ. წ. III ს.
8. ჰიგიეიას გამოსახულებიანი ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიო რკინის ბეჭედში (ინვ. №616). სამთავროს სამაროვანი, ჩრდილოეთის უბანი, ახ. წ. II ს.
9. ჰიგიეიას გამოსახულებიანი ზედაპირამოზურცული ოვალური ფორმის ამეთვისტოს ინტალიო ოქროს ბეჭედში (ინვ. №2703, გლიპტიკის ფონდი №1576). სამთავროს სამაროვანი, 1985 წ. ახ. წ. I ს.-ის ბოლო - II ს.
10. ჰიგიეიას გამოსახულებიანი ოვალური ფორმის მონიტალო-ყავისფერი ფერის სარდიონის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში (ინვ. №975), ურბნისის სამაროვანი, 1957 წ., სამარხი №54, ახ. წ. II ს.-ის მიწურული - III ს.-ის დასაწყისი.



სურ. 1.



სურ. 2, 2ა.



სურ. 3, 3ა.



სურ. 4.



სურ. 5, 5ა.



სურ. 6.



სურ. 7.



სურ. 8, 8ა.



სურ. 9.




სურ. 10.

ნონა შუშანიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპი სხალთის ეპარქიის სოფელ თხილვანაში



მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრების ისტორიაში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში გარკვეული სახეცვლილებებით განვითარდა.

სხადასხვა ფორმის ბაზილიკურ ტაძართა შორის, ადრექრისტიანულ საქართველოში შეიქმნა უნიკალურად მიჩნეული სამეკლესიანი ბაზილიკის ისეთი ტიპი, სადაც შიდა სივრცე სამ ნაწილადაა დანაწევრებული და ტაძარში სრულიად იზოლირებული სამი მონაკვეთია შექმნილი.

ქართული სამეკლესიანი ბაზილიკის ფენომენის წარმოშობისა და სამი ერთმანეთისგან იზოლირებული სივრცის დანიშნულების შესახებ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში. საინტერესოა ასევე საერთაშორისო კვლევები ამ არქიტექტურული ტიპის ანალოგი-

ეზის შესახებ. არსებობს ი. ბალტრუშაიტის და ე. ბაღმტუბ-ნერის სპეციალური კვლევები, რომელთა მტკიცებით, ამიერ-კავკასიურმა სამეკლესიანმა ბაზილიკებმა გარკვეული როლი შეასრულა რამდენიმე ქვეყნის არქიტექტურული ფორმის ჩამოყალიბებაში [14.144-156; 20.141-199].

ქართული მეცნიერება სამეკლესიანი ბაზილიკის წარმოშობის მიზეზად ერთ შენობაში დღის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმეჯერ გადახდილი წირვისთვის საჭირო სივრცეს ასახელებს. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის პირველი ნიმუშები ძირითადად VI საუკუნის შუა წლებს მიეკუთვნება. სამეკლესიანი ბაზილიკის არაერთი საინტერესო მაგალითი გვაქვს ქართულ ხუროთმოძღვრებაში: ქვემო ბოლნისში (ვანათის ტაძარი V-VI სს.); საგურამოში („ქასური“ გიორგის ტაძარი VI ს.); გურჯაანში (ზეგანის ტაძარი VI-VII სს.); ძველი გაგრის ეკლესია, VI ს.; სოფელ გუდაუთაში (ამბარის ტაძარი VII-VIII სს.); უფლისციხეში (IX-X სს.); ბორჯომის ხეობაში (ნეძვის ტაძარი IX-X სს.); ზემო აჭარაში (თხილვანის ტაძარი XI-XIII სს.) და სხვ. [2. 93-94; 1; 18].

მაღალმთიან აჭარაში შუა საუკუნეების შესწავლილი საეკლესიო არქიტექტურის ნაწილი ბაზილიკური ტიპისაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ძეგლებს შორის სხალთისწყლის ხეობაში თიკანაურის, ღორჯომისწყლის ხეობაში-საციხურის, ქურდულის, ვანაძეების, გელაურის და სხვ. მონასტრები IX-X საუკუნეებისაა და ყველაზე ადრეულად არის მიჩნეული. XI-XII-XIII სს. თარიღდება თხილვანის, ვერნების, ვანაძეების, კალოთის, ხიხანის, სხალთის მონასტრები.

სხალთის ეპარქიაში თხილვანის ეკლესია მდებარეობს სხალთისწყლის ხეობის სათავეში, ციხე-ქალაქ ხიხანიდან ხუთ კილომეტრზე. 1948 წელს აქ აღმოჩენილი ბალავრისწარწერიანი ქვის საფუძველზე სხვადასხვა ავტორი ვარაუდობდა ეკლესიის არსებობას, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ იყო განსაზღვრული.

1978-79 წლების არქეოლოგიურმა კვლევამ დაადგინა, რომ ეკლესიის ნანგრევები მოქცეული იყო ქვა-ლორღის უზარმაზარი ხელოვნური ბორცვის ქვეშ. ძეგლის სრულად განმენდის შემდეგ დადასტურდა, რომ თხილვანის ეკლესია დანგრეულია თითქმის საძირკვლის დონემდე. მხოლოდ აფსიდის მხარეს ნაწილობრივ პერანგშემოცლილი ცოკოლი და კედლის ნიშების ნაშთებია შემორჩენილი.

თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია აჭარაში დაცული ერთადერთი სამეკლესიანი ბაზილიკაა. ტიმპანის წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე იყო აგებული: „წმინდაო იოვანე მახარებელო, დაციცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ“. თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა ამჟამად ბათუმის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (№15675, ზომები: 2,5x1,25x0,20 მ), იგი თაღოვანი ფორმის მონოლითურ ფილას წარმოადგენს და მასზე ჰორიზონტალურად განთავსებულია შვიდ-სტრიქონიანი წარწერა ორნამენტულ არშიასთან ერთად. ტიმპანის ჩუქურთმა კონცენტრული წრეებისა და სოლისებური ფოთლის მოტივებისგან შედგება [12. 23] (სურ. 1). მკვლევარი დავით ხოშტარია ამტკიცებს, რომ სოლისებური ფოთლების ორნამენტი საქართველოში პირველად ტაოში იჩენს თავს. 960-70-იანი წლების ტაოური ხუროთმოძღვრება თავისი განსაკუთრებული მიდრეკილებით ჩუქურთმის სიუხვისა და მრავალსახოვანებისადმი არქიტექტორებს ახალი ორნამენტული მოტივების ძიებისაკენ უბიძგებდა, ხოლო ქართველთა სამეფოს მჭიდრო კულტურული კავშირები სხვადასხვა ქვეყანასთან ხელს უწყობდა ორნამენტული რეპერტუარის გამდიდრებას [19. 39]. ორნამენტის ეს სახე, ძირითადად, X-XI საუკუნეებშია გავრცელებული (ნიქოზი, დოდოთი, ტბეთი, იშხანი, დიდი დილომი, ზედა ვარძია, ეხვევი, სავანე, კაცხი და სხვ.) და XI საუ-

კუნის შუა ხანებიდან თითქმის აღარ გვხდება (სურ. 5, 6). ეს მოტივი ხშირად გამოიყენება პორტალთა დამაგვირგვინებელი არშიების, კარნიზების, თავსართების, კვარცხლბეკებისა და იმპოსტების შესამკობად. საქართველოში გავრცელებულია ამ მოტივის მცენარეული და გეომეტრიული ვარიანტები. თხილვანის ეკლესიის ტიმპანზე წარმოდგენილი გეომეტრიული ვარიანტი – სამრიგა წრეებითა და გრძელი სოლებით მსგავსებას პოვებს X-XI საუკუნეების ძეგლებთან (იშხანი, დოდოთი, ზედა ვარძია, ზედა თმოგვი, საფარის წმ. სტეფანე, ეხვევი და სხვ.). ასეთივე ორნამენტის მცენარეული სახეები კი უმეტესად XI ს.-ის ნიმუშებში გვხვდება (მანგლისის, სამთავროს, სვეტიცხოვლის, კაცხის, ნიკორწმინდის საფანესა და სხვ.) [16. 3-13].

თხილვანის სამეკლესიანი ტაძრის სწორკუთხა გეგმის ზომებია 13x11,5, ნაგები აღმოსავლეთით აფსიდებით სრულდება. შუა ნავი გვერდითებზე ორჯერ განიერია. შესასვლელები გაჭრილია სამხრეთიდან და დასავლეთიდან. გარედან ტაძარი სწორკუთხედშია ჩანერილი (სურ. 2). სხვა არქიტექტურულ დეტალებთან ერთად ყურადღებას იპყრობს კარგად დამუშავებული წყვილშვერილიანი პილასტრები. როგორც ჩანს, ისინი დატანებული ჰქონდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს. სწორედ მასზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი კედლებისა და კამარის საბჯენი თალები. ნაგებობის ცენტრალური დარბაზი გადახურული უნდა ყოფილიყო ორფერდა, ხოლო გვერდითი ნანილები – ცალქანობა სახურავით. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს, რომ ტაძრის სახურავ მასალად გამოყენებულია კარგად დამუშავებული ქვის ლორფინები [8.239-242].

თხილვანის ეკლესიისათვის საგანგებოდ მოუმზადებიათ საძირკველი. ბალიშებად 1,5-2 მეტრის სიფართის დაუმუშავებელი, მოზრდილი ზომის ქვებია დაგებული. მასზე დაშენებულია საკმაოდ ფართო (1-1,25 მ) ორსაფეხურიანი ცოკოლი, რომელიც ნაგებია კარგად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვე-

ბისაგან. აფსიდის მხარეს დაცული კედლის ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ცოკოლზე აღმართული იყო სქელი (85-90 სმ.) კედლები. მათი როგორც გარე, ისე შიდა ზედაპირი ამოყვანილი უნდა ყოფილიყო გათლილი მოზრდილი კვადრებით. კედლის პერანგებს შორის სიცარიელე შევსებულია კირხსნარითა და ნატეხი ქვებით. აფსიდის მხარეს დაცული საძირკვლის მიხედვით შესაძლებელი ხდება ეკლესიის ცოკოლისა და კედლის მნიშვნელოვანი ნაწილის რეკონსტრუქცია [9. 87-89].

მასალის სიმცირის გამო ძეგლის მხატვრულ გაფორმებაზე ცნობები თითქმის არ გვაქვს. ნაპოვნია მხოლოდ მცირე რაოდენობით კარისა და სარკმლის საპირე ქვა ორნამენტირებული ფრაგმენტებით. აღსანიშნავია ასევე კარის ბალავრის ქვაზე დატანებული მცენარეული სტილიზებული ორნამენტის არშია.

თხილვანის ტაძრის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებს, რომ X-XI სს.-ის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ აბუსერ ერისთავი XI ს.-ში არტანუჯის, ხიხანის, ციხისჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონი იყო [15. 300]. თხილვანის წმ. იოანე მახარებლის სახელობის ტაძრის შემდგომი აღმშენებლობის პერიოდი XIII საუკუნეა. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ირკვევა, რომ ტაძარი XIII საუკუნის დასაწყისში ტბელის დას – დედოფალ-დედოფალ ვანენს აღუდგენია: „... და დიოფალ-დიოფლისა, დისავე ჩუემისა ვანენისა, რომელმან ეკლესია აქ აღამენა წმიდისა იოვანე მახარებლისა და ღმრთისმეტყველისა, სამკვიდრებელი ჩვენი და აღავსო საწყაული კეთილი“ [13.13].

არქეოლოგიური კვლევისას სოფელ თხილვანაში აღმოჩნდა საკმაოდ საინტერესო კერამიკული ნაწარმი, როგორიცაა დერგების, ქოთნების, დოქების, ხელალების, ჯამების, სასმისებისა და მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 3, 4). ეკლესიის შიდა ტერიტორიის გათხრებისას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩენილმა

მარანმა. აქ ჩადგმული შვიდი ქვევრისთვის შედარებით მშრალი და გრილი ადგილი შეურჩევიათ. ქვევრების ყელის ნაწილისა და მხარის არე შემკულია ჰორიზონტალური ქედებით, ზოგიერთი კი ნაჭდევი ორნამენტით. არქეოლოგი შ. მამულაძე ამტკიცებს, რომ ეს ქვევრები და ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკის სხვა ფრაგმენტები ერთმანეთის მსგავსია როგორც კერამიკის ხასიათით, ისე ორნამენტით.

აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილი სხვა მონასტრების მსგავსად, თხილვანაშიც სამაროვნად გამოყენებული იყო სამხრეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთი. რამდენიმე სამარხი დაფიქსირდა ეკლესიის დასავლეთითაც, მაგრამ სოფლის სამანქანე გზის გაყვანისას ისინი სრულად განადგურდა. თხილვანის სამაროვანი საგვარეულოა, დაკრძალვის წესები – ქრისტიანული. სამარხთა დიდი ნაწილი ინვენტარით არის წარმოდგენილი, სჭარბობს სასმისები და ჯამები. მხოლოდ ორი სამარხია უინვენტარო [10. 62-65; 9. 87-89].

ოქროს ხანის წერილობით წყაროთა შორის გამორჩეული ნაწარმოებები – აბუსერისძე ტბელის თხზულება, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების სხვა საკითხებთან ერთად, შუა საუკუნეების ქართველი ოსტატის ქვითხურო ბასილის ხელოსნური საქმიანობის შესახებაც საინტერესო ისტორიას გვანვდის. აბუსერიძე ტბელის თხზულება „სასწაულნი“ ასევე მოგვითხრობს წმიდა გიორგის სასწაულებრივი ძალის ჩართულობის შესახებ ზემო აჭარის დიდ სამონასტრო მშენებლობაში. აბუსერისძე ტბელის თხზულებაში „სასწაულნი წმიდა მთავარმონაშისა გიორგისნი“ ხუროთმოძღვარ ბასილისა და დიდმონაშე გიორგის ურთიერთობა ისეთი უჩვეულო და სპეციფიკური ხასიათით არის აგებული, რომ წმინდანის ამგვარი დამოკიდებულება სხვა ტექსტებში წმ. გიორგის „წამებებსა“ თუ „სასწაულნი“ არ მეორდება. სრულიად განსხვავებულია წმიდა გიორგის ხუროთმოძღვარ ბასილისადმი თანადგომა. წმინდანი რეალურად, ხორცშესხმულად წარ-

მოუდგება ხელოსანს, უშუალოდ ესაუბრება მას, მკაცრია და მომთხოვნი, ყურძენი და ჟოლოც კი მიაქვს მისთვის შიმშილობისას. ნმიდა გიორგი უშუალოდ გვერდით უდგას ხუროთმოძღვარს მშენებლობისას, სიმძიმის ალებაში ბასილის შვილსაც კი არ აძლევს საშუალებას, დაეხმაროს მამას, რადგან ავტორს უნდა გვაჩვენოს მარტოკაცის მიერ დიდმოწამე გიორგის შეწევნით აგებული ტაძარი [11. 73].

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აბუსერისძე ტბელის თხზულება, იმ პერიოდის ჩვენს ხელთ არსებული მწირი და ფრაგმენტული მონაცემებისაგან განსხვავებით, ერთადერთი მნიშვნელოვანი წყაროა ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, აჭარის მოსახლეობის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად. მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, თხზულებაში დაცული ფაქტები საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ შუა საუკუნეების ხელოსნობის დანიშნულებული დარგის ქვითხურობის პროცესებს, დაწყებული „ქვის აღმოხდა-აღმოკაფვიდან“, ვიდრე შენობის „განსრულებამდე“, ე. ი. შენობის დამთავრებამდე. ნაშრომში საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით სამშენებლო მასალის, ტრანსპორტირების, ხელოსანთა საშოვარზე გასვლის, ხელოსანთა სხვადასხვა კატეგორიის, სამშენებლო პროცესებთან დაკავშირებული ხალხური ტერმინოლოგიისა და სხვათა შესახებ.

ნაშრომში აღწერილი კონკრეტული შემთხვევიდან ჩანს, რომ ზემო აჭარის ხუროთმოძღვრული ძეგლების სამშენებლო ქვას მიწიდან იღებდნენ და საამისოდ კლდეს ტეხდნენ, რასაც „კლდის აღმოკაფვა“, „კლდის კაფვა“ ეწოდებოდა. სამშენებლო ქვის მოპოვების ეს ტრადიციული წესი, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საქართველოში, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირებული მონაცემებით დასტურდება [17. 97-103].

აბუსერისძე ტბელის თხზულების მიხედვით დგინდება იმდროინდელი საქართველოს სამშენებლო მასალის ტრადიციული ცენტრებიც. წყაროს მიხედვით, სამშენებლო ქვის მოპოვე-

ბის ერთი მთავარი კარიერი ყოფილა ჯალე. ლ. მუსხელიშვილი ჯალეს სხალთის სათავეებში გულისხმობდა. ი. სიხარულიძე კი ჯალეს ფოცხოვის პუნქტად თვლის. ეთნოგრაფიული მონაცემებით (ხანდაზმულთა გადმოცემებით), ჯალე ხიხაძირის ხეობის დღევანდელი სოფელი მთისუბანი მუმსუი უნდა იყოს. აბუსერისძე ტბელის თხზულების მიხედვით, საყოველთაოდ ცნობილი ქვითხურო ბასილი ჯალეში „ქვის კაზმას“ ეწეოდა. ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე ბასილს ევალებოდა წასულიყო „უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰქვიან ოპიზა“, იქ მოენახა ვინმე ბერი სტეფანე, გამოერთვა მისთვის „ერთი კერძო კარაული, რომელ არს ჯორი და რკინაიცა“ და თვისი ხელით გამოეჭედა „რკინის ჭურჭელნი ქვის სათლელნი“ [17. 97-103]. ძველი ქართული წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ხარჯები იკრიბებოდა გადასახადების განწერითა და შემოწირულობებით. აღნიშნულ თხზულებაში 30-მდე სამშენებლო ტერმინია დასახელებული, მაგ.: ხურო და კალატოზი, ქვის აღმოკაფვა, ქვის კაზმვა, კირის შთასხმა, კირის ზელა, მუშაკობა და ა. შ.

ეკლესიის შენობის გადარჩენილი ნაწილისა და არქეოლოგიური კვლევებით გამოვლენილი არქიტექტურული დეტალების მიხედვით ჩანს, რომ თხილვანის ეკლესია წარმოადგენდა X-XI სს.-ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ტაძარი თავისი მიმზიდველი ფასადებით ამტკიცებს ზემო აჭარის ხუროთმოძღვრების უმაღლეს დონეს. ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული პირობები, საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს კუთხესთან – ტაო-კლარჯეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობები ხელს უწყობდა ამ პატარა რეგიონის აყვავებას და მის ჩართვას აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში.

მთიან აჭარაში აქცენტი ძირითადად მცირე სალოცავებზე კეთდება, რაშიც მთის რეგიონებისათვის (სვანეთი, რაჭა, სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო) დამახასიათებელი ტენ-

დენცია ჩანს [16. 3-13]. მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მთიანი აჭარის მკვიდრნი დაწინაურებული ხელოსნებიც ყოფილან. მათ მიერ აგებული ციხეები, ეკლესიები, მარნები, ქვის თალიანი ხიდები და სხვა ნაგებობანი შესულია საერთო ქართული კულტურის ოქროს ფონდში.

სხვადასხვა წერილობითი წყარო საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ხუროთმოძღვართა იმ ჯგუფს, რომელთა დიდი რწმენით და ძალისხმევით შეიქმნა ქართული კულტურის საგანძური. ადრეული შუასაუკუნეების საქართველოში, კლარჯეთსა და არტაანში წმ. მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ ახიზისა და ერუშეთის ეპარქიის საფუძველზე, ერთიანი საქართველოს დროს დაარსდა – იშხნის, ანჩის, ტბეთის, წყაროსთავის, წურწყაბის, ერუშეთის, ბანას და დადაშენის ეპარქიები. სწორედ ტბეთის ეპარქიაში, რომელიც მოიცავდა სრულიად შავშეთ-იმერხევს და აჭარის ნაწილს, დიდი ხუროთმოძღვრული სკოლა არსებობდა და უნიკალურ შედეგებს ქმნიდა. ისტორიამ შემოგვინახა ამ ხუროთმოძღვრული სკოლის სახელოვან მშენებელთა სახელები: წმიდა გიორგის ტაძრის ხურო-გალატოზ ბასილი (XII ს.); კალოთის ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი გრიგოლ ერისთავი (XI ს.); ოშკის ტაძრის მაშენებელი გრიგოლ ოშკელი (X ს.); მიქელ ოპიზარი (X ს.); ივანე მორჩაისძე – ხუროთმოძღვარი, რომელმაც იშხნის ეკლესია შეაკეთა (XII ს.); წმიდა გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე ამონა, რომელმაც ხანძთის ეკლესია ააშენა (X ს.); შატბერდის ოსტატი აბესალმა კლდელი (XIII-XIV სს.); ზარზმის პირველი ეკლესიის მაშენებელი, ზარზმელი გარბანელი და მისი თანაშემწე „გალატოზი სახელად შუარტყელი“; ჯავახეთის, ფოკას მონასტრის მაშენებელი ბავრელი (XI ს.); კუმურდოს ტაძრის ოსტატი საკოცარი (X ს.); საფარის წმ. საბას ტაძარი XIII ს.-ში აუგია ხუროთმოძღვარ ფარეზასძეს; ასპინძაში შორეთის მონასტრის მაშენებელი გალატოზთუხუცესი ნი-

კოლოზ ორბისძე და სხვ. [6.127-129]. ტაო-კლარჯეთის საეპისკოპოსო ცენტრებში ამ უძლიერეს არქიტექტორთა დიდი ღვაწლით და შემოქმედებით ქართული ხუროთმოძღვრების განუმეორებელი საგანძური იქმნებოდა, რომლის ნათელი მაგალითია თხილვანის წმიდა იოანე მახარებლის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა.

სხალთის ეპარქიის თხილვანის სამეკლესიანი ტიპის ბაზილიკა იმ უნიკალურ ტაძართა ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამშენებლო კულტურის უმაღლეს დონეს განსაზღვრავს. ბაზილიკის სპეციფიკური არქიტექტურული ფორმა, ჩუქურთმის ფართო რეპერტუარი, ტიმპანის ქვის შვიდსტრიქონიანი წარწერისა და ორნამენტული არშიის შესრულების სიფაქიზე თხილვანის ბაზილიკის დამკვეთისა და ხუროთმოძღვრის მრავალმხრივ განსწავლულობაზე მეტყველებს.

აბუსერისძე ტბელის თხზულებაში დაცული ცნობა – „უცხოობაში მუშაკობა“ ანუ „მოსარენლად სიარული“ გულისხმობს ქვითხუროთა უცხო გეოგრაფიულ სივრცეში თანადროული მხატვრული სიახლეების გაცნობას და სამშობლოში დამკვიდრებას. მოგზაურ ხელოსანთა საქმიანობა უნდა განვიხილოთ როგორც ხელოსნობის განსაკუთრებული ფორმა, ხელოსნური შრომის ორგანიზაციის თავისებური სახე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში [7. 64]. ამიტომაც იგრძნობა თხილვანის სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურასა და დეკორატიულ გაფორმებაში, მდიდარ სამშენებლო ტრადიციებთან ერთად, სხვა ქვეყნის არქიტექტურული გამოცდილება.

სხალთის ეპარქიის ხიდებისა და საგზაო ნაგებობების სიმრავლის მიხედვით ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობას უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები ჰქონდა, რომლებიც ამ მხარის მეშვეობით მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის სხვადასხვა რაიონს და უცხო ქვეყნებს. დაწინაურებული მეურნეო-

ბის და ძლიერი სავაჭრო ურთიერთობების წყალობით, აჭარის-წყლის აუზი წარმოადგენდა ერთ-ერთ მძლავრ ეკონომიკურ რაიონს, რომელიც გარდა სახმელეთო გზებისა, გარე სამყაროს მჭიდროდ უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი-თაც.

მაღალმთიანი აჭარა გვიანმეზოლითისა და ნეოლითის საფეხურიდან დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერთიანი ქართული კულტურის ფორმირების პროცესში. ამის დასტუ-რია სოფელ თხილვანის სალოცავი როგორც უძველესი მარ-თლმადიდებელი რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სა-ლოცავი გამორჩეული უნიკალური სახასიათო ნიშნებით.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.
2. ბერიძე ვ., ქვემო ბოლნისი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
3. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967.
4. დიდებულიძე მ., ძველი გაგრის ეკლესია და აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების კვლევის საკითხები, კრებული კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ რეგიონებში (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, 2018, გვ. 11-18.
5. თუმანიშვილი დ., ნაცვლიშვილი დ., ხომტარია დ., მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი, 2012.
6. კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2004.
7. კახიძე ნ., მოგზაური ხელოსნები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა XII, თბილისი, 1986.

8. მამულაძე შ., ვერულაშვილი ნ., თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია, სხალთის ეპარქია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“, 2008.
9. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
10. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები (გზამკვლევი), თბილისი, 2000.
11. რუხაძე ლ., წმიდა გიორგის სახე აბუსერიძე ტბელის თხზულებაში, „სასწაულნი წმიდა მთავარმონამისა გიორგისნი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, აბუსერისძე ტბელი 800, თბილისი, 1999.
12. სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962.
13. სიხარულიძე ი., ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981.
14. სილაგაძე ნ., სამეკლესიანი ბაზილიკის გვერდითი ეკლესიების ფუნქციური დატვირთვის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა. სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობა“, 2, თბილისი, 2001.
15. ქართლის ცხოვრება (რედ. ს. ყაუხჩიშვილი), თბილისი, 1955.
16. ჭიჭილევშილი მ., საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში. კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, II, თბილისი, 2009, გვ. 3-16.
17. შამილაძე ვ., აბუსერიძე ტბელის თხზულება როგორც ფეოდალური ხანის საქართველოს ეთნოგრაფიული წყარო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, აბუსერისძე ტბელი 800, თბილისი, 1999.

18. ჩუბინაშვილი გ., რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, 1926, ბოლნისის ქაფანაქჩში მდებარე სამეკლესიანი ბაზილიკის აღწერილობა.
19. ხოშტარია დ., სოლისებრი ფოთლების ჩუქურთმა ქართულ არქიტექტურაში, ჟურნალი „ACADEMIA“, 1/2010, თბილისი, 2010.
20. Чубинашвили Г. Н., Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII вв., Тбилиси, 1959, გვ. 143-200.
21. Чубинашвили Г. Н., Шашианис Самеба, Тбилиси, 1988.
22. Рчеулишвили Л.Д., Некоторые аспекты грузинской архитектуры черноморского побережья, в кн. Средневековое искусство. Русь. Грузия. Москва, 1978, გვ. 21-28.

NONA SHUSHANIDZE

Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisdze Teaching University

ARCHITECTURAL TYPE OF THREE-CHURCH BASILICA IN THE VILLAGE OF TKHILVANA, SKHALTA DIOCESE

Summary

Georgian science attributes the origin of the three-church basilica to the need for accommodating multiple paid services within a single building simultaneously throughout the day. The earliest instances of this architectural style are primarily dated to the mid-6th century. Georgian architecture boasts numerous captivating examples of three-church basilicas, some of which include: in Kvemo Bolnisi (Vanaati Cathedral of the V-VI centuries); in Saguramo („Kasuri“ Giorgi's Temple of the VI century); in Gurjaani (Zegaani Temple VI-VII centuries); Old Gagra Church, VI century; in the village of Gudauta (Ambari temple - VII-VIII centuries); in Uplistsikhe (IX-X centuries); in the Borjomi valley (Nedzvi Temple of the IX-X centuries); in Zemo Adjara (Tkhilvana temple, XI-XIII centuries) and


others. These examples stand as remarkable testaments to the ingenuity and architectural prowess of the Georgian people throughout different historical periods.

Based on the preserved portion of the church structure and insights garnered from archaeological investigations, it becomes evident that the Tkhilvana church stands as an exemplar of exceptional Georgian architectural craftsmanship from the X to XI centuries. The temple's captivating facades serve as a testament to the pinnacle of Upper Adjara's architectural prowess. This outcome is unsurprising considering the historical circumstances, proximity, and strong affiliations with one of Georgia's robust domains, Tao-Klarjeti. These factors collectively nurtured the flourishing of this compact region, propelling it into the heart of dynamic political, economic, and cultural currents.

Abuserisdze family church in Tkhilvana is the only three-church basilica preserved in Adjara. The inscription on the arch above the entrance doors informs that the church was built on the name of John the Evangelist. Architectural decision and interesting peculiarities with unique details, construction techniques, indicate that the church should be built on the turn of X-XI centuries.


The three-church basilica of Tkhilvana belongs to the unique group of churches that define the highest level of construction culture in South-Western Georgia. Specific architectural form of the Basilica, the wide repertoire of the fretwork, the seven-stringed inscription of the arch stone, and the neatness of the ornamental lace underlines the multilateral intelligence of the architect and the master.

From the Late Mesolithic and Neolithic epochs to the present day, Highland Adjara has significantly contributed to the shaping of a cohesive Georgian culture. A testament to this historical influence is the Tkhilvana shrine, which stands as a paramount example within the ancient Orthodox realm, distinguished by its distinctive attributes.



თბილვის მონასტრის პატიშვილის ქვა

სურ. 1. თბილვის მონასტრის ტიმპანის ქვა



სურ. 2. თბილვის ეკლესიის გეგმა



სურ. 3. თიხის სასმისები



სურ. 4. თიხის ჯამი



სურ. 5. იმერეთი.
დასავლეთი ფასადი



სურ. 6. გურეთი. ჩრდილოეთი
ეგვტერის აღმოსავლეთი
სარკმელი

ნანა გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინოვაციები იაპონურ კულტურაში – კამაკურას ეპოქა

X-XII საუკუნეებში იაპონიაში მიმდინარე ფეოდალური შიდა ომების დამასრულებელ ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ ორი გავლენიანი საგვარეულო აღმოჩნდა – ტაირა და მინამოტო, რომელთა შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1185 წლის გაზაფხულზე დანოურთან გაიმართა. აღნიშნული შეტაკება მინამოტოს გვარის გამარჯვებით დასრულდა, რომლის შედეგად იაპონიის ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო – კამაკურას პერიოდის სახელწოდებით [16. 357-358; 6. 183]. კამაკურა იაპონიის არქიპელაგის აღმოსავლეთ ნაწილში, კანტოს რაიონში (კანაგავას პრეფექტურა) მდებარე ისტორიულ ქალაქს წარმოადგენს. თავდაპირველად ის იყო მეთევზეთა პატარა სოფელი, სადაც მინამოტოს ფეოდალურმა საგვარეულომ 1063 წელს თავისი მფარველი ომის ღმერთის – ცურუგაოკა ჰაჩიმანის ტაძარი ააგო. მოგვიანებით ამ გვარის გავლენიანმა წარმომადგენელმა – იოშიტომომ ტაძართან ახლოს სასახლე აიშენა, 1180 წელს კი მისმა ვაჟმა იორიტომომ – მომავალმა შიოგუნმა (1147-1199), ჯერ კიდევ ძალაუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში, კამაკურაში თავისი სამხედრო სადგომი – ბაკუფუ განათავსა. იმავდროულად, მან იქ ახალი ტაძარი და სასახლეც ააგო, გაიყვანა გზები და სხვა სააღმშენებლო ღონისძიებები განახორციელა. მალე კამაკურაში იორიტომოს საახლობლო გარემოცვა და თანამოაზრეები ჩასახლდნენ. 1192 წელს იორიტომომ იმპერატორისგან ოფიციალურად მიიღო შიოგუნის (იაპონურად ნიშნავს მთავარსარდალს) წოდება, რის შემდეგაც კამაკურა მან ახალი ხელისუფლების დედაქალაქად გამოაცხადა [11.83; 18.289-290].

ამ ამბიციური ნაბიჯით იორიტომო მიზნად ისახავდა კიოტოში არსებული საიმპერატორო უფლებამოსილების შეკვეცას და მის საპირწონედ, დამოუკიდებელი ძლიერი მმართველობის სისტემის შექმნას. თუმცა, მის მიზანს არ წარმოადგენდა მონარქიის მთლიანად ლიკვიდაცია, რამდენადაც სათანადოდ აცნობიერებდა, რომ საიმპერატორო კარი ქვეყანაში ფეოდალური წყობილების, პოლიტიკური სტრუქტურების სიმტკიცეს და იდეოლოგიურ ერთიანობას უზრუნველყოფდა. რაც შეეხება ახლად წარმოქმნილ შიოგუნატის სისტემას, თავისი არსით ის კლასიკური სამხედრო-ფეოდალური დიქტატურის განსახიერება იყო, რომლის მთავარ საყრდენ ძალას სამურაების სამხედრო ფენა წარმოადგენდა.

ამრიგად, XII საუკუნის მიწურულიდან იაპონიაში ორი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი არსებობდა: კიოტო, სადაც იმპერატორის რეზიდენცია იყო და კამაკურა – შიოგუნატის მთავრობის ანუ ბაკუფუს დედაქალაქი [1.60]. კამაკურას ძალზე მოხერხებული ადგილმდებარეობა ჰქონდა, განსაკუთრებით მტრისგან დაცულობის კუთხით: სამი მხრიდან მას მაღალი მთები, სამხრეთ ნაწილში კი საგამის ყურე ესაზღვრებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ რეგიონში მინამოტოს გვარს ერთგული და სანდო მომხრეები ჰყავდა, რაც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე ფეოდალური საგვარეულოების შამოტევის შემთხვევაში. თითქმის 150 წლის მანძილზე კამაკურა შიოგუნთა პირველი დინასტიის – მინამოტოს გვარის სატახტო ქალაქს წარმოადგენდა. ამიტომაც ის პერიოდი ისტორიაში კამაკურას ეპოქის (1185-1333) სახელწოდებით შევიდა. კამაკურა მაღე საკმაოდ კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა, სადაც ცალკე რაიონები იყო განკუთვნილი სამხედრო ფენისათვის – სამურაებისათვის, გარკვეული უბნები კი – არისტოკრატისათვის და უბრალო ხალხისათვის. რამდენადაც ქალაქი თავისი პოლიტიკური დატვირთვით სამხედრო მმართველობას უკავშირდებო-

და, მისი უმეტესი ნაწილი სპორტულ მოედნებს და სტადიონებს ეკავა, სადაც სამურაები სისტემატურ რეჟიმში ვარჯიშობდნენ მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ცხენით ჯირითში, ჭიდაობაში, რათა მუდამ საბრძოლო მზადყოფნის ფორმაში ყოფილიყვნენ [14. 421].

პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრთან ერთად, კამაკურა ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სანავსადგურო ქალაქს წარმოადგენდა. ამ კუთხით ის უკვე კონკურენციას უწევდა ისეთ მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, როგორიც იყო ნანივა (თანამედროვე ოსაკა) და ჰაკატა (თანამედროვე ფუკუოკა). ხაზგასასმელია, რომ კამაკურას პერიოდმა ბევრი სიახლე მოუტანა ქვეყანას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: საგრძნობლად გაიზარდა ხელოსნობა-ვაჭრობის როლი, იმატა ქალაქთა რაოდენობამ, რომლებიც აღმოცენდნენ სოფლის მეურნეობისგან ხელოსნობის გამოყოფის შედეგად. ნარაში, კიოტოში და კამაკურაში პირველი ხელოსნური ცეხები (იაპონურად – ძა, რაც ნიშნავს ადგილს, ადგილზე ჯდომას) გაჩნდა, რომლებიც ხელისუფლების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ მონოპოლიური უფლება ჰქონდათ მოპოვებული გარკვეულ ტერიტორიაზე თავიანთი საქონლის წარმოებასა და გაყიდვაზე. რა თქმა უნდა, ამ პრივილეგიისათვის ისინი მთავრობას დაწესებულ გადასახადს უხდიდნენ. პარალელურად იქმნებოდა ვაჭართა გილდიებიც (იაპონურად – კაბუ, კაბუკანამა), რომლებიც ხელოსანთა ცეხებისგან განსხვავებით, მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. იმხანად განვითარება დაიწყო ასევე საბითუმო ვაჭრობამ და მევახშეობამ.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ასევე ფულადი ურთიერთობების განვითარება. ხელისუფლება სათანადოდ აცნობიერებდა, რომ მონეტები უფრო მოსახერხებელი გაცვლის ეკვივალენტი იყო, ვიდრე ბრინჯი და ქსოვილები, რომლებიც ქვეყანაში საუკუნეთა მანძილზე ფულის ეკვივალენტის

როლს ასრულებდნენ. ამჯერად კი, გარკვეულ დაბრკოლებათა მიუხედავად, ფულადი ურთიერთობით ვაჭრობამ დაიწყო თანდათან განვითარება. საქმე ის იყო, რომ სუნგის დინასტიის ჩინეთთან (960-1279) სავაჭრო ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა ჩინურ საქონელთან ერთად, იაპონიაში სპილენძის მონეტებიც ხვდებოდა. ჩინეთის ხელისუფლება ამის აღმოფხვრას ცდილობდა და ამ მიზნით სპეციალურ ედიქტებს გამოსცემდა, რომელთა თანახმად იკრძალებოდა მონეტების ექსპორტი იაპონიაში [10. 370-373; 13. 237]. ამის მიუხედავად, ჩინური მონეტების რაოდენობა იაპონიაში სულ უფრო მატულობდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ფულადი მიმოქცევის განვითარების საფუძველზე, იაპონიაში გაჩნდა მოსახლეობის ახალი კატეგორია – მევახშეები. მევახშეობით აქტიურად დაკავდნენ მდიდარი ვაჭრები, ასევე სასულიერო პირები, რომლებიც ამ გზით დიდ ფულად შემოსავალს იღებდნენ.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაიძაბა პირველი შიოგუნის – იორიტომოს გარდაცვალების შემდეგ (1999 წ.). ძალაუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის შედეგად, კამაკურას მთავრობის სათავეში მისი ქვრივი მასაკო და სიმამრი – ჰოჯო ტოკიმასა მოექცნენ. 1219 წლის შიდა ომში მინამოტოს გვარის მამაკაცების ხაზი მთლიანად გაუღეტილ იქნა და ყველა სამთავრობო საკვანძო თანამდებობა ჰოჯოს კლანის ხელში მოექცა, რომლის დესპოტური მმართველობა XIV საუკუნის პირველ მეოთხედამდე გაგრძელდა. ფეოდალურ სავაჭრეულოებს შორის არსებული შუღლით მოხერხებულად ისარგებლა საიმპერატორო კარმა, რომელიც ძალაუფლების აღდგენას ესწრაფვოდა. ამ მიზნით 1219 წელს ექსიმპერატორმა გოტობამ (1180-1239) შეიარაღებული გამოსვლა მოაწყო, მაგრამ დამარცხდა. კამაკურას მთავრობა შეთქმულებს მთელი სისასტიკით გაუსწორდა, რის შემდეგაც ჰოჯომ კიდევ უფრო გაამკაცრა კონტროლი კიოტოზე, რათა თა-

ვიდან აეცილებინა ნებისმიერი სახის გამოსდომა საიმპერატორო კარის მხრიდან [2.128; 7.32-33].

კამაკურას პერიოდზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიას იმხანად პირველად მოეწვინა გარეშე მტერი მონღოლების სახით. ამ მოვლენის მოკლე პრეისტორია ასეთია: XIII საუკუნის მეორე ნახევარში მონღოლთა იმპერიის დამაარსებლის – ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილმა, ხუბილავ ყაენმა¹ განიზრახა თავისი იმპერიისათვის (რომლის შემადგენლობაში მონღოლეთის გარდა, უკვე ჩინეთი და კორეა იყო მოქცეული) იაპონიაც მიეერთებინა. ამ მიზნით 1266-1273 წლებში მან იაპონიის ხელისუფლებასთან რამდენიმე მისია გაგზავნა, მისი ვასალობის აღიარების მოთხოვნით. კამაკურას მთავრობამ მონღოლთა მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა და საომარ მზადებას შეუდგა. 1274 წლის შემოდგომაზე ხუბილავის არმია კორეის ტერიტორიიდან იაპონიისკენ დაიძრა, რომლის შემადგენლობაში 15 ათასი მონღოლი, 15 ათასი ჩინელი და 8 ათასი კორეელი მეომარი შედიოდა, ფლოტი კი წარმოდგენილი იყო 900-მდე დიდი ხომალდით და 400-500 ნავით². თავდაპირველად მათ კუნძულებით ცუშიმა და იკი დაიკავეს, იქაურობა სასტიკად ააოხრეს და გადარცვეს. შემდეგ მონღოლები ჰაკატას (თანამედროვე ფუკუოკა) ყურეში შევიდნენ – კუნძულ კიუშუს სანაპიროსთან, სადაც მარცხი იწვნეს. ამის მთავარი მიზეზი ძლიერი ტაიფუნი გახდა, რომელმაც მონღოლთა ფლოტის დიდი ნაწილი იმსხვერპლა [18. 321; 14. 431]. იაპონელებმა ამ ტაიფუნს კამიკაძე ანუ ღვთაებრივი ქარიშხალი უწოდეს. მათი რწმენით, ის ღმერთებმა მოავლინეს იაპონიის გადასარჩენად.

¹ ხუბილავ ყაენი (1216-1294) – 1271 წელს მან ჩინეთის დიდი ნაწილი დაიპყრო და მონღოლთა იუენის დინასტიას (1271-368) ჩაუყარა საფუძველი. 1273 წელს მან კორეაც დაიმორჩილა.

² სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისგან განსხვავებული ციფრებია მითითებული მონღოლთა ლაშქრისა და ფლოტის რაოდენობასთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ მითითებული ციფრები ყველაზე მეტადაა გაზიარებული ისტორიოგრაფიაში.

პირველი საომარი ექსპედიციის წარუმატებლობამ ხუბილად არათუ შეაჩერა, არამედ უფრო მეტი ჟინით შეუდგა სამზადის ახალი შეტევისათვის, ამასთანავე ელჩობაც გაგზავნა იაპონიაში, კვლავ დანებების მოთხოვნით. კამაკურას ხელისუფლებამ კი პასუხად სიკვდილით დასაჯა წარგზავნილები, იმავედროულად, ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე ინტენსიურად მიმდინარეობდა დამცავი ქვის კედლების და ნაგებობების აგება [8. 135-136].

1281 წლის ზაფხულში ხუბილად ყაენი უზარმაზარი არმიით კვლავ დაიძრა იაპონიისკენ, სადაც სასტიკი ბრძოლები გაიმართა როგორც წყალზე, ისე ხმელეთზე. აღნიშნული ლაშქრობა საბედისწერო აღმოჩნდა მონღოლებისთვის – ჰაკატას ყურეში შეტაკების დროს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც მომხდურთა ფლოტი თითქმის მთლიანად გაანადგურა. 18 აგვისტოს იაპონელებმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს მტერზე [2.129-130; 13. 239-241; 18.329]. ასე რომ, იღბალი კვლავ იაპონელთა მხარეს აღმოჩნდა. გარდა ქარიშხლისა, მონღოლთა მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ისინი უფრო გაწაფულნი იყვნენ გაშლილ ტერიტორიებზე ბრძოლებში, წყალზე ბრძოლის წარმოება კი შედარებით უჩვეულო იყო მათთვის. გარდა ამისა, მცირე ზომის მოქნილი იაპონური ხომალდებისგან განსხვავებით, მონღოლთა ტლანქ ხომალდებს მანევრირება უჭირდათ. იაპონელების წარმატების ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა სამურაების საბრძოლო სულისკვეთება, იაპონელი ხალხის საოცარი ენთუზიაზმი და ერთიანობა, რამაც საერთო ჯამში მთელი ერის კონსოლიდაცია განაპირობა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, ქვეყნის სანაპირო ზოლმა დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იაპონიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეინახუნა. საყურადღებოა, რომ იაპონიის თანამედროვე სახელმწიფო დროშა (იაპონურად – ჰინომარუ, რაც ნიშნავს მზის დისკოს), რომელზეც თეთრ ფონზე გამოსახულია მზის დისკო, მონ-

ლოლთა ლაშქრობების დროიდან იღებს სათავეს. ლეგენდის თანახმად, დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის წინ, ბუდისტმა ბერებმა იმპერატორს, რომელიც მზის ღვთაების შთამომავლად ითვლებოდა, მიართვეს აღნიშნული სახის დროშა, რათა იაპონელი მეომრები მისი ეგიდის ქვეშ შებრძოლებოდნენ მომხდურებს [4. 112-113].

იაპონიას ათეული წლები დასჭირდა ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად და ცხოვრების ჩვეულ რიტმში დასაბრუნებლად. მონღოლები გარკვეული ხნის მანძილზე კვლავ დაძაბულობაში ამყოფებდნენ იაპონიას და ამიტომაც იაპონელი ჯარისკაცები სავალდებულო სამხედრო სამსახურს აგრძელებდნენ ქვეყნის სანაპირო ზოლის გასწვრივ, რაც არა მხოლოდ საზღვრის დაცვაში გამოიხატებოდა, არამედ თავდაცვითი ნაგებობების გამაგრებასა და აგებაში. მონღოლთა განდევნის შემდეგ საყურადღებო მოვლენა გამოიკვეთა – ეს იყო იაპონელი მეკობრეების (იაპონურად – ვაკო) გააქტიურება. ამის მიზეზი ის იყო, რომ მონღოლთა განდევნის შემდეგ დასაქმების მიღმა დარჩენილი იაპონელი ზღვაოსნები სახმელეთო ცხოვრებას აღარ დაუბრუნდნენ და მეკობრეობას მიჰყვეს ხელი. მათი ხომალდები ხშირად ჩნდებოდნენ ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ფილიპინებისა და ინდონეზიის ნაპირებთან. ამასთან, მეკობრეები მხოლოდ ძარცვით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი, იმავდროულად, სარფიან საგარეო სავაჭრო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ. სწორედ მათი მეშვეობით გაჰქონდა იაპონიას იმხანად ბრინჯი და სხვა პროდუქტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ჩინეთიდან კი შეჰქონდათ: სპილენძის მონეტები, ქსოვილები, ფაიფური, ფუფუნების საგნები. საერთო ჯამში, ნებისთ თუ უნებლიეთ, მეკობრეთა არალეგალური ვაჭრობა ხელს უწყობდა იაპონელ ვაჭარ-ხელოსანთა ეკონომიკურ მომძლავრებას და გამდიდრებას [13. 243].

რაც შეეხება იდეოლოგიურ სფეროს, კამაკურას პერიოდში იაპონელთა რელიგიური სამყარო მრავალფეროვნებით გა-

მოიჩინოდა. გაძლიერდა ბუდისტური და შინტოისტური წარმოდგენების ურთიერთგავლენა და მათი სინკრეტიზაცია. სი-ახლეს წარმოადგენდა ასევე ბუდიზმის სხვადასხვა სკოლის აღმოცენება, რომელთა შორის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობდა ყოფიერების პრობლემების გადაჭრის მიმართ სხვადასხვაგვარ მიდგომაში [9. 293-295]. მათგან ყველაზე გავლენიანი და ძლიერი იყო ძენ-ბუდიზმი, რომელმაც ჩინეთიდან შეაღწია XII საუკუნის მიწურულს და მოკლე ხანში უამრავი მიმდევარი გაიჩინა საზოგადოების ყველა ფენაში. ძენ-ბუდიზმმა დიდი გავლენა მოახდინა იაპონელთა ეროვნული ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, მორალის სპეციფიკური ნიშან-თვისებების ფორმირებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი ხელოვნების სფეროში. კერძოდ, ძენ-ბუდიზმის საფუძველზე აღმოცენდა იაპონიაში ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა: თეატრი ნო, ყვავილთა შეკონვის ხელოვნება – იკებანა, ბაღების და პარკების დიზაინის ხელოვნება, ჩაის სმის რიტუალური ცერემონია, ასევე ძენ-ბუდიზმის ესთეტიკის პრინციპებს დაეფუძნა ახალი მიმდინარეობები ფერწერაში, პოეზიაში, არქიტექტურაში და სხვ. [3. 185].

ხაზგასასმელია, რომ ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობის გავრცელების მიუხედავად, იაპონელთა ეროვნული სარწმუნოების – შინტოიზმის პოზიციები იაპონიაში არ შერყეულა. საყურადღებოა, რომ რომელი რელიგიის მიმდევარიც არ უნდა ყოფილიყო იაპონელი ადამიანი, ის მაინც შინტოისტად რჩებოდა, უმთავრეს პატივს კი თავის საგვარეულოს მფარველ ღვთაებას – უჯიგამის¹ მიაგებდა. შინტო იყო და არის ყველა იაპონელის უმთავრესი მსოფლმხედველობა. შინტოისტური წესებისა და ცერემონიების გარეშე წარმოუდგენელი იყო იაპონური სახელმწიფოს ფუნქციონირება და საერთოდ იაპონელთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება. თუმცა, ისიც უნდა

¹ უჯიგამი – ცალკეული ტომობრივი გაერთიანების, საგვარეულოს მითოლოგიური წინაპარი.

აღინიშნოს, რომ სისტემურად ჩამოყალიბებულ ბუდისტურ კონცეფციებთან მუდმივი თანაარსებობის პირობებში, შინტო-იზმი იძულებული იყო, თვითგამოხატვის ახალი ფორმები ეძებნა. განსახილველ პერიოდში ამგვარი ძიების ყველაზე ლოგიკურ მიმართულებას მსოფლგაგების ბუდისტურ სისტემაში ჩართვა წარმოადგენდა ანუ ბუდიზმის გარკვეული დოგმების გათავისება და ბუდისტური ღვთაებების ჩართვა შინტოს ღმერთების პანთეონში [13. 248].

სატახტო ქალაქად კამაკურას გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულთან ერთად, იაპონიაში კულტურის ორი ცენტრი გაჩნდა: კიოტო, თავისი ტრადიციული კულტურით (სადაც საიმპერატორო რეზიდენცია იყო) და კამაკურა – შიოგუნატის დედაქალაქი რიგი სიახლეებითა და განსხვავებული ფასეულობებით. მართალია, კიოტოს ძველი არისტოკრატია და მისი კულტურა თავის ავტორიტეტს ინარჩუნებდა, მაგრამ სულ უფრო ხელშესახები ხდებოდა ახალი, ხალხური კულტურის ელემენტები. ეს, უპირველეს ყოვლისა, სამურაების სამხედრო ფენის აღზევებასთან და გაბატონებული კლასის ეშელონებში მათ მოხვედრასთან (რომლებიც დაბალი ფენის – გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ) იყო დაკავშირებული. პოლიტიკური ძალების გადანაწილების კვალდაკვალ, კულტურაშიც თანდათან ორი მთავარი მიმართულება გამოიკვეთა: ძველი, ტრადიციული კულტურა და ახალი, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში არსებული კულტურა, რომლის პოზიციები სულ უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა [17. 98]. თუმცა, მთლიანობაში კამაკურას ეპოქის კულტურა, გარკვეული ინოვაციური კორექტივების შეტანით, კიოტოს კულტურის გაგრძელებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მმართველობის რეჟიმზე დაფუძნებული კამაკურას მეომართა ფენა თავდაპირველად კიოტოს არისტოკრატიის კომფორტულ და ნებიერ ცხოვრების წესს სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა, მოგვიანებით მათი დაახლოე-

ბის პროცესი დაიწყო. ეს იმით იყო განპირობებული, რომ კამაკურას სამხედრო ფენა სულ უფრო რეალისტურად აფასებდა კიოტოს ხიზლსა და ბრწყინვალეობას, ასევე მის კულტურულ მონაპოვარს. თავის მხრივ, კიოტოს არისტოკრატიის მხრიდანაც იკვეთებოდა ინტერესი როგორც ზოგადად კამაკურას, ისე სამურაების და სამხედრო ხელოვნების მიმართ [18. 350].

კამაკურას პერიოდში სიახლეები მეტნაკლები დოზით კულტურის ყველა სფეროს შეეხო. ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ჟანრის ისტორიულ-საგმირო ეპოსის სახეობა – გუნკა, რომელიც სამურაების ცხოვრებასა და ბრძოლის ველზე გამოჩენილ მათ საგმირო საქმეებს ეძღვნებოდა. XIII საუკუნეში ფართოდ განვითარდა ისტორიული ჟანრი – ე. წ. რეკიში მონოგატარი (იაპონურად ნიშნავს – მოთხრობას, ამბავს), რომელიც ერთდროულად მოიცავდა რომანსაც, ზღაპრულ ნაწარმოებსაც და მოთხრობასაც. ამ ჟანრის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტაირას საგვარეულოს ამბავი“ და „ჩანანერები მინამოტოსა და ტაირას აღზევებისა და დამხობის შესახებ“, რომლებმაც უდიდესი აღიარება მოიპოვეს. ამავე ჟანრს მიეკუთვნებოდა ისტორიული ტრაქტატები, რომლებშიც პირველად იყო გაანალიზებული ისტორიული თვალთახედვით შიოგუნატის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და სამურაების ფენის წარმოშობის გარემოებები. დამოუკიდებლად და წარმატებით ვითარდებოდა ასევე ბუდისტური ლიტერატურა თეორიული ტრაქტატებისა და რელიგიურ-ფილოსოფიური ესეების სახით [15.315]. პარალელურ რეჟიმში იცვლებოდა სალიტერატურო ენაც; თუკი კიოტოს ენა ლექსიკურად წმინდა იაპონური იყო და ჩინური სიტყვები უმნიშვნელო რაოდენობით იყო წარმოდგენილი, კამაკურას პერიოდში ჩინური ლექსიკაც დამკვიდრდა, რაც უმთავრესად ჩინეთიდან ძენ-ბუდიზმის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ასე რომ, საბრძოლო ეპოპეების ენა მნიშვნელოვან ეტაპად იქცა იაპონური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში, რომელშიც

ორგანულად შერწყმული აღმოჩნდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ლექსიკა – იაპონური და ჩინური.

ახალ რეალობაში ცვლილებები განიცადა სახვითმა ხელოვნებამ. ეს განსაკუთრებით ეხება ე. წ. ემაკიმონოს ანუ ჰორიზონტალურ გრაგნილზე შესრულებულ ნახატებს, რომლებსაც თან ერთვოდა განმარტებითი ტექსტი. ასე რომ, მთლიანობაში გამოდიოდა ნახატი-მოთხრობა, რომელიც ხელოვნების სამ დარგს აერთიანებდა: ფერწერას, ლიტერატურას და კალიგრაფიას [11. 79]. ამ სტილის ნამუშევრები საოცარი დინამიურობით გადმოსცემდნენ ამა თუ იმ მოვლენის განვითარების თანმიმდევრობას. განსახილველი პერიოდის ემაკიმონო რადიკალურად განსხვავდებოდა კიოტოს ტრადიციული ფერწერისგან, სადაც ყურადღება ფოკუსირებული იყო პერსონაჟთა განწყობაზე და ემოციებზე. კამაკურას პერიოდის ნახატები კი მეტი რეალისტურობით ხასიათდებოდა. დღემდე შემონახულია ამგვარი ფერწერის ასეულობით ნიმუში. მათგან ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულია სახელოვანი მწერალი ქალის – მურასაკი შიკიბუს (978-1014) ფართოდ ცნობილი რომანის – „გენჯი მონოგატარის“ („უფლისწულ გენჯის ამბავი“) ილუსტრაციები. მათზე გამოსახულია არისტოკრატთა ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი, რომლებსაც ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული განმარტებითი ტექსტი ახლავს [12.90-91]. ემაკიმონოს თემატიკა ძალზე მრავალფეროვანი იყო, მათზე გამოსახული იყო სხვადასხვა ტაძარ-მონასტერი, წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდები, ბატალური, სასიყვარულო, ჟანრული სცენები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლამაზად გაფორმებული ბუდისტური სუტრები და რელიგიური ხასიათის სხვა თხზულებები. აღსანიშნავია, რომ კამაკურას ეპოქის მიწურულს ყველა ტაძარს ჰქონდა თავისი ნახატი-გრაგნილი, რომელშიც მოთხრობილი იყო კონკრეტული ტაძრის დამფუძნებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ტაძრის სასწაულებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ასეთი ემაკიმონოები

განსაკუთრებულ სინმინდეებად ითვლებოდა და სათუთად ინახებოდა, ზოგიერთ მათგანს კი პატივი მიეგებოდა, როგორც ადგილობრივი ღვთაების განსახიერებას [18.356].

კამაკურას პერიოდის როგორც ფერწერაში, ისე სკულპტურაში, ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკვიდრა პორტრეტმა. პირველად იაპონური ხელოვნების ისტორიაში გამოჩნდა რეალურ ადამიანთა პორტრეტული გამოსახულებები. არქიტექტურაში გამოიკვეთა წარსულის მონუმენტური ფორმებისკენ, კონკრეტულად, წარას პერიოდისკენ (710-784) მიბრუნების ტენდენცია. ზოგადად, კამაკურას არქიტექტურისთვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა სტილის ერთმანეთში აღრევა. ეს ეხება როგორც საერო, ისე სატაძრო არქიტექტურას. საკულტო ნაგებობებში, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, კამაკურას ოსტატები კიოტოს ეპოქის ტრადიციებს აგრძელებდნენ. სიახლეს წარმოადგენდა მხოლოდ ჩინეთიდან გადმოღებული ძენ-ბუდიზმის სატაძრო არქიტექტურული სტილი – კარა-იო. ამ ტაძრებს მაღალი სახურავი და მომრგვალებული ფორმის სარკმელები ჰქონდათ. ამასთანავე, ტრადიციული პომპეზური ბუდისტური ტაძრებისგან განსხვავებით, ისინი სისადავით და პირქუში იერ-სახით გამოირჩეოდნენ [13.369; 18.350], თუმცა, ეს სისადავე და უბრალოება დახვეწილ ესტეტიკურ პრინციპებს ეფუძნებოდა.

საერთოდ, კამაკურას შიოგუნები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სააღმშენებლო სფეროს და საამისოდ მატერიალურ სახსრებს არ იშურებდნენ. სამშენებლო ტექნიკის სიახლეების ასათვისებლად და ცოდნის გასაღრმავებლად, იაპონელი ოსტატები ჩინეთში იგზავნებოდნენ, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნამდვილ შედეგებს ქმნიდნენ. გადმოცემის თანახმად, ჩრდილოეთში ფუჯივარას გვარის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, იორიტომო იმდენად მოხიბლულა იქაური ტაძარ-მონასტრების ბრწყინვალეობით, რომ კამაკურაში დაბრუნების შემდეგ პირადად ხელმძღვანელობდა ტაძრების

ფრესკებით და ჩუქურთმებით გაფორმებას. უფრო მეტიც, ის მხოლოდ კამაკურათი არ იფარგლებოდა და უზარმაზარ მატერიალურ სახსრებს ხარჯავდა ტაძრების, სალოცავების, პაგოდების აგებაზე მთელი იაპონიის მასშტაბით, კიოტოს საიმპერატორო სასახლის კომპლექსის შეკეთებასაც კი უწევდა ქმედით დახმარებას. იორიტომოს ძალისხმევით აღდგენილ იქნა ფეოდალური შიდა ომების შედეგად დაზიანებული არა ერთი ტაძარი, მათ შორის ქ. ნარაში არსებული მსოფლიოში კარგად ცნობილი ტოდაიჯის სამონასტრო კომპლექსი. რაც შეეხება საცხოვრებელ ნაგებობებს, აქ განვითარება დაიწყო ახალმა – ე. წ. სამხედრო სტილმა. კერძოდ, შენობებები შემოფარგლული იყო დამცავი კედლით, რომელსაც დიდი კარიბჭე ჰქონდა. კედლის მიღმა საკმაოდ დიდი სივრცე იყო, სადაც განთავსებული იყო ნაგებობა გუშაგებისათვის. ამგვარი რეზიდენციები თანდათან სულ უფრო დიდებულ და პომპეზურ იერ-სახეს იღებდნენ და კიოტოს სახლების სტილს ემსგავსებოდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფუფუნებისკენ მიდრეკილ ტენდენციებს ამუხრუჭებდა ძენ-ბუდიზმის დოქტრინა სისადავესა და უბრალოებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ზომიერებას უნარჩუნებდა მათ [10. 643-645].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კამაკურა ცნობილია ტაძრების სიმრავლით. ქალაქში 176 ბუდისტური, შინტოისტური და ძენ-ბუდიზმის ტაძარია. ყველაზე ძველი შინტოისტური ტაძარი კამაკურას ტერიტორიაზე 710 წელს აიგო, უძველესი ბუდისტური ტაძარი კი – 734 წელს. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მონყალების ქალღმერთ კანონისადმი მიძღვნილი ტაძარი ჰასე-კანონი, რომელიც 736 წელს აიგო. ის განსაკუთრებით იმით არის ცნობილი და ღირსშესანიშნავი, რომ მის მთავარ დარბაზში განთავსებულია თერთმეტთავიანი ქალღმერთ კანონის მოოქროვილი ქანდაკება (მისი შიდა ნაწილი ხისგანაა დამზადებული), რომლის სიმაღლე 9.3 მეტრია. ხსენებული ტაძრის მეორე ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს

გიგანტური ზარი, რომელიც 1264 წელს ჩამოასხეს. შინტოის-ტურ ტაძართა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მინამოტოს საგვარეულოს მიერ მისი მფარველი ღმერთის – ცურუგაკა ჰაჩიმანის სახელზე აგებული ტაძარი, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. ტაძრის მთავარ დარბაზში, სადაც ამჟამად მუზეუმია განთავსებული, წარმოდგენილია სამურაების ძვირფასი აღჭურვილობა, ძველი საბუთები, ხელნაწერები, ნიღბები და სხვა ძვირფასი ნივთები. აღნიშნული ტაძარი იაპონელების ერთ-ერთ უსაყვარლეს მოხილვის ადგილს წარმოადგენს, განსაკუთრებით საახალწლო დღესასწაულის დღეებში. თუმცა, კამაკურას უმთავრესი ღირსშესანიშნაობები მაინც ბუდას სახელს უკავშირდება. როგორც ჩანს, ეს იმიტომ არის განპირობებული, რომ სწორედ კამაკურას პერიოდში აღმოცენდა იაპონიაში ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობები და სკოლები, რომლებმაც მყარად გაიდგეს ფესვები ქვეყანაში, ასევე აიგო ბევრი ბუდისტური ტაძარი და სალოცავი, წარმატებით ვითარდებოდა ბუდისტური ხელოვნება ფერწერაში, არქიტექტურაში, ხუროთმოძღვრებაში. თავად კამაკურას სიმბოლოსა და ერთგვარ სავიზიტო ბარათსაც ბუდას გრანდიოზული ქანდაკება წარმოადგენს, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ეს არის ლოტუსის კვარცხლბეკზე ფეხმორთხმით მჯდომი ბუდას სკულპტურა, რომელიც ჯერ ხისგან დამზადდა, შემდეგ კი ბრინჯაოში იქნა ჩამოსხმული, მისი დამზადების თარიღად სახელდება 1252 წელი [18.352]. ბუდას სიმაღლე 11 მეტრს აჭარბებს და სიდიდის მიხედვით იაპონიაში ის მეორე ადგილზეა, ქ. ნარას ტოდაიჯის ტაძრის ბუდას შემდეგ, რომლის სიმაღლე 16 მეტრია (კვარცხლბეკთან ერთად 22 მეტრია). კამაკურას ბუდას მეტად დრამატული ბედი ხვდა წილდ: თავდაპირველად ის კოტოკუ-ნოს ტაძრის მთავარ დარბაზში იყო დაბრძანებული, მაგრამ 1369 და 1494 წლების ცუნამებისა და ბუნების სხვა კატაკლიზმების შედეგად, ნაგებობა მთლიანად განადგურდა. ეულად დარჩენილი ბუდა 1495 წლიდან ღია ცის

ქვეშ იმყოფება [5.46]. გოლიათ ბუდას თავზე ვერცხლისფერი კულულები აქვს, რომლებსაც 830 ცალი ლოკოკინა განასახიერებს. ლეგენდის თანახმად, ლოკოკინები, რომლებიც სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევა ბუდიზმში, მზისგან იცავდნენ ხანგრძლივ მედიტაციაში მყოფ თავგადაპარსულ ბუდას. ქანდაკების შიგნით ზემოთ ამავალი კიბეა, მის ბოლოში კი – ბუდას თვალებიდან გადმოსახედია, საიდანაც მთელი ქალაქის ლამაზი პანორამა იშლება თვალწინ.

თითქმის 150-წლიანი მმართველობის შემდეგ, კამაკურას მთავრობის აღსასრული მოახლოვდა. მისი დასუსტების ნიშნები პირველად მონღოლთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შედეგად გამოიკვეთა. მართალია, მტერი უკუქცეულ იქნა, მაგრამ იაპონიას ამ ომმა დიდი ზარალი მოუტანა. ამას ზედ დაერთო შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები როგორც საიმპერატორო კარზე (სხვადასხვა განშტოებას შორის), ისე კამაკურას მთავრობასა და მონარქიას შორის. შექმნილი ქაოსური ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცადნენ გავლენიანი ფეოდალური კლანები, რომლებიც საიმპერატორო ტახტის სხვადასხვა პრეტენდენტს უჭერდნენ მხარს. ამ დრამატული პერიპეტეიების პროცესში ლიდერი პოზიციები მოიპოვა ერთ-ერთმა გავლენიანმა საგვარეულომ – აშიკაგამ, რომელმაც იმპერატორ გოდაიგოსთან (1318-1339) ერთად, 1333 წელს კამაკურას შიოგუნატის დამხობა შეძლო [10.170-173]. შიოგუნთა ახალი დინასტიის ფუძემდებელი გახდა აშიკაგა ტაკა-უჯი, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი შიდა ომში [11.96; 13.252-253]. რაც შეეხება დედაქალაქ კამაკურას, ომის ქარცეცხლში ის მთლიანად დაინვა. ამის გამო შიოგუნატის მომდევნო – აშიკაგას დინასტია კიოტოში განთავსდა. მიტოვებულმა კამაკურამ უწინდებურად სოფლის სახე მიიღო. მხოლოდ საუკუნეების შემდეგ, იაპონიის ისტორიის ე. წ. მეიჯის პერიოდიდან (1867-1912) დაიწყო მისი ახალი სიცოცხლე. ინტენსიური აღდგენითი და სააღმშენებლო სამუშაოების, ქალა-

ქის კეთილმოწყობისა და განაშენიანების შედეგად, კამაკურამ უწინდელი იერ-სახე დაიბრუნა. დღესდღეობით კამაკურა არა მხოლოდ შესანიშნავი ისტორიული ძეგლებით და ღირსშესანიშნაობებით იზიდავს მნახველებს, არამედ მსოფლიოში პოპულარულ საზღვაო კურორტს წარმოადგენს, განსაკუთრებით, ელიტარული საზოგადოებისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბილისი, 2001.
2. გელაშვილი ნ., იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბილისი, 2012.
3. გელაშვილი ნ., შორეული აღმოსავლეთის რელიგიები, თბილისი, 2018.
4. Ashkenazi, Michael, Handbook of Japanese Mythology, APC-CLIO, 2003.
5. A Pictorial Journey to Japan's Cultural Treasures, The Beauty of Japan, Foreword by E.Scidensticker, Tokyo, 2004.
6. Ebrey P., Walthall A., Palais J., East Asia- a Cultural, Social and Political History, Wadsworth, 2009.
7. Henshall, G. Kenneth, A History of Japan from Stone Age to Superpower, USA-New York, 1999.
8. Mason R.H.P., Caiger J.G., A History of Japan (Revised Edition), Singapore, 1997.
9. Sources of Japanese Tradition from the Earliest Times to 1600, vol.1, General Editor Wm. Theodore de Bary, Columbia University Press, New York, 2001.
10. The Cambridge History of Japan: Medieval Japan, vol. 3, Ed. by J.W. Hall, M.B. Jansen, Madoka Kanai, Denis Twitchett, Cambridge University Press, 1997.
11. Varley H.P., Japanese Culture, Honolulu-Hawai 'i Press, 1984.
12. Боронина И.А., Классический Японский роман, Москва, 1981.
13. История Японии, I, отв. редактор Жуков А.Е., Москва, 1999.

14. Кэнзоо, Акияма, История Ниппон, История Японии, М., 2003.
15. Культурология, История мировой культуры, под ред. Марковой А.Н., Москва, 1999.
16. Накамура, Кооя, История Японии, История Японии, Москва, 2003.
17. Сабуро, Иэнага. История Японской культуры, Москва, 1972.
18. Сэнсом Дж. Б., Япония, краткая история культуры, Санкт-Петербург, 1999.

NANA GELASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

INNOVATIONS IN THE JAPANESE CULTURE – THE KAMAKURA ERA

Summary

Kamakura Era is one of the most interesting and important period in the history of Japan (1192-1333), which is connected with formation of the new military-government system – Shogunate. In particular, when Yoritomo - the leader of the influential Minamoto clan, won the internal feudal wars, he received the title of shogun (in Japanese – commander in chief) from the emperor in 1192 and at the same time he announced Kamakura as the capital of his new government. Main goal of this action was to curtail the political authority of the imperial court in Kyoto and to create independent powerful political levers. From now on , a long period of dual government started in Japan – Imperial and Shogunate. It should be emphasized that such a dualistic system of government had a decisive influence on the historical-political and cultural development of Japan in the later period.

In the new reality Kamakura, which used to be a small fishing village, in short period of time became a large commercial, economic and cultural center of the country, where the political and intellectual

elite gathered. Large-scale construction works were carried out in Kamakura of Buddhist and Shinto temples, monumental statues of Buddhist deities, dwelling houses, palaces, roads, etc. Due to the fact that Kamakura was associated with military rule with its political content, most of its territory was occupied by sports fields and stadiums, where samurai trained systematically.

In the Kamakura period, innovations affected almost all areas of culture. The new genres appeared in literature, fine arts, both temple and secular architecture showed a tendency to return to the past – to the Nara period. It should be noted that the newly formed culture of Kamakura at first was opposed to the traditional culture of Kyoto. However, later the process of their rapprochement began and the signs of mutual influence became more and more tangible, which ultimately based on a proper synthesis and dialogue between cultures, produces an excellent result.

სოფიო გუგუნავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითოლოგიის გავლენა ჩინურ კულტურაზე

ჩინური მითოლოგია წარმოადგენს ისტორიის, ფოლკლორისა და რელიგიური წარმოდგენების ნაკრებს, რომელმაც ჩვენამდე ზეპირი და წერილობითი სახით მოაღწია. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მასში პერსონაჟები რეალურ ისტორიულ პიროვნებებად განიხილებოდა. მითები საუკუნეების მანძილზე გადაიცემოდა ზეპირსიტყვიერი ფორმით (მუსიკის და თეატრალური სახით) მანამ, სანამ არ დაიწყეს მათი ჩანერა წიგნებში („შანხაიძინგი“, ანუ „მთებისა და ზღვების წიგნი“, ძვ. წ. 4-2 სს.) [1.4]. ჩინური მითოლოგია არ გვევლინება ერთიანი ჰარმონიული ეპოსის სახით, როგორც რომაული ან ბერძნული, იგი ფილოსოფიური აზროვნების სხვადასხვა მიმართულების მსოფლმხედველობის სისტემების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ქვეყანაში მისი განვითარების პროცესში წარმოიშვა. წინაპრების უძველესი კულტი, ბუდიზმი, კონფუციონიზმი, დაოსიზმი – ეს არის ის, რაც ხსნის ჩინური მითების მრავალფეროვნებას და მათ განსხვავებულობას. ჩინური მითები აერთიანებს ძველი ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ ლეგენდებს. უძველეს ჩინურ წიგნსა და კონფუციურ სახელმძღვანელოებში გადმოცემულია მოთხრობები ადამიანებზე, მეფეებსა და დიდგვაროვნებზე, ჯარისკაცებსა და გლეხებზე (ასევე ბევრია დრაკონებსა და არაამქვეყნიურ სულებზე), მაგრამ არა ღმერთებზე, რაც, გარკვეულწილად, განასხვავებს ჩინურს სხვა ქვეყნების მითოლოგიებისაგან. ჩანაწერები ცხადყოფს, რომ უძველესი ხანის ჩინელებს ჰყავდათ გაისტორიებული მითური პერსონები [1.6]. განსხვავებით ძველი ბერძნებისგან, რომლებიც ევჰემეროსის (დაახლ. ძვ. წ. 300 წ.)

თანახმად, კაცებს ღმერთებად აქცევდნენ, უძველესი ჩინელები ღმერთებს აქცევდნენ კაცებად. ამ ტიპის ფოლკლორმა თვალსაჩინო კვალი დატოვა ჩინეთის კულტურაზე. თანამედროვე ავტორების შემოქმედებაშიც კი იგრძნობა მისი გავლენა ჩინელი ხალხის ცნობიერებაზე. ყველაზე ადრეული ჩანაწერები, რომლებიც გაგვაჩნია უძველესი ჩინეთიდან, არის სამარჩიელო ძვლების მოკლე წარწერები ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან და გვაჩვენებს უამრავ არსებას, რომლებსაც მსხვერპლს სწირავდნენ. ძალიან მცირე რამ არის ცნობილი თითოეულ მათგანზე. ისინი ძლევამოსილებად მიიჩნეოდნენ და მათი სახელები გვაჩვენებს, რომ ისინი აღმოცენდნენ ბუნების შესახებ მითებიდან.

ჩინური ფილოსოფიური მიმდინარეობები სათავეს სწორედ მითოლოგიაში იღებს. როგორც მათი საფუძველი, მან განსაზღვრა მოსახლეობაში გარკვეული ფილოსოფიური სკოლების პოპულარობა. ცნობილია, რომ ნატურფილოსოფიური (ბუნების ფილოსოფია) მსოფლმხედველობა ჩინელებში ფართოდ არ გავრცელებულა. ეს შეიძლება აიხსნას მითოლოგიური შეხედულებების სპეციფიკით, რომლებიც განსაზღვრავენ გარკვეული ფენომენების მნიშვნელობას. ფაქტია, რომ ეპოსი შეიცავს მცირე რაოდენობით ინფორმაციას სამყაროს ფორმირების შესახებ, ასევე მის კავშირს ადამიანთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თემები ნაკლებად აინტერესებდა ჩინეთის მაცხოვრებლებს. აქედან გამომდინარე, ნატურფილოსოფიას არ შეუძლია ძირითადი ადგილი დაიკავოს ფილოსოფიური სკოლების სისტემაში, ვინაიდან ის შორს არის ჩინელების რეალური შეხედულებებისგან, მაგრამ ყველაზე ცნობილია ჩინურმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობებმა ისარგებლა პოპულარული მითოლოგიური შეხედულებებით სამყაროს ხედვის თავიანთი კონცეფციის დასამტკიცებლად. მაგალითად, დაოსიზმმა თავის სწავლებებში აქტიურად შემოიტანა უძველესი გმირების

ფიგურები, მათი მაგალითის გამოყენებით ცდილობდა, დაემტკიცებინა დაოისტური იდეების სისწორე.

ჩინურ მითოლოგიაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ცხოველი თუ ფრინველი. ამან თავისი კვალი დატოვა ხელოვნების ისეთ ფორმაზე, როგორიცაა მოქანდაკეობა. სხვადასხვა მითიური ცხოველი გახდა მუზა მხატვრული გამოსახულების, რომელიც შთააგონებდა შედეგების შემქმნელებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები ჩინურ ლეგენდებში არის დრაკონი, ფენიქსი, თეთრი ვეფხვი და კუ, რომლებიც განასახიერებს დიდებასა და ძალაუფლებას [2.34]. ისინი ჩინელი ოსტატების მრავალი სკულპტურული ქმნილების მოდელები იყვნენ. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დრაკონების მრავალი ფიგურა, რომელიც ნეფრიტისგან არის დამზადებული და უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში მითოლოგიამ დიდი როლი შეასრულა ადამიანების ცხოვრებასა და მათ ცნობიერებაზე, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მეცნიერებამ მთლიანად შეცვალა აზროვნების ყველა არქაული ფორმა, მითები განაგრძობენ გავლენას ადამიანთა ცნობიერებაზე, უბიძგებენ მათ, შექმნან დიდი ხელოვნების ნიმუშები. ამის შესანიშნავი მაგალითია ცნობილი ცხრა დრაკონის კედელი, რომელიც აშენდა პეკინში მე-18 საუკუნეში [2.56]. რაც შეეხება ჩინური სახვითი ხელოვნების სფეროს, მითოლოგიამ აქ ასევე დიდი გვალენა იქონია. თქმულებებიდან აღებული სიუჟეტები/სცენები ძირითადად სამარხების კედლებს ამშვენებდა და ბარელიეფებსა და კედლის მხატვრობაში ხშირად იყო გამოყენებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს სიუჟეტები არ იყო მიძღვნილი იმქვეყნიური ცხოვრებისადმი, არ ასახავდა საიქიო ცხოვრების სცენებს. პირიქით, კედლებს ამშვენებდა ცოცხალი სამყაროს სურათები, მთავარ თემას კი ღვთაებებისა და წმინდა ცხოველების გამოსახულებები წარმოადგენდა, ასევე მითებიდან აღებული საგმირო საქმეები [3.15]. ამ ნიმუშების უმეტესობა თარიღდება ჰანის დინასტიის პერიოდით. დღეს

ჩინელი მხატვრები სულ უფრო ხშირად მიმართავენ მითოლოგიას შთაგონებისთვის. თანამედროვე ხელოვნებაში ყველაზე ცნობილი ნამუშევარი იყო ხუ ბეიჰონგ-ის ნახატი, რომელიც ეფუძნებოდა მითს იუე-ზე, რომელმაც საკუთარი სხეულის ნაწილები მსხვერპლად გაიღო, რათა წყალდიდობის შეჩერება შესძლებოდა.

როდესაც ვსაუბრობთ ჩინურ ლიტერატურაზე, შეუძლებელია, ვერ შევამჩნიოთ მითოლოგიის გავლენა მასზე. ძველ ჩინეთში ეპიკური დრამის არარსებობის გამო, მითოლოგია ნაკლებად არის ასახული ვერბალურ ხელოვნებაში. პოეტ ციუ იუ-ანის ნაწარმოების გარდა, ძველი ჩინური მითოლოგიის გამოხატულება მხოლოდ ცალკეულ პატარა ლექსებში იყო ნაჩვენები, მაგალითად, როგორიც არის ცაო ჭ-ს ლექსი „მდინარე ლუოს ფერიები“. შუა საუკუნეების დასაწყისში ჩინეთში დაიწყო პროზის განვითარება, რომელიც ზღაპრების მსგავსი მოთხრობების სახით (ადამიანის სულებთან შეხვედრის შესახებ) არის გადმოცემული და ძირითადად დაოისტურ და ხალხურ თქმულებებს წარმოადგენს. ბიანგენის ზღაპარი, რომელიც განვითარდა VIII-X საუკუნეებში, ასახავს ძირითადად ბუდისტური შინაარსის ისტორიებს. ეს ისტორიები მოგვითხრობენ ბუდას და ბოდჰისატვას ცხოვრებაზე, ფილოსოფიურ და რელიგიურ გზაზე. მუსიკალური დრამა, რომელიც წარმოიშვა XII-XIII საუკუნეებში, მოიცავდა საინტერესო, თუმცა არა მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს მითოლოგიურ თემებზე (მაგალითად, რვა უკვდავის შესახებ) და ასახავდა როგორც დაოისტურ, ისე ბუდისტურ პერსონაჟებს.

ზეპირსიტყვიერი ზღაპრების საფუძველზე შექმნილი წიგნების ეპოსებში ზოგიერთ შემთხვევაში ასევე გამოყენებული იყო მითოლოგიური თემები და გამოსახულებები (ვუ ჩენგ-ენის „მოგზაურობა დასავლეთში“, სუი ჭუნგ ლინის „სულების წოდებაზე ამაღლება“, ჭოუ იუ „თხზულება სამყაროს დაარსებაზე“) [4.57]. ყველა ეს ნაწარმოები XVI საუკუნით თარიღდება. ყველა

ამ გვიანდელ ეპოსში შესამჩნევია ხალხური სინკრეტული მითოლოგიის გავლენა. თანამედროვე ჩინურ ლიტერატურაში მითოლოგიური სიუჟეტების წარმატებული გამოყენების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ლუ სინის „ძველი ისტორიები ახალ გადმოცემაში“, რაც ჩინური ლიტერატურის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს. მათში ავტორმა, ნაწილობრივ სატირული და პოლემიკური მიზნებისთვის, მოგვითხრო მშვილდოსან გმირზე და მის მეუღლე ჩანგიზე. სწორედ ეს მითი უდევს საფუძვლად ჩინურ ტრადიციულ მთვარის ფესტივალის დღესწაულს.

მითოლოგია ოდითგანვე ჩინური კულტურის განუყოფელ ნაწილს, მის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. მან დიდი გავლენა იქონია ძველი ჩინელი ხალხის ცნობიერებაზე და საპატიო ადგილი დაიკავა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ჩინური ფილოსოფია (განსაკუთრებით დაოიზმი), ლიტერატურა, ფერწერა, მოქანდაკეობა, რელიგია. სწორედ მითოლოგიამ დაუდო საფუძველი მრავალ კულტურულ ტრადიციასა თუ დღესასწაულს, იგი საუკუნეების მანძილზე არ კარგავდა თავის აქტუალობას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღესაც თანამედროვე მწერლები და მოქანდაკეები, მხატვრები და არქიტექტორები თავიანთ შთაგონების წყაროდ მითოლოგიას მიიჩნევენ.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. Lihui Yang, Deming An, Jessica Anderson Turnen – „Handbook of Chinese Mythology“, 2007 US.
2. Yanxing Cai „Chinese Architecture“, Cambridge University Press, 2011.
3. Jane Shuter „Ancient Chinese Art“, Heinemann/Raintree, republished in 2019.
4. Pu Songling, John Minford „Strange Tales from a Chinese Studio, UK, 2006.

INFLUENCE OF MYTHOLOGY ON CHINESE CULTURE

Summary

Chinese mythology combines myths and legends of ancient China. It is a collection of history, folklore, and religious beliefs that have reached us in oral and written forms. Ancient Chinese books and Confucian manuals tell stories about people, kings and nobles, soldiers and peasants (there are also many about dragons and otherworldly spirits), but not about gods, which somewhat distinguishes Chinese mythology from western one. Mythology has always been an integral part of Chinese culture, a source of its inspiration. It had a huge influence on the consciousness of ancient Chinese people and held an honorable place, in fields such as: Chinese philosophy (especially Daoism), literature, painting, sculpture, religion.

Chinese philosophical directions gain their origins from mythology and as their base it determined the popularity of certain philosophical schools among the population. Various mythical animals became the muses of artistic images that inspired the creators of masterpieces. One of the most important figures in Chinese legends are: the dragon, the phoenix, the white tiger and the turtle, which represent glory and power. Stories/scenes taken from legends mostly have decorated the walls of tombs and were often used in wall paintings. It worth noting that these stories were not dedicated to life after death. The other way around, the walls were decorated with pictures of the living world, and the main themes were images of deities and sacred animals, as well as heroic deeds. Mythology has not lost its relevance for centuries and it has laid the foundation for many cultural traditions. Even today, modern writers and sculptors, painters and architects look to mythology as their source of inspiration.

ქეთევან ლორთქიფანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რისხვი 9 ქართულსა და თურქულ კულტურაში

რიცხვებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სხვადასხვა ხალხის კულტურაში. უძველესი დროიდან დღემდე მათ არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა და მათი ფუნქციის კვლევა კვლავ დღის წესრიგშია მეცნიერთა შორის. სხვადასხვა კულტურაში რიცხვთა ფუნქციის კვლევა საშუალებას იძლევა, ამოცნობილ იქნას კონკრეტული ხალხის მიერ მათში ჩადებული ნააზრევები, წარმოდგენები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ ეთნოსების კულტურისა და გარკვეულწილად ისტორიის მართებულ, სწორ აღქმას. ზოგადად, რიცხვი გახლავთ განსაკუთრებული სიმბოლო, კოდი, გასაღები, რომელიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ჩაქსოვილი, არსებული ღრმა ნააზრევის ამოცნობის საშუალებას იძლევა. რიცხვებს გააჩნიათ მეცნიერული, რელიგიური და ყოფითი მნიშვნელობა. როგორც წესი, ისინი საკრალურნი და ღრმად სიმბოლურნი არიან. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ, როგორც წესი, ლუნი რიცხვები (2, 4, 6, 8) უფრო იშვიათად გვხვდება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ეს დაკავშირებულია ცრურწმენასთან, რომლის მიხედვით, ისინი სიკვდილთან, ეშმაკთან ასოცირდებიან [8. 29-32], თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ მაგ., ძველ აღმოსავლეთში ძალიან ხშირად ვხვდებით რიცხვთა სიმბოლიკას და რომ უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში ზოგიერთ ლუნ რიცხვს – 4, 12 კენტ რიცხვებთან - 3, 7, 9 ერთად განსაკუთრებული მაგიური დატვირთვა ჰქონდათ [10.162].

რიცხვ ცხრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართულ კულტურაშიც. ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვი-

რება, მითოლოგია განსაკუთრებულად უზვია ცხრა რიცხვის შემცველი გამონათქვამებით. რიცხვი „ცხრა“ ქართულ ხალხურ წარმოდგენებში წმინდა და სიკეთის მომტან რიცხვად არის ცნობილი. მაგ., ცხრაკლიტული, ცხრა მუხა, მეცხრე ცა, ცხრა წყარო, ცხრათავი წყარო (ან წყარო, რომელიც ცხრა სათავიდან მოედინება), ცხრაძმის ხევი (ქსნის ხეობაში), ცხრაჯვარი – წმინდა გიორგის სალოცავი (ამბროლაურის რაიონში), ცხრათავიანი დევი, ცხრათვალა მზე. წინარე ქართული წარმოდგენებით მზე უზენაესი ღვთაება იყო, ცხრა კი მზის, როგორც მუდმივი წრებრუნვის, განახლების, მარადიულობის სიმბოლური რიცხვი, ხოლო სიმბოლო კი თვალი [1. 559]. აქედან გამომდინარეობს გამონათქვამი ცხრათვალა მზე ანუ (ყოვლისმჭვრეტელი). რიცხვი 9 სამჯერადი გასამების გზით თავის თავში მოიცავს დასრულებულ ციკლს. ბევრ მითოლოგიაში არსებობს ცხრა ზეცა (შეად. ინგლ. Cloud nine - ქ. ლ.), ცხრა მთა, ცხრა ზღვა და ითვლება, რომ ცხრა რიცხვთაგან ყველაზე საკრალურია. სემანტიკურად ის ზოგადად სიუხვე-საც აღნიშნავს და საგანთა და მოვლენათა განსაკუთრებულ თვისებებსაც.

ამ მხრივ საინტერესო მასალას გვთავაზობს თურქული სამყაროც. თურქთა შორის ის წმინდა და ძალიან მნიშვნელოვან რიცხვად ითვლება [3. 643]. არსებობს მოსაზრება, რომ რიცხვი dokuz (ძვ. თურქული tokuz) ნაწარმოებია dok/doğ ძირიდან და მისი მნიშვნელობაა „დაბადება“, „ბუნება“ (თ. <doğmak, doğa>). თურქულ კულტურაში, ისევე, როგორც ქართულში, ფიგურირებს მეცხრე ცა, ძირითადად, ფრაზეოლოგიზმში - „სიხარულისგან მეცხრე ცას ეწია“; Gönün dokuzuncu katı (შეად. რუსული „девятое небо“) – „ცის მეცხრე საფეხური“. ალთაის თურქების წარმოდგენით, მიწისქვეშეთი და ზეცაც ცხრა შრისგან არის შემდგარი. მათი შამანი „კამ“ ღმერთი ულგენისთვის მსხვერპლის შესაწირად ზეცაში ადის. ეს მოგზაურობა სამ დღეს გრძელდება. მეცხრე ცაზე, ღმერთთან ასვლისას, რიტუ-

ალი სრულდება. მათივე თქმით, შამანების მხრებზე ცხრა ისარი და მშვილდია გამოსახული [5. 1804]. იაკუტების დესტანში „ერ სოგოტოჰშიც“ ცა ცხრასაფეხურიანია [9.448]. ამ დესტანშიც ყარა ხანს ცხრა ქალიშვილი ჰყავს. ალთაის თურქების აზრით, წმინდა სიცოცხლის ხეც ცხრატოტიანია. სამყაროს შემქმნელ ყარა ხანს სამყაროს ცენტრში ცხრატოტიანი ფიჭვი დაურგავს. თურქულ დესტანებში ხშირია შემდეგი გამოთქმები: dokuz ağaç/„ცხრა ხე“, dokuz boy/„ცხრა ტომი“, dokuz dallı ağaç/„ცხრატოტიანი ხე“, dokuz Oğuz/„ცხრა ოღუზი“, dokuz Tatar/„ცხრა თათარი“. ყურადღებას იპყრობს dokuz dev/„ცხრა დევი“ (შეად., ქართულ ზღაპრებში დამკვიდრებული „ცხრათავიანი დევი“). შამანიზმში და, შესაბამისად, თურქულ მითოლოგიაშიც ხეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ხეებს დიდ პატივს მიაგებდნენ გოქთურქები და უიღურები. შამანური მითოლოგიის მიხედვით, საიქიოსა და დედამიწის დამაკავშირებელი წმინდა ხე არსებობს, რომელიც დედამიწის შუაგულიდან ამოდის. ხის დანიშნულებაა, გარდაცვლილებს გზა აჩვენოს ცამდე და ამავე გზას იყენებს ტრანსში შესული შამანი ცაში ასასვლელად. წმინდა ხის გამოსახულების ნახვა შეიძლება შამანის დოლებზე [6. 77].

თურქებისათვის წმინდა ხედ ითვლებოდა წიფლის ხე. ეს ხეები უხვადაა ძველი თურქებისათვის წმინდა ოთუქენის ტყეში. ჩვენში გამორჩეულ საკულტო ხედ მუხა იყო მიჩნეული (მაგ., „ცხრა მუხა“). ხის კულტი გარკვეულწილად სიცოცხლის ხის შესახებ არსებულ წარმოდგენებსაც უკავშირდება, რომლის სიმბოლოა ქართული დარბაზის დედაბოძი.

ძველ თურქებს სჯეროდათ, რომ წიფელი ზეციდან ჩამოვიდა ღმერთ ულგენტან და უმაისტან ერთად. წიფლის ხის სინმინდე გამოიხატება შამანების მიერ წარმოთქმულ სიტყვებში:

„Altın yapraklı mübarek kayın

Sekiz gölgeli mukaddes kayın

Dokuz köklü, altın yapraklı, bay kayın

Ey mübarek kayın, sana kara yanaklı ak kuzu kurban ediyorum. {6. 79 }

„ოქროს ფოთლებიანო კურთხეულო წიფელო,
რვა ჩრდილიანო წმინდა წიფელო,
ცხრა ფესვიანო, ოქროს ფოთლებიანო, ბატონო წიფელო,
ეი, კურთხეულო წიფელო, შავლოყება, თეთრ ბატკანს
გწირავ მსხვერპლად“. (ყურადღებას კვლავ იპყრობს ცხრაფეს-
ვიანი... წიფელი – ქ. ლ.)

რიტუალისას შამანი წიფლის ხისგან გაკეთებულ დოღზე
უკრავდა, ხეს გარშემო რამდენიმეჯერ უვლიდა და სულებს
იპატიჟებდა. ვ. რადლოვის თქმით, მსხვერპლშენიერვის რიტუა-
ლისას შამანი წიფლის ხის უხვფოთლიან ტოტს იღებდა და
სამსხვერპლო ცხოველს იმით ეხებოდა, ამ ქმედებით შამანი
ცხოველის სულს ღმერთ ულგენტან გზავნიდა [11.95-101].

ხეს დიდი ადგილი უჭირავს ძველ თურქულ დესტანებშიც,
კერძოდ, „Yaratılış destanı“, „Oğuz kağan destanı“, „Uygur göç de-
stanı“. განსაკუთრებით საინტერესოა „Yaratılış destanı“, რომელ-
შიც აღწერილია, როგორ გააჩინა ღმერთმა ხე და ხისგან ადა-
მიანები:

*„Yeryüzünde, dalsız budaksız bir ağaç yeşerdi. Kayra Han, bu
dalsız budaksız ağaçtan hoşlanmadı. Dalları, yaprakları olmayan
ağaca bakmak güzel değil. Bu ağacın dokuz dalı olsun ! dedi. Dalsız bu-
daksız ağaç birden dokuz dallı oldu. Kayra Han, Dokuz dalın her birinin
kökünden, birerden dokuz kişi txresin; bunlar dokuz millet olsun ! dedi.
{5.1804}*

„დედამინაზე უტოტო ხე გაიზარდა. ღმერთ კაირა ჰანს
უტოტო და უფოთლო ხის ცქერა არ მოეწონა და ბრძანა, რომ
ხეს ცხრა ტოტი გასჩენოდა. ხესაც ცხრა ტოტი გამოეზარდა.
კაირა ჰანმა ცხრა ტოტიდან ცხრა ადამიანის გაჩენა ბრძანა.
ცხრა ადამიანიდან ცხრა ერის შექმნა“ [5.1804].

„ოლუზ-ნამეში“ (ეპიკური თქმულება თურქთა წარმომავ-
ლობისა და მათი მითიური მამამთავრის ოლუზ-ხანის შესახებ,
უძველესი ვერსია XIII-XIV საუკუნეებიდან შემორჩა) გადმოცე-
მულია ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს ჰუნების საგვარეუ-

ლოს გაჟღერებას მეზობლების მიერ. საგვარეულოდან გადარჩება მხოლოდ ხელ-ფეხმოჭრილი ცხრა წლის ბიჭი, რომელსაც ძუ მგელი შეიფარებს. მგელი ორსულდება ბიჭისგან, რომელსაც შემდგომში მტრები კლავენ. ძუ მგელი გარბის ალთაიში და იქ აჩენს ცხრა ვაჟს, რომელთაგანაც დასაბამს იღებს ჟუჟანების ხანთა დინასტია [2].

ძველ თურქ ხალხებს მიაჩნდათ, რომ საჩუქართა და ძღვენთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო ცხრა. საინტერესოა, რომ სიტყვა *dokuz* „ცხრამ“ დამატებით მიიღო მნიშვნელობა „საჩუქარი, ძღვენი“. თურქთა წარმოდგენით, ის ილბლიანი რიცხვი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ცათა შრეების რაოდენობა, ძველი ასტრონომიული სწავლების მიხედვით, უტოლდებოდა რიცხვ ცხრას [4. 117].

რიცხვ ცხრასთან დაკავშირებით უდავოდ ყურადსაღებია შემდეგი ფაქტიც, რომ ტუვის რესპუბლიკის (რუსეთის ფედერაცია) დედაქალაქ ყიზილის მიდამოებში არის წყარო, რომლის სახელწოდებაც *Dokuz Bulak* „ცხრა წყარო“ (შეად. ქართ. ცხრანყარო, მეგრ. ჩხორონყუ). როგორ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა, რომ გეოგრაფიულად ერთმანეთისგან ასე დაშორებულ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ კულტურებში ადგილი აქვს ამგვარ პარალელიზმებს. ეს დამთხვევაა, თუ სამყაროს უნივერსალურობის ერთ-ერთი გამოვლინება? რა არის ის პირველწყარო, რითიც საზრდოობდა ქართული და მისგან ათასობით კილომეტრით დაშორებული თურქული (უიღურული, ალთაური, იაკუტური) სამყარო. ამგვარი ფაქტების მოკვლევა და მეცნიერულად, ტიპოლოგიის კუთხით ამ ფენომენის შესწავლა დღის წესრიგში დგება და ნამდვილად არ არის ინტერესმოკლებული.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. ნეიმანი ალექსანდრე, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოც., თბილისი, 1978.
2. ოლუზ-ნამე, თბილისი, 1974.
3. Yardımcı M., Geleneksel Kültürümüzün ve Aşıkların Dilinde Sayılar, Milli Folklor Dergisi, 2009.
4. Özköse K., Sayıların Gizemi, Yeni Dünya Dergisi, 2014.
5. Serpil Soydan, Çağatay Türkçesinde Bazı Sayı İsimlerinin Kullanılışı ve Sayıların Gizemi (Mystery of the Number and the Use of some Number Names in Chagtai Turkish), Atatürk Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, 2018, Erzurum.
6. Tunç Z., Şamanizm Üzerine Bir Araştırma, Elazığ, 2007
7. Erkan Hirik, Numbers in Proverbs of Turkish World and their Semantic Field, International Journal of Languages' Education and Teaching Volume 5, Issue 1, April 2017, p. 223-24
8. Магические числа в Русском фольклоре, Казиева Э., Кейван Е., Коберидзе А., Утакина С., Астраханский Гос. Университет, 2021.
9. Якутский Геройческий Эпос “Могучий Эр Соготох”, изд. Наука, Новосибирск, 1996г.
10. file:///C:/Users/k.lortkipanidze/Desktop/9%20%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98/THE_UNIVERSE_AND_THE_UNDERWORLD_OF_THE_H.pdf, 21.02.2024, 13:31 წთ., ჩარეკიშვილი ნ., სამყარო და ქვესკნელი ხეტებათნ და პარალელები უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებთან, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია.
11. Решетов А. М., Академик В. В. Радлов, востоковед и музеевед (Основные этапы деятельности), Радловские чтения-2002. Материалы годичной научной сессии, Санкт-Петербург, 2002.

KETEVAN LORTKIPANIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

NUMBER 9 IN GEORGIAN AND TURKISH CULTURES

Summary

Numbers have an important place in the cultures of different people. From ancient times to the present have not lost their relevance and the study of their function is still on the agenda among scientists. The study of the function of numbers in different cultures allows to identify the thoughts and ideas put into them by specific people. Number nine has a special meaning in Georgian and Turkish cultures. Their folklore, mythology is particularly rich in sayings containing the number nine. E.g., Nine trees, nine oaks, ninth sky, nine springs, nine-headed demon, nine-eyed sun. In many mythologies, there are nine heavens (English: cloud nine), nine mountains, nine seas, and it is believed, that 9 is most sacred number.

In this regard, the Turkish world offers us interesting material. There is an opinion that the number dokuz (ancient Turkish tokuz) is derived from the root dok/doğ and the meaning of which is “birth”, “nature” (Turk: doğmak, doğa). In Turkish mythology we often find the number 9. For example: “Kara Khan, the creator of the world planted a nine branched pine in the center of the world”.

It’s interesting that in Turkish culture, as well as in – Georgian appears the “ninth sky”, “nine springs”. Many similar examples are given in detail in our article.

In connection with the number nine, the following fact is undoubtedly worth noting: in the vicinity of Kyzyl, the capital of the Republic of Tuva (Russian Federation) there is a spring called “Dokuz Bulak” – “Nine Springs” (comp. Georgian „ცხრა წყარო“ – „tskhra tskharo” Nine Springs”) How should we explain this phenomenon, that there are such parallelisms in completely different cultures that are also geographically so distant from each other. The study of this phenomenon from the point of view of typology is on the agenda and is definitely of great interest.

ნინო თომაძე

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ლევან II დადიანი და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ისტორიულ მენტალურ ჭრილში

ქართული მიწების გაერთიანება და ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. სამწუხაროდ, საქართველოს მეფეების ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური, საერთაშორისო მდგომარეობა და მდგრადობა, თუმცა მეფის სამმართველო ვერტიკალს მუდმივად ხელს უშლიდა ფეოდალური სეპარატიზმი, პირადი განდიდებისა და ამბიციების კასკადი, რომელიც ძლიერი მეფის დროს ნებისთი თუ უნებლიეთ მისი ნების აღმასრულებელი ხდებოდა, სუსტი მონარქის მმართველობისას კი დამოუკიდებლობისკენ ილტვოდა.

საქართველოს დაპყრობამ მონღოლთა მიერ და შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა (თემურ-ლენგის ლაშქრობები, ბიზანტიის დაცემა და ა. შ.) განაპირობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების შესუსტება-მოშლა, სათავადოთა და სამთავროთა ჩამოყალიბება, რომელთა მმართველები სულ უფრო შორდებოდნენ და აღარ ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს. ეს პროცესი XV საუკუნის ბოლოს საქართველოს ოფიციალური დაშლით დამთავრდა, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო-სამთავრო, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავროს დადიანთა დინასტიით სათავეში. ოდიშის სამთავრო XVI საუკუნეში სრულ დამოუკიდებლობას იხვეჭს და საკუთარი კეთილდღეობისთვის სხვა ქართულ ერთეულებსაც ებრძვის. ეს პროცესი უმაღლეს წერტილს აღწევს ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) დროს, რომლის მენტალიტეტი მკაფიო

მაგალითია ე. წ. „დეგენერაციის ეპოქისა“ (ეს ტერმინი ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის მოწოდებულია და XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების აღმნიშვნელია – ნ. თ.).

მკვლევართა შორის ლევან II დადიანის პიროვნების შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, ერთგვარი დუალიზმი არსებობს. ზოგი მას დიდ მოღვაწედ თვლის, ზოგი ეპოქის ტიპურ წარმომადგენლად, რომელიც იძულებული იყო, გარკვეული ცდომილებანი, ხშირად ბოროტებანიც კი ჩაედინა საკუთარი ინტერესებისათვის.

ჩვენთვის საინტერესოა ამ პერსონის მენტალური პორტრეტი, ის სააზროვნო სისტემა, რამაც მისი ქმედებანი გამოიწვია და გარკვეული შედეგები განაპირობა.

ლევანის მენტალიტეტი ჩამოყალიბდა ეპოქაში, როდესაც გაბატონებული წოდება ადამიანებს ყიდდა, ხოლო შეთქმულება და ლალატი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულ მოვლენად იყო გადაქცეული. აღსანიშნავია, რომ იგი იზრდებოდა პაპის, კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის ოჯახში, სადაც შაჰ-აბასის მუხანათურ პოლიტიკურ სისტემას ბავშვობიდანვე ეცნობოდა. კახეთის მეფის კარზე გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ ოსმალეთის, ირანის და მოსკოვის მეფის დიპლომატები. აქ გაბატონებული იყო თვალთმაქცობა, მლიქვნელობა და ყოველგვარი სიბოროტე [1. 34-38].

სამეგრელოში, ლევანის კარზე მოღვაწე კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ასე ახასიათებს მას: ლევან დადიანი „... განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და ჩვენი საუკეთესო მასწავლებლებისაგან რომ სწავლა-განათლება მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნებით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულება. უსაქმურად მისი ნახვა შეუძლებელია. პირიქით, მუდამ დაუღალავად შრომობს და ყოველთვის მზად არის ყოველგვარის ვარჯიშობისათვის. ლაშქრობაში ჩქარია, ჩუმი და მხნე. ამიტომ ყოველ ომში იგი იმარჯვებს. მეხსიერება

ისეთი ძლიერი აქვს, რომ დავიწყება რა არის, არც იცის. ხომ მრავალი მოლაპარაკება აქვს სხვადასხვა საქმის გამო, მაგრამ ყოველის მოლაპარაკების და ხელშეკრულების უმცირესი სიტყვაც კი გაახსენდება ექვსის და შვიდის წლის შემდეგაც“ [5. 22-23].

ლევანი ცდილობდა, ესარგებლა იმერეთის სამეფოს შინაარსით, ჩამოეგდო იმერეთის მეფე და დასავლეთ საქართველოში თვითონ გამეფებულიყო. იყენებდა ყოველგვარ პოლიტიკურ ხერხს: ინათესავენდა მთავრებს, იბირებდა გავლენიან თავადებს, აწყობდა ამბოხებებს და გამუდმებით ლაშქრავდა იმერეთს.

1623 წელს ლევანმა დაამარცხა იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639 წწ.), ნაჰგვარა ტყვეები და მათ გასათავისუფლებლად ფული მოითხოვა [8.160; 9. 303], რაც საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ (ამის შემდეგ ეს საქციელი სხვებმაც გადაიღეს და შემოსავლის წყაროდ გაიხადეს). მეუღლეს, შარვაშიძის ასულს, ლალატი დასწამა, ცხვირი მოსჭრა და აფხაზეთში დააბრუნა, ასევე მოაკვლევინა მასთან შეძენილი ორი შვილი. ლევანს შეუყვარდა საკუთარი ბიცოლა ნესტან-დარეჯან ქილაძე, ბიძის, გიორგი ლიპარტიანის მეუღლე. ამ სამარცხვინო კავშირის გამჟღავნების შემდეგ გიორგი ლიპარტიანი ჯავრისგან გარდაიცვალა. ლევანის ასეთმა საქციელმა გამოიწვია შეთქმულება, რომელსაც ხელს უწყობდნენ აფხაზეთის მთავარი და იმერეთის მეფე გიორგი III. მათი მიზანი იყო ლევანის მოკვლა და მისი ძმის – იოსების გადადიანება [1. 59-63].

ლევანმა შეთქმულებზე შური სასტიკად იძია: იოსებს თვალები დასთხარა და ორჯერ გაილაშქრა აფხაზეთზე (ამ ლაშქრობაზე მოგვითხრობს ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა) [2, 149]. 1625 წელს, ისარგებლა რა სიძის – სვიმონ გურიელის მიერ გურიის მთავრის, საკუთარი მამის – მამია გურიელის მოკვლით, ილაშქრა გურიაში. სვიმონს თვალები დასთხა-

რა, ნაჰგვარა ცოლი, თავისი და მარიამი და დისწული ოტია [5.21]. გურიელად კი დასვა სვიმონის ბიძა – აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია. ამის შემდეგ იგი დაუახლოვდა ირანს, რათა უფრო მეტად შეევიწროვებინა იმერეთის მეფე გიორგი III (შაჰ-მა მას ჯამაგირიც დაუნიშნა ნელინადში ათასი თუმანი), 1633 წელს თავისი და მარიამი მიათხოვა ირანის მიერ ქართლის ვალად დანიშნულ როსტომ-ხანს. 1635 წელს გაილაშქრა იმერეთზე, დაამარცხა მეფე გიორგი III და ტყვედ ჩაიგდო. მის დასახსნელად მოითხოვა 50 კომლი ჩხარის სომეხი და ებრაელი ვაჭრები, რომლებიც აჰყარა და ჩაასახლა სოფელ რუხში. ამ გამარჯვების აღსანიშნავად 1636 წელს შეამკო ხონის წმინდა გიორგის ხატი [4. 275-276]. ლევანმა გაიჩინა არტილერია, „ერთ ფრანგს“ ჩამოასხმევინა 30 ზარბაზანი, წვრთნიდა მოლაშქრეებს, ალაგმა ურჩი თავადები, გამართა ზარაფხანა სადაც იჭრებოდა სპარსული ფული. ცდილობდა, ემეგობრა ოსმალეთთან ისე, რომ მის ღირსებას არაფერი მოჰკლებოდა, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ოსმალეთს ხარკს უხდიდა, მაგრამ სულთნის ბრძანებას არ ასრულებდა. რუსი ელჩების გადმოცემით, იგი ხარკსაც არ იხდიდა.

1636 წელს ლევანმა რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძესთან გაგზავნა ელჩი გაბრიელი, საკუთარი სამსახური შესთავაზა და სთხოვა სამეგრელო კაზაკების შემოსევებისგან დაეფარა [10. 336]. საინტერესოა, რომ ამ დროს რუსეთის მეფესთან ელჩი გაგზავნილი ჰყავდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს (1639-1660 წწ.), რომელიც მას სთხოვდა მფარველობას, ირან-ოსმალეთის აგრესიისგან დაცვას და დადიანის ალაგმვას. რუსეთის ჩარევამ უფრო გაამწვავა ურთიერთობა იმერეთ-სამეგრელოს შორის. ლევანს დაუპირისპირდა იმერეთის მეფის ძმა მამუკა, რომელიც ლევანმა დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო და თვალები დასთხარა. იმერეთის მეფე რუსეთის მეფეს სთხოვდა დონის კაზაკების გამოგზავნას და მამუკას გათავისუფლებას, მაგრამ ამოდ [2. 158].

ლევანის სააზროვნო სისტემის კვლევისას საოცარ უკიდურესობებს ვაწყდებით. იგია, ერთი მხრივ, ბოროტმოქმედი, ხოლო, მეორე მხრივ, კეთილმოქმედი, გულუხვი, ღვთისმოსავი და მოწყალე. მან დააარსა საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც ქართული ჭედურობის მრავალი საინტერესო ნიმუში შეიქმნა. შეაკეთა და შეამკო სამეგრელოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, გადაანერინა „ვეფხისტყაოსანი“ და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლევან II დადიანის ღვაწლი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის წინაშე, რომელიც ვალებისგან დაიხსნა და მისი რესტავრაციისთვის დიდი თანხები გაიღო. ამ მიზნით იერუსალიმში გაგზავნა ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე და დიპლომატი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) (1585-1658)

ნიკოლოზი ერისკაცობაში საქართველოში გამოჩენილი მხედართმთავარი იყო, შემდგომში ჯვრის მონასტრის და გოლგოთის ილუმენი გახდა, რამდენიმე ენა იცოდა, იმოგზაურა აზი-ევროპა-აფრიკაში. ნიკიფორე მოღვაწეობდა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მიერ მოწყობილ დიპლომატიურ მისიებში, იერუსალიმში პირველად იყო 1614-1626 წწ., აქედან 1622-23 - 1626 წლამდე იყო ჯვრის მამა (პირველად), მერე სამშობლოს მოაშურა და მეტეხის წინამძღვრად მოღვაწეობდა [12. 66,183; 6. 36].

1632 წელს, კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მარცხისა და ქართლში როსტომ-ხანის გამეფების შემდეგ, ჩოლოყაშვილი სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის პოლიტიკური გეგმების სულისჩამდგმელი გახდა. იგი მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებს, ხედავდა რა მათში საქართველოს დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ რგოლს. მეგობრობდა ჯუზეპე ჯუდიჩისთან, არქანჯელო ლამბერტთან და კრისტოფორო დე კასტელთან. 1642 წლის ბოლოს ლევან II დადიანის დაფინანსებული ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იერუსალიმს გაემგზავრა. 1643-1649 წლებში ის იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და გოლგოთის ილუმენი, ზუსტად ამ დროს მიჰყო ხელი

ჯვრის მონასტრის შეკეთება-განახლებას და ხელახლა მოხატა იგი, დღეს დაცული მხატვრობის მეორე ქრონოლოგიური ფენა სწორედ მისი დროინდელია, მასვე მიაწერენ პირველი ქრონოლოგიური ფენის გადაღება-გადათეთრებას [7. 66-67; 12. 184].

1643-1649 წლებში ჩატარებულ იქნა მონასტრის კაპიტალური რემონტი, აღადგინეს ტაძრის გვერდითი კედლები, გუმბათი, საკურთხეველი, ტახტი და წმინდა ჯვრის აღმოცენების ადგილი, ნიკიფორეს გაუღია 6000 ასლანი, ლევან დადიანს 2000 ასლანი, რაზედაც მიუთითებს მონასტრის წარწერა, სულ, ნიკიფორეს სახელი მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის ექვს წარწერაში [3. 309-310].

ლევან დადიანი ამასაც არ დასჯერდა, ნიკიფორეს საკურთხეველის კედლებზე საკუთარი თავი და მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭილაძე დაახატვინა, იქვეა მისი დის, ქართლის დედოფალ მარიამ დადიანის პორტრეტიც, რომელიც ასევე ნიკიფორემ გამოსახვინა, როგორც ჩანს, ლევანის ოჯახის პატივისცემის ნიშნად [11. 75; 7. 88].

მკვლევარნი, რომელნიც ლევან II დადიანს „დიდ მოღვაწედ“ სთვლიან, ცდილობენ, მისი ბოროტი საქმენი ეპოქის გამოძახილს დააბრალონ, გამოუვალი პოლიტიკური აუცილებლობით ახსნან. ალბათ, ამაში არის ლოგიკა, ეს პროცესი მთელი ე. წ. „დეგენერაციის ეპოქას“ თან სდევს, რა დროსაც მართო ლევანი არ ყოფილა უცოდველი. საქართველოს დაშლიდან მოყოლებული მეფე-მთავართა ურთიერთქმედებაში წითელ ზოლად გასდევს საქართველოს ისტორიას, თუმცა გამაოგნებელია ერთი დეტალი, ლევანი მორიგი ფეოდალური თარეშის და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ხატებზე აწერდა საკუთარ ნამოქმედარს და ხშირად ხატების წარწერებია საინტერესო ისტორიული პირველწყარო მისი მენტალიტეტის გამოსავლენად. აქ, მის აზროვნებაში, სინდისის ქენჯნა ნაკლებად ჩანს, რაც ფრიად უცნაური მახასიათებელია. ასევე საინტერესოა, რამდენად მორალურია თვისტომთა კვლით და ძარცვა-გლეჯით მოპოვებული

ფულით ხატების შემკობა ან დიდი სავანის აღდგენა? იქნებ, ლევანს ზნეობის გამოძახილი მაინც აწუხებდა, საკუთარი უკეთურება სტანჯავდა და ამ გზით ცდილობდა, ცოდვების შენდობა დაემსახურებინა უზენაესისაგან?

ზემოსხნებული ინფორმაციის შეჯერებით, ვხედავთ ლევან II დადიანის ძალიან რთულ, წინააღმდეგობრივ სააზროვნო კონსტრუქციას. თუ მის ცხოვრებას ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს „დეგენერაციის ეპოქის“ ნიჭიერ, ცბიერ, ძლიერ, გამჭრიახ, განათლებულ პოლიტიკურ სუბიექტთან, რომელიც საკუთარი ამბიციებისათვის ყველაფერზე მიდის (მკვლელობა, თვალების დათხრა, თვისტომთა დაწიოკება, ძმათამკვლელი ომი, ადიულტერი, შვილების დახოცვა და ა. შ.), შედეგად კი იღებს სამეგრელოს ძლიერებას, პრაქტიკულად, იმდროინდელ საქართველოს მეფე-მთავართა შორის ლამის უპირატეს მდგომარეობას, თუმცა საინტერესოა, მისი არცთუ ცოტა კეთილი საქმენი რამდენად აკომპენსირებს მის ბოროტმოქმედებებს, რომელთა ერთ-ერთი გამოხატულებაა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის შეკეთება-განახლება-მოხატვა.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბილისი, მერანი, 1990.
2. გრიგოლია კ., ილორის წმინდა გიორის ხატის წარწერა, ენიშკის მოამბე, XIII, 1942.
3. დავიდი ი., ნაწერები, ტ 1, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976.
4. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II, №3, ხონი, 1914.
5. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938.

6. მამისთვალშიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2002.
7. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XVII სს. თბილისი, 1962.
8. სოსელია ო., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი, 1978.
9. ჯამბურია გ., დასავლეთ საქართველო XVII საუკუნის პირველ მესამედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
10. ჯამბურია გ., ფეოდალური შინაომები დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
11. Вирсаладзе Т., Роспись иерусалимского крестного монастыря и портрет шота Руставели, Тбилиси, 1973ю
12. Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае (с планом, рисунками и снимком в рукописей, Санкт-Петербург, 1888.

NINO TOMADZE

Tbilisi Theological Academy and Seminary

LEVAN II DADIANI AND JERUSALEM CROSS MONASTERY IN HISTORICAL-MENTAL ASPECT

Summary

Conquering of Georgia by Mongols and further political events, such as Tamerlane's campaigns, collapse of Byzantium etc. have conditioned weakening – undermining of the royal power in Georgia, formation of the princedoms and principalities, the rulers of which gradually isolated themselves and did not subordinate to the king of Georgia any more.

In late 15th century, this process ended by official decomposition of Georgia and several independent kingdoms – princedoms were formed in its territory; and among them, Odishi or Samegrelo Kingdom ruled by Dadiani dynasty was of particular significance. In 16th century, Odishi Princedom gained full independence and even fought with the other Georgian territorial units for its own wellbeing. This process reached culmination in the period of reign of Levan II Dadiani (1611-1657), mentality of which was clear example of so called “degeneration epoch” (this term was offered by Ms. Mariam Lortkipanidze to denote decomposition and fracturing of Georgia in 16th – 18th centuries N.T.).

Levan attempted to take advantage of internal disturbances in Imereti Kingdom, dethrone the king of Imereti and take the power in entire Western Georgia. He used all political tricks, made family connections with the other rulers, arranged the riots and permanently attacked Imereti.

Researching Levan’s thinking system, we found amazing extremes, on one hand, he is an evil-doer and on the other – kind, generous, religious and beneficent. He has established the jewelry workshop, where there were created numerous interesting specimens of Georgian minting. He repaired and decorated almost all churches and monasteries, procured rewriting of the Knight in the Panther’s Skin etc.

Levan II Dadiani’s merits in relation to Jerusalem Cross Monastery of Georgians is of particular significance, he has paid their debts and contributed funds for its restoration. For this purpose, he assigned to Jerusalem famous Georgian religious figure and diplomat Niceforo Irbachi (Nikoloz Irubakidze-Cholokashvili) (1585-1658).

In the end of 1642, Niceforo Cholokashvili, financed by Levan II Dadiani left for Jerusalem. In 1643-1649, he was the hegumen of Jerusalem Cross Monastery and Golgotha and in that period, he commenced repair and updating works at Cross Monastery and made new wall paintings there. The second chronological layer of the wall paintings maintained up to present is of his period. Covering of the first chronological layer of wall paintings with the white color is attributed to him as well. Levan Da-
118

diani ordered Niceforo to paint himself and Nestan-Darejan Chiladze, his spouse on the alter walls, there is also the portray of his sister, Queen of Georgia, Mariam Dadiani, painted by Niceforo's order, supposedly, to express his respect to Levan Dadiani's family.

The researchers regarding Levan II Dadiani as a "great figure", attempt to attribute his evil deeds to the epoch, explain them with inevitable political necessity. Here, I. as a researcher, cannot see his moral qualms in his thinking and this is quite strange. It is also interesting, whether it is high morals to decorate the icons and restore the great monasteries with moneys gained as a result of murdering of his countrymen and robbery? Maybe Levan still had any remorse and in this way he attempted to deserve remission of his sins?

It is interesting, whether his good deeds, such as repair-updating and painting of Jerusalem Cross Monastery, could compensate his crimes?

ემზარ კახიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნადიმ პარშანიძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ქართული ცივილიზაციური იდენტობის არაპეინსტრირებული ინტერპრეტაციისათვის

ქართული ცივილიზაცია ძველალმოსავლური ჰეგემონიის პირობებში ჩამოყალიბდა. პირველ რიგში, ეს აღმოსავლეთ საქართველოს ეხება. მაგალითად, სახელმწიფოებრიობის ფარნავაზისეული მოდელი, განსაკუთრებით მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და რელიგიურ-კულტურული მდგენელი სპარსულ-ნინავიურ სამყაროს გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული.

თუმცა, ქართველური სამყარო არ გამხდარა ახლო აღმოსავლეთის ორგანული ნაწილი. ყველაზე ნიშანდობლივია, რომ ჩვენში არ განვითარებულა დესპოტური მმართველობის სტილი, რაც ალტერნატიული პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი კი არ ყოფილა, არამედ უფრო ჩვენი მსოფლმხედველობის არქაიზმისკენ მიდრეკილებით, სახელმწიფოებრიობის სუსტი განვითარებითა და აღმოსავლური ცივილიზაციის პერიფერიაზე ყოფნით უნდა აიხსნას.¹

იგივე განმეორდა ანტიკურ სამყაროსთან მიმართებაშიც. მიუხედავად ჯერ ბერძნულ ცენტრებთან, შემდეგ კი რომთან სერიოზული და ღრმა ურთიერთობებისა, მოსახლეობის ფარ-

¹ პრინციპში, ბოლო ორი ფაქტორი ძველი ქართული კულტურის მართლაც გასაოცარი კონსერვატიზმითაა განპირობებული, რაც კარგად ჩანს, თუნდაც, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, როდესაც, მაგალითად, კერამიკა საუკუნეების განმავლობაში თითქმის უცვლელი ფორმითაა შენარჩუნებული.

თო ფენებში ადგილობრივი კულტურული ფასეულობები ფუნდამენტურად არ შეცვლილა. როგორც ყველგან, ანტიკური ცივილიზაცია თავდაპირველად თავის ზეგავლენას ელიტებზე ახდენდა; ზღვისპირა კოლონიებისა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობების საშუალებებით ქმნიდა საქალაქო ცენტრებს; ამყარებდა მჭიდრო სავაჭრო და პოლიტიკურ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. აკულტურიზაციის მეორე ეტაპი ამგვარი ინფრასტრუქტურის ჰინტერლანდში გადატანით ხასიათდებოდა. ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, საქართველოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ანტიკური ცივილიზაციის გამავრცელებელი „მანქანა“ სწორედ ამ ეტაპზე შეჩერდა. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში დაარსებული ყველა კოლონია, სავაჭრო ფაქტორი თუ ციხე-სიმაგრე მეტროპოლიაში წარმოჩენილ კრიზისებთან ერთად „ავადდებოდა“ და უშფოთველად გადიოდა ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ ცენტრების არაორგანულობასა და მეტროპოლიაზე ზედმეტად მიჯაჭვულობაზე მეტყველებს. დაახლოებით იგივე განმეორდა პოსტანტიკურ, ანუ ადრებიზანტიურ ხანაში, როდესაც ადგილობრივი სახელმწიფოების (მაგალითად, ლაზიკა და აფხაზეთის სამთავრო) გაძლიერებისთანავე ზღვისპირეთში განლაგებულმა თითქმის ყველა სამხედრო თუ საეკლესიო ცენტრმა ჰინტერლანდისკენ გადაინაცვლა.

რომაული ხანის დასასრულს გამოჩნდა ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. თუნდაც, ერთიანი იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცევამ უდიდესი ცივილიზაციური გარღვევა მოახდინა – ხელი შეუწყო ქრისტიანიზაციას [8; 10.176; 3.117; 12. 51; 15.100-101].

ეს ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი ეპოქა იყო. შემთხვევითი არაა, რომ ახ. წ. VI-VII სს. განმავლობაში ხან ლაზიკა, ხანაც ქართლი ბიზანტიასა და აღმოსავლეთს შორის ცივილიზაციურ არჩევანს აკეთებს: გაიხსენეთ ბრძოლა ცეცხლთაყვა-

ნისმცემლობის წინააღმდეგ, ბიზანტია-სპარსეთის ომები და-სავლეთი საქართველოსთვის და არაბობა. ნაწილობრივ ამ არ-ჩევანის კონტექსტში ჯდება დიოფიზიტობასა და მონოფიზო-ტობას შორის დაპირისპირება და მასთან დაკავშირებული პე-რიპეტიები ქართლში.

აღმოსავლეთის აქტივობა მხოლოდ იმდროინდელ გეოს-ტრატეგიულ კონიუნქტურას ან ამ სამყაროსთვის „დამახასია-თებელ“ აგრესიულობას არ უნდა მივანეროთ. ბუნებრივად გვეჩვენება აღმოსავლეთის სურვილი, დაიბრუნოს მისი ყოფი-ლი პერიფერია, მითუმეტეს, რომ ის მოწინააღმდეგე მხარის ორგანულ ნაწილად არ აღიქმება.

ბიზანტიის საპირწონე ძალის არსებობის თვით ფაქტმა, სპარსეთის და შემდეგ ხალიფატის სახით, უდიდესი როლი შე-ასრულა საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში [4.254; 15.275-277]. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ბიზანტიელებს ასეთი მძაფრი კონკურენცია არ უგ-რძენიათ, დიდი ძალისხმევის შემდეგ მოხდა ადგილობრივი მო-სახლეობის ნაწილობრივი ასიმილაცია, რაც ვერ მოხერხდა და-სავლეთ და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში [3.122-133]. ამ უკანასკნელთან მიმართებით სპარსეთის საწინა-აღმდეგოდ ასეთ საპირწონე როლს თავად ბიზანტია ასრულებ-და, რაზეც ობიექტური მიზეზების გამო ვერ გათვლიდა, მაგა-ლითად, ალბანეთი [16.1291-1292].

ქართული სახელმწიფოებრიობის შემდეგდროინდელი წარ-მატებები სწორედ ამ არჩევანის გაკეთებამ განაპირობა. და-ვით აღმაშენებლის სახელმწიფო მოდელი ქართულ გამოცდი-ლებასთან ერთად სწორედ ბიზანტიურ მატრიცას ეყრდნობო-და, რაც იმდროინდელ აღმოსავლურქრისტიანულ სამყაროში მოწინავე იყო და მან, რიგი ჩავარდნების მიუხედავად, სამი სა-უკუნის განმავლობაში წარმატებით იმუშავა. XV ს.-ის შემდეგ საქართველო, რომელიც ვერაფრით შეეგუა დავითის და საერ-თოდ ბიზანტიური მოდელის დასასრულს, ფაქტობრივად,

მსოფლიო ისტორიული პროცესების მიღმა დარჩა. დაქსაქსულობა, გამუდმებულ შინაომებში თუ ოკუპაციის ქვეშ ყოფნა არა ბედისწერისა თუ უიღბლობის შედეგია, არამედ უიდეობისა და დროიდან ამოვარდნისა. ამას კი სასტიკი და გარდაუვალი შედეგები მოყვება, პირველ ყოვლისა კი, საცხოვრებელი სივრცის თანდათანობითი შემცირება.

მიუზღრუნდეთ ისევ აღმოსავლეთის ფაქტორს. მას ჩვენი თავი „არ დაავიწყდა“ და ბიზანტიის გაქრობის შემდეგ გაორმაგებული ძალებით შეეცადა ყოფილი პერიფერიის რეინტეგრაციას. კავკასიაში რუსეთის გამოჩენის შემდეგ მუსლიმანური ქვეყნების უპირატესობას ბოლო მოეღო და ქართველები, ისევე, როგორც სომხები, ენთუზიაზმით მიესალმნენ ბიზანტიის მემკვიდრე სახელმწიფოს უცხო აღმსარებლობის ქვეყნებით გარშემორტყმულ რეგიონში [17. 15].

გვეჩვენება, რომ რუსულმა ცივილიზაციამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, ჩამოაშორა საქართველო განვითარების აღმოსავლურ გზას, საბოლოოდ ვერ შეძლო ან, დიდი ალბათობით, არ მოისურვა ჩვენი ქვეყნის დასავლურ პოლიტიკურ და კულტურულ გარემოსთან შეერთება. როგორც XX-XXI საუკუნეების გამოცდილება აჩვენებს, ეს გარემო მთლად ორგანული თავად რუსეთისთვისაც არ ყოფილა. რაც შორეული წარსულიდან ჩვენ გვაერთიანებს, ეს, რა თქმა უნდა, ბიზანტიაა. ოღონდ, ჩვენი აღმოსავლური მინარევები განსხვავებულია – რუსეთზე მეტი გავლენა სტეპურ აზიას, ხოლო ჩვენზე ისლამურ სამყაროს აქვს [5. 274-280; 4. 253-264; 7. 49-50; 13. 71-79].

ეს გავლენა შუა საუკუნეების საქართველოზე ბოლომდე არ არის აღიარებული ქართველ მეცნიერთა უმრავლესობის მიერ. ეს კარგად შენიშნა ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ვ. ალენმა, რომელიც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის „ჰარმონიულ ურთიერთობებს“ სწორედ ისლამის გავლენით ხსნის (იხ. 11.270). ამასთან დაკავშირებით არ უნდა დაგვავიწყ-

დეს ბიზანტიური გამოცდილება¹, უბრალოდ ისლამურმა გავლენამ კიდე უფრო გააღრმავა ეს, ჩვენი აზრით, არაეფექტური პოლიტიკური და კულტურული საფუძველი ჩვენს ქვეყანაში.

გარე ძალებთან გრძელვადიან დაპირისპირებაში განცდილმა სისტემატურმა მარცხებმა, ქვეყნის მონყობის სტრუქტურულმა ჩავარდნებმა და ზნეობრივმა დაცემულობამ მთლიანად შეცვალა ქართველის ფსიქოლოგია, რომელიც ერთ დროს თავს ბიზანტიის მემკვიდრედ თვლიდა. საქართველომ მოიზომა მსხვერპლის როლი, რომელსაც გარემოებები გადაარჩენს, სხვა „მეგობრული“ ძალა, ან გმირი [1. 289-290].

კავკასიაში რუსეთის გამოჩენა საქართველოსთვის ძველი ბიზანტიური იდეის აღორძინების ტოლფასი აღმოჩნდა. თუმცა, მოსკოვთან ურთიერთობებმა, ეროვნული სხეულის გამთლიანების მიუხედავად, არ გამოიწვია სახელმწიფოებრივი აღზევება, სამაგიეროდ, რუსეთის გავლით საქართველოში მივიწყებული დასავლური ტალღა შემოიჭრა, რასაც უდიდესი კულტურული გარღვევა მოყვა [2; 14. 63-112], რომლის უპირველესი სიმბოლო ილია ჭავჭავაძე გახდა. მისი მკვლელობა ამ იდეის დუალიზმზე მიგვანიშნებს, რომელსაც პროგრესულთან ერთად დესტრუქციული სანყისიც აქვს (მაგალითად, ბოლშევიზმი²).

¹ ბიზანტიურ ცივილიზაციაში აღმოსავლური ელემენტი ერთ-ერთი ორგანული ნაწილი იყო ქრისტიანობასა და ანტიკურ მემკვიდრეობასთან ერთად.

² ეს ცალკე საკვლევი თემაა. აქ მოკლე ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებთ. ეს ფენომენი რუსეთისთვის გარდაუვალი „ბედისწერა“ იყო. ივანე მრისხანეს მიერ არჩეულმა ოქროსურდოულმა მატრიცამ, პეტრეს ევროპული რეფორმების მიუხედავად, ამოხეთქა და რუსეთი „განსაკუთრებული“ გზით წაიყვანა. მეცნიერთა უდიდესი უმრავლესობა ამას დამლუპველ და არაბუნებრივ ნაბიჯად მიიჩნევს, ჩვენი აზრით კი, ეს 21-ე საუკუნის დიდი ნახტომის წინ უკანგადადგმული ნაბიჯია. ზუსტად ასევე განვიხილავთ მონღოლურ სტიქიონს, რომელიც, ფაქტობრივად, ახალი ერის წინამორბედაა. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის ჯოჯოხეთში შთასვლასთან, ევროპული, ე. წ. პროგრესული ხაზიდან გადახვე-

თანამედროვე ეტაპი სწორედ ამ დუალიზმითაა დეტერმინირებული. ამჟამინდელი გზა, ფაქტობრივად, იმეორებს ანტიკური ხანის ელიტებისა თუ მესამე დასის არაორგანულობას, როდესაც ხდება ამა თუ იმ იდეის იმიტაცია და არა შემოქმედებითი გადამუშავება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამან უკვე საერთოეროვნული ხასიათი მიიღო. ილიას გზა დღეს ქართული ცივილიზაციის მემკვიდრეობის სრულ ათვისებაშია და არა ფრაგმენტაციაში, რაც არსებულის, ანუ ე. წ. პროგრესული იდეების გაუმჯობესებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა მზა რეცეპტების ბრმა გადაღებაში.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. ვარშანიძე ნ., კახიძე ე., ბათუმის დემოგრაფიული ვითარების იმპერიული ხედვა მე-19 ს ბოლო მეოთხედში და მისი თანამედროვე ანალოგიები. ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, 2, 2012.
2. ვარშანიძე ნ., კახიძე ე., სტალინის ფენომენის ეთნიკური კომპონენტის ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ, 2024 (იბეჭდება).
3. კახიძე ე., ბიზანტია და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი კონსტანტინე დიდის მმართველობიდან იუსტინიანე I ხანამდე. თსუ ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის ჟურნალი „ძველი ისტორია“, II, თბილისი, 2002.
4. კახიძე ე., საქართველო: ორი დაპირისპირებული ძალის მარადიული ბრძოლის ობიექტი? შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნე-

ვასთან და ა. შ., მაგრამ სინამდვილეში მონღოლურ-რუსული დისკურსი ადამიანის სრული ბუნების, გვერდითი მოვლენების ასახვაა, დოსტოევსკისეული თავისთავთანაც გაუმხელელი ფიქრებია, რომელიც ობიექტურად არსებობს და აუცილებლად რეალობაში უნდა გადმოიღვაროს.

სისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა შრომები, 1, ბათუმი, 2008.

5. კახიძე ე., ზოგიერთი მოსაზრებანი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიულ პერსპექტივაზე, საქართველო: დემოკრატიული განვითარების პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2008.
6. კახიძე ე., ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული პარალელები და პერსპექტივები, IV საერთაშორისო კონფერენცია ამერიკათმცოდნეობაში (ქუთაისი, 27-28 ოქტომბერი), 2008.
7. კახიძე ე., ვარშანიძე ნ., რუსული იმპერიული პოლიტიკა და ქართული იდენტობის პრობლემები, სამეცნიერო კონფერენციის – „იდენტობისა და კულტურათა დიალოგის თანამედროვე პრობლემები“ – მასალები, ბათუმი, 26 ნოემბერი, 2010.
8. კახიძე ე., შალიკაძე თ., რომაული აკულტურაციის ნიშნები აფსაროსის ციხის მიდამოებიდან კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, XXXVII, თბილისი, 2023 (<https://kultura.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=37>).
9. კახიძე ე., ხალვაში მ., ქართული ცივილიზაციური იდენტობა ანტიკურ ხანაში, სამეცნიერო კონფერენციის – „იდენტობისა და კულტურათა დიალოგის თანამედროვე პრობლემები“ – მასალები, ბათუმი, 26 ნოემბერი, 2010.
10. მამულაძე შ., ხალვაში მ., კახიძე ე., რომაელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კულტურის ისტორიის საკითხები, 2001, 10, გვ. 176.
11. Allen, W.E.D., A history of the Georgian people: from the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century. London, 2nd edition, 1971.
12. Kakhidze E., The Christianization of Georgia. Abstracts of the reports of the conference: The Black Sea Region: Past, Present and Future, Istanbul, 2004.

13. Kakhidze E., Georgia in the face of the global challenges, Conflict and Transformation: State Rhetoric, Search for Identity and Citizenship in the South Caucasus (Tbilisi, 3-4 September), 2009.
14. Suny R. G., The Making of the Georgian Nation, London, 1989.
15. Varshanidze N., Kakhidze E., Western Georgia in the 5th-6th centuries AD: a choice of civilizations between Byzantium and Persia, Summaries of papers of the 4th International Congress on Black Sea Antiquities: The Bosphorus: Gateway Between the Ancient West and East (1st Millenium BC-5th Century AD) (Istanbul, 14-18 September), 2009.
16. Кахидзе Э., Перспективы Кавказа в условиях глобализации исходя из исторического опыта. Материалы международного конгресса: «Кавказ и Центральная Азия в процессе глобализации», кн. 3, Баку, 2007.
17. Кахидзе Э., Некоторые соображения об исторической перспективе Южного Кавказа. Актуальная политика, №3 (8), Ереван, 2008.

EMZAR KAKHIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

NADIM VARSHANIDZE

Batumi State Maritime Academy

**ON THE NON-MAINSTREAM INTERPRETATION OF
GEORGIAN CIVILIZATIONAL IDENTITY**

Summary

At the very first stages of its creation, Georgian civilization had already been influenced by Eastern countries but it didn't take in any social or political essentials characteristic to Asian despotism. The same happened in connection with the Classical world. Thus, the Greek colo-

nization or Roman military influence did not acquire a deep function in Georgia, but the fact that the Georgian world found itself in the sphere of influence of the Classical civilization is significant, which in the end placed the country among the peoples bearing Christian culture.

With respect to Georgia the significance of the Oriental influence should not be forgotten either, which played the role of a certain equilibrant. All this found reflection in the opposition between Byzantium and Persia in the fifth-sixth centuries AD, when Georgia primarily as a result of the inner decision remained within the Christian world, but the eastern "heritage" also favoured certain distancing from the Byzantine Empire. It is another question that the East, beginning from the Arabs, to say it figuratively, "reminded of itself" its former borderland, but the decision taken in the sixth century proved the final choice.

This cultural inheritance has played a huge role in formation of Georgian people's outlook. After the destruction of Byzantium the balance of forces has been lost and Eastern empires tried to incorporate again the lost borderland. With the advent of Russia in Caucasus, Georgians with enthusiasm have met Empire, the successor of Byzantium. With a today's view, especially after the August, it is clearly visible such frivolous business is permanent searching saving forces from the out.

Today, when our country has more opportunities to create own route, it is preferable to chose new idea which will continue the Western path, and will not become its backwoods side.

მერაბ კალანდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი უზნაძე რომის პირველ იმპერატორ ოქტავიანუს-ავგუსტუსზე

(პირველი ნაწილი)

დიდი ხანია, გვანტერესებს უცნობი დიმიტრი უზნაძე. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს მის მიერ ისტორიულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა და შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით, შეგვესო ეს ხარვეზი, სპეციალურად დავინტერესდით ამ თემით და ვცადეთ, საგანგებო შესწავლის საგნად გავვხება, ასევე, მივუძღვნეთ ერთი მონოგრაფია და რამდენიმე ათეული ნაშრომი, რომლებიც, უმთავრესად, ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებს და გამოჩენილ პიროვნებებს ეხებოდა. ამჯერად ვცადეთ, კვლევის არეალი გაგვეფართოებინა და მასში ერთი ახალი და საინტერესო სიუჟეტი ჩაგვეერთო, რომელიც ითვალისწინებდა დიმიტრი უზნაძის წვლილის გამორკვევას ძველი მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად კი, ანტიკური ისტორიის, ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიის, შესწავლის სფეროში. საინტერესოა, რომ ეს გახლავთ ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველი მცდელობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია და საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთი ნაბიჯით წავინიოთ წინ ამ დარგში დიმიტრი უზნაძის წვლილის გაცნობიერების კუთხით. შესაბამისად, ამ სფეროში სულ უფრო ნაკლები თეთრი ლაქები დარჩება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით [4; 5; 9;10], ამჯერად ვისაუბრებთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში რომის პირვე-

ლი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის (ქრისტეშობამდე 30 - ქრისტეშობის 14 წელი) მმართველობის გაშუქებაზე. აღნიშნულ საკითხს ქართული კონტექსტი გააჩნია, რაც სიახლეა და მისი გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება.

სათაურიდანაც კარგად ჩანს, რომ ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ცდილობს, გამოარკვიოს დიმიტრი უზნაძის ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის გაშუქების შუქ-ჩრდილები და შეძლებისდაგვარად ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები.

ნებისმიერ საუკუნეს განასახიერებენ ადამიანები, განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები, ინგლისელი ისტორიკოსის, არნოლდ ტოინბის თქმით, „შემოქმედებითი უმცირესობა“. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ვცადოთ, გამოვარკვიოთ, თუ როგორ იყო გაშუქებული დიმიტრი უზნაძის ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობა [18.73-84].

* * *

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის განსხვავებული ხედვა, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და მიზნად ისახავს, მეცნიერულად, არგუმენტირებულად გააბათილოს საბჭოთა წარმოდგენა, რომელმაც ფართოდ გაიდგა ფესვები ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. ის უაღრესად ცალმხრივი, ტენდენციური, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია, ძალზე ხისტად მიგვაჩნია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს ძველი წარმოდგენა საბოლოოდ ჩამოიშალა, გაკოტრებულია და მან სრული ფიასკო განიცადა და, შეიძლება ითქვას, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. შევე-

ცადეთ, ამ შეუსაბამობის გასწორებას სრულიად განსახვავებული აქცენტების ხაზგასმით და, ამავდროულად, სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ პრიორიტეტულად. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამასთან, ვცადეთ, აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია და ამ დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დაგვედო.

ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში გამრუდებული იყო. ჩვენ გარკვეული კორექტივები შევიტანეთ და დავაზუსტეთ ის. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების უსაშველოდ გაბუქვა წინამორბედების წვლილის გაბიაზურების ხარჯზე ხდებოდა. განსხვავებული მიდგომის მთავარ თეზად ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია-რეაბილიტაცია გვევლინება. საბჭოთა წლებში ეს მონაკვეთი ამ დარგის განვითარებიდან ელიმინირებული, ამოღებული იქნა და საერთოდ გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ აღვუდგინეთ მას არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა წლებში რეალურად ჩამორთმეული ჰქონდა და კუთვნილი ადგილი დავუმკვიდრეთ საქართველოში ამ დარგის განვითარების საქმეში. გამოდის, რომ ამ სფეროში საქმიანობა ქართულ ისტორიოგრაფიას 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ნულიდან, ცარიელი ნიადაგიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა წლებში, არამედ მეტნაკლებად მომზადებული ნიადაგი დახვდათ, რომლის უგულვებელყოფასაც ამაოდ ცდილობდნენ, უპირატესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით. ეს რეალობა ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. წინამორბედე-

ბის წვლილისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება საბჭოთა ხანას ლაიტმოტივად გასდევს.

შევეცადეთ, გაგვევრცელებინა განსხვავებული მიდგომა საქართველოში ძველი ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით და გამოჩენილი პიროვნებების მოღვაწეობაზე. ამჯერად რომის პირველ იმპერატორ ოქტავიანუს-ავგუსტუსს შევეხებით [6; 7; 8; 11; 12].

ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და ორი ასპექტი გააჩნია: ზოგადი, რომელიც ითვალისწინებს მოკლედ გავაღვენოთ თვალი ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობით დაინტერესებას საქართველოში, დაიდოს ამ საკითხის საერთო სურათი და კონკრეტული, რომელიც პირველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს; გამოარკვიოს, თუ როგორ არის გაშუქებული დიმიტრი უზნაძის ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია სულ სხვა და საინტერესო დასკვნების გასაკეთებლად და ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული საერთო სურათის შესაქმნელად, ვიდრე საბჭოთა რეალობის დრო ხდებოდა.

დავინწყით პირველით. საქართველოში ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობით დაინტერესება სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში გვეგონა. საკითხი რთული და მრავალნაზნაგოვანია. მან განიცადა საინტერესო ევოლუცია, ფერისცვალება, რომელსაც სამი ფაზა გააჩნია. თავდაპირველად იყო თავისუფალი აზროვნება, რომელიც ჩაანაცვლა ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიამ. დღეს ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, აღადგინოს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები. ეს საკითხი მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია საკითხის პერიო-

დიზაციასთან და მას გვერდს ვერ ავუვლით. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება.

მიზანშეწონილი იქნებოდა, საქართველოში რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის დაინტერესება პირობით სამ პერიოდად დაგვეყო:

1. ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა, დაწყებული საქმე დასრულებული არ ყოფილა. ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. საქმე გვაქვს ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობასთან. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ, როგორც აპოლოგეტური ტონი, ისე შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა;
2. ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). მისი მოღვაწეობის შესწავლამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა, რაც ძნელია, მივიჩნიოთ თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინ გადადგმულ ნაბიჯად. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, ცხადია, არ ივარგებს. ეს ერთ პლუსია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, ეს მეორე პლუსია, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინაობადოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინ-

ნური იდეოლოგიის ყალიბში იქნა მოქცეული. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება ამის ლოგიკური გაგრძელებაა. ოქტავიანუს-ავგუსტუსისადმი დადებითი დამოკიდებულება საბჭოთა წლებში უფრო ხისტმა მიდგომამ ჩაანაცვლა, რაც ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობის გამოძახილი იყო (კოვალიოვი 1958, მიშულინი, რედ. 1952, კოროვკინი, 1982);

3. ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობის განხილვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, დაუბრუნდეს და განავითაროს ის საწყისი ღირებულებები, რომელიც გააჩნდა. კვლავ პრიორიტეტულად იქცა ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობისადმი დაბალანსებული მიდგომა, რაც ისტორიაში პიროვნების როლის რეაბილიტაციის გამოძახილია. სასურველი იქნებოდა, თუ მისი მოღვაწეობის პოპულარიზაციას უფრო მეტი ყურადღება მიექცეოდა. შეიძლებოდა მასზე ერთი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატია ან ნაშრომი დაწერილიყო.

საქართველოში ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის შესწავლის მთავარ ღირსებად საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული მიდგომა მიგვაჩნია. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა მისი ცხოვრების და მოღვაწეობის პოპულარიზაციაზე. მეცნიერული დატვირთვა გააჩნია ქართულ კონტექსტს, რომელიც ოქტავიანუს-ავგუსტუსის აღმოსავლურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული.

დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ განსხვავებული მიდგომის მთავარ წყაროდ გვევლინება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვა-

ნელოები. ეს ამ სახელმძღვანელოების ერთი პატარა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი წახნაგია, რომელსაც საგანგებო ყურადღება დაევთმეთ. ის საშუალებას გვაძლევს, ამ დარგის განვითარების გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დაედოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო. მისი წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ამ რაკურსისათვის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა [8].

* * *

ახლა, ალბათ, დროა, ვნახოთ, რა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორ აშუქებდა დიმიტრი უზნაძე თავის ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის ზეობის ხანას.

უწინარესად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევიმუშავოთ სწორი მეცნიერული კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მეცნიერულად შევაფასოთ ამ საკითხში მის მიერ შეტანილი წვლილი. თავიდან ავიცილოთ ორივე უკიდურესობა, ამ თემაზე მისი მსჯელობის აპოლოგეტური შეფასება ან მისი შეუფასებლობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაშია. შევეცადეთ, გამოგვეჩვენა ეს საშუალებდო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და გამოვარკვიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად, აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი, ცხადია, საზომად არ გამოდგება. ასეთი მაღალი მიზნები მას უბრალოდ არ გააჩნდა, ეს ხომ სკოლის სახელმძღვანელოა. მას შემეცნებითი დატვირთვა და კულტურტრეგერული ფუნქცია აკისრია, მოკლედ, სადად მოუთხროს მოწაფეებს რომის პირველი იმპე-

რატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის (ქრ. შობამდე 30 - ქრ. შობიდან 14) მმართველობაზე. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი საინტერესოა. ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე-ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებს და რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობაზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. ამ ინფორმაციის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. აქ ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილო იქნებოდა და საბჭოთა მიდგომის წისქვილზე ასხამს წყალს. უკან საბჭოთა რეალობაში დაბრუნება დაუშვებელია.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. სკოლის სახელმძღვანელო – სულ ესაა, რაც გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, საკმარისი არ არის, მაგრამ სხვა არჩევანი არ გვაქვს, იმას უნდა დავჯერდეთ, რაც მოგვეპოვება. ცხადია, არ ივარგებს ამ მწირი ინფორმაციის შეუფასებლობა და ამ მხრივ პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავთ. ვცადეთ, ამ ძუნწ მასალაში ამოგვეკითხა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში ოქტავიანუს-ავგუსტუსისადმი დამოკიდებულება, რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობა. ვფიქრობთ, ასეთი ოპტიმისტური მიდგომა გაცილებით უფრო საინტერესო შეიძლება იყოს, ვიდრე სკეპტიკური დამოკიდებულება. ეს გზა ჩიხში მიგვიყვანს.

აქვე უნდა გამოვთქვათ, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება. როგორც ჩვენ გვგონია, დიმიტრი უზნაძე ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობაზე იმაზე უფრო კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული, ვიდრე ეს სახელმძღვანე-

ლოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ეს ამ საკითხზე მისი ცოდნის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი შეიძლება ყოფილიყო, რომლის ჩართვა სასკოლო სახელმძღვანელოში მიზანშეწონილად ცნო.

ჩვენ წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელსაც ორი მხარე გააჩნია. წმინდა ემპირული, ფაქტოლოგიური, რამდენად ჩახედული ჩანდა დიმიტრი უზნაძე ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობაში და მეორე თეორიული – მას შეფასებითი დატვირთვა გააჩნია და საკითხის განხილვას ისტორიოგრაფიულ მუხტს სძენს. ეს ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის განხილვის ლოგიკური გაგრძელებაა. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ და ერთმანეთს ვერ მოვწყვეტთ. ეს, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება. მისი მმართველობის გაშუქების დროს კარგად მოჩანს რომის პირველი იმპერატორისადმი დიმიტრი უზნაძის დადებითი დამოკიდებულება. თხრობა შეიცავს შეფასებით მუხტს და ამ თემის განხილვას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს, ასე გვესახება ჩვენ ეს საკითხი.

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ დიმიტრი უზნაძე საკმაოდ ინფორმირებულია და აღნიშნულ საკითხში ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც ემპირული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, რაც მტკიცე საძირკველს ჩაუყრის ამ საკითხის განხილვას.

დიმიტრი უზნაძე იზიარებდა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობაზე დადებითი აზრი უნდა ჩანდეს. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ამგვარი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება შემთხვევითი არ იყო. ჩვენი აზრით, ეს უმთავრესად ორ გარემოებასთან შეიძლება ასოცირდებოდეს. მიზეზი, უწინარესად, დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობაში უნ-

და ვეძებოთ. როგორც ჩანს, ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობა ახლოს იყო მის პოლიტიკურ იდეალთან და მეორეც, მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და ორი გარემოებით შეიძლება ავხსნათ. პირველ ყოვლისა, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილი შეიძლება დავინახოთ, ხოლო, მეორე მხრივ, ის ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ფლობა და ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობისადმი სწორი, მეცნიერული დამოკიდებულების შეხამება ამ საკითხზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი, ისევე, როგორც მისი სხვა სახელმძღვანელოები, არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას და ფაქტების უბრალო გროვას. ასეთი სახელმძღვანელო, ცხადია, საინტერესო არ იქნებოდა, ამ მსჯელობას გააჩნია შეფასებითი დატვირთვა. ისტორიული ფაქტების გადმოცემასთან ერთად, სათანადო ყურადღება ეთმობა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რაც, ცხადია, დადებითი მოვლენაა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ თხრობას გააჩნია შეფასებითი მუხტი. შევეცადეთ, მასში ამოგვეკითხა, თუ როგორი იყო რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება. ეს სულაც არ არის რთული, პირდაპირ ზედაპირზე ძეგს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს და ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ეს არის და აქ სკეფსისი სრულიად უადგილოა.

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობის სწავლების პოპულარიზაციის საქმეში. იგი, ფაქტობრივად, ალექსანდრე წერეთელთან ერთად საქართველოში აღნიშნული საკითხის გაშუქების ერთ-ერთ ინიციატორად მოგვევლინა. ეს იყო საქართველოში ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობის გაშუქების პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი მცდელობა მაინც, რაც იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე, როდესაც აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი, გარკვეულწილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა უმართებულო იქნებოდა. ცხადია, ეს ამ საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ საერთო ვითარებაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ეს მისი კიდევ ერთი კონკრეტული წარმატება იყო.

ამრიგად, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. განსხვავებული მიდგომის მთავარ კვინტესენციად, დედააზრად გვევლინება აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის გაბათილება. ირკვევა, რომ ის საბჭოთა რეალობასთან კი არ ასოცირდებოდა, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ, არამედ თავის პირველ ნაბიჯებს დგამს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებში. ამ წლებში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საესეებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად ამ საკითხით დაინტერესების ათვლა იწყება დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნით (რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის უვერტიურად გაიჟღერა) და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით. ასეთი იყო რეალობა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით

დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

* * *

დიმიტრი უზნაძე სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს ორ ნაწილად ყოფს. თითოეული ნაწილი დაყოფილია ქვეთავებად: პარტიული ბრძოლა კეისრის სიკვდილის შემდეგ, ოქტავიუსი, მეორე ტრიუმვირატი, ტრიუმვირატის დაშლა და ბრძოლა ბატონობისათვის. მეორე ნაწილია იმპერატორების ხანა (რომის იმპერია 285 წლამდე). თავის მხრივ ის კიდევ დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად. მცირე შესავალს, რომელიც ისტორიულ ფონს ქმნის, მოყვება პირველი ქვეთავი, რომელიც, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება და რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობას აშუქებს: ოქტავიუსი, როგორც პრინცეპსი, ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობა, რომის საზოგადოება და ზნე-ჩვეულებები, ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია, ოქტავიანუს-ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკა.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის გეგმასთან. რა შეიძლება ითქვას მასზე? ამ გეგმაში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ მისი შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ამ შემთხვევაში მეცნიერული პაექრობა პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და გემოვნების საკითხია. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სასურველი იქნებოდა საკითხის უფრო კომპაქტურად დალაგება. ეს გაუადვილებდა მონაწიეებს მთავარი სათქმელის აღქმას. ხომ არ აჯობებდა ამ გეგმის გამარტივება და უფრო ტრივიალური სქემის მიხედვით დალაგება? ოქტავიანუს-ავგუსტუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით ყველაფერი გაცილებით უფრო გამჭვირვალეა. ამ სა-

კითხვების ჩამონათვალი სწორედ აქ შევიდოდა. ასე ხომ არ აჯობებდა?

ეს გეგმა საგულისხმოა სხვა კუთხითაც. აქ კარგად ამოვიკითხავთ მინიშნებას ზოგადად იმპერიის პერიოდიზაციაზე და კონკრეტულად ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის პერიოდიზაციაზე. საკითხი ძალზე საინტერესოა და ამ კუთხით მისი გაშუქება ურიგო არ იქნება. მას გააჩნია ორი მხარე: ზოგადი, რომელიც დაკავშირებულია საერთოდ რომის იმპერიის პერიოდიზაციასთან და კონკრეტული, რომელიც ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის პერიოდიზაციასთან ასოცირდება. ამ თემაზე უზნაძის მსჯელობა, ვფიქრობთ, საკვებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს, რაც, ცხადია, ამ მონაკვეთის დადებით მხარეს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ის იზიარებდა ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ მოსაზრებას რომის იმპერიის ორ პერიოდად დაყოფაზე. მათ შორის მიჯნად ასახელებდნენ 285 წელს, როდესაც იმპერატორის ტახტი დაიკავა დიოკლეტიანემ (285-305). აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის „სასკოლო სახელმძღვანელოში“: „მართალია, ქრისტემდე 30 წლიდან დაწყებული რომი მონარქიულ სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ ნამდვილი მონარქია არსებითად ქრისტეს შემდეგ 285 წლიდან დაიწყო, როდესაც სამეფო ტახტზე დიოკლეტიანე ავიდა. მანამდე იმპერატორი გამოდიოდა, მაგრამ ამ ძალაუფლებას ხალხისგან იღებდა და სახელმწიფოს სენატთან ერთად განაგებდა, რომლის გვერდითაც თითქმის ყველა ძველი მაგისტრატურა განაგრძობდა არსებობას. დიოკლეტიანეს დროიდან დაწყებული კი რომში ნამდვილი აბსოლუტური ერთმეფობა დამკვიდრდა. ამგვარად, რომის იმპერიის ხანა ორ ეპოქად იყოფა დიოკლეტიანემდე და დიოკლეტიანეს შემდეგ“ (უზნაძე, 1919, 76). დიმიტრი უზნაძე აქ, რა თქმა უნდა, გულისხმობს პრინციპატს და დომინანტს, თუმცა თვითონ ამ ტერმინებს რატომღაც არ იყენებს და პერსონალის მიხედვით ყოფს დიოკლეტიანემდე და

დიოკლეთიანეს შემდეგ. ასეთ მარტივ, პრიმიტიულ დაყოფას აქვს არსებობის უფლება და მასში მიუღლებელ ვერაფერს ვხედავთ, თუმცა დაყოფა პრინციპატი და დომინანტი გაცილებით უფრო სერიოზული და მეცნიერული უნდა იყოს [16; 20].

მოტანილ ამონარიდში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც წმინდა მეცნიერული დატვირთვა გააჩნდა და ამ თემაზე დიმიტრი უზანძის მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ვფიქრობთ, მეცნიერს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ის პრინციპული განსხვავება, რომელიც მმართველობის ამ ორ ფორმას – პრინციპატს და დომინანტს შორის არსებობდა. ცხადია, ეს ფაქტორი სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ის იყენებს ტერმინს აბსოლუტიზმი, რაც, ჩვენი აზრით, ძნელია, მივიჩნიოთ წარმატებულად. ხომ არ იყო ეს საკითხის მოდერნიზაცია მის თანადროულ ყაიდაზე? ხომ არ სურს მეცნიერს, თანამედროვე პრინციპები მოარგოს ანტიკურ ეპოქას?

მეტად საინტერესოა კონკრეტულად ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის პერიოდიზაციის საკითხი. დიმიტრი უზანძე ემხრობოდა ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ შეხედულებას ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობის ორ პერიოდად დაყოფის თაობაზე და იზიარებს იმ ისტორიკოსების მოსაზრებას, რომლებსაც მისი მმართველობის ამ ორ პერიოდს შორის მიჯნად ესახებოდათ ქრ. შ.-მდე 27 წელი, როდესაც მყარდება პრინციპატი და ოქტავიანუს-ავგუსტუსი ეწოდა. აქედან მოყოლებული იწყება რომის იმპერიის ისტორია [16; 20]. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მეორე (ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობა) და მესამე ქვეთავებმა (რომის საზოგადოება და მისი ზნე-ჩვეულებები) უკმა-რობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გავგიჩინა. არ არის გამორიცხული მისი შემდგომი სრულყოფა და დახვეწა. მივყვეთ თანმიმდევრობით. დავიწყოთ მეორე ქვეთა-

ვით. სასურველი იქნებოდა მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება, რითიც სახელმძღვანელო არაფერს წააგებდა და მხოლოდ მომგებიან ქულებს შეიძენდა.

უხერხულად გვეჩვენება ცალკე გამოყოფა და საუბარი ოქტავიუსის მოღვაწეობაზე. მთელი ეს მონაკვეთი სწორედ ოქტავიანუს-ავგუსტუსის მოღვაწეობას შეეხება და, ჩვენი აზრით, ძალიან ზოგადი და კონკრეტიკას მოკლებულია.

ვფიქრობთ, იგივე შეიძლება ითქვას სახელმძღვანელოს მესამე ქვეთავზე „რომის საზოგადოება და ზნე-ჩვეულებები“. ორივე ქვეთავის სათაური არ შეეფერება შინაარსს და დაზუსტებას საჭიროებს. აქ საუბარი არაა რომის საზოგადოების ზნე-ჩვეულებებზე, რომელიც სულ სხვა ასოციაციებს აღგვიძრავს. ეს წინა მონაკვეთის ლოგიკური გაგრძელებაა. ამიტომ სასურველი იქნებოდა მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება და ამ ორი თავის გაერთიანება. ეს ნაბიჯი უფრო გამართლებული უნდა ჩანდეს. აქ საუბარია ოქტავიანუს-ავგუსტუსის დროს გატარებულ რეფორმებზე. სასურველი იქნებოდა მისთვის სწორედ ასე გვეწოდებინა.

დიმიტრი უზნაძე ოქტავიანუს-ავგუსტუსის მმართველობაზე საუბარს იწყებს ცეზარის გარდაცვალების შემდეგ რომში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან. ეს ერთ-ერთი საინტერესო ქვეთავია. პარტიული ბრძოლა კეისრის სიკვდილის შემდეგ მეტად აქტუალური საკითხია. დიმიტრი უზნაძე ძალზე ლაკონიურად, მაგრამ შინაარსიანად მოგვითხრობს ცეზარის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. „კეისრის სიკვდილის შემდეგ რომში ისეთი გაურკვევლობა დამყარდა, რომ არავინ იცოდა, რა ექნათ. ერთი მხრივ, კეისრის მომხრეები შურის საძიებლად ემზადებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მოწინააღმდეგეები ირაზმებოდნენ. ამ მდგომარეობით ხელოვნურად ისარგებლა კონსულმა მარკუს ანტონიუსმა, რომელმაც ხელში ჩაიგდო კეისრის ქონება და ქალაქები. დანიშნა სენატის სხდომა და ორი პარტია შეა-

რიგა. სენატმა დაამტკიცა კეისრის ყველა განკარგულება და კანონი. გადანყვითა მისი სახელმწიფო ხარჯებზე დაკრძალვა და ამასთან ერთად მისი მკვლელების უფლებებიც აღადგინა, მაგრამ კეისრის გასვენების დღეს ანტონიუსმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც განსვენებულის მოღვაწეობას ეხებოდა. იგი მისი ანდერძის შესახებ ლაპარაკობდა. აღშფოთებული ხალხი კეისრის მკვლელებს მიუცვივდა და რამდენიმე დღის შემდეგ აიძულეს, რომიდან გაქცეულიყვნენ. ამის შემდეგ ქალაქი სრულად ანტონიუსის ხელში გადავიდა. ასეთი მოულოდნელი წარმატების უზრუნველსაყოფად ანტონიუსმა გადანყვითა, კეისრის მკვლელები – ბრუტუსი და კასკა თავისი მომხრეებით სრულად მოესპო და რომში საბოლოოდ გაბატონებულიყო. ამ მიზნით მან 6000 მცველი გამოყო და გადანყვითა, დიციმუს ბრუტუსისათვის გალია წაერთმია, მაგრამ რომში სწორედ ამ დროს კეისრის მემკვიდრე ახალგაზრდა ოქტავიუსი დაბრუნდა, რომელიც სწავლის მისაღებად საბერძნეთში იყო გაგზავნილი“ [18. 73] (მცირე განმარტება – ასო კ რუსულის გავლენის შედეგია).

უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე არსებითად სწორად გადმოგვცემს ცეზარის გარდაცვალების შემდეგ რომში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ის საკითხში კარგად უნდა იყოს ჩახედული და ინფორმირებულობას ამჟღავნებს. ცხადია, ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. მეცნიერი ხაზგასმით საუბრობს მარკუს ანტონიუსის აღზევებაზე და მის მიზეზებზე [16; 17; 20].

მოსალოდნელი იყო, რომ დიმიტრი უზნაძე ყურადღებას შეაჩერებდა მარკუს ანტონიუსის ბიოგრაფიაზე და ძალიან მოკლედ გააცნობდა ამის შესახებ მის მონაფეებს, მითუმეტეს, როცა მეორე მონაკვეთი დაასათაურა მისი სახელით. ენოდა ოქტავიუსი, მაგრამ ეს მონაკვეთი ოქტავიანუს-ავგუსტუსის ბიოგრაფიად, ალბათ, ძნელი იქნება, რომ მოვიაზროთ. სასურველი იქნებოდა მითითებულიყო მისი დაბადების თარიღი. ეს მოხდა ქრ.შ-მდე 63 წლის 15 მარტს, მითითებული არაა არც მი-

სი ცხოვრების წლები და არც მისი ზეობის ხანა, ამის გაკეთება კი სასურველი იყო. „იგი კეისრის დისწულის შვილი იყო. კეისარმა იგი იშვილა და, როგორც ჩანდა, თავის მემკვიდრედ ამზადებდა. აგებულით ოკტავიუსი სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ, ბუნებრივი ნიჭის გარდა, მას მშვენიერი აღზრდა ჰქონდა მიღებული და უმაღლესი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. ანტონიუსი მას მტრულად შეხვდა და კეისრის ქონების მემკვიდრეობაზე უარი უთხრა. ოკტავიუსი მომხრეებს ეძებდა. კეისრის ვეტერანები მის მხარეზე იყვნენ. ამის გარდა იგი ციცერონს დაუახლოვდა და მისი შემწეობით სენატის სრული ნდობა მოიპოვა. როდესაც ანტონიუსი მისი გეგმის განსახორციელებლად გალიას გაემგზავრა, სენატმა ციცერონის წინადადების თანახმად ანტონიუსს ბრძოლა გამოუცხადა და მის საწინააღმდეგოდ გასაგზავნი ჯარის სარდლად ოკტავიანუსი დანიშნა, ბრძოლა ანტონიუსის დამარცხებით დასრულდა და ოკტავიანუსმა ჯილდოდ კონსულობა მოითხოვა. სენატი მას არაფრად აგდებდა და ცივი უარი შეუთვალა. მაშინ ოკტავიანუსმა სენატის მორჩილების ნილაბი მოიხსნა და თავისი რვა ლეგიონით რომში შეიჭრა. ხალხმა იგი კონსულად აირჩია“ [18. 73-74].

ყურადღებას იპყრობს ამ ამონარიდის დასაწყისი, რომელიც ოკტავიუს-ავგუსტუსის, როგორც პოლიტიკოსის, შეფასების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც მხოლოდ დადებითი მოვლენაა. იკვეთება ოკტავიანუს-ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის დაპირისპირების კონტურები. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ამ საკითხზე მისი ინფორმირებულობის ლოგიკური შედეგია. ის კარგად აცნობიერებდა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ შორის დაპირისპირების მნიშვნელობას. მისი შემდგომი მსჯელობა ამის დასტური უნდა იყოს და საინტერესოა.

შემდგომ ქვეთავში საუბარია მეორე ტრიუმვირატზე. მითითებული თარიღის მიხედვით, ეს მოხდა ქრ.შ.-მდე 43 წელს. ცხადია, ეს ძალიან კარგია. „ამასობაში ანტონიუსმა საკმაოდ

დიდი ჯარი შეკრება და საომრად ემზადებოდა. ოკტავიუსი ადრევე შეუთანხმდა ანტონიუსს და კეისრის მეორე მიმდევართან, მისი (ე. ი. კეისრის – მ. კ.) ცხენოსანი ჯარის უფროსს ლეპიდუსთან ერთად კავშირი შეკრა. ამ სამთა კავშირის მიხედვით ამ სამმა პირმა მთელი რომის ბატონ-პატრონობა ოფიციალურად ხუთი წლის ვადით გაინაწილეს. ეს კავშირი რომის ისტორიაში მეორე ტრიუმვირატის სახელით არის ცნობილი და, როგორც ოფიციალური კავშირი, მისგან (ე. ი. პირველი ტრიუმვირატისგან – მ. კ.) ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ტრიუმვირობა ახლა თითქოს სახელმწიფო თანამდებობად გადაიქცა, რომელიც თითოეულ მოკავშირეს განსაზღვრული ვადით სახელმწიფო მართვა-გამგეობის ნაწილს ანიჭებდა. პროვინციები ტრიუმვირებმა შემდეგნაირად გაინაწილეს: აფრიკა, სიცილია და სარდინია ოკტავიუსს მიეცა, ორივე გალია – ანტონიუსს, ხოლო ისპანია და ნარბონა – ლეპიდუსს. თავისი გადაწყვეტილება ტრიუმვირებმა სახალხო კრებას დაამტკიცებინეს და შემდეგ თავისი მოწინააღმდეგეების განადგურებას შეუდგნენ. მათი პროსკრიფციები სულასაზე უფრო შეუბრალებელი აღმოჩნდნენ. მოკლე დროის განმავლობაში რომში მათ მეთოდური და სისტემური მკვლევლობები გაამეფეს. ორასი სენატორი (მათ შორის ციცერონიც) და ორი ათასი მხედარი შეუბრალებლად გამოასალმეს წუთისოფელს“ [18. 74].

ეს მონაკვეთი არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო თხრობას. ყურადღება ეთმობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. საინტერესოა, რომ ხაზგასმულია პირველ და მეორე ტრიუმვირატს შორის არსებული განსხვავება. ტრიუმვირატს შორის ტერიტორიების გადანაწილების საკითხზე ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს [17. 304; 20. 75]. აქ შეიძლება საქმე გვაქვს ფაქტობრივ გადაცდომასთან, რომელიც დიმიტრი უზნაძისათვის დამახასიათებელი არ გახლდათ.

სახელმძღვანელოში აქცენტი კეთდება მეორე ტრიუმვირატის აღმოცენების მიზეზებზე, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს,

რომ სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ფაქტების ჩვეულებრივ გროვას. როგორც ჩანს, ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მის შექმნას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის მომხრეების გააქტიურებამ. „კეისრის ამ სამი მთავარი მემკვიდრის შეკავშირება იმ გარემოებამ გააადვილა, რომ რესპუბლიკის მომხრეებმა კასიუსის და ბრუტუსის მეთაურობით, აღმოსავლეთში დიდძალი ჯარი შეაგროვეს და საომრად ემზადებოდნენ. მათი მთავარი ბაზისი მაკედონია იყო და ოკტავიუსი და ანტონიუსი სწორედ აქეთ წავიდნენ. მთავარი ბრძოლა ფილიპთან მოხდა, სადაც ბოლოს და ბოლოს ტრიუმფირებმა გაიმარჯვეს. კასიუსმა და ბრუტუსმა, კატონ უტიკელისა არ იყოს, თავი მოიკლეს. ოკტავიუსი საშინელი სისასტიკით გაუსწორდა მტერს, სამაგიეროდ, თავისი ჯარისკაცები მეფურად დაასაჩუქრა.

უკანასკნელი იმედი რესპუბლიკის აღდგენისა მოისპო და ახლა საკითხი იმაშილა იყო, ვის უნდა შერჩენოდა ბატონობა, ოკტავიუსს თუ ანტონიუსს?“ [18. 74-75].

ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ. დიმიტრი უზნაძე სწორედ გადმოგვცემს ფაქტებს, ზუსტად აფასებს მათ და აქედან სწორი დასკვნები გამოაქვს. სასურველი იქნებოდა, თუ მიუთითებდა ფილიპთან ბრძოლის თარიღს, ქრ. შ.-მდე 42 წელს, მაგრამ ასე არ იქცევა. ამაში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ და მიგვაჩნია, რომ ამგვარ მიდგომასაც გააჩნია არსებობის უფლება. ჩვენ არ ვართ მომხრე სასკოლო სახელმძღვანელოს ისტორიული ფაქტებით გადატვირთვის. ამაში დიმიტრი უზნაძე ცამდე მართალია, მაგრამ მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღების მითითება, ალბათ, მაინც სასურველი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვგონია. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უფრო გემოვნების საკითხია. მან საკითხი ასე გადაწყვიტა, ჩვენ კი მას სულ სხვაგვარად ვუყურებთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, მიუხედავად ოქტავიანუს-ავგუსტუსისადმი დიმიტრი უზნაძის კეთილგანწყობისა, მისი უზომო სისასტიკე შეიძლება არ მოსწონდა და როგორც პოლიტიკოსის სუსტ მხარედ ესახებოდა. ამიტომ დიმიტრი უზნაძის მოაზრება რომის პირველი იმპერატორის მხურვალე აპოლოგეტად, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. კატეგორიულად, ცხადია, არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. საინტერესოა, რომ ამ თვისებაზე ის ორჯერ ამახვილებს ყურადღებას, და ალბათ, ეს რაღაცას შეიძლება ნიშნავდეს.

შემდგომ მონაკვეთში ტრიუმფირატის დაშლა და ბრძოლა ბატონობისათვის დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული, რომ ოქტავიანუს-ავგუსტუსს და ანტონიუსს შორის დაპირისპირება იყო ბრძოლა პირველობისათვის და ამიტომ უშეღავათო ხასიათს ატარებდა. აქ ის ეხება რამდენიმე საკითხს: პირველია ანტონიუსი აღმოსავლეთში, რაც ძალზე საინტერესო თემაა. „ფილიპთან ბრძოლის შემდეგ ანტონიუსი აღმოსავლეთში დარჩა და აქ ეგვიპტის საქმეებში გაერთო. იგი ძლიერ დაუახლოვდა თავისი მშვენიერებითა და მომხიბლაობით სახელგანთქმული ეგვიპტის დედოფალს კლეოპატრას და მასთან განცხრომით ცხოვრებაში დროს ატარებდა. ოქტავიუსი კი პომპეუსის შვილს, სექსტუს ებრძოდა, რომელსაც ხმელთაშუა ზღვაზე ძლიერი ფლოტი ჰყავდა და რომს დამშევას უქადდა. ბრძოლაში გამარჯვება ოქტავიანუსს დარჩა. სექსტუსი აღმოსავლეთისაკენ გაიქცა, სადაც იგი მოკლეს“ [18. 75].

დავინწყოთ იმით, რომ ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას კლეოპატრას არაჩვეულებრივ სილამაზეზე. ეს მოსაზრება შეიძლება გადაჭარბებული იყოს და არსებობს განსხვავებული აზრი, რომელსაც ასევე გააჩნია არსებობის უფლება. ის სულაც არ ყოფილა ისეთი მომხიბლავი, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ თანამედროვეები

და ისტორიკოსების არაერთი თაობა. „გრძელი ცხვირი ჰქონდა. ცეზარის და ანტონიუსის გულის მოგება, როგორც ჩანს, მან მოახერხა არა თავისი სილამაზით, არამედ საზრიანობით“.

მეორე სიუჟეტია მეორე ტრიუმვირატის დაშლის დასაწყისი. აქ აქცენტი კეთდება არა თხრობაზე, არამედ მიზეზებზე. მისი დასაწყისი იყო ოქტავიანუს-ავგუსტუსის მიერ ლეპიდუსის ძლევა. „სექსტუსის დამარცხებამ ლეპიდუსი გააძლიერა, რადგან მისი (სექსტუსის – მ. კ.) სიცილიის ჯარი ამ უკანასკნელს (ე. ი. ლეპიდუსს – მ. კ.) შეუერთდა. გათამამებულმა ოქტავიუსს სიცილიის დათმობა სთხოვა, მაგრამ ოქტავიუსმა არ დაუთმო და მთელი მისი ჯარი თავის მხარეზე გადმოიბირა. ლეპიდუსი იძულებული შეიქმნა, ოქტავიუსის მოთხოვნით ტრიუმვირობაზე უარი განეცხადებინა და თავისი უფლებები მისთვის გადაეცა“ [18. 75].

ამ მონაკვეთის მესამე ამონარიდი, სწორედ, ოქტავიანუსს და ანტონიუსს შორის უმწვავეს დაპირისპირებას ეხება. უნდა ითქვას, რომ ამ დაპირისპირების დროს მისი სიმპათია სულ მთლიანად უფრო პროგრესული საწყისისაკენ იხრება და ოქტავიანუს-ავგუსტუსის მხარეზეა. როგორც ჩანს, ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და ოქტავიანუს-ავგუსტუსზე უფრო მაღალი აზრის ჩანდა. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, რაც, ცხადია, ძალიან კარგია. ის ხაზს უსვამს, რომ მათ შორის დაპირისპირება შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკით იყო განპირობებული.

მათ შორის დაპირისპირების კულმინაციას, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა აქციუმის კონცხთან ბრძოლა ქრ.შ.-მდე 31 წლის 2 სექტემბერს. „ოქტავიანუსს და ანტონიუსს შორის შეტაკებას ახლა წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მაშინ, როდესაც ოქტავიანუსი ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდა, ყველგან წესიერებას და მშვიდობას ამყარებდა. ანტონიუსი

თავის თავისა და კლეოპატრას სიამოვნების გარდა არაფერზე ზრუნავდა. მან იმდენი წინდაუხედაობაც კი გამოიჩინა, რომ თითქმის ყველა აღმოსავლეთის პროვინცია კლეოპატრას და მის შვილებს დაურიგა, თითქოს რომი აღარც კი არსებობდა. ასეთი გიჟური საქციელი თვითონ ოკტავიუსისათვის ხელსაყრელი შეიქმნა. იგი ანტონიუსს, ადრე თუ გვიან, სულერთია, უნდა შებრძოლებოდა და ახლა ამ ბრძოლის წარმოება მას რომის ინტერესების სახელით მოუხდებოდა, რასაც უკვე თავის-თავად თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ბრძოლა აქციუმის კონცხთან მოხდა, რომელიც ოკტავიანუსის გამარჯვებით დასრულდა (31 წ.). ანტონიუსმა და კლეოპატრამ ეგვიპტეს შეაფარეს თავი. კლეოპატრა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ანტონიუსი როგორმე თავიდან მოეშორებინა და ოკტავიუსს შერიგებოდა. მან მოტყუებით შეატყობინა ანტონიუსს, თითქოს თავი მოიკლა... ამ ამბის გაგებაზე ანტონიუსმა თვითონაც თავი მოიკლა, მაგრამ როდესაც კლეოპატრას ოკტავიუსის მოხიბვლის იმედი გაუცრუვდა, მანაც თავის მოკვლა გადაწყვიტა. ამბობენ შხამიან გველს ძუძუზე აკბენინა.

ამგვარად, რომის ერთადერთ ბატონად ოკტავიუსი დარჩა. მან დაასრულა ის პროცესი, რომელიც მარიუსის დროიდან დაიწყო და რომი მონარქიულ სახელმწიფოდ გადაიქცა“ [18. 75-76].

როგორც ვხედავთ, დიმიტრი უზნაძე ანტონიუსზე, როგორც პოლიტიკოსზე, არცთუ მაღალი აზრის უნდა ჩანდეს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ის იზიარებდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში ოკტავიანუს-ავგუსტუსის წარმატება და მისი უშუალო კონკურენტის ანტონიუსის დამარცხება საკვებით მართლზომიერად ესახებოდა.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. გოგოლაშვილი, სენეკა, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები გ. ქავთარიას რედაქციით, თბილისი, 1998.
2. გოგოლაშვილი რ., ტიტუს ლავიუსი, რომაელი ისტორიკოსები გ. ქავთარიას რედაქციით, თბილისი, 1998.
3. ისტორია... 2010, ისტორიის შესახებ.
4. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე მაკედონელზე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1-2, თბილისი, 2020.
5. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, ჰანიბალზე, Scientio, 2 (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, 2021.
6. კალანდაძე მ., ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბილისი, 2021ა.
7. კალანდაძე მ., საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 19, თბილისი, 2021ბ.
8. კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (1918-1921) როგორც ამ დარგის წყარო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(25), თბილისი, 2021გ.
9. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, კალიგულაზე და ნერონზე, კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, XXXVI, თბილისი, 2022.
10. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, მითრიდატე VI ევპატორზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 2022ა.

11. კალანდაძე მ., საქართველოში წინაისტორიული ხანის შესწავლის საერთო სურათი და ძირითადი ეტაპები, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 26, თბილისი, 2022ბ.
12. კალანდაძე, მ., ტრიუმფირატი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ნერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ანალები, 18, თბილისი, 2022გ.
13. კოროვკინი ფ., ძველი მსოფლიო ისტორია, თბილისი, 1982.
14. კოვალიოვი ს.ი., ძველი მსოფლიო ისტორია, თბილისი, 1954.
15. ლომოური ნ., იბერია და კოლხეთი ახ. წ. I-II საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, 1998.
16. სანიკიძე ლ., რომის იმპერია, თბილისი, 1984.
17. სანიკიძე ლ., კეისარიადა, თბილისი, 1989.
18. უზნაძე დ., მსოფლიო ისტორია, მე-2 შესწორებული და შევსებული გამოცემა, ნაწილი 3, რომი, ქუთაისი, 1919.
19. ქავთარია გ., რომის ისტორია, ნაწ. 1, თბილისი, 2016.
20. ქავთარია გ., რომის ისტორია, ნაწ. 2, თბილისი, 2020.
21. ყაუხჩიშვილი თ., ძველი ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1976.
22. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957.
23. ძველი მსოფლიო ისტორია, ა. ვ. მიშულინის რედაქციით, თბილისი, 1942.
24. Гаи Светони Транквилл, жизнь двенадцати Цезарей, Москва, 1991.
25. Момзен Т., История рима.т. 5. Провинции от Цезари до Диоклетиана, 1949.

MERAB KALANDADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**DIMITRI UZNADZE ON ROMAN
EMPEROR OCTAVIUS AUGUSTUS**

Summary

We continue to cover Dimitri Uznadze's contribution to historical science, specifically, to the study of ancient world history. Now we will touch on how the work of the first Roman emperor Octavius Augustus (63 BC – AD 14) was discussed in Dimitri Uznadze's first national textbook of ancient world history. In this regard, this issue has not been studied and the present paper is the first attempt to do so.

Dimitri Uznadze, in his first national textbook of ancient world history, naturally focuses on the rule of the Roman emperor Octavius Augustus. It is our goal to find out the problem of the topic mentioned in the manual and to explain its causes as much as possible.

Mainly, with the efforts of the totalitarian-Bolshevik regime, the general picture and periodization of the work of Octavius Augustus in Georgia was distorted. We tried to fix this discrepancy. The main theme of the illustrated approach is the resuscitation and rehabilitation of the contribution of the Democratic Republic of Georgia in this field in 1918-1921, which disappeared during the Soviet years. Such was the political will. Interest in the rule of Octavius Augustus in Georgia clearly goes beyond pure academic frameworks and is based on a sharply defined political claim. It can be conventionally divided into three periods:

1. Interest in the rule of Octavius Augustus in the Democratic Republic of Georgia of 1918-1921;
2. Elaboration of the work of Octavius Augustus in the Georgian historiography of the Soviet period (1921-1991);

3. Coverage of the activities of Octavius Augustus in Georgian historiography of the post-Soviet period. It begins in the early 90s, when the Soviet Union collapsed, and continues to this day.

Dimitri Uznadze's attempt to discuss the rule of Octavius Augustus in Georgian reality is the first, if not one of the first cases of doing so, and at the background of the Georgian reality of the period when almost nothing was written on this issue, it should be a step forward.

He wrote interesting short historical essays on Octavius Augustus, which fully met the requirements of the school textbook and can be considered successful in our opinion. It has more advantages than disadvantages. The fact that this is a school textbook in no way diminishes its importance.

We tried to answer two questions. How informed was Dimitri Uznadze about this issue and how did he evaluate it.

It can be safely said that Dimitri Uznadze showed a good insight into the rule of Octavius Augustus, which was obviously not accidental and is an echo of his knowledge of empirical, factual material.

Dimitri Uznadze tried to evaluate the work of Octavius Augustus from liberal positions and seemed to have a rather high opinion of his work. He shares the opinion expressed in the scientific literature and positively evaluates his management. The reason for such assessment is related to his worldview.

Such an approach, we think, would perfectly address the strict aspirations of the historical science of the beginning of the 20th century, and it echoed the European and, first of all, Russian historiography.

As the first coverage of the mentioned issue, naturally it could not be flawless, in our opinion, the subsequent improvement of some issues should not be excluded. We consider the discussion of foreign policy in the manual to be such. This topic is relatively less covered. One paragraph is devoted to it in the manual. This is obviously very little. In our opinion, the discussion of foreign and domestic policies in the manual requires some corrections. In the book, the discussion of domes-

tic policy occupies a larger place than foreign policy. Clearly, a more balanced approach would be desirable.

In this section of Dimitri Uznadze's textbook, the attitude towards the facts seems strange to us. This is shown by the fact that in one case he refers to historical facts, and in the other case he mentions it without a date. If we are talking about a historical event, it would be desirable to indicate the date. This is more logical. The selective principle is inconsistent and unacceptable.

This is how Dimitri Uznadze's school textbook describes the work of the first Roman emperor Octavius Augustus and its causes.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიორგი ლეონიძის შავშური ფანჯები

ტაო-კლარჯეთისადმი, საერთოდ, ე. წ. „ოსმალის საქართველოსადმი“ ცხოველი ინტერესი ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ძალისხმევით თავდაპირველად XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გამოავლინა. ეს მოვლენა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დედاسამშობლოს მოწყვეტილი ამ რეგიონის დიდი ნაწილი დროებით, მცირე ნაწილი კი სამუდამოდ სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაუბრუნდა მშობლიურ წიალს.

ამ დროიდან მოყოლებული ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ თემა მეტ-ნაკლები მასშტაბით ყოველთვის იყო წარმოჩენილი ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენლის შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირის შესაბამისი სამსახურები, ამ იმპერიის მაშინდელი საჭეთმპყრობლის – იოსებ სტალინის მიერ გაცემული დირექტივების საფუძველზე, აქტიურ დიპლომატიურ პოლიტიკას ატარებდნენ იმხანად თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ქართული და სომხური ტერიტორიების – ყარსის, არტაანისა და ართვინის ოლქების დასაბრუნებლად.

აღნიშნული საკითხი საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა იოსებ სტალინმა პირველად 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე გერმანიის ქალაქ პოტსდამში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მესვეურთა მონაწილეობით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე დასვა. კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ლი-

დერებს საბჭოთა კავშირის თავგაცმა მაშინ ოფიციალურად განუცხადა, რომ თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად იგი აუცილებლად მიიჩნევდა 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებათა ძალით ამ ქვეყნის შემადგენლობაში მოქცეული ქართული და სომხური ტერიტორიების უკან დაბრუნებას პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრების ფარგლებში. კერძოდ, სტალინს მხედველობაში ჰქონდა ყარსის ოლქის სომხეთისთვის, ხოლო არტაანისა და ართვინის ოლქების საქართველოსთვის მიკუთვნება.

ამ დროიდან მოყოლებული, „საბჭოთა პროპაგანდამ დაიწყო მძლავრი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ 1921 წელს მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა. ამ საქმეში ჩართული იყვნენ არა მარტო საბჭოთა მეცნიერები და მწერლები, არამედ ქართული და სომხური პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოსა და სომხეთის ეკლესია. ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და თურქეთისგან ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებას ყველა ითხოვდა“ [5. 11].

უმუალოდ სტალინის ინიციატივით წამოწყებულ ამ იდეოლოგიურ კამპანიას საქართველოდან პირველად აკადემიკოსები: სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი გამოეხმაურნენ გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ 1945 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნებული ვრცელი წერილით – „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“.

აღნიშნული წერილი საკავშირო ხელისუფლების მითითების საფუძველზე რომ იყო დაწერილი, ეს იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ იგი იმავე წლის 22 დეკემბერს ჯერ „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა, შემდეგ კი ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების პრესაშიცა და უცხოურ გამოცემებშიც.

ამ დროიდან მოყოლებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული და საკავშირო პრესის ფურცლებზე ასევე საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს ექვთიმე თაყაიშვილმა,

არნოლდ ჩიქობავამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ, ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრმა, აჭარის ყადმა რასიხ ბერიძემ და სხვებმა.

თავიანთ ოფიციალურ გამოსვლებში ხსენებულ საკითხს ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ საქართველოს ხელისუფლების იმჟამინდელი ლიდერებიც. მაგალითად, საქართველოს გასაბჭოების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდის“ 1946 წლის 25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც 3 მარტს გაზეთმა „კომუნისტმა“ გადმოთქვა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ჩარკვიანი წერდა: „ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმშიშანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართული საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსაგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენენ“.

სამწუხაროდ, 1945 წელს დაწყებული ეს პროცესი, რომელიც სტალინის გარდაცვალებამდე – 1953 წლამდე გაგრძელდა, მსოფლიოში იმხანად შექმნილი ახალი რეალობის ძალით უშედეგოდ დამთავრდა. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მოლოტოვმა თურქეთის ელჩს მოსკოვში ასეთი ოფიციალური განცხადებით მიმართა: „კეთილმეზობლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველოსა და სომხეთის სსრ-ების მთავრობებმა შესაძლებლად ჩათვალეს, რომ უარი თქვან თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე... ამგვარად, საბჭოთა მთავრობა

აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთთან“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 1992 წლის 30 ივლისს, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემაც დაადასტურა თურქეთსა და საქართველოს შორის ანკარაში გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით, რითიც ხსენებულ რეგიონებთან დაკავშირებით თურქეთთან ჩვენი ქვეყნის პრეტენზიებს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

ეს ყველაფერი აქ ერთხელ კიდევ იმიტომაც გავიხსენე, რომ ე. წ. „ოსმალის საქართველოს“ თემამ ზემოთ ნახსენები პერიოდის ქართულ მწერლობაში კიდევ ერთხელ იჩინა თავი განსაკუთრებული ძალითა და შთამბეჭდაობით. კერძოდ, აღნიშნულმა თემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა იმხანად მოღვაწე მწერლების: გიორგი ლეონიძის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, დუტუ მეგრელის, ვარლამ ჟურულის, ალიო ადამიას, ნესტორ მალაზონიას, მამია ვარშანიძისა და სხვათა შემოქმედებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. თურქეთის საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების შექმნას შემოქმედებითი იმპულსი გიორგი ლეონიძეს (1897-1966 წწ.) ზემოთ აღნიშნულმა პოლიტიკურმა მოვლენებმაც მისცეს, ისტორიული ავბედობის გამო დედასამშობლოსაგან ქართული რეგიონების მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტით განპირობებული სულიერი ტკივილის გამოხატვა მის შემდგომდროინდელ შემოქმედებასაც მსჭვალავს ძალზე ემოციურად და შთამბეჭდავად. ამ გარემოების განმპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად პოეტის წინაპართა შავშური წარმომავლობაც იქცა.

კერძოდ, 1959 წელს დაწერილი ლექსისთვის – „ლეონიძეთა შორის ვიყავი“ თანდართულ განმარტებაში თავად პოეტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ რამეს გვაუწყებს:

„ლეონიძეთა გვარი მესხეთიდან მოდის. დღესაც ტბეთის სახელგანთქმული ტაძრიდან სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე არის სოფელი ლეონიძე. იქიდან ვართ ლეონიძეები წამოსულები მე-17 საუკუნეში, როცა მესხეთი ოსმალეთმა დაიპყრო. ამჟამად ლეონიძეების ერთი შტო ცხოვრობს აჭარაში – ერგეში (ზემო ჯოჭო)“ [3. 80].

ხსენებული ლექსი გ. ლეონიძემ თავისი დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით აჭარაში ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე დაწერა. კერძოდ, პირველად სწორედ მაშინ შეხვდა ის ჯოჭოში მცხოვრებ სახლიკაცებს და ამ შეხვედრის შედეგად განცდილი პატრიოტული მღელვარება ამ სტრიქონებით გამოხატა:

ლეონიძეთა შორის ვიყავი,
ჩქეფდა ჭოროხი, ტყე შრიალებდა,
სახლიკაცების ნახვით ვიხარე,
რა საქმე მქონდა ძველ იარებთან.
გვექონდა წარსული ძველი და მწველი
და არც გვინდოდა მასზე გვეჩივლა,
ვიგემეთ სიტკბო, უდარდელობა,
ძმობით გვინდოდა თავი გვეჩინა.
სამასი წლობით დაშორებულებს
დღეს სამძმო ჭიქა ერთად გვეჭირა,
ის გვიხაროდა, რომ ქართველობა
თვითეულს გულში გადაგვერჩინა.

ხსენებული ლექსი გამონაკლისი არ ყოფილა და ლეონიძეთა გვარის შავშური წარმომავლობისთვის პოეტს სხვა დროსაც არაერთგზის გაუსვამს ხაზი სიამაყით. მაგალითად, 1959 წელს დაწერილ ლექსში „გულიც იქ არის, სულიც იქ არის“ იგი თავის თავს ამგვარად მოიხსენიებს: „მე – ძველი მესხი, ტბელი, ოშკელი,“ ხოლო 1963 წელს ბათუმში გამართულ ჰაიდარ აბაშიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილე-

ზე გაგზავნილ მისასალმებელ სიტყვას ქვემოთ ასეთ მინაწერს უკეთებს: „შენი ძველი მეზობელი შავშეთიდან“.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო 1959 წლის 30 ოქტომბერს „ლიტერატურულ გაზეთში“, 1970 წლის 3 ივნისს კი გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებული ფრიდონ ხალვაშის ის წერილებიც, რომლებშიც პოეტის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით აჭარაში გოგლას სტუმრობის ამბავია მოთხრობილი. ჯოჭოში მცხოვრებ სახლი-კაცებთან სტუმრად მიმავალი პოეტი მასპინძლებს ორად გაყოფილ სოფელ მარადიდში შეუჩერებიათ. საზღვართან მიახლოებულ გოგლას სევდიანი მზერა გაღმა მხარეს მდებარე ერთ-ერთი ფიცრული სახლისთვის მიუპყრია, რომლის სახურავზე ასული კაცი თურმე კრამიტს ასწორებდა და თან რაღაცას ლილინებდა. „გიორგიმ ხელი ყურზე მიიღო, მოუსმინა, ჩაიღიმა და კმაყოფილმა ჩაიგუგუნა: – ქართულად მღერის!

მაგრამ ამ ღიმილს უცრემლოდ არ ჩაუვლია.

ფ. ხალვაშის თქმით, მხოლოდ თავისიანებთან, ჯოჭოელ ლეონიძეებთან შეხვედრამ გადაურეკა იმ დღეს გიორგის უნებურად შემოწოლილი ნაღვლის ბურუსი“ [7, 1970].

სტუმრად წვეული პოეტის მიერ დასმულ შეკითხვაზე – ლეონიძეები აქ საიდან გაჩნდითო, – ერთ-ერთ ბერიკაცს უთქვამს: „ბაბაი იტყოდა, ჩვენ არდაჰანის ტბეთიდან ვართო.

– ტბეთიდან? – გახარებია გიორგის, – დასტურ ნათესავები ვყოფილვართ. ჩვენი წინაპრებიც იმ გადაღმა ტბეთიდან გადასახლებულან კახეთში.“

გ. ლეონიძის მონათხრობს მისი გვარის შავშეთიდან მომდინარეობასთან დაკავშირებით ფ. ხალვაში ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ 2000 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებულ იმ მოგონებაშიც იხსენებს, სადაც გოგლასთან მისი უკანასკნელი სტუმრობის შესახებაა ნაამბობი. კერძოდ, თავისი გვარის წარმომავლობის თაობაზე პოეტს ბატონი ფრიდონისთვის ასეთი რამ უთქვამს: „კურთხეული მხარის შვილი ხარ... დიდი ქარ-

თული კუთხეა შენი მშობელი მინაო. ჭირგამოვლილია და უკ-
ვდავი ეგ მხარე. იქ ჩემიანებს რომ შევხვდი (გოგლას მხედვე-
ლობაში ჰქონდა სოფელ ერგეში მცხოვრებ ლეონიძეებთან
შეხვედრა – ა. ნ.), გული სხვანაირად ამიძგერდა. ერთხელ კი-
დევე ვიგრძენი, მეც ძველი შავშელი ვარ. ჩვენ, ლეონიძენი, ყვე-
ლანი იქიდან ვართ, ის ჩვენი ალაგები, ჩვენი წინაპრების მიწა-
წყალი იქით, გადაღმა დარჩაო. ჩვენი დაკარგული დიდებული
ტაძრები და ციხეთა ჩამონაშალი ქვები მეძახიანო. არ იქნა,
ვერ მოვესწარი, ვერ მოვინახულე იქაურობაო“ [8, 104].

შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიუ-
ლი ავებლობის გახსენებით ცრემლმორეულ გოგლას მშობლი-
ურ წიაღს იძულებით მონყვეტილი ამ მხარის შესახებ საუბარი
ასეთი სიტყვებით დაუმთავრებია: „აჭარა და ის ჩვენი მშობლი-
ური, მაგრამ დაკარგული გადაღმეთი ცრემლია ჩვენი, ტკივი-
ლი და მოურჩენელი ჭრილობაო. ამისი დავინყება სიტყვის მუ-
შაკისთვის არ იქნება. სიტყვა, თუ იგი სულის ძირებიდან ამო-
გეზარდა, თავად მოგთხოვს, მაამბობინე ეს დარდებიანი სათ-
ქმელი საქართველოსიო.“

გარდა აჭარისა და კახეთისა, ლეონიძეები იმერეთშიც,
კერძოდ კი წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითშიც ცხოვ-
რობენ საკმაო რაოდენობით. როგორც მ. ალავიძის მოგონები-
დან ვგებულობთ, ეს ამბავი გ. ლეონიძესაც კარგად ცოდნია
და 1963 წლის მაისში ქუთაისში სტუმრად მოწვეულ პოეტს იქ
მცხოვრები თავისი სახლიკაცებიც მოუწახულებია [1. 136].

ლეონიძეთა გვარის შავშურ წარმომავლობასთან და აჭა-
რაში მათი ერთი დიდი განშტოების მკვიდრობასთან დაკავში-
რებით ასევე საინტერესო ცნობებს ვხვდებით აჭარაში მოღვა-
ნე პოეტის მამია ვარშანიძის (1916-1999 წწ.) მოგონებათა წიგ-
ნში „მე შავშელი ვარ“. საკმაოდ ვრცელი მოცულობის ამ ნაშ-
რომით ბატონი მამია შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრობს
გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ბათუმში დასასვე-
ნებლად მყოფ გ. ლეონიძესთან გამართული შეხვედრების შე-

დეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს. როგორც მისი ამ მონათხრობიდან ვგებულობთ, გ. ლეონიძე აჭარაში 1965 წლის 25 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე იმყოფებოდა დასასვენებლად ოჯახთან ერთად. ამ ხნის განმავლობაში პოეტი ხშირად ხვდებოდა მის იქაურ კოლეგებსა და მეგობრებს და მართავდა შეხვედრებს როგორც ბათუმში, ისე აჭარის სხვადასხვა სოფელში.

ამ შეხვედრების დროს გ. ლეონიძე ხშირად უსვამდა ხაზს როგორც აჭარასთან მის სისხლხორცეულ კავშირს, ისე მისი წინაპრების შავშურ წარმომავლობას. დაკონკრეტების მიზნით დავიმოწმებთ ორიოდ ფრაგმენტს მ. ვარშანიძის მიერ დაფიქსირებული ლეონიძისეული მონათხრობებიდან: „მე შავშელი ვარ. ჩემი წინაპარი შავშეთიდანაა წამოსული. როცა თურქები მიეძალნენ შავშეთს, სამი ძმა გამოქცეულა. ერთი ჩასახლებულა კახეთში, სადაც საკმაოდ ვართ ლეონიძეები, მეორე ჩასახლებულა ოფშკვითში (იმერეთში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელში – ა. ნ.), სადაც ჩვენი გვარი ოცამდე კომლია, მესამე ჩასახლებულა ერგესა და ჯოჭოში, სადაც აგრეთვე ოცდაათამდე კომლია. ასე რომ, მე შავშელი ვარ. ჩემი დები და ძმები ამ ხუთი წლის წინათ კიდევ მოვინახულე ერგესა და ჯოჭოში“ [2. 66].

ან კიდევ: „სოფელ ჯოჭოში სახლიკაცები მყავს – ლეონიძეები... ფესვები სამხრეთ საქართველოში მიდგას – ჩემი წინაპრები შავშელები არიან. ასე რომ, ბათუმში მასპინძელი უფრო ვარ, ვიდრე სტუმარი“ [2. 51].

სამწუხაროდ, თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის პოეტის სიცოცხლეში არსებული არაკეთილმეზობლური ურთიერთობის გამო გ. ლეონიძე ისე გარდაიცვალა, რომ ვერც თავისი წინაპრების უძველესი სამკვიდრებლის მონახულება შეძლო და ვერც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართული ისტორიული ძეგლებისა.

შავშეთიდან მისი გვარის მომდინარეობასთან დაკავშირებით გ. ლეონიძის მიერ გამოთქმული ზემოთ აღნიშნული ინ-

ფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს, ეს ფაქტი პოეტის შვილიშვილმა გიორგი ქავთარაძემ იმითაც დაამტკიცა, რომ 1996 წელს ტაო-კლარჯეთში ყოფნის დროს მას საგანგებოდ მოუძიებია მისი დიდი ბაბუის წინაპართა სოფელი. ართვინსა და ტბეთს შორის მდებარე ამ პატარა სოფელს, სადაც ამჟამად მხოლოდ რამდენიმე კომლი ცხოვრობს, თურქულად ადრე თურმე ნიოლიზე მაჰალესი (თურქულად ნიოლიძეთა, იგივე ლეონიძეთა, უბანი) ერქვა, უკანასკნელ ხანს კი თურქულმა ადმინისტრაციამ მას სახელი შეუცვალა და არდიჩლი მაჰალესი (ღვიის უბანი) დაარქვა. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ და რუსულ რუკებზე ხსენებული სოფელი „ლეონიძისა“ და «ЛИОНИДЗЕ-с» სახელებითაა აღნიშნული [6. 129].

იმის დასტურად, რომ თავისი შორეული წინაპრების სოფელთან დაკავშირებით გ. ლეონიძეს საკმაოდ ბევრი რამ სცოდნია, გ. ქავთარაძე ერთ ასეთ ინფორმაციასაც გვანდის: „ეს ერთი ციცქნა სოფელი (სულ რამდენიმე კომლია) მთაზეა გაშენებული და ნაძვებით და ფიჭვებით არის გარემოცული. მენიშნა: გოგლამ თავისი ეზო წყნეთში სულ ნაძვებითა და ფიჭვებით გაავსო. სტუმრებს უკვირთ ხოლმე, გარეკახელ კაცს ფიჭვები ეგრე რამ შეაყვარაო“ [6. 129].

ისტორიული საქართველოს იმ მხარეს, რომელიც ადრინდელ შუა საუკუნეებში გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსა და კულტურის აკვანს წარმოადგენდა, გ. ლეონიძე ხშირად მესხეთის სახელით მოიხსენიებდა ხოლმე. მიუხედავად იმ დიდი ეროვნული სიხარულისა, რასაც პოეტი ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის ერთი ნაწილის (სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის) დედასამშობლოსთან შემოერთების გამო გამოხატავდა, ხსენებულ თემაზე შექმნილ მის ნაწარმოებებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველი მოძმეების გაუცხოებითა და ჩვენი წინაპრების მიერ იქ შექმნილი ისტორიული ძეგ-

ლების ვერმონახულებით გაჩენილი ეროვნული ტკივილიც მსჭვალავს უმძაფრესი ფორმით.

პირველი ლექსი, რომელშიც გ. ლეონიძის ეროვნული თვალთახედვის არსებითად განმსაზღვრელი ეს ტკივილი წარმოჩინდა, იყო „მესხეთი“ (1946 წ.). ხშირად ძველი მესხეთის სახელით მოხსენიებული ქართული რეგიონების იმ ნაწილს, რომლებიც ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ წიაღს იყო მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის მიერ სამი-ოთხი საუკუნის წინათ მიტაცებული, პოეტი „საქართველოზე მოჭრილ ძუძუს“ უწოდებს და მათი მონატრებითა და ვერნახვით გამოწვეულ ტკივილს ამ სტრიქონებით გამოხატავს [3. 240]:

ისე დაგბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული?
ველარ ვემთხვე მესხეთის მიწას,
სადაც გმინავენ ძველი ლოდები,
სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა
შემოგვცახიან: თქვენ გელოდებით!

ქართველი კაცის ეროვნული გულისთქმის ესოდენი ემოციურობით წარმომჩენი ამ ლექსის შექმნის საფუძვლად არა მარტო ამ მხარის ისტორიული წარსული იქცა, არამედ დედა-სამშობლოსთან მის შემოსაერთებლად იმხანად გატარებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც. გ. ლეონიძის ხაზგასმით, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა დარჩენილ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში მდებარე „დიდი ტაძრები“ კვლავაც „ქართული ოცნებით სუნთქავდნენ“ და იქ მცხოვრებ ჩვენს „დაკარგულ ძმებს“ ხელები აქეთკენ ჰქონდათ საშველად გამოწვდილი.

გ. ლეონიძის მესხური ციკლის ლექსების დაწერის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ ადამიანებისთვის ეროვნულად გამამხნევებელი ხმის მიწვდენის მცდელობაც იყო, სამადლობელი სიტყვის თქმა იმის გამო, რომ, მშობლიური წიაღიდან მრავ-

ვალსაუკუნოვანი მოწყვეტის მიუხედავად, ისინი მაინც ქართველებად რჩებოდნენ.

მაგალითად, 1948 წელს დაწერილ თავის ერთ-ერთ ლექსში „ნუ გაათავრდები“ პოეტმა ამ მიზნით ძალზე ეფექტურად გამოიყენა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან ამოღებული შემდეგი ცნობა: „ნუ გაათავრდები – ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირისა (ეგვიპტე) და შირაზში (ირანი) ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გაათავრდები! და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურყუში, ვითომც უსჯულო ფრინველი“ [3. 249]. ხსენებული ზღაპრული ფრინველისადმი მიმართულ ამ ლექსში საბას მიერ მოწოდებულ ზემოთ დათქმულ ცნობას გ. ლეონიძე მოხერხებულად იყენებს საიმისოდ, დედის „ძუძუს მოსხლეტილ გარექართველებს“ მშობლიური ქართული ენისადმი უღალატობის გრძნობა კიდევ უფრო მეტად რომ განუმტკიცოს და გაუძლიეროს:

შენ დღესაც ისევ თავზე დაჰკენესი
ძუძუს მოსხლეტილ გარექართველებს,
იქ თურქის ბრჭყალში, თათრის ბორკილში,
სადაც მრავალი ცრემლით ათენებს.
თვალით დახვრიტეთ ჭოროხის მხარე,
არ მოგვირჩევა ჩვენ ის ტკივილი,
ვიდრე ლაზისტანს და ფერეიდანს
ისევ მოესმით შენი ყივილი!
იფრინე სულ იქ და იტრიალე,
დაძებნე ჩვენი ძმები და დები,
შენი მკაცრი ხმით ისევ დასძახე:
– ძმანო ქართველნო, ნუ გაათავრდებით!..

ჩვენი ქვეყნის ხსენებული რეგიონების ისტორიული ბედუკულმართობიდან გამომდინარე, აღნიშნული ციკლის ლექსებში გ. ლეონიძემ განსაკუთრებული ყურადღების საგნად სავსებით ბუნებრივად აქცია იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების

ეროვნულ პრობლემათა გამოსატყვა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის შემოქმედებაში ამ თემატიკის ფართოდ დამამკვიდრებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად 1945-1953 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთის მიმართ წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიები იქცა, ეს თემა გ. ლეონიძის შემდგომდროინდელ შემოქმედებაშიც იჭერს საგულისხმო ადგილს. მაგალითად, 1964 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში [3. 399] ხსენებულ რეგიონებთან დაკავშირებული თავისი ეროვნული გულისთვის პოეტმა შემდეგნაირად გამოსატყვა:

ზღვაო, ალელდი და, თუ გიყვარდე,
მამხეფე შხეფი ტრაპიზონისა,
ძმა დამიბრუნე, ძმა მომიყვანე,
ნაცვლად მტაცებელ იაზონისა!

ისტორიული ავბედობის გამო ქართული მხარეების დაკარგვით განპირობებული მძაფრი ეროვნული ტკივილი გ. ლეონიძის მოგონებათა წიგნშიც გამოვლინდა. მხედველობაში მაქვს „ნატვრის ხის“ ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნოველა „ჩორეხი“, რომლის მთავარი პერსონაჟის – მუდამ ჩვენი ქვეყნის წარსული დიდებით მოამაყე და „მამულის სევდით სახეშეკომლილი“ ჩორეხის მიერ პოეტისა და მისი თანატოლები-სათვის მათი ბავშვობისას ნათქვამი შეგონების დაფიქსირებით გ. ლეონიძემ ასეთი ანდერძი დაუტოვა ჩვენს მომავალ თაობებს: „მესხეთი, სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი – აი, საქართველოს ნატამალი! კურთხეული მხარე! არ დაივინყოთ საქართველოს მოჭრილი ძუძუ! ჩვენი აკვანი! ქართული სალამით ამოდის იქ მზე. იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი; იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

„ან მტვრად აღგვილან იგი ძალნი და იგი ღონე!“

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ისტორიულად საქართველოს კუთვნილ ზემოთ ხსენებულ ქართულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემა დღეს წარსულის კუთვნილებას წარ-

მოადგენს და სახელმწიფოებრივ დონეზე ოფიციალურად ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე ჩვენს ქვეყანასა და თურქეთს ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები უკვე აღარ აქვთ.

მაგრამ, ამის მიუხედავად, წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული საკითხისადმი გიორგი ლეონიძის დამოკიდებულება თუ მაინც იქცა სპეციალური მსჯელობის საგნად, მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტის ეროვნული მრწამსის სრულყოფილად შეცნობა და გააზრება მის მიერ ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში გამოხატული ავტორისეული თვალთახედვის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. ალავიძე მ., ლიტერატურული წერილები, ქუთაისი, 1981.
2. ვარშანიძე მ., მე შავშელი ვარ, ბათუმი, 1996.
3. ლეონიძე გ., ლექსები, პოემები, ერთტომეული, თბილისი, 1980.
4. ლეონიძე გ., საქართველოს ცრემლები, ლექსები, პოემები, თბილისი, 2000.
5. სამუშია ჯ., შესავალი წერილი წიგნისა – ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში), მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. სამუშიამ, თბილისი, 2003.
6. ქავთარაძე გ., გოგლა ახლოდან... წელთა სიშორიდან. იხ. წიგნში: გიორგი ლეონიძე (კრებული), შემდგენელი თ. ბარბაქაძე, თბილისი, 2001.
7. ხალვაში ფ., „მესხეთო, ჩემო აჭარა! (მოგონება გ. ლეონიძეზე)“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1970 წ. 3 ივნისი.
8. ხალვაში ფ., გოგლას სუფრა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, №2, ბათუმი, 2000 წ.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Kutaisi Akaki Tsereteli State University

SHAVSHETIAN ROOTS OF GIORGI LEONIDZE

Summary

In the 70s and 80s of the 19th century, Georgian society showed special interest in the Georgian regions that are part of Turkey – Tao-Klarjeti. This event was essentially caused by the fact that a large part of this territory was returned to Georgia temporarily, and a small part permanently, precisely in this period, namely as a result of the Russo-Turkish war of 1877-1878. After the victory in the Second World War, in 1945-1953, the Soviet Union pursued an active diplomatic policy to return the Georgian and Armenian territories that were part of Turkey. It was this circumstance that led to the fact that the mentioned theme appeared with a special force in the Georgian literature of that time. Although Giorgi Leonidze's interest in the theme was determined by the mentioned political events, the establishment of this problem as one of the main themes of his work was also determined by the origin of the poet's ancestors. Therefore, It is impossible to fully understand Giorgi Leonidze's national beliefs without considering the point of view expressed in his works on this topic. The first poem written by Giorgi Leonidze on this topic was "Meskhети" (1946). In it, the poet paid special attention to his origin from Shavsheti. He dedicated the poem "I was among Leonidzes" written in 1959 to the same issue. Here is what the poet himself writes about the issue in the comment attached to the mentioned poem: "Leonidze family comes from Meskhети. Even today, the village Leonidze is at a distance of three to four kilometers from the famous temple of Tbeti. We Leonidzes came from there in the 17th century. Currently, one branch of the Leonidzes lives in Adjara." We find interesting information about the Shavshetian origin of the Leonidze family and the residence of

one of their large branches in Adjara in the letters of Mamia Varshanidze and Pridon Khalvashi, poets from Adjara. Giorgi Kavtaradze, grandson of the poet, also confirms this opinion based on appropriate documents. In 1996, during his stay in Tao-Klarjeti, he specially searched for Giorgi Leonidze's ancestral village. This village, located between Artvini and Tbeti, used to be called Niolize Mahallesi (Leonidze District in Turkish), but recently the Turkish administration changed its name to Ardicli Mahallesi (Juniper District). In relation to all of the above, the fact that the village mentioned on the Georgian and Russian maps of the second half of the 19th century, that was noted by the name of "Leonidze" is also extremely important. Giorgi Leonidze called this side of historical Georgia the cradle of the Georgian state and culture and mentioned it as Meskheti.

ლალი გულედანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანი კვირიკაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი

ისრაელში გამოცემული 70-იანი წლების ქართული დოკუმენტური პროზიდან ერთ-ერთი ნიმუშის დოკუმენტაციის საკითხისათვის¹

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში საუკუნეების მანძილზე მცხოვრები ებრაელობა მასიურად „ადის“ თავის ისტორიულ სამშობლოში ისრაელში. ისინი ისრაელშიც განაგრძობენ ქართულად მეტყველებას და ქართულ ენაზე წერენ წიგნებს, გამოსცემენ პერიოდიკას, სამეცნიერო ლიტერატურასა და ა. შ. ნაშრომის კვლევით ინტერესს წარმოადგენს ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქცია. საგრანტო კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელდა 70-იანი წლებიდან ისრაელში რეპატრირებული ქართველი ებრაელების (და მათი გამომცემლობების) მიერ გამოცემული ბეჭდური მასალების შეგროვება, კატალოგიზაცია, დაარქივება და ლიტერატურულ-ლინგვისტური ანალიზი. აღნიშნული მასალები მოპოვებულია ისრაელში ქართული კულტურის ცენტრებში და ისრაელის სხვადასხვა ქალაქში მდებარე ქართულ-ებრაულ სათვისტომოებში.

მოპოვებული მასალები დახარისხდა საქალაქებში, დალაგდა წიგნების სათაურებისა და ავტორების მიხედვით. შეიქმნა ბიბლიოგრაფიული ნუსხა შემდეგი ქვეკატეგორიებით:

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-21 19474 „ებრაელთა თვალთ დახახული საქართველო: „ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“).

რელიგიურ-თეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, პროზაული, პოეტური, სამეცნიერო, პერიოდული გამოცემები და ა. შ. მასალის მრავალფეროვნება იძლევა მისი ინტერდისციპლინური კვლევის საშუალებას.

აღნიშნულ ბეჭდურ პროდუქციაში ლინგვისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო პერიოდული გამოცემები. 1973 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „ალია“ და ამ გაზეთის მთავარი თემა იყო სიახლეები, მიღწევები ქართულ-ებრაულ თემში, კულტურული ღონისძიებები, ახალი ამბები, მილოცვის ტექსტები, ნეკროლოგები, რეკლამები, საინფორმაციო სახელმძღვანელო ემიგრანტებისთვის (ამ სვეტისთვის ისრაელის აბსორბციის სამინისტროს მიერ გამოცემული კანონები, განცხადებები და ბროშურები ითარგმნებოდა ებრაულიდან ქართულად) და ა. შ. ყველა ეს საგაზეთო მასალა საინტერესო იყო არა მხოლოდ ისრაელის ქართველი ებრაელებისთვის, არამედ საზღვარგარეთ მყოფთათვისაც.

მოპოვებული პერიოდული გამოცემების ლინგვისტური ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართველმა ებრაელებმა ისრაელში ასვლის შემდეგ საქართველოსთან მთლიანად განწყვიტეს კავშირი საბჭოთა სისტემის გამო. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, კონტაქტი ჰქონოდათ საქართველოში დარჩენილ ნათესავებთან, მეზობლებსა და მეგობრებთან. მათ არ ჰქონდათ წვდომა ქართულენოვან საინფორმაციო წყაროებზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათი ქართული მეტყველება დაკონსერვდა ისე, რომ მასზე გავლენა არ მოუხდენია საქართველოში სალიტერატურო ქართულში თუ მის დიალექტებში მიმდინარე პროცესებს. სამაგიეროდ, ისრაელის ებრაელთა ქართული გამდიდრდა ებრაიზმებით. თუმცა არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყო ებრაელთა ქართული მეტყველების ჩამოყალიბებას ისრაელში ასვლამდე (სოციალური, გეოგრაფიული, რელიგიური, ეკონომიკური, გენდერული და სხვ.). ისრაელში ებრაელთა მეტყველების სოციალუ-

რი ფაქტორების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩამოთვლილ „ლინგვისტურ ფაქტორებს შეუძლიათ გააფართოვონ ან შეაფერხონ ენის ფუნქციონალური განვითარება. ენა იცვლება თაობიდან თაობამდე სოციალური ფაქტორების გავლენით. თუ ეს ფაქტორები მუდმივად ნეგატიურია, ენა შეიძლება შეფერხდეს ან საერთოდ შეწყვიტოს არსებობა. ნეგატიური ფაქტორების გაანალიზებით და სამომავლო პერსპექტივის ხედვით ქართული ენა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმძიმეს ვითარებაშია, ვინაიდან ენის მატარებელთა რიცხვი ახალგაზრდა თაობაში კატასტროფულად იკლებს. ენის გადარჩენა მაშინ შეიძლება, თუ აღდგება სოციალურად მნიშვნელოვანი ფუნქციები, თუმცა ასეთი მოლოდინი ისრაელში მყოფი ქართველი ებრაელების მომავალი თაობების ქართულის მიმართ საიმედო განცდას არ იწვევს“ [2. 112-120].

ასე რომ, არსებობს საშიშროება, დაიკარგოს იუდეო-ქართული მეტყველება და ბეჭდური მასალაც, რადგან ახალი თაობა მას აღარ ფლობს. გარდა ამისა, წიგნების ძირითადი ნაწილი, განურჩევლად იმისა, იყო თუ არა ისინი თავისუფალ გაყიდვაში, ან ავტორებთან გასაჩუქრებული, ახლა მხოლოდ კერძო ბიბლიოთეკებშია შენახული და საკმაოდ რთულად მოსაპოვებელია. დღეს ქართულენოვანი გამომცემლები აღარ არსებობენ და მათი არქივებიც დალუქულია. ამიტომ, სანამ ალიას პირველი ტალღის მიგრანტები, თემების ლიდერები, შემოქმედი ადამიანები, რომლებიც აგროვებდნენ და ინახავდნენ ასეთ მასალებს, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, მნიშვნელოვანია ამ მასალების დიგიტალიზაცია და არქივაცია, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს მკვლევართა ფართო წრისთვის (და არა მარტო ქართველი მკვლევარებისთვის). ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ვფიქრობთ, რომ, მასალის უნიკალური ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი არა მხოლოდ არქივაცია, არამედ დოკუმენტირებაც. აქედან გამომდინარე, ისრაელში განვითარების სხვადასხვა ეტაპის იუდეო-ქართუ-

ლის თავისებურებების გამოვლენისა და შესწავლის სრულყოფის მიზნით საინტერესო და აუცილებელი ხდება სხვადასხვა პერიოდის/წლების და სხვადასხვა ჟანრის მასალების დოკუმენტირებით მოპოვებული შედეგების განხილვა.

სტატიაში, როგორც პირველი მცდელობა, პროგრამული უზრუნველყოფის (FieldWorks) გამოყენებით დოკუმენტირებული იქნა „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“ [1]. ეს წარმოები გამოქვეყნდა ქალაქ შლომში ქართველი ებრაელის, დავით ბოთერას (ბოთერაშვილი) მიერ, რომელიც წარმოშობით ახალციხიდანაა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი). აღსანიშნავია, რომ ეს ავტობიოგრაფიული მოთხრობა დაიწერა ავტორის ოჯახის ისრაელში რეპატრიაციის პირველ წლებში. ამიტომ, მწერლის ენაზე გავლენას ახდენს ძირითადად ძველი ებრაული (რელიგიური ტერმინოლოგია, რომლის გამოყენება ყოველთვის დამახასიათებელი იყო ქართველი ებრაელებისთვის). მასალის დოკუმენტირებისას მორფოლოგიური ანოტირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ებრაიზმებს, ებრაულ ძირებსა და ებრაულ გრამატიკულ მარკერებთან ერთად გამოყენებულ ქართულ ენობრივ მარკერებს, დიალექტურ ფორმებსა და რაბათის ებრაელთა საკუთარ სახელებს/გვარებს. თითოეული ზემოხსენებული კატეგორია საილუსტრაციო მასალებთან ერთად წარმოდგენილი იქნება ქვემოთ.

ებრაიზმები

ქართველი ებრაელები ქართულ ენაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ. ებრაულ ენას მხოლოდ რიტუალური რელიგიური ენის ფუნქცია ჰქონდა შენარჩუნებული და დაკარგა ყოველდღიური გამოყენების სასაუბრო ენის ფუნქცია [8. 1-27], თუმცა მათი ქართული ენობრივად განსხვავდებოდა სტანდარტული ქართულისაგან. საქართველოში ყოფნისას ებრაიზმები (ძირითადად ბიბლიიდან მომდინარე ებრაული რელი-

გიური და სადღესასწაულო ტერმინოლოგია) ყოველთვის მათი მეტყველების ნაწილი იყო. ეს ძველი ებრაიზმები (ზოგადად და ამ შერჩეულ საილუსტრაციო ნაშრომშიც) შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად [6. 227-234]:

1. ყოველდღიური გამოყენების ებრაიზმები, რომლებიც დაკავშირებულია ებრაულ დღესასწაულებთან, საკვებთან, ტრადიციებთან (მაგალითად, ქორწილი): თორა, მასა, ფესახი, ხანუქა, ფურიმი/ფურუმი, რაბი, ხახამი, შოხეტი, თალმიდი, შოშბინი, დადიანი, ხათანი, ქეთუბა, ხუფა და სხვა;

2. მხოლოდ ღრმა მორწმუნეებისთვის/რელიგიური ოჯახებისთვის დამახასიათებელი ებრაიზმები. გაანალიზებულ მონაცემებში ამ ტიპის ებრაული სიტყვების აღმოჩენა ადასტურებს ავტორის ოჯახის რელიგიურობის ხარისხს [4. 135-142] და თავად ავტორიც მიუთითებს, რომ მისი დიდი ბაბუა სრულიად საქართველოს ებრაელების მთავარი რაბინი იყო [1. 3]

- სამი და ოთხი **მინიანი** ყოველთვის იკრიბებოდა.
- ხნიერი ხალხი ხახამ იოსკას **დარაშებს** უგდებდა ყურს.
- **მინხისა** და **ყარბითის** ლოცვის შორის შესვენების დროს და სხვ.

საინტერესოა, რომ ქართული ტექსტის რამდენიმე ნაწილში წარმოდგენილია ებრაული წყევლა-კრულვა (ქართული დამწერლობით დაწერილი), რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო, განსაკუთრებით, ქართველი ებრაელი ქალების მეტყველებაში, თუმცა საეჭვოა, რომ თავად ამ სიტყვების მთქმელმა იცოდა გამოყენებული სიტყვების ზუსტი თარგმანი.

- იმახ შემო ვე ბეზიხრო! (ალიგავოს შენი სახელი და ხსოვნა!)
- ხარა ბე შემ სატანი! (წყეული იყოს სატანის სახელით!)

ილუსტრაცია №1. FieldWorks-ში ანოტირებული მასალა, მოფილტრული კატეგორიაზე „ებრაიზმები“ FieldWorks-ის სტატისტიკის მიხედვით, საილუსტრაციო მასალა შეიცავს 10488

სიტყვას/ნიშანს (მათ შორის 5629 უნიკალური სიტყვაა) და მათგან 54 ებრაიზმია (ნაწილი საკმაოდ ხშირად მეორდება).

[illegible]

ასევე ხშირად გამოიყენება ებრაული სიტყვები ქართული გრამატიკული მარკერებით:

დაბეჩავებულნი დაიარებიან ამ ყოლამ-ობაზე („ამქვეყნად/დედამინაზე“, არსებითი სახელიდან **მსო**, რაც ნიშნავს სამყაროს) **და-თელეს-დით** („ნადი, ნადი“, ძირიდან **ღი** ნიშნავს „ნავიდა“) ჯამათო, **ქელებ-ები** მოდიან!

შემდეგ **სა-ხუფა-ო** (საქორწილო) ბეჭედი იცვლებოდა.

სემანტიკური ტრანსფორმაციები:

იუდეო-ქართული ლექსიკა მოიცავს ქართულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც ებრაელები იყენებენ თავისებურად, განსხვავებული მნიშვნელობით ან უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ქართველები [9].

1. ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, აფლათაი როცა **აბძანდა**. აბრძანება – ქართულად ნიშნავს ფეხზე ადგომას ან ზემოთ ასვლას. იუდეურ-ქართულში კი, გარდა ამ მნიშვნელობისა, გარდაცვალებასაც ნიშნავს.

2. უეცარი ქარეთის სიკვდილით **დავალიანდა**. დავალიანება – ქართულში ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც ვალში ყოფნა ვინმესთან, იუდეურ-ქართულში, ამ მნიშვნელობის გარდა, ნიშნავს ასევე დასჯას ან სასჯელის მიღებას.

3. ლოცვაზე შაბათ ხათანს მთელი **ჯამათი** ესწრებოდა – ჯამათი ნასესხებია არაბულიდან და ნიშნავს „ხალხის შეკრებას“, „ხალხს“. იუდეურ-ქართულში, გარდა ამ მნიშვნელობისა, ლოცვისათვის აუცილებელ მამაკაცთა რაოდენობასაც ნიშნავს.

4. რაბათის ებრაელობა ფესახის სამზადისის სამი თვით ადრე იწყებდა, რომელსაც **„ფხეკიკვირები“** ეწოდებოდა. ეს **ტერმინი** სიტყვასიტყვით ნიშნავს კვირას, რომელიც ეძღვნება საფუძვლიან წმენდას/დასუფთავებას. ეს გამოთქმა გამოიყენებოდა პასექის დღესასწაულამდე მოსამზადებელი პერიოდის აღსაწერად.

ქართველი ებრაელების

საკუთარი სახელები და გვარები

ქართველი ებრაელების იდენტობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება იყო მათი გვარები და სახელები, რომლებიც ქმნიან განსაკუთრებულ შრეს ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში და მისი კვლევა შეიძლება იყოს საინტერესო ენობრივი, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და სხვა ასპექტებით.

სტატისტიკის მიხედვით, თუ ქართულ გვარებში დაბოლოება „ძე“ სჭარბობს სხვა დაბოლოებებს, ქართველ ებრაელებთან ყველაზე ხშირად „შილზე“ დაბოლოებული გვარები გვხვდება.


ზოგჯერ საქართველოში ებრაული გვარები განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ხახიაშვილი რაჭულ წარმომავლობაზე მიუთითებდა, ქისაშვილი – ჯავახურზე, მამისთვალოვი – ქართლურზე და ა. შ. [3].

ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ სასტატიო მასალაში მოცემულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ქართველ

ებრაელთა გვარების (დაახლოებით 40) სია და ღირებული ინფორმაცია. ამ გვარებიდან ზოგიერთი (ბოთერაშვილი, გაგულაშვილი, დავარაშვილი, ჩანჩალაშვილი და ა. შ.) საკმაოდ გავრცელებულია და გვხვდება სხვა სამწერლო/საარქივო დოკუმენტებშიც, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ იშვიათია (იეხეზკელაშვილი, ბარდანაშვილი, კაჟილოტი, კობოშვილი და ა. შ. ასეთი ინფორმაცია განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი გვარი დღეს სხვადასხვა მიზეზით აღარ დასტურდება, ძირითადად კი ისრაელში რეპატრიაციის შემდეგ ქართული გვარების შემოკლებისა და ებრაიზაციის პროცესის გამო.

ნაშრომში ასევე მოცემულია ინფორმაცია ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელების სახელების შესახებ. აღნიშნულ ნაშრომში ფორმათა წარმოების თვალსაზრისით შეიმჩნევა, რომ ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითში -ი- ემატება (სიმაი, თამარაი, ნათელაი, ლალოი, სონიკოი...), რაც დადასტურებულია ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ებრაელების სახელებშიც.

ილუსტრაცია №2. FieldWorks-ში ანოტირებული მასალა, მოფილტრული კატეგორიაზე „საკუთარი სახელები“ ისტორიული დოკუმენტების, ლიტერატურული ნაწარმოებების, კვლევითი პროექტების ფარგლებში ჩანერგილი ინტერვიუები ადასტურებს, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ებრაელებს ძირითადად ბიბლიური სახელები, კერძოდ, თორაში მოხსენიებული სახელები ერქვათ. ამასთან დაკავშირებით კ. ლერნერი აღნიშნავს, რომ ქართველ ებრაელებში გავრცელებული სახელების რაოდენობა განსაზღვრულია. ძირითადად აქ ვხვდებით ტრადიციულ ბიბლიურ სახელებს, რომელთა უმეტესობას ქართული დიალექტისთვის დამახასიათებელი „ა“ სუფიქსი ამშვენებს. ამ აღმოჩენის მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენთვის კვლევის თვალსაზრისით საინტერესო ნაშრომშიც: აბნელა, რახელა, იოსკა, აშერა, მორდეხა, არონა, აბრამა, ხაიმა.



ნაშრომში ასევე გვხვდება ბიბლიური სახელები გარკვეული ფონეტიკური გარდასახვით. მაგალითად, თანხმოვანი **ყ**, რომელიც ებრაულად თითქმის არ წარმოითქმის ან ბევრად უფრო რბილად წარმოითქმის, ვიდრე ქართული **ყ**, იუდეურ-ქართულში გამოითქმის ქართული „ყ-ს“ მსგავსად. მაგალითად: ყიმაწუელ, იყეყბეკიელ, იაკაკობი, ყობია, ყეზრაი, შიმყონა [5. 277-281].

დიალექტიზმები

რაც შეეხება გეოგრაფიულ ფაქტორს, იუდეურ-ქართული მეტყველება ყოველთვის იცვლებოდა რეგიონის მიხედვით. სამეგრელოს საზღვრებთან ის განსხვავებულ გავლენებს განიცდიდა, ვიდრე, მაგალითად, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა თუ სხვა რეგიონებში. შესაბამისად, იუდეო-ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო სპეციფიკური ფორმების გარდა, ის იყენებს ადგილობრივ დიალექტურ ფორმებსაც. ეს ენობრივი თავისებურება ჯერ კიდევ შესამჩნევია ისრაელში სალაპარაკო იუდეურ-ქართულ ენაში, რომელშიც ადვილად

შეიძლება ამოიცნოთ რეპატრიანტთა მეტყველების რეგიონალური მრავალფეროვნება [9].

საკუთარი სახელების ზოგიერთი დიალექტური სუფიქსი უკვე განხილულ იქნა. გარდა ამისა, ნაწარმოებში გვხვდება დიალექტური ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა, მაგალითად: ბაბოი, ბაბოჩემი, პაპაი, პაპაჩემი.

უფრო მეტიც, ნაშრომში არის ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ ჯვავახური ლექსიკისთვისაა დამახასიათებელი [7] და შესაძლოა, არ იყოს ცნობილი ქვეყნის სხვა მხარეში მცხოვრები ქართველებისთვისაც კი. მაგალითად:

ზათი (ნაკლი, ხინჯი, ნაკლის მქონე), **ხასი** (რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს კარგს, კეთილს, ძვირფასს, შეუჩვენელს, ასევე, აბრეშუმის ქსოვილს), **ჰალა** (აბა), **ანჯახ** (ძლივს), **ბილა** (მიგებითი ნაწილაკი, იხმარება კი-ს ნაცვლად).

ილუსტრაცია №3. FieldWorks-ში ანოტირებული მასალა, მოფილტრული კატეგორიაზე „დიალექტიზმები“

The screenshot shows the FieldWorks Language Explorer software. The left sidebar has a 'Texts & Words' section with a 'Concordance' sub-section. The main window displays a list of concordance results for the word 'baboi'. The results are organized into a table with columns for 'Ref', 'Text', and 'Word'. The 'Text' column contains various dialectal forms of the word 'baboi' used in different contexts. The 'Word' column shows the word 'baboi' in its base form. The interface also includes a 'Specify Concordance Criteria' dialog box and a 'Concordance Results' table.

დასკვნა

სტატიაში გამოქვეყნებული შედეგები, აღმოჩენები და სა-ილუსტრაციო მასალა არის ისრაელში გამოქვეყნებული ქართული ბეჭდური პროდუქციიდან ერთ-ერთი სასტატიო მასალის (ჟანრობრივად დოკუმენტური პროზის) დოკუმენტირების პირველი მცდელობა, რაც შესაძლებლობას იძლევა, განსახილველ სტატიაში უფრო ნათლად გამოიკვეთოს ამ ჟანრის ნაწარმოებების ენობრივი თავისებურებები, ხოლო FieldWorks პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება შესაძლებელს ხდის მათი სტატისტიკური მონაცემების დაფიქსირებასაც.

როგორც აღინიშნა, ისრაელში არსებობს საშიშროება იუდეო-ქართული მეტყველების გაქრობასთან ერთად, ასევე დაიკარგოს მასზე შექმნილი ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი ბეჭდური პროდუქციაც. მასალების უნიკალური ხასიათიდან გამომდინარე, მათი დაცულობის და სრულყოფილად შესწავლის მიზნით, უდიდეს დატვირთვას იძენს არა მხოლოდ მისი არქივაცია, არამედ დოკუმენტაციაც. ისრაელში გამოცემული ბეჭდური პროდუქციის დიგიტალიზაციითა და დოკუმენტაციით მასალები ხელმისაწვდომი გახდება მკვლევართა უფრო ფართო წრისთვის, წაახალისებს ლინგვისტური ხასიათის კვლევებს და შესაძლებელს გახდის მათ შესწავლას ისტორიული, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და სხვა მრავალი თვალსაზრისითა და ასპექტით.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. ბოთერა დ., ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა, ფრაგმენტები (მომზადდა 1987 წელს ხაიფის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრაზე), ჟურნალი „არავი“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №9, შლომი, 2016.

2. გულედანი ლ., სოციალური ასპექტების ასახვა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2022, გვ. 112-120.
3. გულედანი ლ., ლომთაძე თ., ქართველ ებრაელთა გვარების ტრანსფორმაციისათვის ისრაელში, II საერთაშორისო კონფერენცია „სემიტოლოგიური ძიებანი“, 15-17 ოქტომბერი, თბილისი, 2018..
4. ლომთაძე თ., ქართულ-ებრაული ლექსიკური ურთიერთობისათვის, იკე 42, 135-142, თბილისი, 2014.
5. ლომთაძე თ., გუმბერიძე ს., ქართველ ებრაელთა სახელები, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2-4 ივნისი, 2023, გვ. 277-281.
6. კვირიკაშვილი ა., ჯანჯღავა ც., ებრაიზმები ისრაელში რეპატრირებულ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2-4 ივნისი, 2023, გვ. 227-234.
7. ჯავახური ლექსიკონი/გიორგი ზედგინიძე; რედ. ვლადიმერ ზედგინიძე, თბილისი, 2014.
8. Lomtadze T., Enokh R., Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews (The Jews Living in Georgia), „Journal of Jewish Languages“ 7, 1-27. 2019.
9. Guledani L., Linguistic Peculiarities of Georgian Periodicals Issued in Israel in the 70s, The 6th International Language and Territory Colloquium, 26th to June 30th 2023, Hammamet (Tunisia).

LALI GULEDANI

Iliia State University

ANI KVIRIKASHVILI

University of Georgia

**ON THE ISSUE OF DOCUMENTING ONE OF
THE SAMPLES OF GEORGIAN DOCUMENTARY
PROSE OF THE 70S, PUBLISHED IN ISRAEL ¹**

Summary

In the 1970s, Jewry, who had lived in Georgia for centuries, “moved” en masse to their historical homeland – Israel. Even in Israel, they continue to speak Georgian and write books in Georgian, publish periodicals, scientific literature, etc. Linguistic analysis of printed materials published in Israel shows that repatriated Georgian Jews broke ties with Georgia due to Soviet rule, did not have access to Georgian-language sources of information, therefore their Georgian speech was preserved with features characteristic of their speech in Georgia, although it was enriched with Hebrew words. Interesting are the factors that contributed to the formation of the Georgian speech of Jews before moving to Israel (social, geographical, religious, economic, gender and others). A study of the social factors of Jewish speech in Israel showed that the listed “linguistic factors can enhance or inhibit the functional development of the language. Language changes from generation to generation under the influence of social factors. If these factors are constantly negative, the language may linger or cease to exist altogether. Analyzing the negative factors and looking at the future perspecti-

¹ The work is supported by Rustaveli National Science Foundation (SRNSF). Grant number: FR-21-19474 “Georgia through the Eyes of the Jews – Archiving and Literary Linguistic Analysis of Georgian Printed Products Issued in Israel”.

ve, the Georgian language is in the most difficult situation in the speech of Georgian Jews, since the number of native speakers among the younger generation is catastrophically declining. The language can only be saved if socially important functions are restored, but such an expectation will not lead to a reliable feeling for the Georgian language among future generations of Georgian Jews living in Israel.”

So there is a danger that the Judeo-Georgian speech and printed materials will be lost, because the new generation no longer possesses them. Also, the bulk of books, regardless of whether they were on sale or from the authors, are now stored only in private libraries and are quite difficult to find/access. Today, Georgian-language publishing houses no longer exist, and their archives are also sealed. Therefore, while migrants of the first wave of „aliyah“, public figures, and creators who collected and preserved such materials are alive, it is important to digitize and archive these materials in order to make them accessible to a wide range of researchers (and not just Georgian researchers). For the reasons stated above, we believe that due to the uniqueness of the material, it is important not only to archive it, but also to document it. Therefore, in order to identify and complete the study of Judeo-Georgian characteristics of different stages of Israel’s development, it becomes interesting and necessary to discuss the results obtained from documenting materials from different periods/years and different genres.

The results, conclusions and illustrative material published in the article are the first attempt to document one of the samples (from the genre of documentary prose) from Georgian printed materials published in Israel, which allows us to more clearly outline the linguistic features. Works of this genre are in the article under consideration, and the use of FieldWorks software makes it possible to analyze them and record statistical data. When documenting the material, special attention was paid to Hebrew words, markers of the Georgian language, used along with Hebrew words, dialect forms, and proper names/surnames of the Jews of Rabat. The issues listed as a result of the study are presented along with illustrative materials.

ინბა ზაბახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისრაელის ომების ისტორია – XX საუკუნე

1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია პალესტინის დაყოფისა და ინგლისის სამანდატო ტერიტორიაზე ორი – ებრაული და არაბული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ისრაელის სახელმწიფოს შექმნა 1948 წლის 14 მაისს გამოცხადდა (არაბებმა ვერ გამოიყენეს შანსი და პალესტინის სახელმწიფო არ შეიქმნა). არაბებისთვის მიუღებელ იქნა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და იმავე ღამით დაიწყო პალესტინელებსა და ებრაელებს შორის შეიარაღებული შეტაკება, რომელიც ომში გადაიზარდა. ისრაელი ამისთვის მზად იყო. შეიარაღებისთვის თანხის მოზიდვაში ყველაზე დიდი წვლილი გოლდა მეირმა შეიტანა (ამერიკაში ჩავიდა და 50 მილიონით დაბრუნდა. ჯერ შეუქმნელმა ისრაელმა შეძლო ამ ფულით ისრაელის არმიისთვის იარაღის ყიდვა, რამაც ისრაელი პირველ ომში 5 არაბული ქვეყნის შემოტევისგან გადაარჩინა). ვინაიდან ალასარიდან გამოცხადდა ჯიჰადი (საღვთო ომი), პალესტინა-ისრაელის პირველ ომში ჩაებნენ ეგვიპტე, იორდანია, სირია, ლიბანი და ერაყი – არაბთა ლიგის 20 სახელმწიფოდან ყველაზე აქტიური წევრები [2. 49-51]. 7 ოქტომბერს, როდესაც „ჰამას“-ისრაელის ომი დაიწყო, იყო დიდი საშიშროება, რომ ისლამური ჯიჰადი გამოცხადებულიყო ეგვიპტეში ალასარის მუსლიმანური უნივერსიტეტიდან (ეს უდიდესი ძალაა და გამოცხადების მერე მთელი არაბული მუსლიმანური სამყარო სავალდებულოდ თვლის, რომ ისრაელის წინააღმდეგ ომში ჩაებას) [2. 54-83].

ისრაელმა არანაირი ტერიტორია არ დათმო, არ დაიხია უკან. როგორც ტრანსიორდანის მეფე აბდალაჰი ამბობდა,

თუ არ დავთმეთ და ძმები არ ვიქნებით, მაშინ აღმოსავლეთში მშვიდობა არასდროს იქნებაო. მეც ვიტყოდი, რომ მათ შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გარეშე შეუძლებელი იქნება ცხოვრების გაგრძელება, ებრაელებმა და არაბებმა, როგორც მოძმე ერებმა, ერთად უნდა იცხოვრონ. არაბები დღემდე იმეორებენ: „არა მშვიდობას, არა ისრაელს!“ ისრაელი არც ერთ არაბულ სახელმწიფოს არ უცნია და მისი შექმნისთანავე განაცხადეს, რომ არაბულ სივრცეში სხვა რელიგიისა და მენტალიტეტის სახელმწიფოს არ უნდა ეარსება.

არაბებს მუსლიმანური ჰეგემონია მთელ მსოფლიოში სწავლიათ, ამიტომაც არ ცნობდნენ ისრაელს. როცა ებრაელები კიბუცებს (სასაზღვრო სოფლებს) ქმნიდნენ, ქალსაც და კაცსაც, ქართველების მსგავსად, ცალ ხელში თოფი ეჭირათ, მეორეში კი სამეურნეო იარაღი. პროდუქტებიც მოჰყავდათ და საზღვრის დასაცავად იბრძოდნენ. არაბულ-ებრაული ომი ოფიციალურად 15 მაისს დაიწყო და გაეროს შუამავალი კომისიის მხარდაჭერით 28 ივნისს შეწყდა (რამდენიმე დღით). 3 აპრილს კუნძულ როდოსზე დაიდო ხელშეკრულება ომის დასრულების შესახებ. ისრაელ-არაბების პირველ ომს ებრაელებისთვის ომი დამოუკიდებლობისთვის ჰქვია, ხოლო არაბებისთვის – ნაკბა (კატასტროფა).

ისრაელს 65 ათასი, არაბების 5 ქვეყანას კი 86 500 მეომარი ჰყავდა. არაბულმა ქვეყნებმა ყველა ომი ისრაელის დასამარცხებლად და გასანადგურებლად დაიწყეს და ყველა ომში ისრაელმა გაიმარჯვა. ამაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისრაელის მოტივაცია იყო, ვინაიდან მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი და მისი დამოუკიდებლობის ბედი წყდებოდა. ამ ომში ისრაელმა 4000 სამხედრო და 2000 მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა, რაც იმდროინდელი ისრაელისთვის დიდი ციფრი იყო. მონაცემებზე დაყრდნობით, ისრაელს ეს პირველი ომი 500 მილიონი დაუჯდა, რაც მაშინ უზარმაზარი თანხა იყო. ისრაელს იმხანად მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება სტალინმაც გა-

უწია. როცა გაეროში ისრაელის საკითხი გადიოდა, სხდომებზე დიდი დაპირისპირება იყო: ინგლისმა არ მიიღო მონაწილეობა, ამერიკა კი თავს იკავებდა. ყველაზე აქტიური მხარდამჭერი ისევ სტალინი იყო, რომელიც იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირიდან გასული ებრაელებისგან შექმნილი სახელმწიფო სსრკ-ს სატელიტი გახდებოდა.

ისრაელში ძირითადი შეიარაღება სსრკ-დან წავიდა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის გავლით, სოფელ ოლომოუციდან აწვდიდა. ეს მოვლენა აშშ-ის საელჩომ გააპროტესტა და საბჭოეთმა ტვირთებს წითელი ჯვარი დაუსვა ნიშნად იმისა, თითქოს ეს არა იარაღი, არამედ ჰუმანიტარული დახმარება იყო. სტალინი ასევე წვრთნიდა ებრაელ ოფიცრებს, აწვდიდა თვითმფრინავებს, „მესერშიტებს“. ომში არაბულმა ქვეყნებმა ტერიტორიები დაკარგეს და ისრაელის ტერიტორია 78%-ით გაიზარდა. იორდანias შეხვდა 6 ათასი ჰექტარი (პალესტინის მთელი დასავლეთი სანაპირო მიიერთა), ხოლო ლაზის სექტორი ეგვიპტის ხელში გადავიდა. ეს ომი ყველაზე დამანგრეველი იორდანiasთვის იყო, ვინაიდან ამის შემდეგ პალესტინელი არაბები დამარცხებულ არმიებს გაჰყვნენ, 800-900 ათასი ლტოლვილი იორდანias მიაწყდა (ლაზის სექტორში ტერაქტებს სწორედ მათი შთამომავლები აწყობენ). პალესტინელებს არაბული სახელმწიფოები დიდი სიხარულით არასდროს იღებდნენ, ახლაც, მიმდინარე ომის დროსაც, არაბულმა ქვეყნებმა გზა არ გაუხსნეს პალესტინელ ლტოლვილებს. პირველი ომის შემდეგაც ლტოლვილები ძირითადად იორდანias დააწვა მხრებზე.

იმხანად იორდანია ახალი შექმნილი იყო, საკუთარი ეკონომიკა ისედაც არ ჰქონდა მოძლიერებული და ამის შემდეგ საერთოდ ჩამოეშალა. პალესტინელმა არაბებმა 2,5 მილიარდი დახარჯეს, მაგრამ მაინც ტრაგიკულად დაამთავრეს ომი – ისრაელმა გაიფართოვა თავისი ტერიტორია და ომს ემსხვერპლა პალესტინის სახელმწიფოს იდეა, რომელიც, გაეროს რეზოლუციის თანახმად, ამ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო.

პალესტინელებს ჰყავდათ დიდი მუფტი, ამინ ალ ჰუსეინი – უმაღლესი რელიგიური ლიდერი, რომელმაც უარყოფითი როლი შეასრულა ისრაელ-არაბული ქვეყნების ურთიერთობაში და გარკვეულწილად, მასაც აბრალებენ, რომ პალესტინის სახელმწიფო არ შეიქმნა. მას სურდა, მთელი მუსლიმანური სამყაროს რელიგიური მუფტი ყოფილიყო. ალ ჰუსეინი ებრაელების სიძულვილით ნაცისტ ადოლფ ეიხმანთან თანამშრომლობდა (რომელიც ჰოლოკოსტის დროს ებრაელთა მასობრივ დეპორტაციასა და მკვლელობას აკონტროლებდა), 3500 ებრაელი ბავშვი გაგზავნა ოსვენციმში. მას დაუსწრებლად მიუსაჯეს ჩამოხრჩობა. ალ ჰუსეინის ძმისშვილია იასირ არაფატი (პალესტინის ეროვნული მთავრობის პრეზიდენტი). პირველ ომს შედეგად კიდევ ის მოჰყვა, რომ 1949 წელს ინგლისმა ცნო ისრაელი, სამაგიეროდ, ინგლისის თხოვნით ამერიკამ ცნო იორდანია.

ექსდლიანი ომი

მეორე ომად არ იხსენიებენ, თუმცა მანამდე, 1956 წელს, იყო სუეცის კრიზისი (ომი ეგვიპტის ტერიტორიაზე – ეგვიპტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ისრაელი. მათი მიზანი იყო კონტროლის აღდგენა სუეცის არხზე, რომლის ნაციონალიზაციაც ეგვიპტემ მოახდინა და რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიად გადაიქცა. სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებიდან მისი გავლით ხდებოდა ნავთობის მიწოდება) [6. 681-682].

1967 წლის ექსდლიანი ომი (5-10 ივნისი) გარდამტეხი აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სადაც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ნავთობი და პოლიტიკა, წყალი და პოლიტიკა. ისრაელ-პალესტინის ურთიერთობაშიც წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ისრაელს სულ იმის შიში აქვს, თუ პალესტინის სახელმწიფო შეიქმნება, ის გააკონტროლებს ტიბერია-

დის (კინერეთის) ტბას ჩრდილო-აღმოსავლეთ ისრაელში, საიდანაც წყალს იღებენ. არაბებისთვის პირველ ომში მარცხი სამარცხვინო იყო და ამის გამო თაობები ებრაელების სიძულვილით იზრდებოდნენ. დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ არაბებმა პირველ ომში დამარცხებისთანავე დაიწყეს მზადება ექვსდღიანი ომისთვის. ამ ომმა აღმოსავლეთში მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური ბალანსი შეცვალა და მსოფლიო პოლიტიკაზეც დიდი გავლენა მოახდინა. ომი ეგვიპტის ინიციატივით დაიწყო. ისრაელმა იცოდა, თავდასხმა რომ მზადდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ისრაელი პატარა ქვეყანაა და თავდაცვითი ომი მისთვის ძალზე წამგებიანია (მით უმეტეს, როცა გოლანის სიმაღლეებსა და სინაის სხვა აკონტროლებდა), ისრაელის დამარცხება ადვილი იყო, ამიტომ მან გადაწყვიტა ეგვიპტისთვის დაესწრო და 5 ივნისის დილას დაიწყო საჰაერო დარტყმები ეგვიპტის აეროდრომებზე. ეს იყო სტრატეგიული გათვლა, ვინაიდან ისრაელს თავისი ტერიტორია თავდაცვის საშუალებას არ მისცემდა. მოგვიანებით ომში იორდანია, სირია და ერაყიც ჩაერთვნენ [1. 333-335].

ეგვიპტე მაშინ სსრკ-დან მიწოდებული თვითმფრინავებით იყო შეიარაღებული (სსრკ პირველ ომში ისრაელს, ხოლო მეორეში ეგვიპტეს ეხმარებოდა). სსრკ-ისრაელის ურთიერთობა სუეცის კრიზისის დროს შეიცვალა და ექვსდღიან ომში საბჭოთა კავშირმა ეგვიპტეს დაუჭირა მხარი. მეტიც, ამ ომის შემდეგ სსრკ-ში დაიწყო ანტიისრაელური პოლიტიკა. ომში ისრაელმა სსრკ-დან მიწოდებული ეგვიპტის 400 თვითმფრინავი აუფრენლად გაანადგურა. ეს იყო უდიდესი დარტყმა. ეს ომი არაბებისთვის მორალურად გამანადგურებელი იყო, ისრაელისთვის კი – უდიდესი სამხედრო წარმატება. შემდგომ ეს ომი სამხედრო სახელმძღვანელოებში შეიტანეს და ერთ-ერთ სტრატეგიად ისრაელის თავდასხმა მიიჩნიეს. მეორე ომი ისევ ისრაელის ტერიტორიის გაზრდით დასრულდა, ისრაელმა დაიკავა გოლანის მაღლობები, რომელიც მანამდე სირიის შემადგენლობაში შედიოდა,

მაგრამ ახალი ტერიტორიის მიერთებას ისრაელისთვის პრობლემებიც მოჰქონდა, ერთ-ერთი იყო ბალანსი – ისრაელი არაბების რაოდენობის გაზრდას ყოველთვის ერიდებოდა, რათა მათ ებრაული მოსახლეობა რიცხობრივად არ გადაეფარა. 1967 წლის ომში გამარჯვებას ისრაელისთვის არც მშვიდობა მოუტანია, არც უსაფრთხოება, პირიქით, მეტი და მეტი პრობლემა შეექმნა, თუმცა მას ლაზის სექტორის ოფიციალური ოკუპაცია არ მოუხდენია და არც ისრაელის იურისდიქცია გაუვრცელებია პალესტინელ არაბებზე. 1967 წლის ომის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ქვეყანამ დაიბრუნა იერუსალიმი და ისრაელი 19 წლის შემდეგ გაერთიანდა.

იერუსალიმის საკითხი ერთ-ერთ გადაუჭრელ საკითხთაგანია – პალესტინელებს სურთ აღმოსავლეთი იერუსალიმი, სადაც მდებარეობს მუსლიმანების, ებრაელებისა და ქრისტიანების წმინდა ადგილები, მათი სახელმწიფოს დედაქალაქი გახდეს. ისრაელი აცხადებს, რომ იერუსალიმი უნდა დარჩეს მის „განუყოფელ და მარადიულ დედაქალაქად“. ისრაელის პრეტენზია აღმოსავლეთ იერუსალიმზე არ არის საერთაშორისოდ აღიარებული [4. 49]. აშშ-ის პრეზიდენტობის დროს დონალდ ტრამპმა იერუსალიმი (იურისდიქციის დაუკონკრეტებლად) ისრაელის დედაქალაქად აღიარა და 2018 წელს იქ აშშ-ის საელჩო გადაიტანა (იყო მოწოდებები სხვა ქვეყნებისადმი, რომ მათაც აშშ-ისთვის მიებაძათ. ვფიქრობ, იმხანად საქართველომ გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა ამ საკითხზე ნეიტრალური პოზიცია დაიკავა მუსლიმანური სამეზობლოს გათვალისწინებით) [7. 186].

იომ-ქიფური და არაბების „სამი არას“ პრინციპი

ექვსდღიანი ომის შემდეგ ხარტუმში მომრიგებლური კონფერენცია გაიმართა და არაბულმა ქვეყნებმა, ისევე, როგორც 1948 წელს, ახლაც უარი თქვეს ისრაელის სახელმწიფოს შექ-

მნასა და მორიგების შესაძლებლობაზე. ცნობილია არაბული მხარის „სამი არა“: „არა ისრაელის ცნობას“; „არა მოლაპარაკებას“; „არა მშვიდობას ისრაელთან“. ეს „სამი არას“ პრინციპი ყოველთვის არაბულ მხარეს ლუბავდა. 1967 წლის ომში დამარცხების შემდეგ, ეგვიპტე საბოლოოდ ჩამოშორდა სსრკ-ს და გეზი აშშ-ისკენ აიღო. იომ-ქიფურის ომის შემდეგ ამერიკა ეგვიპტეს, ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების სანაცვლოდ, წელიწადში 2 მილიარდს უხდიდა, რის ხარჯზეც მათ ქვეყანა ფეხზე დააყენეს. მანამდე ეგვიპტემ სსრკ-ც კარგად გამოიყენა – ეგვიპტე-სირია ძირითადად სსრკ-ის აშენებული იყო. ამაში ქართველ ინჟინრებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი – ხიდები, გზები და გვირაბები მათი დაპროექტებულია, იქ ყველაფერი სსრკ-ის აშენებულია და ამიტომაც იყო საბჭოთა კავშირისთვის დიდი დარტყმა ეგვიპტის ზურგშექცევა და ისრაელივით ამერიკული პოლიტიკის გატარება [1. 338-340].

ისრაელსა და ეგვიპტეს შორის (როგორც ყველაზე დიდ არაბულ ქვეყანასთან) სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა და ექვსდღიან ომში მარცხიდან გამომდინარე, არაბულ ქვეყნებში კიდევ უფრო გამწვავდა შურისძიების რევანშის განცდა. საქმე 1973 წლის იომ-ქიფურის, არაბეთ-ისრაელის ომამდეც მივიდა (ისრაელსა და ეგვიპტე-სირიის კოალიციას შორის). ამა წლის 7 ოქტომბერს „ჰამასმა“ ამ ომის 50-ე წლისთავს მიუძღვნა ისრაელზე თავდასხმა. მიკვირს, რატომ გამოეპარა ეს თარიღი ისრაელს, იქიდან გამომდინარე, რომ მოულოდნელობის ეფექტი, რაც ამ შემთხვევაში იყო, არაბებმა ისრაელისგან გადაიღეს. ომი 6 ოქტომბერს, ებრაელებისთვის უდიდესი რელიგიური დღესასწაულის – განკითხვის დღეს დაიწყო, როდესაც ებრაელები ინანიებენ ცოდვებს, უქმეა და ჯარის ნაწილი სახლებში იყო წასული, ნაწილი კი ლოცულობდა [7. 589]. ეგვიპტის არმიამ სუეცის არხი გადალახა და ისრაელს მოულოდნელად დაესხა თავს, სირიამ ხმელეთიდან შეუტია ტანკებით. ეს სპეცოპერაცია გოლანის სიმაღლეების დასაბრუნებ-

ლად დაიწყო. გოლანი მნიშვნელოვანი წერტილია ახლო აღმოსავლეთში, იქიდან მთელი აღმოსავლეთი ჩანს და ვინც მას აკონტროლებს, ახლო აღმოსავლეთში სამხედრო უპირატესობასაც ის ფლობს.

ისრაელს გონზე მოსვლა ძვირი დაუჯდა, თუმცა გოლანიც თავიდან დაიკავა, სუეცის არხს აფრიკის მხრიდან შეუტია და ეგვიპტის დივიზიების ბლოკირება მოახდინა, რომლებიც სინაის ნახევარკუნძულზე იყვნენ გამაგრებული. არაბებმა ამდენი ომისა და ტერაქტების შემდეგ ამ ომში პირველად ნახეს გაქცეული ებრაელი ჯარისკაცები. მორალურად ეს დიდი მარცხი იყო ისრაელისთვის, მაგრამ არაბებმა თავიანთ დიდ გამარჯვებად ჩათვალეს. ეგვიპტეში ამ ომში „გამარჯვებას“ მუზეუმიც კი მიუძღვნეს. ომში ისრაელმა გაიმარჯვა, მაგრამ დღემდე ორივე მხარე თვლის თავს გამარჯვებულად.

ეგვიპტის მესამე პრეზიდენტი ანვარ ალ სადათი ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ეგვიპტის ისტორიაში. მან ჩათვალა, რომ იომ-ქიფურის ომში გამარჯვებულია და 1977 წელს ამერიკის შუამავლობით იერუსალიმში პირისპირ შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ მენაჰემ ბეგინს [7. 587]. ზუსტად ამ ნაბიჯის გამო არაბებმა სადათი მოლაღატედ შერაცხეს და მალევე ალლუმზე მოკლეს. 1978 წლიდან უკვე პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა დაიწყო ისრაელსა და ეგვიპტეს შორის შუამავლობის როლის შესრულება და 1978 წელს ამ ქვეყნების ლიდერები კემპ-დევიდში ზავზე შეთანხმდნენ. ამ ხელშეკრულებისთვის მენაჰემ ბეგინი და ანვარ სადათი 1978 წელს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები გახდნენ [6. 676-677].

უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან – იერუსალიმის საკითხსაც. ისრაელმა 1990 წელს საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა (ამერიკამაც იგივე გააკეთა), რასაც პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა „საუკუნის სილის განვნა“ უწოდა. ამერიკა სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებდა საელჩოების იერუსალიმში გადატანას, საქართველოშიც იყო ეს მო-

ნოდებები, მაგრამ საქართველომ უგონიერესი ნაბიჯები გადადგა, ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რადგან მეზობლად მუსლიმანური ქვეყნები ჰყავს და არ აქვს სერიოზული შეცდომების დაშვების ფუფუნება. გაეროს რეზოლუციითაც იერუსალიმი უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად ნეიტრალური, რაც ბევრ პრობლემას აგვარიდებდა.

მინა მშვიდობის სანაცვლოდ

ისრაელისთვის მნიშვნელოვანი დიპლომატიური მიღწევა იყო ის, რომ უდიდესმა არაბულმა ქვეყანამ ოფიციალურად ცნო ისრაელის სახელმწიფო და მასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა, მოხდა საელჩოების გაცვლა და დაიწყო ისრაელის სტრატეგიული პარტნიორობა ეგვიპტესთან. ახლაც, 2023 წლის „ჰამას“-ისრაელის ომში, ეგვიპტეს არ დაურღვევია სამშვიდობო ხელშეკრულება. ისრაელთან ომში ის არც ჩაერთვებოდა. ეგვიპტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სინაის ნახევარკუნძული და ნავთობსარეწები იყო და მოლაპარაკებების შედეგად ისრაელმა ეგვიპტეს ისინი დაუბრუნა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ამერიკის საგარეო დახმარება – როგორც ვახსენე, ამერიკა ეგვიპტეს 2 მილიარდს აძლევდა წელიწადში და შექმნა თანამედროვე არმია, ააშენა ინფრასტრუქტურა, ბიუჯეტი შეავსო და სხვა. ისრაელ-ამერიკის დახმარებამ ეგვიპტეს შესაძლებლობა მისცა, რომ სსრკ-ის გავლენის სფეროდან გამოსულიყო.

სწორედ ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების გამო მოკლეს ჯერ იორდანის მეფე, 1981 წელს კი ეგვიპტის პრეზიდენტი სადათიც ამ იდეას შეენირა. სადათი ძალზე პომპეზური პრეზიდენტი იყო, სწავლობდა საფრანგეთში, პარიზში იკერავდა პიჯაკებს და, როგორც ამბობენ, გალანტური მამაკაცი ყოფილა. მან წინასწარ იცოდა დაგეგმილი მკვლელობის შესახებ, მაგრამ ალლუმზე ჯავშანწილეთიც არ ჩაუცვამს. სადათი აც-

ნობიერებდა, რომ ისრაელთან მშვიდობა ამისთვის ღირდა და თვლიდა, რომ თავისი ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯი გადადგა. ალლუმზე დაიჭრა მის გვერდით მდგომი ახალგაზრდა ოფიცერი ჰოსნი მუბარაქი – ეგვიპტის მომდევნო პრეზიდენტი. ახლო აღმოსავლეთში სადათმა მშვიდობის დამყარების პრეცედენტი შექმნა უკვე ახალი ფორმულით – „მინა მშვიდობის სანაცვლოდ“ (არაბული სამყაროს „სამი არას“ ნაცვლად).

„გოლდა – ერთადერთი მამაკაცი მთავრობაში“

იომ-ქიფურის ომის შემდეგ, 50 წლის განმავლობაში, ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის „ცივი ომი“ გრძელდება. 2018 წელს იყო 10-დღიანი თავდასხმა, რომელიც ისრაელის გამარჯვებით დასრულდა. ისრაელი „რკინის გუმბათის“ მეშვეობით იგერიებდა პალესტინიდან სარაკეტო თავდასხმებს, რაც ამერიკის მოწოდებით შეწყდა. ცეცხლის შეწყვეტის შუამავალი იყო ეგვიპტეც.

ტრამპის პროისრაელური აქტიური პოლიტიკის შემდეგ წარმოდგენილი იყო 2023-ში ომის გაჩაღება, რადგან აშშ აქტიურ სამშვიდობო პოლიტიკას აწარმოებდა ისრაელის სასარგებლოდ. 20 სექტემბერს ბაიდენი პრემიერ ნეთანიაჰუს შეხვდა, იყო საუბარი საბოლოო სამშვიდობო ურთიერთობებზე, თუმცა „ჰამასმა“ დაასწრო და იომ-ქიფურის 50-ე წლის იუბილზე, 7 ოქტომბერს, განკითხვის დღეს, თავს დაესხა ისრაელს. პალესტინას ისრაელი ყველანაირად ეხმარებოდა და როგორც აღმოჩნდა, „ჰამასმა“ ეს შეიარაღებასა და ომისთვის მზადებას, თაობების შაჰიდებად გაზრდას მოახმარა. ისრაელი შიშობს, როდესაც პალესტინელები შექმნიან სახელმწიფოს, დასავლეთის სანაპირო წყლებს მხოლოდ თავისთვის გამოიყენებენ. არადა, შესაძლოა, ისრაელის 3 მილიონი მოსახლე წყლის გარეშე დარჩეს, ამიტომ მოითხოვს, რომ სამშვიდობო

ხელშეკრულებებში ოფიციალურად ჩაიდოს წყლის საკითხი, მისი ათვისების საერთო კონცეფცია ორივე მხარისთვის.

ახლახან 100 წლის ასაკში გარდაიცვალა დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ჰენრი კისინჯერი. მე-20 საუკუნის პოლიტიკას, ფაქტობრივად, ის განსაზღვრავდა. რადგან კისინჯერი ებრაელი იყო, მას ისრაელის მაშინდელმა პრემიერმა გოლდა მეირმა თხოვნით მიმართა, რომ ამერიკული პოლიტიკის პრიორიტეტად ისრაელი გამოეცხადებინა. გოლდამ კისინჯერს ოფიციალური წერილით მიმართა და პასუხიც მიიღო, სადაც კისინჯერი წერდა: „პირველ რიგში, მე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ, მეორე რიგში – ქვეყნის სახელმწიფო მდივანი, მესამე რიგში – ებრაელი“. უგამჭრიახესი გოლდას პასუხი კი ასეთი იყო: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ისრაელში მარჯვნიდან მარცხნივ ვკითხულობთ“.

გოლდას პრემიერობისას, 1972 წელს, მიუნხენში, ოლიმპიური თამაშების დროს პალესტინელმა ტერორისტებმა „შავი სექტემბერი“ მოაწყვეს და ისრაელის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელები ამოხოცეს. გოლდა შეუპოვარი იყო ტერორისტებთან ბრძოლაში სპეცრაზმმა ტერაქტის აბსოლუტურად ყველა მონაწილე იპოვა და გაუსწორდა. გოლდას მაინც მთელი ცხოვრება დანაშაულის გრძნობა აწუხებდა. ტერაქტების შედეგად ისრაელში ათასობით ებრაელია დაღუპული, ასევე, არაბების მხარესაც, ვინაიდან მსგავსი ფაქტები ისრაელის უპასუხოდ არასდროს რჩება.

გოლდა გვარად მამოვიჩი იყო, იურიდიულ სახელად მეირი ბენ გურიონის თხოვნით მიიღო. მეირი მანათობელს ნიშნავს და აშკარაა, ბენ გურიონმა კარგად შეაფასა მისი როლი ისრაელის სახელმწიფოს წინაშე. სწორედ ბენ გურიონმა თქვა: „როდესაც დაიწერება ისრაელის ისტორია, იქ დაიწერება ისტორია ერთი ქალისა, რომელმაც სახელმწიფოს შექმნაში უდიდესი როლი ითამაშა“. გოლდა მეირი სიცოცხლის რისკის ფასად მართავდა მოლაპარაკებას ტრანსიორდანიის მეფე აბდალაჰთან, რომელ-

საც კატეგორიულად არწმუნებდა, რომ ისრაელის სახელმწიფო აუცილებლად შეიქმნებოდა. გოლდა მეირის სიძლიერის გამო ისრაელში ასეთი გამოთქმაც იყო: „გოლდა – ერთადერთი მამაკაცი მთავრობაში“, რაც მის მოღვაწეობას შესანიშნავად აფასებს. გოლდა მეირი, მართლაც რკინის ლედი, 1978 წელს გარდაიცვალა. მისივე სიტყვებია და სწორი პოზიცია, რომ მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გექნება, ძლიერი თუ იქნები, სუსტთან არავის უნდა მშვიდობიანი ურთიერთობა – ის მუდამ ამ ხაზს ატარებდა და ისრაელის გაძლიერებისთვის ყველაფერს აკეთებდა [7. 62-65].

დასკვნა

ისრაელის ოფიციალური პოზიცია ასეთია – სანამ „ჰამასი“ არ განადგურდება, ის ბრძოლას არ შეწყვეტს, ამის გარეშე მშვიდობა შეუძლებელია. „ჰამასის“ არჩევა პალესტინელების შეცდომა იყო, თუმცა ბევრი ექსპერტი თვლის, რომ „ჰამასი“ ერთადერთი ხსნა იყო პალესტინელი ხალხისთვის [8. 59]. დღეს ღაზის სექტორში უფრო მეტი დაღუპულია, მაგრამ ამ შემთხვევაში თავდაცვის ტაქტიკას, რაც ისრაელმა გამოიყენა, გამართლება აქვს. „ჰამასი“ ფარად ქალებსა და ბავშვებს იყენებს, რაც სამწუხაროა და რაზეც ბევრი აპელირებს, მაგრამ ტერორისტებმა ებრაელებს თავები რომ დააჭრეს, მიძევლები გაიტაცეს, ეს რატომღაც ყველას დაავიწყდა. ისიც დაავიწყდათ, რომ ომი ისრაელს არ დაუწყია.

შეგვიძლია ისევ მეფე აბდალაჰის სიტყვებით დავასრულოთ: „გარდაუვალია მშვიდობა ისრაელსა და ღაზის არაბებს შორის. ოდესღაც უნდა დასრულდეს ეს კონფლიქტი, რომელიც არა მარტო ახლო აღმოსავლეთს უქმნის პრობლემას“. 21-ე საუკუნეში გადმოვედით, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის თითქოს დათბა ურთიერთობა და, სამწუხაროდ, წლების მცდელობა მაინც კვლავ ომით დასრულდა. პალესტინელები აუცი-

ლებლად მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ისრაელთან თანამშრომლობა და ურთიერთობა გარდაუვალია, მშვიდობა არა მარტო ისრაელისთვის, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელი არაბული სამყაროსთვის.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003.
2. ზაბახიძე ი., ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, პალესტინის კრიზისი 1947-1949 წლებში და იორდანის პოზიცია, თბილისი, 2023.
3. ზაბახიძე ი., „გოლდა მეირისა და იორდანის მეფე აბდალასის საიდუმლო მოლაპარაკებები ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინ“, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXII, თბილისი, 2018, გვ. 62-65.
4. ზაბახიძე ი., „იერუსალიმის საკითხი პალესტინის პირველი (1947-1949) ომის შემდეგ“, კრებული აღმოსავლეთი და კავკასია 4, თბილისი, 2006, გვ. 49-57.
5. კისინჯერი ჰ., მსოფლიო წესრიგი, თბილისი, 2020.
6. კისინჯერი ჰ., დიპლომატია, თბილისი, 2021.
7. ჯენტელსონი ბ., ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 2015.
8. Freedman O. R., Israel and the United States Six Decades of US-Israeli Relations Westview Press, 2012.
9. “Israel strikes Gaza after rocket attack as Jerusalem tensions soar”, Retrieved May 19, from [Israel strikes Gaza after rocket attack as Jerusalem tensions soar | Israel | The Guardian](#)

INGA ZABAKHIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

HISTORY OF ISRAEL'S WARS – 20TH CENTURY

Summary

On November 29, 1947, the UN General Assembly adopted a resolution on the partition of Palestine and the creation of two Jewish and Arab states in the British mandate. The creation of the State of Israel was announced on May 14, 1948 (the Arabs failed to take advantage of the opportunity and the State of Palestine was not created). The creation of the state of Israel was unacceptable to the Arabs, and on the same night, an armed conflict between the Palestinians and the Jews began, which turned into a war. The first Israel-Arab war ended with Israel's victory, because the issue of Israel's presence or absence was decided.

It is not called the second war, although before that, in 1956, there was the Suez crisis (a war on the territory of Egypt – France, Great Britain and Israel were against Egypt. Their goal was to regain control over the Suez Canal, which was nationalized by Egypt and which became the most important transport route after the Second World War. It turned into an artery through which oil was supplied from the countries of the Persian Gulf region.

The Six Day War of 1967 (June 5-10) turned out to be a turning point in the Middle East region, where oil and politics, water and politics are intertwined. With the great support of the USA, this war also ended with the victory of Israel, although the victory in this war did not bring either peace or security. The most important result of the 1967 war was that Jerusalem was reunited after 19 years.

After the 6-day war, a conciliation conference was held in Khartoum, and the Arab countries, just like in 1948, refused the possibility of establishing and reconciling the state of Israel. The "three no's" of the Arab side are known: "No to Israel"; "No negotiation"; "No peace with Israel". This principle of "three nos" always killed the Arab side.

A peace treaty was signed between Israel and Egypt (as the largest Arab country), and due to the defeat in the 6-day war, the feeling of revenge in the Arab countries intensified, which led to the 1973 Oim-Kifur, Arab-Israeli war. Both sides considered themselves winners in this war.

On October 7 last year, Hamas dedicated an attack on Israel to the 50th anniversary of Yom Kippur. The third president of Egypt, Anwar al-Sadat, was a very important figure in the history of Egypt. He considered himself the winner of the Yom Kippur war, and in 1977, through the mediation of America, he met face-to-face with the Prime Minister of Israel, Menachem Begin, in Jerusalem. It was precisely because of this move that the Arabs called Sadat a traitor and soon killed him in a parade. Since 1978, President Jimmy Carter began to act as a mediator between Israel and Egypt, and in 1978, the leaders of these countries agreed on a truce at Camp David. Menachem Begin and Anwar Sadat won the Nobel Peace Prize in 1978 for this treaty.

We must also touch upon one important issue of Jerusalem - Israel moved its embassy from Tel Aviv to Jerusalem in 1990 (the United States did the same), which Palestinian President Mahmoud Abbas called "the slander of the century". America called other countries to move their embassies to Jerusalem, Georgia also had these calls, but Georgia took unwise steps and took a neutral position. We have Muslim countries as neighbors, and Georgia does not have the luxury of making such serious mistakes. According to the UN resolution, Jerusalem should have been absolutely neutral, which would have avoided many problems.

King Abdullah said: "Peace between Israel and the Arabs of Gaza is inevitable. This conflict, which is not only a problem for the Middle East, must end someday." We moved into the 21st century, relations between Israel and the Arab countries seem to have warmed up, and unfortunately, years of efforts still ended in war. The Palestinians will surely come to the conclusion that cooperation and relations with Israel are inevitable, that peace is vital not only for Israel, but for the entire Arab world.

ხატია ცაცხლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი ებრაელები და მათი ეთნოგრაფიული მახასიათებლები ოჯახის მაგალითზე

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და იავარქმნას უკავშირებს (ძვ. წ. 586). იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელებს მცხეთამდე მისი მამასახლისისგან ხარკით მიწები აუღიათ და დედაქალაქის გარეუბანში დასახლებულან. „მოქცევაჲ ქართლისაჲზე“ დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ებრაელთა გარკვეული ნაწილი ძვ. წ. 169 წელს მცხეთის გარდა ურბნისსა და ბოდბეშიც გამოჩენილა, VI საუკუნიდან კი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც შემოვიდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ებრაელებით დასახლებულ ნაწილს მცხეთაში „უბანი ჰურიათა“ ეწოდებოდა, სადაც თავიანთი რელიგიური ცენტრები, ე. წ. „ბაგინი ჰურიათა“ ანუ ბეით-ქნესეთები, სინაგოგებიც ჰქონდათ.

მეცნიერთა კვლევები და მემატრიანეები განსაკუთრებულად მიუთითებენ იმაზეც, რომ საქართველოს მოსახლეობაში თანაბარი უფლებებით განვითარებულ ექვს ენას შორის ებრაული ენაც იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს ებრაელობამ ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. თბილისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი.

საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. სიმბოლურად იგი ორი ერის შვილია. ის ამუშავებს ქართულ მიწას, აშენებს ქართულ სახლს,

ქართულად მეტყველებს და, ამავედროულად, მტკიცედ იცავს საკუთარი რელიგიური ცხოვრების წესს. ბატონყმური ურთიერთობებიდან თავისუფალ მდგომარეობაზე გადასვლამ და ურბანიზაციის პროცესმა კი საბოლოოდ ჩამოაყალიბა ქართული ებრაული თემის სტრუქტურა. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს დასახლების გარკვეული ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობაც შეესაბამებოდა.

სოციალური ურთიერთობებიდან და ყოფა-ცხოვრებიდან კი უნდა გამოვყოთ ქართველ ებრაელთა ოჯახები.

საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურაზე. ებრაული თემის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მორალურად და ეკონომიკურად ძლიერი და გამართული ოჯახის არსებობა. ებრაულ ოჯახში, როგორც ოჯახის წევრთა საქმიანობაში, ტრადიციის ძალით მკაცრად იყო დაცული ასაკობრივ-სქესობრივი სეგრეგაცია.

ყოველგვარი საქმიანობა ტრადიციის ძალით ქალსა და მამაკაცს შორის მტკიცედ იყო გამიჯნული [2.50].

ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი, როგორც ყოველგვარი საკაცო საქმიანობის წარმმართველი და განმანაწილებელი, გარე ურთიერთობის მომწესრიგებელი, ოჯახის ქონების განმანაწილებელი და საოჯახო საქმეებში რჩევა-დარიგების მიმცემი.

მამაკაცის ძირითად საქმიანობას ხენა-თესვა, მკა, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელოსნობა, აღებ-მიცემობა, მევენახეობა წარმოადგენდა. სამამაკაცო საქმეს ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელმძღვანელობდა, რომელიც, იმავედროულად, მთელი ოჯახის უფროსად ითვლებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო ვაჟიშვილებს შორის უფროსი ძმა, რომელსაც იგივე უფლება-მოვალეობანი ჰქონდა და

ასეთივე პატივისცემით სარგებლობდა, როგორც მისი მამა, როდესაც ოჯახის უფროსი დაუძღვრებოდა, ის თვითონ იტყოდა უარს უფროსობაზე და მისივე წინანადადებით ახალ უფროსს ირჩევდნენ [3].

ამ ამონარიდებიდან დასტურდება ფაქტობრივი მსგავსება ქართულ და ებრაულ ოჯახებს შორის. ებრაულ ოჯახის მაგალითი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ოჯახური თანაცხოვრების მახასიათებლების მსგავსია.

თუ ებრაულ ოჯახში ვაჟი არ იყო, ოჯახის უფროსობა უფროსი ქალიშვილის ქმარს ეკუთვნოდა, ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად ძნელია დადგენა „ჩასიძების“ შემთხვევებისა, მაგრამ იგი (სიძე) იგივე უფლებებით სარგებლობდა თავისი ცოლის ოჯახში, როგორც უფროსი ვაჟიშვილი. ანალოგიების მოყვანა ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდანაც შეიძლება, მაგ., გურიაში, ვაჟის არყოლის შემთხვევაში, სიძეს ზედსიძედ მიიყვანდნენ, რომელიც ახალ ოჯახში ვაჟის უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ ოჯახის უფროსის ფუნქციას მხოლოდ სიმამრის გარდაცვალების შემდეგ ასრულებდა [4. 59].

როგორც უკვე ავლნიშნეთ, უფროსი მამაკაცის შემდეგ ოჯახში საკმაოდ დიდი უფლებები ეკისრებოდა ქალს (დედას). დედა ოჯახის იმედი და ბურჯია, მას საოჯახო საქმიანობის გარდა, რიგი რელიგიურ-სადღესასწაულო წესების დაცვა-შესრულება ევალებოდა. ოჯახის დედა მეთვალყურეობდა ქალიშვილების აღზრდას, უზრუნველყოფდა მათ მიერ საოჯახო საქმიანობისა და ხელსაქმის შესწავლას, ზნეობრივი ნორმების, სტუმართმოყვარეობის, უფროსებისადმი მოკრძალების, ოჯახის წევრებისადმი პატივისცემისა და სხვა წესების დაცვას, დედა შვილებს შრომისმოყვარეობასთან ერთად პატიოსნებასა და თავდაჭერილობის ჩვევებს უნერგავდა. ამრიგად, ოჯახის სინმინდის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემნახველი და დამცველი ძირითადად ქალი იყო.

ებრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის შექმნასა და შთამომავლობაზე ზრუნვას. ტრადიციით საქორწინო ასაკად ქალისთვის 14-16 წელი ითვლებოდა, ვაჟი კი 18 წლის შესრულების შემდეგ ოჯახდებოდა, ნიშნობა ადრეულ ასაკში ხდებოდა. სრულასაკოვანთა დანიშვნასთან ერთად მცირეწლოვანთა და აკვანში დანიშვნის წესიც არსებობდა.

ქართველი ებრაელის ოჯახში საოჯახო და სამეურნეო საქმიანობანიც დანაწილებული იყო ქალსა და მამაკაცს შორის, წვრილმან ვაჭრობას უმთავრესი ადგილი ეკავა მათ ცხოვრებაში და, რასაკვირველია, ამით მხოლოდ მამაკაცი იყო დაკავებული. ისინი გადიოდნენ საზღვრებს გარეთაც და იქიდან ჩამოჰქონდათ გასაყიდი საქონელი.

გაზეთი „დროება“ წერდა ონის მკვიდრ ებრაელებზე: „აქაური ებრაელები სავაჭროდ დადიან სტამბულს, მოსკოვს, ნიჟნიში და სხვა სავაჭრო ქალაქებში, ასე რომ ვთქვათ, დაახლოებით ებრაელების აქ მარტო ფართლულობათა 200000 მანეთის ვაჭრობაა, მათ ყავთ პრიკაშნიკები, სოფლელები რაჭისა და სვანეთის მოსაზღვრე სოფლებიდან“ [1].

ებრაელ ვაჭრებსა და ადგილობრივ მყიდველებს შორის კი დამოკიდებულება საკმაოდ ჰუმანური იყო. ამ ფაქტებზე დაყრდნობით მისახვედრია, თუ ფინანსურად როგორი გამართული იყო მათი ოჯახები და რამხელა პოტენციალი ჰქონდათ ჩადებული საამისოდ ამ საქმიანობაში.

ებრაულ ოჯახებში ქალთა შორისი თანმიმდევრულობაც დაცული იყო უფროს-უმცროსობის მიხედვით. დედამთილები გეგმავდნენ დღეს და ასაქმებდნენ რძლებს, თუ, რა თქმა უნდა, რამდენიმე რძალი ჰყავდა ოჯახს, საქმე კი უნარების მიხედვით ნაწილდებოდა, ვის რისი გაკეთება შეეძლო. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ებრაელების საოჯახო ყოფის მსგავსებას ქართულ ოჯახებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა საოჯახო საქმიანობისა, ებრაელ ქალ დიასახლისს „მთელი რიგი დღესასწაულების (ფურიმი, ფეხასი და ა. შ.) წესე-

ბის მკაცრი დაცვა და შესრულება ევალებოდა, თავიანთ სალო-
ცავში რელიგიურ დღეებში „მეგილას“ და „აგიდას“ აუცილებელი
მოსმენა [2.54] და ამ ყველაფრის საფუძველზე:

„ოჯახის წევრთა ურთიერთობა, ქცევის ნორმების დაცვა,
საოჯახო ყოფის სხვა ასპექტებთან ერთად, ოჯახის მართვა და
შრომის განაწილება სქესის, ასაკისა, უნარის მიხედვით, ზნეობ-
რივი ნორმების დაცვა გამორიცხავდა საოჯახო კონფლიქტებს
და ხელს უწყობდა ოჯახის ეკონომიკურ სიძლიერეს“ [2.59].

რელიგიური ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა ისიც,
რომ ქართველ ებრაელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ საქ-
ველმოქმედო საქმიანობა: უსასყიდლოდ მომსახურება, სუს-
ტთა, ობოლთა, ლატაკთა დახმარება, აქედან გამომდინარე კი,
საზოგადოებას თითქმის არ ჰყავდა უსახლკაროები და მათხ-
ოვრები. ყველა ებრაელი ვალდებული იყო, დაერდომილთათ-
ვის ლუკმა-პური გაენაწილებინა, თავშესაფარი მიეცა, ასევე
წინამოწეული იყო თანადგომის პრინციპი შრომაში, ლხინსა
თუ ტირილში.

ამ ფაქტების კონკრეტული კი მკვეთრად იკვეთება ებრა-
ელების მდიდარი, დახვეწილი მახასიათებლები და განსაკუთ-
რებული, სპეციფიკური ნიშნებით გამორჩეული მათი სულიერი
და მატერიალური კულტურის გამომხატველი ტრადიციები.

ლიტერატურა – REFERENCES:

1. გაზეთი „დროება“, 1869 წ., №98.
2. იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მა-
მა-პაპათა, თბილისი, 1995, გვ. 54-59.
3. საველე დლიური №1, მთხრობელი შიმყონ ამბიკაშვილი, ქ. ონი.
4. ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბი-
ლისი, 1991.

KHATIA TSETSKHLADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

GEORGIAN JEWS AND THEIR ETHNOGRAPHIC CHARACTERISTICS ON THE EXAMPLE OF A FAMILY

Summary

The work tells about the origin of Georgian Jews based on historical documentary material. The facts about the influx of Jews to Georgia in 586 BC are important. When the Jews settled in the Mtskheta region, and from the 6th century in the western and eastern regions of Georgia. Based on scientific research, the Jews living in Georgia lived and developed with equal rights, sharing Georgian customs and morals. Centuries of peaceful coexistence created the phenomenon of the Georgian Jew. Symbolically, he is the child of two nations. He cultivates the Georgian land, builds a Georgian house, speaks Georgian, and at the same time firmly defends his religious way of life. The transition from serf relations to a free state and the process of urbanization finally formed the structure of the Georgian Jewish community. According to the Georgian ethnographic data, it is known that a certain form of settlement and residential structure corresponded to the climatic and geographical conditions of this or that region of Georgia.

Georgian Jewish families are distinguished from social relations and daily life, which is particularly attentive, and thus proves the actual similarity between Georgian and Jewish families, which is the characteristic of family coexistence in almost all parts of Georgia and is identical to the example of a Jewish family. The coexistence of Georgians and Jews for centuries had a clear impact on the spiritual and material culture of both peoples.

ელენე გეგეშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ლორთქიფანიძე – 85 გამულისხმარი, რომელიც დროის გამოწვევას ღირსეულად პასუხობდა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე გახლავთ ქართული არქეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. მან ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერებისა და სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში.

ბატონი გურამი სიცოცხლეშივე ეზიარა უკვდავებას, გაწეზომელ სიყვარულსა და გულწრფელ პატივისცემას. მან ისე იცხოვრა და იღვანა, რომ კარგი კაცის სახელით იცხოვრა ამ სამყაროში და მისმა განვლილმა ცხოვრებამ დატოვა ნათელი კვალი. გურამ ლორთქიფანიძე იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ცხოვრების ნახევარზე მეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა. იოლი არ არის, ამ დიდებული უნივერსიტეტის პროფესორის სახელი ატარო და გახდე ათასობით სტუდენტის საყვარელი და სათაყვანებელი ლექტორი, მაღალი დონის მეცნიერ-მკვლევარი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ მშოთვარე, შემართებული და სპეტაკი პიროვნება, სიტყვისა და საქმის ერთგული კაცი. იგი გახლავთ მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, ქართველი არქეოლოგების შესანიშნავი პლეადის აღმზრდელი. ბატონი გურამის განვლილი ცხოვრება მისაბაძია ახალგაზრდა თაობისათვის.

გურამ ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩენდა ქართული მეცნიერების პრესტიჟს. მას ხშირად იწვევენ ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხსენებებით გამოდიოდა ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში.

მის მიერ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციას „საქართველოს არქეოლოგია“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. 2014 წელს რუსმა პროფესორმა ოლგა დაშვესკაიამ მის მონოგრაფიაში „Некрополь Беляуса“ სამადლობელი წერილი მიუძღვნა ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, როგორც დიდ მეცნიერს, ყურადღებიან და კეთილშობილ ადამიანს. გურამ ლორთქიფანიძის ნაშრომები მუდამ სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგები ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომელთა რაოდენობა 250-მდეა. მათ შორისაა 13 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 4 ბროშურა. მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის, როგორც წარმატებული მეცნიერი, შეყვანილია საქართველოს ბიოგრაფიულ ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“. დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით (N01158), ექვთიმე თაყაიშვილის მედლით (N001), მიხეილ ლერმონტოვის მედლით (N472), ივანე ჯავახიშვილის მედლით (N279).

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წლის 14 სექტემბერს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – ოლღა ვახტანგიშვილი კბილის ექიმი გახლდათ, მამა – ამბროსი ლორთქიფანიძე გრიგოლ ლორთქიფანიძის (დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი – რედ.) თანაშემწე იყო. ოჯახის დედაქალაქში გადმოსვლის გამო თბილისის 68-ე საჯარო სკოლა დაამთავრა.

პროფესიის არჩევანი მშობლიური აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა განაპირობა, სადაც ბატონი გურამის ნათლია მუშაობდა, სადაც მას შეეძლო ექსპონატები დაეთვალიერებინა. ამასთანავე ჰყავდა ბიძაშვილი ჯიმშერ ლორთქიფანიძე, რომელიც მოსკოვის დიპლომატიურ სამსახურში იყო და როცა ბათუმში ჩადიოდა, მათ ოჯახს სტუმრობდა და საღამოობით თურქეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე უამბობდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სხვაგან წასვლა არც უფიქრია და 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა, საიდანაც, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ბაკურ ბაქრაძის რეკომენდაციით სასწავლებლად მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში გაიგზავნა. კონკურსის გავლის შემდეგ კი ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის განყოფილებაზე ჩაირიცხა. იმხანად საბჭოთა კავშირის მთავარ უნივერსიტეტში სწავლა ახალგაზრდისათვის, ერთი მხრივ, საშურსტიმულად, ხოლო, მეორე მხრივ, დიდ პასუხისმგებლობად ითვლებოდა. მაშინ სსრკ ფარგლებს გარეთ გასვლა პრაქტიკულად გამორიცხული იყო. МГУ მიიჩნეოდა ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობების, რესპუბლიკისა და საკუთარი ერის წარმოჩენის ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზად. გურამ ლორთქიფანიძეს გაუმართლა, რადგან მან სტუდენტური წლები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით გაატარა, როგორებიც იყვნენ: ვლადიმირ ბლავატსკი, არტემი არციხოვსკი და მრავალი სხვა. ბატონი გურამი მის პირველ პედაგოგებს სიცოცხლის ბოლომდე მადლიერებით იხსენებდა, მათ შორის განსაკუთრებული სითბოთი საუბრობდა ბორის ნიკალაევიჩ გრაკოვზე, რომელმაც არა მარტო არქეოლოგია, არამედ ერისკაცობაც ასწავლა. „ეს იყო უდიდესი პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, რომელმაც პატარა ბათუმელი ბიჭი მეგობრად გაიხადა და სახლშიც კი დაყვავდი, რომ ესწავლებინა ჩემთვის“, – ამბობდა ბატონი გურამი.

მისი წარმატებები, როგორც ჩანს, იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მოსკოვში მყოფი ცნობილი მეცნიერი, ქართველოლოგი დევიდ ლანგი მას, ჯერ კიდევ სტუდენტს, როგორც საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეს, თავის წიგნს ამგვარი წარწერით უძღვნის: „დიდად პატივცემულ და საყვარელ მეგობარს გურამ ლორთქიფანიძეს ავტორისაგან, 16, VIII, 60, მოსკოვი“.

განსაკუთრებული სითბოთი საუბრობდა ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოს ანდრია აფაქიძეზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის პროფესიონალიზმში. „ახალგაზრდა არქეოლოგებისადმი კეთილგანწყობის მაჩვენებელია პირადად ჩემი და ბატონ ანდრია აფაქიძის, ქართველი არქეოლოგების ნაცადი ხელმძღვანელის ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი. „1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესი. საქართველო წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი დელეგაციით, რომელმაც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული გამოფენა მოაწყო. მე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, დამხმარე მუშად ვიყავი გაფორმებული და, ცხადია, საქართველოს სტენდს არ ვმორდებოდი. გაიგო რა, რომ არქეოლოგობას ვაპირებდი, აკად. გიორგი ჩიტიამ მირჩია მიმემართა წერილით ბატონ ანდრო აფაქიძისათვის. ჭკუად ვილე დიდი მეცნიერის რჩევა, გავბედე და ბატონ ანდრიას წერილით მივმართე. თქვენ წარმოიდგინეთ სასწაული, მოკლე ხანში მივიღე პასუხი და ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ მიმიწვია. ამ ექსპედიციამ, რომელსაც ბატონი ანდრო აფაქიძე ხელმძღვანელობდა, 1953-1974 წლებში უდიდესი წვლილი შეიტანა მცხეთის შემდეგ ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი ძველი ბერძნული, რომაული წყაროების ციხე-ქალაქი პიტიუნტ-პიტიუსი, ქართულ-აფხაზურ „ბიჭვინტა“, ადრეული ქრისტიანობის ცენტრი X-XI სს. კათედრალით, რომლის მომლოცველთა შორის დავით აღმაშენებელიც გახლდათ, მსოფლიო არქეოლოგიის ყურადღების ცენტრშია“.

მოსკოვის უნივერსიტეტში გატარებულმა სტუდენტობის წლებმა გააფართოვა მომავალი არქეოლოგის თვალსაწიერი, პირველი საველე პრაქტიკა მან მიიღო რუსეთში – ყირიმში, ნოვგოროდში... 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე საქართველოში ბრუნდება. მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, როგორც არქეოლოგის კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი. ძალიან მალე აკადემიკოსმა ანდრო აფაქიძემ შრომისმოყვარე ნიჭიერ ახალგაზრდა არქეოლოგს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა დააკისრა, რაც დიდი პატივი იყო ახალგაზრდა მეცნიერისთვის და რასაც დროთა განმავლობაში ღირსეულად გაართვა თავი გურამ ლორთქიფანიძემ.

1965 წელს იგი ვ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით იცავს საკანდიდატო დისერტაციას „კოლხეთი ძვ. წ. II-I საუკუნეებში“, რომელიც მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1970 წელს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის რედაქტორობით. 1965 წელსვე გურამ ლორთქიფანიძეს ირჩევენ ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, რაც ახალგაზრდა მეცნიერის აღიარებაზე მიუთითებს. არქეოლოგიური მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე კოლხიდის ისტორიის აღდგენის უაღრესად წარმატებულ ცდას წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია: „Колхида в VI-II вв. до н. э., Тбилиси“, რომლის დაცვა შედგა 1978 წელს. ნაშრომი გამოქვეყნდა 1978 წელს. სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას, როგორც ცნობილ მეცნიერს, უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე ირჩევენ. ასე გახდა უნივერსიტეტელი სიცოცხლის ბოლომდე.

თვალსაწიონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაო-

ბის მასშტაბები. მისი ინიციატივით დაფუძნდა ისტორიის ფაკულტეტზე კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც იგი 1985-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. მან შეძლო შედარებით მოკლე დროში მოემზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა საპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: ქართული კულტურის ისტორია (1997) და კულტუროლოგია (2003). მისმა მოწაფეებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლოთქიფანიძის არჩევა: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის – „სეფერის“ აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ჟიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის „Pro Georgia“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის სარედაქციო კოლეგიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ჩვენი მეცნიერებას“ სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულ „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული „არქეოლოგიური კომისიის“ წევრი, 2008 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) იგი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი. შემდეგში ის სა-

ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარეა, აკად. ვ. პარკაძის საქმის გამგრძელებელი. დღემდე შეუწელებელი ინტერესით სარგებლობს მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა – ისტორიის შესწავლის ობიექტი.

დიდია მისი ღვაწლი ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურება. ბატონი გურამი მოუწოდებდა სტუდენტებს, რომ ისტორიკოსობა პოპულარული პროფესიაა, უხსნიდა მათ მის ხიბლსა და სიკეთეს, რომ საქართველოს ისტორიის სამსახური დიდი პატივია. ბატონი გურამი მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძნობდნენ ფაქიზ, გამორჩეულ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას.

ბატონი გურამის პირადი თვისებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია თანადროულობის მძაფრი შეგრძნება ცხოვრებაში, მეცნიერებაში და მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ. ამავე დროს, იგი გახლდათ უნიკალური ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება დახვეწილი ინტელექტით. ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ხვდა წილად, აღნიშნავს, რომ მან სიღრმისეულად იცოდა ქართველი ერის კულტურა, იყო ხელოვნების მრავალი დარგის – მუსიკის, ფერწერის, პოეზიის, ლიტერატურის მცოდნე და თაყვანისმცემელი.

ერის ღირსეულ მამულიშვილს, ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს წელს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა. მისი განვლილი ინტელექტუალური ცხოვრებით ბატონი გურამი ღირსეულად პასუხობდა თანადროული ცხოვრების გამოწვევებს, რითიც, ვიმედოვნებთ, რომ კიდევ არაერთ თაობას გამოადგება მისი უბერებელი ცოდნა-გამოცდილება და მაღალი ზნეობა იმის შუქურად, თუ როგორი უნდა იყოს სამაგალითო მოქალაქე და მეცნიერი.

ELENE GEGESHIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**GURAM LORTKIPANIDZE - 85 PATRIOTS,
WHO ANSWERED THE CHALLENGE OF TIME WITH DIGNITY**

Summary

Academician Guram Lortkipainidze is the most prominent representative of the Georgian archaeological school. He went through a difficult path of scientific and public work from being a student at Moscow State University to the National Academy of Sciences of Georgia. With long and fruitful work, he made a great contribution to the development of archaeological science and various fields in our country.

Guram Lortkipanidze belongs to the number of scientists who spent more than half of his life at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. It is not easy to bear the name of a professor of Tbilisi State University and become a beloved and admired lecturer for thousands of students; high-level scientist-writer; Immensely in love with the motherland, always productive, well-mannered and good-natured person. A man true to word and deed. He was a brilliant organizer of science, an extraordinary teacher, an educator of the excellent Pleiades of Georgian archaeologists. Guram Lortkipanidze's life is an example for the younger generation.

Correspondent Guram Lotkipanidze, a member of the National Academy of Sciences of Georgia, actively participated in scientific conferences and symposia held both in Georgia and internationally, where he presented the prestige of Georgian science. Guram Lortkifanidze's works always deserve the attention of specialists. The results of his scientific research are reflected in scientific publications, the number of which is up to 250. Among them are 13 monographs, 8 manuals, 4 brochures. His long-term, fruitful scientific work is universally recognized. As a successful scientist, he was included in the biographical direc-

tory of Georgia "Who's Who in Georgia". Awarded: Medal of Order (N01158), Ekvtime Taikaishvili Medal (N001), Mikhail Lermontov Medal (N472), Ivane Javakhishvili Medal (N279).

The honorable father of the nation, Mr. Guram Lortkipanidze, would have turned 85 this year. With his past intellectual life, Mr. Guram responded with dignity to the challenges of contemporary life, so we hope that many more generations will benefit from his ageless knowledge - experience and high morality as an example of what an exemplary citizen and scientist should be.

*პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის პუბ-
ლიკაცია „ბრავო მანესტრო – ადამიანი დღე-
სასწაული“ მომზადებულია 2019 წელს. პირ-
ველად ქვეყნდება მანესტრო გურამ პაატაშვი-
ლის 75 წლისთავთან დაკავშირებით.*

გურამ პაატაშვილი – 75 ბრავო, მანესტრო – ადამიანი დღესასწაული

რაც უფრო მეტად ეცნობი საინტერესო და არაორდინა-
ლური პიროვნების შემოქმედებასა და მოღვაწეობას, სურვილი
გიჩნდება, მით უფრო ღრმად ჩანვდე მის შინაგან ბუნებას და
ფენომენს. როგორი არის იგი? მაღალი, ტანადი, გარეგნულად
მიმზიდველი, სიმპათიური, დახვეწილი ინტელიგენტი, შინაგა-
ნად ღრმა, მრავალმხრივ განსწავლული, მაღალნიჭიერი, სა-
ლად, ანალიტიკურად მოაზროვნე, სიკეთით და იუმორით აღ-
სავსე, ყოველთვის მზად არის დახმარების აღმოსაჩენად, მის-
გან ყოველთვის დადებითი აურა ასხივოსნებს, გიზიდავს, ერ-
თი სიტყვით, დიდებული ადამიანი, ადამიანი დღესასწაული. ამ
ბოლო დროს მე კიდევ ერთხელ თვალი გადავაველე თბილისში,
მოსკოვში, ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გა-
მოქვეყნებულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში მისი შემოქმე-
დებისა და მოღვაწეობის ამსახველ ზღვა მასალას. შევეცადე,
მოკლედ, ენციკლოპედიური სტილით გაგაცნოთ ჩემი ახალი
პუბლიკაცია. მაშ ასე, დავიწყეთ.

პაატაშვილი გურამ (დაიბადა 1948 წელს თბილისში), გამო-
ჩენილი შემოქმედი, კომპოზიტორი, მეცნიერი, პუბლიცისტი,
საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, აკადემიკოსი, საერთაშორი-
სო, მსოფლიო, საკავშირო, სახელმწიფო და რესპუბლიკური
ფესტივალების, კონკურსებისა და პრემიების ლაურეატი.

1966 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, 1973 წელს – ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1971-1976 წწ. მისი პედაგოგი კომპოზიციაში იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის პროფესორი, გამოჩენილი კომპოზიტორი, სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი ალექსი მაჭავარიანი. 1990-1994 წწ. გ. პაატაშვილი ეუფლება სსრკ და რუსეთის (მოსკოვი) დიპლომატიური აკადემიის სპეციალურ პროგრამებს.

1965-2019 წწ. საქართველოში და საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში შესრულდა გ. პაატაშვილის საოპერო და საბალეტო ნაწარმოებები, მინი და მონოოპერები, ერთმოქმედებიანი ბალეტები, ვოკალური ციკლები. მისი მუსიკალური ნიჭისა და დიდი შრომის შედეგია 7 სიმფონია, 24 პრელუდია, 12 საფორტეპიანო სონატა, 6 სიმებიანი კვარტეტი, 3 კონცერტი, სავიოლინო პიესები, 10 მონოლოგი ბარიტონისათვის და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს.

გ. პაატაშვილი 1965-2019 წწ. 150-ზე მეტი შესრულებული და გამოცემული მუსიკალური ნაწარმოების, სამეცნიერო შრომების, მონოგრაფიების და წიგნების ავტორი გახლავთ.

გ. პაატაშვილი გახლავთ საერთაშორისო საარქივო ფონდის „მსოფლიო კულტურის საგანძურის“ დამაარსებელი და პრეზიდენტი. 45 წლის განმავლობაში მის მიერ აღდგენილი ფონდის არქივში ინახება გასული საუკუნეების მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი ადამიანების ხელნაწერები, უნიკალური ექსპონატები, საბუთები, ფოტომასალა, რომლებიც წარმოადგენენ ქართულ, ებრაულ, რუსულ, ევროპულ, აზიურ და ამერიკულ კულტურას.

გ. პაატაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები შესრულებულია და მისი შემოქმედებითი მიღწევების და ფონდის უნიკა-

ლურობის შესახებ პროპაგანდირებულია მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 90-ზე მეტ ქვეყანაში, ეს ავტორის პოპულარობისა და მისი მიღწევების მასშტაბის უტყუარ მტკიცებულებებზე მეტყველებს. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მანესტრო გურამ პაატაშვილი არის საერთაშორისო, მსოფლიო, საკავშირო, სახელმწიფო და რესპუბლიკური ფესტივალების, კონკურსებისა და პრემიების ლაურეატი. 1975-2019 წწ. გ. პაატაშვილს მიენიჭა რიგი საერთაშორისო და სახელმწიფო პრესტიჟული საპატიო წოდებები, დაჯილდოვებულია პარიზის „თანამედროვე ხელოვნების“ მედლით; გერმანიის „ხელოვნებას არა აქვს საზღვრების“ მედლით; ნიუ-იორკის „სიტი ბალეტის და თანამედროვე ხელოვნების“ მედლით; მსოფლიო XVI-ე მატაბიადის ოლიმპიური თამაშების სპეციალური ოქროს მედლით; საქველმოქმედო მოღვაწეობის, აზრთა კრებულის „მანესტროს აზრთა სამყარო“, ეროვნული და მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში პირადად შეტანილი დიდი წვლილისათვის დაჯილდოვებულია „ევროპა-ამერიკა-აზია-აფრიკა-ავსტრალიის“ გამოჩენილ ადამიანთა საპატიო წოდების დიპლომითა და მედლით; მსოფლიო სააგენტო „სოხნუთის“ „თანამედროვე ხელოვნების და მშვიდობის“ მედლით; „მარკ შაგალის“ საიუბილეო მედლით; „ანა ფრანკისადმი მიძღვნილი მედლით“; სსრკ მთავრობის, კულტურის სამინისტროს, საკავშირო კომპოზიტორთა კავშირის საპატიო დიპლომებით, პრემიებით, მედლებით (მოსკოვი); მაღალი შემოქმედებითი მიღწევებისთვის და სამშვიდობო მისიაში, მსოფლიოს რიგ სამშვიდობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, კულტურის, მეცნიერების, სახელმწიფო მოღვაწეებთან და აკრედიტებულ ელჩებთან ერთობლივ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის და შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, რომელიც იმართებოდა იუნესკოს და გაეროს ეგიდით; დაჯილდოვებულია „ხელოვნება მშვიდობისათვის ბრძოლაში“, „ხალხთა მეგობრობის“, „მშვიდობის ელჩის“, „იერუსალიმი 3000“ სა-

პატიო დიპლომებით და მედლებით, „გრანდ-პრიზით“ (ინგლისი, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, ჩინეთი, აშშ, კანადა, ისრაელი, ჩეხეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, ჰოლანდია, რუსეთი, უკრაინა, ესპანეთი, შვედეთი, იუნესკო, გაერო და სხვ.). რომის პაპის იოანე პავლე მეორეს სახელობის მედლით; ისრაელის სახელმწიფოს და მთავრობის საიუბილეო ოქროს და ვერცხლის მედლით, ღირსების ორდენით (საქართველო). გ. პაატაშვილი არჩეულია რიგი საზღვარგარეთის მეცნიერებათა, ხელოვნების, მუსიკალური, საერთაშორისო და დარგობრივი აკადემიების აკადემიკოსად.

გ. პაატაშვილის ნაწარმოებებმა გამოჩენილი კომპოზიტორების, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატების, აკადემიკოსების, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორების, ნობელის პრემიის ლაურეატების, ხელოვნების და მეცნიერების კორიფეების: დიმიტრი შოსტაკოვიჩის, არამ ხაჩატურიანის, დიმიტრი კაბალევსკის, ლეონიდ კოგანის, სვიატოსლავ რიხტერის, მსტისლავ როსტროპოვიჩის, ალექსი მაჭავარიანის, რევაზ ლალიძის, დავით თორაძის, ივანე კოზლოვსკის, ოლღა ლეპეშინსკაიას, ევგენი სახაროვის, ვახტანგ ქაბუკიანის, ირაკლი აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, მაია პლისცკაიას, ბორის პოკროვსკის, ევგენი ევტუშენკოს, ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინას, სერგეი კაპიცას, მერაბ მამარდაშვილის და სხვა მოღვაწეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საერთო აზრი ასეთია: გ. პაატაშვილის მუსიკაში იგრძნობა ახალი ელფერი. კომპოზიტორის ნაწარმოებები გამოირჩევა თავისი თვითმყოფადობით, სიახლით, ინდივიდუალური ხელნერით, მძაფრი დრამატიზმით, ორიგინალური, მღერადი, ნათელი მელოდიურობით, მაღალი პროფესიონალური ოსტატობით. მასში იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების დაძაბული მაჯისცემა. გ. პაატაშვილი ხალასი, იშვიათი, ზენიტური შემოქმედი აღამიანია. დიდი ერუდიციის, სხარტი გონების, სალად,

ანალიტიკურად მოაზროვნე, ფართო მასშტაბის მრავალმხრივი მოღვაწე და კეთილშობილი პიროვნებაა. გაცეხას ინვესტის მისი ტიტანური შრომისუნარიანობა და უდიდესი მიღწევები.

გ. პაატაშვილის გამოცემული მუსიკალური ნაწარმოებები, ნიგნები, ბიოგრაფია, მონაცემები მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ შესულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ფონდში (ვაშინგტონი, 1998 წ.); ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰარვარდის, სორბონას საუნივერსიტეტო ფონდებში, მუსიკალურ აკადემიებში, კონსერვატორიებში, მსოფლიო კულტურის ცენტრებში (1992-2006 წწ.).

საქართველოს ომიანობისა და ძნელბედობის ჟამს, შეიძლება ითქვას, გ. პაატაშვილმა თავისი თანამოქალაქენი შიშის გადაარჩინა. გ. პაატაშვილის მეშვეობით და გერმანიის ხელოვნების, მედიცინის და სახელმწიფო მოღვაწეების მხარდაჭერით, საქართველოში 1993 წელს ორჯერ ჩამოიტანეს და გაანაწილეს 48-ტონიანი დიდძალი ჰუმანიტარული დახმარება (მედიკამენტები, საკვები, მრავალმხრივი სამედიცინო მოწყობილობანი, აპარატურა, ქირურგიული საოპერაციო ბლოკები და აღჭურვილობა, ინვალიდთა ეტლები, ინსტრუმენტები, სისხლის გადასხმის მოწყობილობა, საწოლები, საკაცები, ზეწრები, ბავშვის სათამაშოები, სასწავლო ნივთები, ქალის, მამაკაცის და ბავშვების ტანსაცმელი, მრავალმხრივი საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვ.), რაც გაუნაწილდათ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს, ლტოლვილებს, ავადმყოფებს, ინვალიდებს, რის გამოც გ. პაატაშვილმა განსაცდელში მყოფი უამრავი ადამიანის გულწრფელი მადლიერება და ღოცვა-კურთხევა დაიმსახურა, მათ შორის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების საკოორდინაციო საბჭოს „მეცენატის“ საპატიო წოდება და ოფიციალური წერილობითი მადლობა – „ომიანობისა და ძნელბედობის ჟამს დიდი ჰუმანიტარული და მორალური დახმარების გამო“ (28.06.1993 წ. № 100).

სხვადასხვა დროს, 1982-1991 წლებში, გ. პაატაშვილი გახლდათ საქართველოს ხმს ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტული თეატრის და კამერული მუსიკალური თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. 1983-1992 წწ. – საქართველოს ხმს ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებით-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე; 1993-1997 წწ. – თბილისის გამომცემლობა „შემოქმედის“ მთავარი რედაქტორი; 1991-1998 წწ. – ქ. თბილისის ხელოვნების ინსტიტუტის თანარექტორი სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში; 1992-1998 წწ. – საქართველოს საგარეო პოლიტიკური ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თანაპრეზიდენტი; 1993-1999 წწ. – საქართველოს პარლამენტის საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა მრჩეველი კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში; 1998-2003 წწ. – საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის ეროვნებათა შორის ურთიერთობათა საბჭოს და პრეზიდენტი წევრი; 2002-2008 წწ. – საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციების „მშვიდობის ელჩის“ საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდენტი, რომლის საქმიანობაც ხორციელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის 53-ე სესიის მიერ მიღებული მშვიდობის დეკლარაციისა და პროგრამის თანახმად; 2005-2013 წწ. – საერთაშორისო გაზეთის „International Newspaper“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

გ. პაატაშვილმა საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში, როგორც პირველი ლეგიტიმური ებრაელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრის“ (1987 წ.) დამაარსებელმა და პრეზიდენტმა, 1989 წ. დააფუძნა „მაქაბის მსოფლიო კავშირის“ საქართველოს „მაქაბის“ საზოგადოება და დღემდე მისი პრეზიდენტი. ორივე ორგანიზაციამ უდიდესი წვლილი შეიტანა ხელოვნების, კულტურის, სპორტის და ხალხთა შო-

რის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, რაც უკვე თანამედროვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტის“ 2003 წლის №49-ში დაბეჭდილია ვრცელი მილოცვა გურამ პაატაშვილის აშშ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად არჩევასთან დაკავშირებით. „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქცია ულოცავს გამოჩენილ შემოქმედს და საზოგადო მოღვაწეს, კომპოზიტორს და მეცნიერს, საერთაშორისო პრემიების ლაურეატს, საერთაშორისო ფონდის „მსოფლიო კულტურის საგანძურის“ დამაარსებელსა და თავკაცს, საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციების „მშვიდობის ელჩის“ საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ გურამ პაატაშვილს აშშ და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად არჩევას და უსურვებს წარმატებებს“. ხოლო გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ 1996 წლის № 5 (820) აღნიშნავდა: „სამი ათას გადააჭარბა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გურამ პაატაშვილის კოლექციის – საერთაშორისო საარქივო ფონდის „მსოფლიო კულტურის საგანძურის“ ექსპონატებმა. ეს რარიტეტები დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერი მუზეუმის სტენდებს“.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ადგილობრივი და საბჭოთა კავშირის ცენტრალური პრესა მაღალ შეფასებას აძლევს და ვრცელ პუბლიკაციებს უძღვნის მთლად ახალგაზრდა გურამ პაატაშვილის შემოქმედებას:

„კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის შემოქმედებით აქტივში მრავალი ნაწარმოებია, რომლებმაც მსმენელთა მოწონება და აღიარება დაიმსახურა. მის მუსიკაში იგრძნობა ახალი ელფერი, მრავალფეროვნება და სიახლე. კომპოზიტორის ნაწარმოებები გამოირჩევა ინდივიდუალური ხელწერით, მელოდიურობით, თანამედროვე აზროვნებით. მათში იგრძნობა დროის პულსირება“. (მოსკოვი, გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“, №68,

1978; „TACC“, გაზეთი „პრავედა“, №237, 1978; გაზეთი „იზვესტია“, 07.08.1978).

„კომპოზიტორი გურამ პაატაშვილი ძალზე ნიჭიერი ადამიანია, მან დიდ წარმატებებს მიაღწია კომპოზიციაში. მან შეძლო შეექმნა ნათელი სიმფონია, ადამიანის პიროვნების ღირსების ჰიმნი“. (მოსკოვი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ცენტრალური რადიო-ტელევიზია, საზღვარგარეთის მაუწყებლობის რედაქცია, 16.04.1979).

„საბჭოთა და იტალიის პრესა აღნიშნავდა კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის საბალეტო სუიტის წარმატებას, რომელიც შეტანილი იყო იტალიაში გამართულ საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების პროგრამაში“. („TACC“, საკდესი, 1978).

„გურამ პაატაშვილის სიმფონია მოედინება როგორც დიდი მდინარე, მუსიკა ნელ-ნელა ამოიზრდება ისევე, როგორც მზე ამოიზრდება და ივსება ნათელით, განგაშითა და ბედნიერებით განთიადის ჰორიზონტზე, როგორც ყალიბდება აზრი, აენყობა ბედი. და ეს ბედნიერება, აღმშენებლობა და სიბრძნით აღჭურვა მუსიკაში განმეორდება ისევ და ისევ...“. (მოსკოვი, გაზეთი „კომსომოლკაია პრავედა“, №281, 1978).

როგორც საბჭოთა კავშირის ცენტრალური პრესა, ასევე საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოები და რადიო-ტელევიზია მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებითა და ვრცელი პუბლიკაციებით ფართოდ აშუქებენ გ. პაატაშვილის შემოქმედებას, სიმფონიების, საოპერო და საბალეტო ნაწარმოებების პრემიერებს, კამერულ, ინსტრუმენტულ და ვოკალურ თხზულებებს, მის მიერ დაარსებული მუსიკალური თეატრის წარმატებულ მოღვაწეობას. ასეთ ახალგაზრდა ასაკში გ. პაატაშვილის შემოქმედების მსოფლიო მასშტაბის უმაღლეს დონეზე გაჟღერება და აღიარება იმ დროისთვის იშვიათი მოვლენა გახლდათ. („ცნობარი“, 1989 წ.).

1980-2019 წწ. საზღვარგარეთის პრესა, ელექტრონული მედია და საინფორმაციო სააგენტოები: CNN, FOX NEWS, REUTERS, ASSOCIATED PRESS, THE NEW-YORK TIMES, EURO NEWS, BBC NEWS, JERUSALEM POST, THE WASHINGTON POST, AEH (მოსკოვი, იერუსალიმი, ნიუ-იორკი) 25.02.2004 წ., 22.02.2006 წ., USA. NEW-YORK SHIELD OF DAVID, №1, 2003 წ., №121, 2008 წ., №5, 2011 წ., №2, №3, 2012 წ., №218, 2013 წ., №227, 2014 წ., №282, 2018 წ. და სხვა ჟურნალ-გაზეთები რეგულარულად აქვეყნებენ გ. პაატაშვილის დიდი შემოქმედებითი მიღწევების და მოღვაწეობის ამსახველ პუბლიკაციებს, რაც უდავოდ ავტორის, მანქტრო გ. პაატაშვილის უკიდევანო შემოქმედებით რესურსებზე და დიდ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

გ. პაატაშვილის შესახებ საზღვარგარეთის პრესა მქუხარე სათაურებით აქვეყნებს პუბლიკაციებს: „გურამ პაატაშვილის ტალანტი საზღვრებს გარეშე“, „უნიკალური გურამ პაატაშვილი“, „ვარსკვლავი საქართველოდან“, „ფანტასტიკური გურამ პაატაშვილი“, „ადამიანი დღესასწაული“, „ლეგენდარული გურამ პაატაშვილი“, „ბრავო, მანქტრო“. მისი მუსიკალური ნაწარმოებები რადიო-ტელევიზიების მაუწყებლობით მთელ მსოფლიოში ჟღერს, სრულდება საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

აი, რას ამბობენ გურამ პაატაშვილის შემოქმედებაზე მისი პედაგოგი, გამოჩენილი კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი და სხვა გამოჩენილი ხელოვანები:

„გურამ პაატაშვილმა კომპოზიციაში მეცადინეობა დაიწყო ჩემთან და ხუთ წელიწადში დიდ წარმატებებს მიაღწია. მაოცებდა თავისი შეუვალობით შემოქმედებითი მიზნის მიღწევაში, შრომისმოყვარეობით. შედარებით მოკლე პერიოდში დაწერა მრავალი საინტერესო თხზულება: სიმფონიები, საოპერო და საბალეტო ნაწარმოებები, სიმებიანი კვარტეტები, საფორტეპიანო სონატები, 24 პრელუდია, სავიოლინო პიესები, ვოკალური და საგუნდო ციკლები და სხვ. ჩემი მოწაფის გურამ პაატაშვილის მუსიკაში იგრძნობა ახალი ელფერი, მისწრაფება გაცვეთილი გზებისა და მოჩვენებითი სინამდვილეებისათვის თავის არი-

დება. კომპოზიტორის ნაწარმოებები გამოირჩევა თავისი თვით-
მყოფადობით, სიახლით, ინდივიდუალური ხელწერით.

გ. პაატაშვილის ნაწარმოებებმა თავის დროზე გამოჩენი-
ლი კომპოზიტორების – დიმიტრი შოსტაკოვიჩის, არამ ხაჩა-
ტურიანისა და დიმიტრი კაბალევსკის მაღალი შეფასება დაიმ-
სახურა. თავისი შემოქმედებით გ. პაატაშვილმა უკვე დიდ წარ-
მატებებს მიაღწია.

მე, როგორც მისი პედაგოგი, აღმზრდელი და უფროსი მე-
გობარი კარგად ვიცნობ მის ტიტანურ შრომისუნარიანობას და
დიდ ნიჭიერებას, ღრმა, მრავალმხრივ ერუდიციას, მაღალ
კულტურას და პროფესიონალიზმს. ის ერთგული და სიკეთით
აღსავსე პიროვნებაა. სულითა და გულით ვუსურვებ გურამ პა-
ატაშვილს ახალ შემოქმედებით წარმატებებს“. - ალექსი მაჭა-
ვარიანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელ-
მწიფო პრემიის და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილი-
სის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის
პროფესორი, გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 28.09.1978, 29.05.1988;
გაზეთი „კომუნისტი“, №209, 1988; ჟურნალი „თეატრი და
ცხოვრება“, №3, 1993.

„1977 და 1988 წწ. გურამ პაატაშვილის მუსიკაზე „პოემა
სიყვარულზე“ და „გაზაფხულის ნიავი“ განვახორციელე საბალე-
ტო დადგმა, რომლის პრემიერაც გაიმართა თბილისის ზ. ფალი-
აშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადე-
მიური თეატრის სცენაზე. გ. პაატაშვილის საბალეტო ნაწარმო-
ებები „პოემა სიყვარულზე“ და „გაზაფხულის ნიავი“ გამოირჩევა
ორიგინალური, ჟღერადი, ნათელი მელოდიურობით. ორივე ნა-
წარმოები გაორკესტრებულია ავტორის მიერ ძალზე საინტერე-
სოდ, იგრძნობა კლასიკური სტილიც და თანამედროვე საკომ-
პოზიტორო ტექნიკაც. „პოემა სიყვარულზე“ და „გაზაფხულის
ნიავი“, ასევე, სხვა მისი საბალეტო ნაწარმოებებიც, რომლის
დადგმებიც უკვე განხორციელებულია, დაწერილია ავტორის
მიერ დიდი შინაგანი განცდებით და მაღალპროფესიულ დონე-

ზე. გურამ პაატაშვილს ძალიან კარგი ალლო აქვს, სხარტი, ნათელი გონება. ჩემს შემოქმედებით ჩანაფიქრს, სურვილს თუ მოთხოვნას ადვილად ხვდებოდა და უმოკლეს ვადაში ქმნიდა და წერდა საჭირო მუსიკალურ მასალას, ხანდახან რამდენიმე ნიმუშსაც წარმოადგენდა. ვფიქრობ, თუ დამცალდა, მომავალში მის ახალ მუსიკაზე განვახორციელებ ჩემი ახალი ბალეტის დადგმას, რომელიც უკვე მოფიქრებული მაქვს. გურამ პაატაშვილი ზედმინევით ნიჭიერი და მოაზროვნე პიროვნებაა“. – ვახტანგ ჭაბუკიანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. 30.12.1988, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №3, 1993; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 29.09.1995; 06.10.1995.

„მოსკოვში სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მიერ შესასრულებლად და გამოსაცემად რეკომინდირებული იქნა ნიჭიერი კომპოზიტორის გურამ პაატაშვილის მთელი რიგი დიდი ფორმის ნაწარმოებები: სიმფონია, სიმებიანი კვარტეტები, საოპერო და საბალეტო ნაწარმოებები, საფორტეპიანო სონატები, პრელუდიების კრებული და სხვ. გ. პაატაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები შესრულებულია მოსკოვის მთელ რიგ საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში, მათ შორის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის და კრემლის ყრილობათა საკონცერტო დარბაზებში და სხვ. საკავშირო სახელმწიფო ცენტრალური რადიო-ტელევიზიით პროპაგანდირებულია სრულიად საბჭოთა კავშირის და სზღვარგარეთის ქვეყნებისათვის. ასეთ ახალგაზრდა ასაკში ესოდენ მაღალი მიღწევები ბევრი ზრდასრული ცნობილი კომპოზიტორებისთვისაც კი მიუღწეველია.“ (ტიხონ ხრენიკოვი, საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს და გამგეობის პირველი მდივანი (თავმჯდომარე), სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის პროფესორი, 1986, „ცნობარი“, 1989).

„გურამ პაატაშვილი არა მხოლოდ ნიჭიერი და ნაყოფიერი კომპოზიტორი, საერთოდ მრავალმხრივი შემოქმედი ადამიანია. ჩემო გურამ! შენი ლამაზი, ხალასი შემოქმედებით, შენს ოჯახთან ერთად გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებებს. ღმერთმა სიკეთით გატაროს“. (დავით (გუგული) თორაძე, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის პროფესორი, 1980).

„კომპოზიტორი გურამ პაატაშვილი ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული ნიჭით აღსავსე შემოქმედი ადამიანია. მან მრავალი საყურადღებო, ორიგინალური ნაწარმოებები შექმნა. მისი შემოქმედება ავტორისეული ხელწერით, მძაფრი დრამატიზმითა და მელოდიურობით გამოირჩევა. გულითადად ვუსურვებ მას დიდ წარმატებებს“. (რევაზ ლალიძე, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, 1973).

„ახალგაზრდა კომპოზიტორი გურამ პაატაშვილი მიზანმიმართული, ძალზედ ნიჭიერი, გიგანტური შრომისუნარიანობით აღჭურვილი მუსიკოსია. კომპოზიტორის ყველა ნაწარმოებში თვალნათლივ იგრძნობა მელოდიურობა, კარგი გემოვნება, აზრთა მასშტაბურობა, დიდი შემოქმედებითი ფანტაზია“. (დიმიტრი შოსტაკოვიჩი, კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, 1971, „ცნობარი“, 1989).

„განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტალანტით, ნიჭიერებით აღსავსე ახალგაზრდა კომპოზიტორი გურამ პაატაშვილი. უმრავლესობა მისი მუსიკალური ნაწარმოებებისა დაწერილია გულწრფელად, ძალიან ხატოვნად, მაღალმხატვრულად და მიმზიდველად. მან სხვადასხვა ჟანრში შექმნა მთელი რიგი საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებისა“.

(არამ ხაჩატურიანი, კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, 1973, „ცნობარი“, 1989).

„გურამ პაატაშვილი არა მარტო როგორც მუსიკოსი, კომპოზიტორი, ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტული თეატრის და კამერული მუსიკალური თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, იგი საერთოდ მრავალმხრივ განათლებული და ნიჭიერი შემოქმედებითი პიროვნებაა, რაც თვალნათლივ აისახა როგორც მის საკომპოზიტორო შემოქმედებაში, ასევე მის მიერ დაარსებულ თეატრალურ წარმატებულ მოღვაწეობაში“. (ბორის პაკროესკი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი, პროფესორი, მოსკოვი, 1989).

„დიდ სიამოვნებას მგვრის კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის შესანიშნავი საოპერო და საბალეტო მუსიკის მოსმენა, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ მოსკოვში“. (ივანე კაზლოვსკი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, 1987, გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“, „CF“, №280, 1998).

„ყოველთვის მოხარული ვარ ისეთ ერუდირებულ, ინტელიგენტ და მომხიბლავ ადამიანთან შეხვედრისა და ურთიერთობისა, როგორც ნიჭიერი კომპოზიტორი გურამ პაატაშვილია. მისი მუსიკალური ნაწარმოებები, მათ შორის საბალეტო მუსიკა ორიგინალური, ეფექტური, მელოდიური და გამომსახველობითია“. (ოლლა ლეპეშინსკაია, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის პრიმა ბალერინა, მოსკოვი, 1987, გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“, „CF“, №280, 1998).

„გურამ პაატაშვილი ძალზედ ნიჭიერი კომპოზიტორი და საინტერესო შემოქმედი ახალგაზრდა ადამიანია. მან უკვე დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია. იგი ფართო ასპარეზის მრავალმხრივი მოღვაწე პოროვნებაა“. (მსტისლავ რასტრაპოვიჩი, მსოფლიო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, მსოფლიო მუსიკოსად წოდებული, პროფესორი, აკადემიკოსი, 1989).

„მე ძალიან მოხარული ვარ ზედმინევნით ნიჭიერი და მომხიბლავი ადამიანის კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის ესოდენ დიდი წარმატებებისა. ვუსურვებ მომავალ შემოქმედებით გამარჯვებებს.“ (სვიატოსლავ რიხტერი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, 1980, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №316, 1998).

„გურამ პაატაშვილი ნაყოფიერი და ხალასი ნიჭის კომპოზიტორია. მისი ორიგინალური და ლამაზი შემოქმედება, ასევე მოღვაწეობა ბევრ ქებას და აპლოდისმენტებს იმსახურებს“. (ლეონიდ კოგანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, 1987).

„გურამ პაატაშვილმა შექმნა რიგი საინტერესო სიმფონიური, საოპერო, საბალეტო და კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებისა, რომლებიც არაერთგზის შესრულებულია დიდი წარმატებებით მოსკოვის მთელ რიგ საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში. იგი ზედმინევნით ნიჭიერი კომპოზიტორი და პიროვნებაა“. (იან ფრენკელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, 1987, „CF“, №280, 1998).

დიდებული მეცნიერები და მოღვაწეები, აკადემიკოსები, პროფესორები – ბატონი კოტე წერეთელი ბატონ გურამ პაატაშვილს თვალსაჩინო მოღვაწედ მოიხსენიებდა; ქალბატონი მზექალა შანიძე – ქართველ პროკოფიევად და მრავალმხრივ

მაღალნიჭიერ პიროვნებად; ქალბატონი მარია ლორთქიფანიძე მისი საქმიანობიდან გამომდინარე – დიდ ქართველად; ბატონი ანდრი აფაქიძე კი – ქართული ხელოვნებისა და კულტურის ბერმუხად, ხოლო მწერალი, პროფესორი ლევან სანიკიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე და საქართველოს პარლამენტის სპიკერი, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე გ. პაატაშვილის შესანიშნავ, ბრძნული და იუმორით აღსავსე აზრთა კრებულს – „მაცეტროს აზრთა სამყაროს“ ინტელექტუალური სამყაროსთვის უდიდეს შენაძენად მიიჩნევდნენ. ბატონი ლევან სანიკიძე კი დასძენს: „ასეთ დიდად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური შემოქმედებისთვის მხოლოდ მონონება და მადლისთვის მადლობის მიძღვნა განეკუთვნება“.

ჩემი ინიციატივით 2016 წლიდან მოყოლებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის და თეორიის საკითხების კრებულში ყოველწლიურად ქვეყნდება მისი დიდებული ბრძნულ აზრთა კრებული „მაცეტროს აზრთა სამყარო“. მას თავისი მკითხველი ჰყავს. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები, ლექტორები კრებულის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას დიდი ინტერესით ელოდებიან და ხვდებიან.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა სახლის (ხმს, სოლოლაკი, გ. ქიქოძის ქ. №8) გამგეობამ (1990 წლის 27.06. ოქმი №9 და 1991 წლის 06.05. ოქმი №10) გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე გურამ პაატაშვილს „საქართველოს სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება მიანიჭა. მის წარდგენას მხარი დაუჭირეს ქართული ხელოვნების, კულტურის, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტებმა, პროფესორებმა: ალექსი მაჭავარიანმა (გამგეობის თავმჯდომარე), ზურაბ ანჯაფარიძემ, მედეა ამირანაშვილმა, ნოდარ ანდლულაძემ, ბიძინა კვერნა-

დემ, რამაზ ჩხიკვაძემ, გურამ სალარაძემ, კახი კავსაძემ, სოფი-
კო ჭიაურელმა, კოტე მახარაძემ, გივი ბერიკაშვილმა, ოთარ
კობერიძემ, ჯემალ ლალანიძემ, გიგა ლორთქიფანიძემ, რეზო
ჩხეიძემ, ვახტანგ ტაბლიაშვილმა, თამარ ბაქრაძემ, ოთარ
გორდელმა, გურამ დოჩანაშვილმა, თენგიზ აბულაძემ, რევაზ
გაბრიაძემ, რეზო ესაძემ, თამაზ გამყრელიძემ, ჭაბუა ამირე-
ჯიბმა, ლევან სანიკიძემ, გურამ ფანჯიკიძემ, ჯუმბერ ლომინა-
ძემ, მზექალა შანიძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ანდრია აფა-
ქიძემ, ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძემ, ჯანო ბაგრატიონმა, ანზორ
ერქომაიშვილმა, ჯემალ ჭკუასელმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, იო-
სებ კეჭყემაძემ, გულბათ ტორაძემ, ვაჟა აზარაშვილმა, ნოდარ
მამისაშვილმა, შალვა დავითაშვილმა, ფილიპე ლლონტმა,
ოთარ ეგაძემ, ნადეჟდა შალუტაშვილმა და სხვ.

იმ დროს თბილისში ყოველდღიურად ოპოზიციის მიტინ-
გები იმართებოდა. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია მო-
მიტინგეებს ჰქონდათ დაკავებული. ჰაერში დენთის სუნი ტრი-
ალებდა. უშუქობა, გაყინული ბინები, პურისა და ნავთის რიგ-
ში ხალხი ღამეებს ათენებდა. ტრანსპორტის შეზღუდულმა
მოძრაობამ და გზების ჩახერგვამ ქალაქის ცენტრალური ნაწი-
ლის პარალიზება გამოიწვია. ვინც ვერ მოახერხა გამგეობის
სხდომაზე დასწრება, ხმის მიცემა ტელეფონის გამოკითხვით
განხორციელდა. ძირითადად გამგეობის არანევრი, მოწვეული
გამოჩენილი მოღვაწეების და სტუმრებისთვის იქნა ჩატარებუ-
ლი სატელეფონო ხმის მიცემა. გამგეობის წევრებისათვის კი
სავალდებულო იყო გამგეობის სხდომაზე დასწრება.

იმ დროს საქართველოში საბჭოთა წყობილებისა და ხელი-
სუფლების შეცვლასთან დაკავშირებით ეროვნულმა მთავრო-
ბამ საქართველოს სახალხო არტისტის წოდება საბჭოთა სის-
ტემის გადმონაშთად შერაცხა და შეაჩერა. საბჭოთა კავშირის
დაშლის შემდეგ კი ეს წოდება აღარავის აღარ მინიჭებია. მიუ-
ხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო არტისტის წოდე-
ბის მინიჭების პროცედურა ინსტანციების გავლით და კანონის

სრული დაცვით ჩატარდა, ბატონი გურამ პაატაშვილი არცერთ პუბლიკაციაში და არც ზეპირსიტყვიერად არასოდეს ახმოვანებს სავესებით დამსახურებულად მინიჭებულ სახალხო არტისტის წოდებას და არც ამ საპატიო წოდების შეღავათებით სარგებლობს. რეალურად კი ბატონ გურამს ჩვენი ქვეყნის იმ დროის ყველაზე ავტორიტეტულმა და გამოჩენილმა მოღვაწეებმა მიანიჭეს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება. ეს გახლდათ ჭეშმარიტად სახალხო მხარდაჭერა სახალხო არტისტის წოდების მინიჭებისა. როგორც ამ პროცედურების თანამონაწილე, აქტიურად ვუჭერდი მხარს გ. პაატაშვილს. დაჯილდოვების საბუთები წარდგენილი იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაში (დღევანდელი პარლამენტის შენობა). წარდგენის საბუთებსა და გამგეობის ოქმში დაფიქსირებული იყო გამგეობის წევრების მხარდამჭერთა გვარები, ხოლო მონვეული მოღვაწეებისა და სტუმრების მხარდამჭერთა გვარების ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი ვრცელი სია, რომლებიც ტელეფონით იყვნენ გამოკითხული, თან ერთვოდა გამგეობის სხდომის ოქმს.

სამოქალაქო ომის დროს საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაში ცეცხლი მიძვინვარებდა, ცეცხლმა უამრავ სხვა ნივთთან და საბუთებთან ერთად, ეს საბუთებიც გაანადგურა. საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა სახლი კი მას შემდეგ კერძო მფლობელის ხელში აღმოჩნდა, ცოტა ხანში შენობა გაიყიდა, შემდეგ ტურისტების სასადილოდ გადაკეთდა, მოგვიანებით – ლამის კლუბებად, დისკოთეკად და ა. შ. ადრინდელი მდიდარი კულტურისა და ხელოვნების კერადან აღარაფერი შემორჩა, გარდა ბატონ გურამ პაატაშვილის შესანიშნავი ნიგნისა „სახელოვანი გზა“ (თბილისი, „საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი“, 1989), რომელშიც საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა სახლის დაარსებიდან მისი არსებობის მთელი მოღვაწეობის ისტორიაა გაცოცხლებული.

ასევე გასული საუკუნის 90-იან წლებში (1993-95 წწ.) აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი ვიყავი იმ პროცესებისა, როდესაც საქართველოს ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა წერილობით მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, პარლამენტს და თბილისის მერიას, რათა გ. პაატაშვილის უნიკალური საერთაშორისო საარქივო ფონდისთვის „მსოფლოს კულტურის საგანძური“ თბილისის ცენტრალურ ნაწილში გამოეძეხნათ გურამ პაატაშვილის სახლ-მუზეუმისთვის სათანადო ფართი. ამ მიმართვას მეც ვაწერდი ხელს. ეს საკითხი სათანადო გადაწყვეტილების გარეშე დარჩა.

მახსოვს, საქართველოში ამერიკის მსოფლიო „ჯოინთის“ წარმომადგენლობის საქველმოქმედო ცენტრში „ხესედში“ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დიდ დარბაზში 2008 წელს გაიმართა ბატონ გურამ პაატაშვილის 60 წლისთვისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მთელი საღამოს განმავლობაში სავსე დარბაზში ისმოდა ნაწყვეტები გ. პაატაშვილის დიდებული საოპერო, საბალეტო, სავიოლინო, საფორტეპიანო და სიმფონიური ნაწარმოებებიდან. პარალელურად იკითხებოდა ამონარიდები მისი შესანიშნავი აზრთა კრებულიდან „მაესტროს აზრთა სამყაროდან“. ცნობილი მოღვაწეები ულოცავდნენ იუბილარს, ბოლო არ უჩანდა საზღვარგარეთიდან ახლობლებისა და კოლეგების მოლოცვებს, მინიჭებულ ახალ ჯილდოებს. ნაჩვენები იქნა მისი მოღვაწეობის ამსახველი ფილმი, სლაიდშოუ. მრავალრიცხოვან გამომსვლელთა შორის მეც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მივულოცე ჩემს მეგობარს გურამ პაატაშვილს სახელოვანი იუბილე.

ათი წლის შემდეგ, 2018 წელს, ამავე ორგანიზაციაში და დარბაზში, გ. პაატაშვილის ინიციატივით ჩემს 80 წლისთავთან დაკავშირებით მეც მომიწევს საიუბილეო შეხვედრა ისე, რომ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ეს იყო სიურპრიზი. სადღესასწაულო საღამოზე მე ჩემს ქალიშვილთან და შვილიშვილ-

თან ერთად ვიმყოფებოდი. ღონისძიება დიდებულად იყო ორგანიზებული. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონმა ზაირა დავარაშვილმა წაიკითხა ჩემდამი მისასალმებელი ტექსტი. ბატონ გურამ პაატაშვილმა ვრცლად ისაუბრა ჩემს სამეცნიერო, საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. სავსე დარბაზმა დიდი პატივისცემა გამოხატა ჩემდამი. გადმომცეს საპატიო დიპლომი და სამახსოვრო საჩუქრები. თავი ბედნიერადამიანად ვიგრძენი. გული სიხარულითა და სიამაყით მევსებოდა. აი, ასეთი პიროვნებაა ბატონი გურამ პაატაშვილი. ბაქი-ბუქის გარეშე უყვარს სიკეთის კეთება. მერე და ვინ მოთვლის უხმაუროდ მის მიერ ნაკეთებ სიკეთეს და საქვეყნო საქმეებს. თავისი სიტყვა ბატონმა გურამ პაატაშვილმა ასე დაამთავრა: „ადამიანს მრავალ თვისებებთან ერთად ორი უმნიშვნელოვანესი თვისება უნდა გააჩნდეს. ადამიანური ღირსება და პროფესიული უნარ-ჩვევები. ერთით მაინც უნდა გამოირჩეოდეს. უბედურებაა, როცა არც ერთი არ გააჩნია. დიდი ბედნიერებაა, როცა ადამიანი ამ ორივე ღირსებით შემკულია“. ჩემკენ გამოიხედა, დარბაზს ხელით ჩემზე მიანიშნა, ტაში დაუკრა და გადამეხვია. მთელ დარბაზში მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა. საბოლოოდ ბატონმა გურამ პაატაშვილმა დასძინა: „ყველაზე დიდი ბედნიერებაა, სხვებს ანიჭებდე ბედნიერებას“.

მინდა ავღნიშნო, რომ ბატონი გურამ პაატაშვილის დიდებული შემოქმედება, ფართო მასშტაბის მოღვაწეობა, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი უდიდესი პირადი წვლილისათვის საზღვარგარეთ გაცილებით უფრო დაფასებული და აღიარებულია, ვიდრე ჩვენში. რა თქმა უნდა, იმასაც მნიშვნელობა აქვს, რომ ბატონი გურამ პაატაშვილი მოკრძალებული, თავმდაბალი პიროვნებაა. მას არასოდეს არცერთი მთავრობისთვის და საერთოდ არავისთვის არაფერი მოუთხოვია. ვერც ცნობილი მეცენატის მიერ დაფინანსებული პრივილეგირებულთა სიის

ვრცელ ნუსხაში ამოიკთხავთ მის გვარს. ჩემი დიდი სურვილია, ბატონ გურამ პაატაშვილის უდიდესი საერთაშორისო მიღწევებისა და დამსახურებული პრესტიჟული ჯილდოების გვერდით ჩვენი დედა უნივერსიტეტის, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალიც ბრწყინავდეს. მან ეს თავისი ხალასი შემოქმედებითა და უანგარო მოღვაწეობით კარგა ხანია, დაიმსახურა. ღმერთმა უმრავლოს ჩვენ ქვეყანას ბატონი გურამ პაატაშვილისნაირი მამულიშვილები.

*გურამ ლორთქიფანიძე
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
2019 წ.*

ახალი წიგნი

გურამ პაატაშვილი

აზრთა კრებული

„მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა მაესტრო გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილები. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- სიყვარული – სიცოცხლე. ეს მუსიკა, პოეზია, ფერწერაა. ეს სიკვდილზე გამარჯვებაა.
- ხელოვნება დიდი სამყაროა და ადამიანი ამ სამყაროს დიდი შემოქმედი.
- ახალგაზრდობა ბედნიერების ხანაა, მას აღმაფრენა შვენიის. განსაკუთრებით კი იმით არის ბედნიერი, რომ მას მომავალი გააჩნია. ცხოვრების ყველაზე დიდი სასწაული ახალგაზრდობაა.
- შემოქმედი უნდა ხედავდეს იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევს. ხელოვანი და მეცნიერი თავის ქმნილებასთან ერთად ისტორიასაც ქმნის.
- ადამიანების უმრავლესობა იმდენად არიან ბედნიერები, რამდენადაც თავად წარმოუდგენიათ, თუ რა არის ბედნიერება.

- მაძიებელი გონებისთვის ყოველთვის გამოიძებნება გზა სიახლის აღმოსაჩენად.
- დროთა განმავლობაში ადამიანი ყველაფერს კარგავს: ახალგაზრდობას, ჯანმრთელობას, სილამაზეს და ა. შ. და მხოლოდ სისულელე არასოდეს სტოვებს მას.
- რეალობა ის არის, რისთვისაც ადამიანი სამყაროს უნდა უმადლოდეს, ფანტაზია კი ადამიანის მიერ გამოგონილი წარმოსახვაა, რისთვისაც სამყარო ადამიანს უნდა უმადლოდეს.
- ფანატისკოსი პოლიტიკოსი ის არის, ვინც საკუთარ აზრს სერიოზულად აღიქვამს და აღშფოთებას ვერ მალავს, როდესაც სხვები მის აზრს სერიოზულად არ აღიქვამენ.
- ბევრისთვის იდეალი ის კი არ არის, რისკენაც მთელი სიცოცხლე მიისწრაფვოდნენ და ვერ აღწევდნენ, არამედ ის, რისკენაც არასოდეს მიისწრაფვოდნენ და შემთხვევით რაღაცა გრანდიოზულს ხელი გამოკრეს.
- სამაგიეროს ხშირ შემთხვევაში იმას უხდიან, ვისიც ეშინიათ და არ უყვართ.
- ადამიანების უმრავლესობას ისეთები უყვარს, როგორიც თავად არიან. ზოგიერთს კი პირიქით, განსხვავებული ხიბლავს. ჩვენ გარშემო ადამიანებიც და სამყაროც ფერადოვანი და ცვალებადია. უნარი უნდა შეგვწევდეს, რაც შენ ირგლივ ძვირფასი, ოღონდ სულ სხვანაირია, ისიც შეიყვარო და გაითავისო.
- ახალგაზრდობაში ადამიანის სახე ღვთიური საჩუქარია, შუა ხანს მიტანებული ისეთია, როგორიც ცხოვრებამ უბოძა, მოხუცებულობაში კი ისეთი, როგორიც თავად ადამიანია.
- არასოდეს დაანგრით ჯებირები, სანამ არ გაერკვევით, თუ რისთვის არის ისინი აგებული.
- მთელ მსოფლიოში ყველაფერი ადამიანების ხელშია. ყველაფერი ადამიანების ხელით კეთდება. ამიტომ, ისინი რაც შეიძლება ხშირად უნდა დავიბანოთ.

- ახალგაზრდობისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, რომ მათ მომავალი გააჩნიათ.
- ქვეყნის მბრძანებლის მდუმარებაშიც კი ხშირად შეცდომები გამოსჭვივის...
- ისეთ ადამიანს კარი არასოდეს გაუღოთ, რომელსაც ამის გაკეთება თქვენი ნებართვის გარეშეც შეუძლია.
- როდესაც ბედნიერების გამო აღფრთოვანებით მაღლა ახტები, ყურადღებით იყავი, ფეხქვეშ დასაყრდენი არ გამოგაცალონ.
- კანონით თანაბარუფლებიანობა მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ, პრაქტიკულად, ეს ცხოვრებაში თანაბარუფლებიანობას არ ნიშნავს. ცხოვრებას თავის დაუწერელი კანონები და საზღვრები გააჩნია. ერთადერთი, რასაც საზღვრები არ გააჩნია, ეს სიყვარულია.
- საოცარი რამაა ინტუიცია, ვერც გონებიდან ამოშლი და ზოგჯერ ახსნაც კი შეუძლებელია.
- ბებრები არ ბერდებიან, რადგან ისინი უკვე დაბერებული არიან. უდროოდ მხოლოდ ახალგაზრდები ბერდებიან.
- ზოგიერთების აზრს სიტყვები უსწრებენ წინ, ზოგჯერ კი თავად ძლივს ეწევა მათ.
- კარგი მასწავლებელი რომ იყო, უნდა გიყვარდეს ის, რასაც ასწავლი და გიყვარდეს ისინი, ვისაც ასწავლი.
- როდესაც ძალა უფასურდება, მაშინ ყველაზე ძვირად ჭკუა ფასობს.
- ბავშვების სიყვარულის და დიდებული იდეების გარეშე კაცობრიობა არსებობას ვერ შეძლებდა.
- ცხოვრებაში ზოგჯერ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წამიერ გაელევებს, შემთხვევას. ის ხშირად რადიკალურად ცვლის ადამიანის ცხოვრებას და სულ სხვა ელფერს აძლევს მას.

- მამაკაცი, რომელიც ვიზუალურად ბევრ ქალს მოსწონს, ახლოს გაცნობისას, არცთუ იშვიათად, რატომღაც ის არავის უყვარდება.
- ქალების უმრავლესობა ცდილობს, თავი ყველას მოაწონოს. მათი აზრი ძირითადად იქითკენ არის მიმართული, რაც შეიძლება მეტის ყურადღება დაიმსახურონ. ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგჯერ კი გადამწყვეტიც მის აღმატებულებას – შემთხვევას. ამიტომ ანკესი ყოველთვის მზადყოფნაში და გადაგებული უნდა ჰქონდეთ. თევზი ზოგჯერ ისეთ სიღრმეში წამოეგება ანკესს, როგორშიც ვერც კი წარმოიდგენდი მასთან შეხვედრას.
- ადამიანების უმრავლესობა აღფრთოვანებულია წარსულით, მაგრამ სიამოვნებით ცხოვრობენ თანამედროვეობით. ყოველთვის აკრძალულისკენ მიისწრაფვიან და მიუღწეველი სურთ.
- ტვირთი გემსუბუქება, როცა მას მაღლიერების ნიშნად ზიდავ.
- განრისხებულს ყოველთვის გონია, რომ უფრო მეტს შეძლებს, ვიდრე რეალურად შეუძლია.
- გამარჯვებულებს ჭრილობები მალე უხორცდებათ, დამარცხებულებს კი ტკივილი მოსვენებას არ აძლევს.
- რა დიდებულია ადამიანი, როდესაც ის მართლა ადამიანურია.
- განრისხება უჭკუობისაგან მხოლოდ დროის ხანმოკლეობით განსხვავდება.
- არსად მთელ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი კანონები, რომლებიც სუყველას დააკმაყოფილებდა.
- ადამიანების უმრავლესობა განსაკუთრებით ჭკვიანები მაშინ არიან, როდესაც სხვებს აძლევენ რჩევებს.
- შეუხედავი ცოლი ქმრის სასჯელია, ლამაზი კი – ხშირად საერთო ღირშესანიშნაობა.
- რიგ შემთხვევებში ისტორია მოვლენებისა და მოქმედებების ფილოსოფიაა.

- სინდისი – ეს წესიერი და კეთილი ადამიანის შინაგანი სა-სამართლოა.
- ვინც სუყველას გაურბის და სძულს, მას დიდხანს მოუწევს აქეთ-იქით სირბილი.
- ბოლოს დამატებული ან ნათქვამი ხშირ შემთხვევაში მნიშ-ვნელოვნად გვესახება.
- როდესაც ორი ადამიანი ერთი და იგივეს აკეთებს, ეს უკვე ერთი და იგივე აღარ არის, რადგან სუყველა ყველაფერს თავისებურად აკეთებს.
- ზოგიერთებს არ ესმით ის, რაც ესმით სხვებს; ზოგს კი ეს-მის ის, რაც არ უნდა ესმოდეს არავის. ზოგიერთი ბევრს ლაპარაკობს, რომ გასაგებად არაფერი თქვას; სხვებიც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ იმიტომ, რომ არ იციან, რა თქვან. ზოგი იმიტომ ლაპარაკობს, რომ დამალონ, თუ რას ფიქრობენ ისინი; სხვები კი იმიტომ, რომ მდუმარების უნა-რი არ შესწევთ. გულისწყრომა და ჩივილი იმის შესახებ, რომ ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებენ, ხშირ შემთხვევაში იმის გამო ხდება, რომ ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი ისე საუბრობს და მოქმედებს, რომ ამით არაფერს ამტკიცებს და რაიმეს გაგებაც შეუძ-ლებელია და ესეც თავისებური პოლიტიკაა.
- კამათში ხშირად უხეში ძალა ან მჭევრმეტყველება იმარ-ჯვებს და არა ჭეშმარიტება.
- ბევრ ფულს ორი თვისება გააჩნია: ან თავის პატრონზე ბა-ტონობს ან ემსახურება მას.
- ნდობა ნდობას იმსახურებს და ნდობითვე გავალდებუ-ლებს.
- ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ უღევი უბედურების გამო ხანგრძლივი გეჩვენება ხოლმე.
- ძნელია, გაუფრთხილდე იმას, რაც ბევრს მოსწონს.
- სიბნელეში ქალის სილამაზეს ვერ შეაფასებ, წყვდიაღში ყველა ქალი ლამაზია.

- მეგობარს დიდ ხანს ეძებენ, ძნელად პოულობენ და ზოგჯერ ადვილად კარგავენ.
- წარსული უბედურების გახსენება ახალი უბედურების ტოლფასია.
- ცოდნა სწავლით მიიღწევა, კეთილდღეობა – შრომითა და გონიერებით, პატივისცემა – დამსახურებით, ჯილდო კი – ბედის წყალობით და სხვა უამრავი საშუალებებით...
- როდესაც უბედურებაზე ფიქრობ, ის არ გადის, პირიქით მრავლდება. მისგან თავის დაღწევის უებარი წამალი მასზე ფიქრის შეწყვეტაა.
- ნუ იქნები ხვალინდელი დღის იმედად, სანამ ის არ დამდგარა, რადგან არავინ იცის, როგორი იქნება ის.
- ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მაგრამ ყველაზე დიდი ფასი სიცოცხლეს აქვს, ის შეუფასებელია.
- თუ გსურს, ადამიანს თავისი რეალური სახე დაანახო, ისე მოექეცი მას, როგორც ის ექცევა სხვებს.
- ვისაც კარგი სიძე შეხვდა, მან ვაჟიშვილი შეიძინა, ვისაც უვარგისი, მან შესაძლოა, ქალიშვილიც დაკარგოს.
- გამბედაობა საქმის დასაწყისია, თუმცა არა საკმარისი, შემთხვევა კი ბევრ რამეს განაპირობებს.
- განრისხების დროს უმჯობესია, არც ილაპარაკო და არც იმოქმედო.
- ქონდრისკაცებში გიგანტად ის ითვლება, ვინც ქონდრისკაცზე ერთი თავით მაღალია, მაგრამ, როგორც არ უნდა გააღმერთონ, ისიც ქონდრისკაცია.
- ადამიანების უმრავლესობას ვინც ეზიზღება, მარჯვენა ხელით მას ტალახს ესვრის, შეხვედრისას კი არცთუ იშვიათად მარცხენა ხელით ქუდის მოხდით, წელში მოხრილნი ესალმებიან.
- როდესაც ქვეყანას გმირები ტოვებენ, მათ ადგილს არცთუ იშვიათად ტაკიმასხარები იკავებენ.

- ყოველი ადამიანი ცალკე აღებული მთელი სამყაროა, რომელიც მასთან ერთად იზადება და მასთან ერთად კვდება. ყოველი საფლავის ქვის ქვეშ, არცთუ იშვიათად, დიდი ისტორია განისვენებს.
- როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ქალი როგორც კი დამოუკიდებლად აზროვნებას დაიწყებს, მისი პირველი სიტყვა, არცთუ იშვიათად, ჩემი ახალი კაბა და მორთულობაა.
- კანონმორჩილება ფართო ცნებაა. კანონმა ჩვენ მხოლოდ სხვებისგან კი არა, არამედ რიგ შემთხვევებში საკუთარი თავისგანაც უნდა დაგვიცვას.
- ქალებს სილამაზისთვის მხოლოდ ერთი საშუალება აქვთ – ბუნებისაგან ნაბოძები სილამაზე, მაგრამ იყვნენ მიმზიდველნი, საამისოდ მათ უამრავი საშუალებანი გააჩნიათ.
- ადამიანების უმრავლესობას გამოჩენილი ადამიანების მიბაძვა უყვარს, თუმცა ხშირ შემთხვევაში უფრო მათი სისუსტეების, ვიდრე ღირსეული თვისებებისა.
- მუსიკა მოვლენაა, საოცრებაა. ის აზრისა და გრძნობის, სულისა და მატერიის ერთ მთლიანად შესისხლხორცების უნიკალური საშუალებაა, რომლის უკიდევანო სივრცეს და დროს საზღვრები არ გააჩნია.
- რაც არ უნდა ვთქვათ და რაც არ უნდა მივანეროთ მის აღმატებულებას ადამიანს, ერთი რამ ცხადია: არაფერია იმაზე სანყალი და უფრო დიდებული, ვიდრე ადამიანი.
- დრო და ცხოვრება არასოდეს არავის ელოდება.
- შეყვარებული ქალი ხშირად გაცილებით უფრო მეტ მომხიბვლელობას ასხივოსნებს, ვიდრე აქვს.
- საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებდა მთელ დედამიწაზე, რომ არ ყოფილიყო „ჩემი“ და „შენი“-ს დაუსრულებელი ჭიდილი.
- ჩვენი ცხოვრების სამი ძირითადი ქრონიკული დაავადება: იარაღი, სკამი და ბუნტი.

- ლატაკ მათხოვარს მდიდრების არ შურს, მას შურს სხვა მათხოვრის, რომელიც მასზე მეტს შოულობს.
- ქალი, რომელიც მოგწონს, მაგრამ ის სხვას ეკუთვნის, გაათმაგებულად უფრო სასურველია, ვიდრე ის, რომელიც იოლად მოსაპოვებელია.
- სიყვარულით გამოწვეული ტანჯვის ფილოსოფიით განელეება ან დავიწყება შეუძლებელია. ეს მხოლოდ სხვა ქალის მეშვეობითაა შესაძლებელი.
- გენიოსი უდიდესი ინტელექტის მატარებელი სამყაროს იშვიათი მოვლენაა. ის კაცობრიობის საკეთილდღეოდ ხშირად საკუთარი ცხოვრების ხარჯზე დიდ საოცრებებს ქმნის.
- როგორი თავმდაბალიც არ უნდა იყო, საკმარისია, სხვებმა მათზე შენი უპირატესობა იგრძნონ, ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაგიქცევენ.
- თუ ხუმრობა სერიოზულ ამბავს ამოფარებული გაჟღერდება, ეს ირონიაა. თუ სერიოზული ხუმრობასთან ერთად – ეს იუმორია. ხშირად ორივე ადამიანს გვარიანად ხვდება ცხვირ-პირში.
- ზოგიერთების აზრით, ცხოვრების ყველაზე დიდი ირონია ეს დაბადებიდან იმის რწმენაა, თითქოს ადამიანი ბედნიერებისთვის იყოს სამყაროში მოვლენილი.
- ქორწინება რიგ შემთხვევებში საკუთარი უფლებების შემცირებას და მოვალეობების გაორმაგებას ნიშნავს.
- გააზრებული დუმილი დიპლომატიური საუბრის ერთ-ერთი საშუალებაა.
- ცხოვრებაში არაფერია ისეთი მუდმივი, როგორც მარადცვალებადობა.
- ნიჭიერი ადამიანის შეცნობა რთული არ არის, თუნდაც იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ უმაღლესი უნიჭოები, შურიტა და ბოლმით აღვსილი უვიცები ერთიანდებიან.
- თეატრში დაღვრილი ცრემლები ბევრისთვის ცხოვრებისეული გაკვეთილების გათავისებაა.

- უცქირე ყოველი დილის გარიჟრაჟს და მის გაბრწყინებას, როგორც შენი სიცოცხლის ამობრწყინებას.
- ვისაც ზოგჯერ მეორე ადგილს მიაკუთვნებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე ეკუთვნოდა პირველობა.
- პატარებს ბავშვობიდანვე უნდა ასწავლოთ დროულად გაჩუმება, ლაპარაკს თავად ისწავლიან.
- ყოველ დიდ თამაშში, მათ შორის პოლიტიკურშიც, საქმის რალაც პატარა ნაწილის დატოვება ყოველთვის შემთხვევის გადასაწყვეტად რჩება.
- ომის დროს ყოველთვის ხდება გაუთვალისწინებელი მოვლენები. არმიის ძალა დიდი ძალაა, თუმცა ზოგჯერ ქვეყნის დასაცავად არასაკმარისია, მაგრამ, როდესაც მას ხალხის ძალა უმაგრებს ზურგს, ის დაუმარცხებელია.
- როდესაც მიხვდები, რომ თავისთავად ბედნიერება არავისთან სტუმრობს, ეს იქნება საიმედო გზა მომავლისაკენ, რათა ბედნიერება საკუთარი ხელით შექმნა.
- ადამიანები ხშირად იბრძვიან რწმენის დასაცავად და იშვიათად ცხოვრობენ მისი წეს-ჩვეულებების თანახმად.
- თუ ცოლად გამომეყვები, ისე იცხოვრებ, როგორც სამოთხეში! – ეს როგორ? ვივლი ფეხშიშველი, მთლად შიშველი და მხოლოდ ვაშლს შეეჭამ?..
- ქალების უმრავლესობა სხვა ქალების ბრწყინვალეობას არასოდეს აღიარებს.
- ძლიერთა გარემოცვაში დამნაშავე ყოველთვის სუსტია.
- პოლიტიკოსი ხან მელა, ხან არწივი და ლომი უნდა იყოს. პოლიტიკოსის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ უნდა იცოდეს, როდის იყოს ერთი, ან – მეორე თუ მესამე.
- ბედნიერებას ხშირ შემთხვევაში არც ხვალინდელი და არც გუშინდელი დღე გააჩნია, ის არც მომავალზე ფიქრობს და არც წარსული ახსოვს, მას აქვს აწმყო, დღევანდელი დღე, ისიც ხშირად მხოლოდ წამიერი გაელვება.

- როდესაც ომახიანად აცხადებენ: სულ მალე უკეთესი დროება დადგება! – ყოველთვის უნებლიეთ კითხვა გიჩნდება: ხომ ვერ შეძლებდით დროს, ან თარიღის დაზუსტებას?
- სადაც სიყვარული და სილამაზეა, იქ დიდებული მუსიკა ჟღერს.
- ყველაზე მაღალი გაგებით, თითოეულ ადამიანში მთელი კაცობრიობა იგულისხმება.
- ადამიანი იმისთვის არ მოვლენია სამყაროს, რომ დამარცხებას შეეგუოს. ის უძლიერესია და ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს მას.
- ის თავზარდამცემი დარტყმა, რომელიც ადამიანს უკუაგდებას, მას მთელი ენერგიით თავდასხმის და რევანშის ძალას ჰმატებს. იმედგაცრუება და რევანშის გრძნობა ყოველთვის დიდ შემართებას და ძალას აღძრავს.
- ცხოვრებაში რასაც ადამიანი გვერდს ვერ აუვლის, ეს ორი უკიდურესობაა: ერთი – როცა იმას არ იღებ, რასაც იმსახურებ, მეორე – როცა იმას იღებ, რასაც არ იმსახურებ.
- ძალიან ბევრი რამ არის გადამდები დიდსულოვნებისა და გულწრფელობის გარდა.
- იქ, სადაც არც სიყვარული და არც სიძულვილი ბობოქრობს, ქალისთვის ასეთი მდგომარეობა ინტერესმოკლებულია.
- პოლიტიკოსთა უმრავლესობის მიზანი სიმართლეზე უფრო მეტად მასების დარწმუნებაა.
- როგორც ფული ნებისმიერ ჯიბეს, ასევე პური ნებისმიერ პირს ხსნის.
- ვინც ლაბირინთში ებმევა, ელემენტარული ჭეშმარიტება ავიწყდება: გამოსასვლელი იქ არის, სადაც შესასვლელი იყო.
- ზოგიერთი, თავისი ცხოვრების ნესიდან გამომდინარე, ორივე თვალთ იხე იყურება, როგორც ცალი თვალთ ჭუჭრუტანაში ცქერისას.

- ადამიანების უმრავლესობას საღად აზროვნება სჩვევია, ამავე დროს, არალოგიკური საქციელი მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.
- ნუ აგრძნობინებ შენს უარყოფით დამოკიდებულებას იმათ, ვისი თავიდან ჩამოცილების უნარი შენ არ შეგნევს.
- როდესაც წარმატების მწვერვალზე აღმოჩნდები, ეჩვევი ლიდერობას... და აი, უნდა დაბრუნდე სახლში და გამოხვიდე მეფის როლიდან... ხშირად საამისო სურვილი არა გაქვს – სულ ახლახან დარბაზი და აღფრთოვანებული საზოგადოება ოვაციებით და აპლოდისმენტებით გეგებებოდა...
- ხელისუფლებას უფრო ესაჭიროება ჭკვიანი ხალხი, ვიდრე ჭკვიან ხალხს ხელისუფლება.
- თუ ქალი თქვენი თანდასწრებით რალაცის გამო ამბობს: „რა სულელი ვყოფილვარ!“ – ეს ერთადერთი საშუალება ხელიდან არ გაუშვით და თქვენც შეგიძლიათ იმნამსვე დაეთანხმოთ, რადგან სხვა შემთხვევაში ქალი ამის შანსს არასოდეს მოგცემთ.
- რა განსხვავებაა სილამაზესა და გენიას შორის? სილამაზე გენიაზე უფრო მაღლა იმ თვალსაზრისით დგას, რომ გენიისგან გასხვავებით მას გაგება არ ესაჭიროება.
- ვალდებულების გრძნობა ყველას თავისებურად ესმის. ადამიანების უმრავლესობისათვის ვალდებულების გრძნობა ეს ის არის, რაც მათ უნდათ სხვებში დაინახონ და არქონის შემთხვევაში აღშფოთება გამოთქვან.
- ეგოისტი თავისი პრინციპებით ცხოვრობს, მაგრამ უფრო აუტანელი ის არის, რომ ის სხვებს აიძულებს მისი პრინციპებით ცხოვრებას.
- ქალები განსაკუთრებულები არიან, მათ სურთ, გახდნენ მამაკაცის ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული. ქალების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ლამაზი ქალები, თავიანთ ქმრებზე ნაკლებად ეჭვიანობენ, ისინი უფრო სხვის ქმრებზე ეჭვიანობენ, რადგან მათ თავიანთ ცოლებ-

თან უხდებათ თანაცხოვრება. ქალი ყოველთვის მოთავისია, რაც თავისად მიაჩნია, მისი გაყოფა არავისთან სურს, თუნდაც სხვისი ქმრის მის კანონიერ ცოლთან, თუ ეს კაცი მისი საყვარელია.

- ბედნიერების ულვეი წყარო მრავალფეროვნებაშია.
- ძლიერ და მიზანდასახულ ადამიანებს ცხოვრებაში წინა ხაზზე განლაგებული პაიკებივით როლი აკისრიათ. ისინი იხოცებიან, მაგრამ გამარჯვებას უზრუნველყოფენ.
- კეთილგონიერ ადამიანში მონანიების სურვილი არასოდეს გაქრება.
- ადამიანების უმრავლესობა ერთ რამეში ერთმანეთს ძალიან ემსგავსებიან. ეს გახლავთ სურვილი – მოწონდე ყველას.
- არასოდეს უნდა დაუპირისპირდე ისეთს, ვისაც ცხოვრებაში არაფერი აქვს დასაკარგი.
- ქალი ხშირად არჩევანის წინაშე დგას: მამაკაცთან, რომელიც სხვა ქალებს მოსწონთ და უყვართ, ის არასოდეს იქნება მშვიდად; მამაკაცთან, რომელიც არ მოსწონთ და არც უყვართ სხვა ქალებს, ის არასოდეს იქნება ბედნიერი. სიყვარულში მამაკაცებს ხელშესახები, კონკრეტული მოვლენები ესაჭიროებათ, ქალებს კი უფრო გრძნობები ხიბლავთ. ეჭვიანობა მამაკაცებისთვის თუ სისუსტეა, ქალებისთვის ის სტიმულის მიმცემი ძალაა, მათ იმდენად სიძულვილს კი არა, უფრო სითამამეს ჰმატებს. ქალი მეტწილად მაშინ არის გულწრფელი, როდესაც ტყულის სათქმელად მიზეზი არ გააჩნია. ქალები მამაკაცების გარეშე დამჭკნარ ყვავილებს ემსგავსებიან, მამაკაცები კი ქალების გარეშე ცხოვრების აზრს კარგავენ.
- ჭკვიანი ადამიანი არც სხვის საიდუმლოს მოისმენს და არც სხვას გაანდობს თავისას, რათა სხვაზე დამოკიდებული არ გახდეს.
- სილამაზე არ საჭიროებს დამატებით მორთულობას, მას უფრო ზედმეტი მორთულობის უქონლობა ალამაზებს.

- ზოგიერთების აზრით, ფილოსოფია ეს ის მოვლენაა, როდესაც იღებ უმარტივეს შემთხვევას, რაზეც არც კი ღირს საუბარი და ბოლოს მიდიხარ, ეხები რაღაც ისეთ პრობლემებს, რისი დაჯერებაც უბრალოდ შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ იწყებ უმარტივესიდან და ამთავრებ პარადოქსულით.
- როდესაც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში სიყვარული ან სიძულვილი არ ასრულებს მთავარ როლს, ქალი ხშირად უხალისოდ, კეკლუცობის გარეშე ურთიერთობს.
- ბევრისთვის ცხოვრება იმიტომ არის უაზროდ განელილი, რომ ბედნიერება ძალიან ხანმოკლეა.
- ზოგიერთს თუ სურს, ვინმე მისადმი განაწყოს, ისეთ გამომეტყველებას იღებს, თითქოს მის დანახვაზე იბნევა და მორჩილად თვალეში შესცქერის.
- ადამიანი უნდა იყოს კეთილგონიერი, უბრალო, სამართლიანი, უშიშარი და დიდსულოვანი. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მას უფლება, ატაროს უმაღლესი წოდება ადამიანისა.
- პოლიტიკა ისეთი სფეროა, სადაც ზოგიერთმა პოლიტიკოსმა არ იცის, თუ რაზე საუბრობს და ზოგჯერ არც ის იცის, რაზეც ის საუბრობს, სიმართლეა თუ არა.
- ზოგიერთები დღემდე ვერ გარკვეულან: სიყვარულს აქვს რაიმე საერთო ჭკუასთან?
- ბევრი თავის სიძულვილში უფრო მდგრადია, ვიდრე სიყვარულში.
- ქალს შეუძლია მამაკაცი კომპლიმენტებით დაიყოლიოს. მამაკაცი კი ქალს მხოლოდ კომპლიმენტებით ვერასოდეს განაიარაღებს და მით უმეტეს ვერც დაიყოლიებს. ქალს ყოველთვის მყარი გარანტიები და შორს მიმავალი ინტერესები ამოძრავებს. ქალი ნებისმიერთან იკეკლუცებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მას სხვებიც უყურებენ და ყურადღების ცენტრში იმყოფება. ქალი, საერთოდ, იშვიათად

რომ არაფერზე ფიქრობდეს, ის ყოველთვის რაღაცაზე ან ვიღაცაზე ფიქრობს.

- ეროვნული კულტურა სიამაყეა. ეს არის სულიერების ტაძარი.
- ხელისუფალის უზენაესი სიკეთე და სიდიადე მისი სამართლიანობაა. ხალხის კეთილდღეობა ხელისუფლების ვალდებულებაა.
- სამწუხაროა, ვერ მიიღო ის, რაც გასურს. შეუძლებელია, გასურდეს ის, რაც არ იცი.
- პოლიტიკოსს პრინციპები უნდა გააჩნდეს, მაგრამ პოლიტიკას, რომ გაჰყვე, პრინციპებს უნდა უღალატო.
- ძნელია, დაამარცხო ისეთი ხალხი, რომელიც პატივს მიაგებს საკუთარ ქვეყანას, მის ისტორიასა და კულტურას.
- სამყარო ემყარება წიგნთა წიგნის სიბრძნეს, სიყვარულს, სამართლიანობას, ქველმოქმედებას, ისტორიულ მეხსიერებასა და ნიჭიერებას.
- სახელმწიფო ძლიერია, როდესაც ხალხს ხელისუფლების სწამს.
- ადამიანს ხიბლავს ის, რაშიც მისი იდეალი ვლინდება.
- ყველა ადამიანი როდია ქველმოქმედი, ვინც ქველმოქმედებას ჩადის. ქველმოქმედია ის, ვისთვისაც საქციელის ეს წესი მისი ხასიათის თვისებაა.
- ოჯახი დედის გარეშე იგივეა, რაც ადამიანი გულის გარეშე.
- გამარჯვებული ხალხი იმედგაცრუებისას მორიგი თავგადასავლებისაკენ მიილტვის.
- უფულობა ეს თავის ტკივილია, პატარა ფული ეს წუხილია, დიდი ფული ეს პოლიტიკაა, ძალიან დიდი ფული კი სევდანარევი ბედნიერებაა.
- მწიფე ხილი პირველად ღორისაა, ხიდან რომ ჩამოვარდება, იმწამსვე მიირბენს და შეჭამს.

- უწმინდური სინმინდეებს ეტმასნება, ლაჩარი კი გმირთა სახელებს ხოლმე, რათა თავიანთი არარაობა შენიღბონ.
- ზოგჯერ მცირერიცხოვანი ჩაგრული ერი კაცობრიობას უფრო მეტ გენიალურ ადამიანებს მოუვლენს, რომლებიც უდიდეს წვლილს შეიტანენ ცივილიზაციის განვითარებაში, ვიდრე მრავალრიცხოვანი ერები, ასეთი გენიოსები განადიდებენ საკუთარ ერს და სხვა ერების და მთელი კაცობრიობის წმინდანებად და მშვენებად იქცევიან.
- სისულელე და სიბრძნე, რა თქმა უნდა, ლვითური საჩუქარია, მაგრამ ხომ არ შეიძლება პირველი ნაბოძები საჩუქრით ასე უსასრულოდ სარგებლობა?
- დღეს, როგორც არასდროს, სუყველა სკამის ძიებაშია. ცენტრალურ მოედანზე და ქუჩებში და ყველგან, სადაც სავარძლებში მოკალათებული გამოჩენილი მოღვაწეების ძეგლები დგას, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა და თვალ-ყურის მიდევნება. გამორიცხული არ არის, ერთხელ დილით აღმოჩნდეს ძეგლი სავარძლის გარეშე, ხოლო სავარძლის გარეშე დარჩენილმა ძეგლმა მოკურცხლოს და თავს უშველოს, ცოდვას განერიდოს. ასეთი მოვლენების დროს წამყვანი თეატრების სცენაზე „ჩვენი დროის გმირის“ წარმოდგენები მქუხარე აპლოდისმენტებით მიმდინარეობს. პრემიერაზე მთავარ როლს დიდი წარმატებებით ასრულებენ კვაჭი კვაჭანტირაძე, ოსტაპ ბენდერი, ჯაყო, კისა ვარაბიანიშვი, მაგრამ მთავარი პოლიტიკური თეატრი იქვეა, რომლის სცენაზე არნახული წარმატებით, ანშლაგებით მიმდინარეობს განახლებული სპექტაკლის „ჩვენი დროის გმირის – ყვარყვარეს“ პრემიერა. ძველი წარმოდგენის ახალი ინტერპრეტაციით განხორციელებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.
- ყოველთვის ასე იყო. თუ რაიმეს გაკეთება არ შეიძლება, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა გაკეთდეს,

ოლონდ ფარულად. ასეთი მენტალობის ადამიანებისადმი, სამწუხაროდ, დემოკრატიაც უძლური აღმოჩნდა.

- თეატრი თავისებური სხეულია, სპექტაკლი კი – გული, სცენა დაბადების ადგილია, სადაც ახალი როლი, წარმოდგენა და მასთან ერთად მაყურებლის ცოცხალი რეაქცია იბადება, რასაც ურთიერთკავშირი, სიცოცხლე და ბედნიერება ჰქვია.
- შემოქმედის შინაგანი სამყარო სულის სიმფონიაა.
- ერი ერთობის იდეით ინარჩუნებს და გადაირჩენს თავს.
- ნიჭიერები თავის ეპოქას აშენებენ, უნიჭონი კი ნგრევით თავის ეპოქას ქმნიან.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი, უბრალოდ, „სხვაგან მოხვდა“, იცის, რომ სხვაგან ხედება და მაინც განაგრძობს რეკვას.
- მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველა ადამიანს აკისრია. იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ამას მათ მაგივრად სხვა გააკეთებს.
- მუსიკის, სიტყვისა და ფერის ზემოქმედების ძალა შეუდარებელი და უსაზღვროა, ის მთელ სამყაროს, ყველას და ყველაფრის გამგებელია, აზრთა და სულთა მპყრობელია.
- ადამიანი, უპირველესად, სულიერი არსებაა და მან თვითონვე უნდა გააცნობიეროს, რომ სულის მდგომარეობა ეს არის ცხოვრების გზის არჩევანი და მისი კონსტიტუცია.
- ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ზოგჯერ თვალის დახამხამებაზე უმაღლესი იცვლება არსებული. უცებ ძლიერმა ქარმა დაუბერა და ქალაქში სანიშნებს და მაჩვენებლებს მიმართულება შეუცვალა. მარიონეტების თეატრი მთავრობის სასახლეზე მიაწვდის, ბაზრობა – საარჩევნო უბნებზე, საპარიკმახერო – სამართალდამცავ ორგანოებზე, ცირკი – პარლამენტზე, ფილარმონია კი – ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაზე. რას იტყვის მომავალი თაობა ასეთ უმსგავსოებაზე? ერთმა ღვთისწიერმა მოინდომა მაჩვენებლების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, მაგრამ ჰოი, საოც-

რებაჲ, ხალხმა არ დაანება, გააპანლურა... და ყველა თავის კონცერტს აგრძელებს....

- როდესაც სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე ერთხელ მაინც ყალბ ნოტს ააჟღერებს ვიოლინო, ფლეიტა ან ვიოლენჩელო... ყურთასმენას ჭრის არასწორად გაჟღერებული ხმოვანება. საინტერესოა, როგორი მდგომარეობა აქვს მთავრობას სმენის მხრივ? სამთავრობო ორკესტრი ხშირად აჟღერებს ყალბ ნოტებს, ყველა ამჩნევს, ხელისუფლება კი რატომღაც არ რეაგირებს. იქნებ პარტიტურა სხვა არის? შესაძლოა, ორანჟირება და გაორკესტრებაც ნაცოდვილარია? იქნებ ღირიჟორი და ორკესტრანტებია შესაცვლელი? გამუდმებით კაკაფონის მოსმენა ხომ აუტანელია.
- შემოქმედი უნდა ხედავდეს იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ.
- ცხოვრება გრძელდება, სანამ იბრძვი. და კვდება, როდესაც ბრძოლა მთავრდება, რადგან ყოველივე ცოცხალი ბრძოლის შედეგია და ბრძოლის გარეშე ცხოვრება მოსაწყენია.
- პოეზიისა და მუსიკის თანხვედრა ხელოვნების ზეიმიია. ეს საგანძური ერთმანეთს ძალას ჰმატებს, რომელთა შესაძლებლობანი ამოუწურავია.
- როგორც არ უნდა ეწადოს ადამიანი, წარსულში ვერ დაბრუნდება და რომ დაბრუნდეს, მაინც ვერ შეცვლის.
- ჩვენს ცხოვრებაში იმდენი რამ მოაქვარიწხალეს სულელებმა, რომ მათი ძეგლები ცენტრალურ მოედანზე უნდა იყოს წამოჭიმული, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამბობენ, რომ სულელები აღარ არიან, უკვე მოჭკვიანებულან. მითუმეტეს, ურიგო არ იქნება, დაწესდეს სახალხო ზეიმი „მოჭკვიანებული სულელების დღე“ ომახიანი დევიზით „ჩვენ სულ ყველა მოჭკვიანებული სულელები ვართ“. გაიმართოს ფესტივალები და მიენიჭოთ სპეციალური პრემი-

ბი: „სუპერ მოჭკვიანებული სულელი“, „ოქროს მოჭკვიანებული სულელი“, „მოხიბლავი მოჭკვიანებული სულელი“ და ა. შ., ვუსურვოთ ახალი შემოქმედებითი წარმატებები ცხოვრებასა და საქმიანობაში, ნება დაერთოთ არჩევნებში მონაწილეობის და არა მხოლოდ ხმის მიცემით, არამედ თავიანთი კანდიდატების წარმოდგენითაც. ტელევიზიებში მომზადდეს თოქ-შოუ „ყოველმხრივ განსაკუთრებული მოჭკვიანებული სულელი“ ფართო წრის მონაწილეობით. ქვეყანაც აშენებულა, მაგრამ რატომღაც არავის შურს. რატომ?

- სიბერე ეს ის მდგომარეობაა, როცა ლამაზმანს, სიბრძნის გარდა, სხვა ვერაფრით ვერ მოხიბლავ.
- შენი ადგილი ცხოვრებაში მხოლოდ შენია, მაგრამ უნდა შეგეძლოს მისი მოპოვება.
- თუ არქიტექტურა თავისებური მდგრადი მუსიკაა, მაშინ თანამედროვე არქიტექტურა თავისუფალი იმპროვიზაციაა.
- შემოქმედი ადამიანი ხშირად მარტოხელაა, ის თავის შემოქმედებაზეა დაქორწინებული.
- ხელოვნებას ძლუძს, შეცვალოს ადამიანის დამოკიდებულება საკუთარ თავსა და მთელ სამყაროს შორის.
- თეატრის კულისებს მიღმა დაფარული საინტერესო სამყაროა, რაც იქ ხდება, თავისებური თეატრია, გარედან ცოტა ჩანს, ბევრი კი გასაიდუმლოებულია.
- ყველაზე საუკეთესო და საამური ბავშვების ლილინია.
- ჭკვიანი პოლიტიკოსი ის კი არ არის, ვინც დაპირებებს იძლევა და დროულად ასრულებს, არამედ ის, ვინც პირობას იძლევა და დროს არ აზუსტებს.
- საყვარელი ადამიანის გვერდით ყვავილები არასოდეს ჭკნებიან.
- ადამიანს ნუ დააკარგვინებ ცხოვრებისადმი ინტერესს, ნუ აიძულებ, გახდეს გულგრილი, თორემ მას უკან ვეღარ დაიბრუნებ.

- როდესაც დიპლომატური არხები მუშაობს, ხმამაღალი განცხადებები სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.
- ბოროტი ადამიანები მარტივად არ კვდებიან. წარსულს, აწმყოს და მომავალსაც აუგად მოიხსენიებენ.
- ყოველი შემოქმედი თავისი დროის კატეგორიებით უნდა განსაჯო.
- ხელისუფალს ოდნავ მაინც უნდა უყვარდეს თავისი ხალხი და ქვეყანა, სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდეს, რათა რაიმე სიკეთე შემატოს ხალხს.
- უცხო ადამიანში რაიმე კეთილ თვისებას თუ შეამჩნევ, შენი-ანად მიგაჩნია, როგორც მონათესავე სულს, ისე აღიქვამ.
- ხვალ რომ არ იტყვოს, ამისთვის დღეს უნდა იფიქრო. ფიქრს კი გონიერება სჭირდება. ყოველთვის სხვათა შემყურე ხელმოცარულნი არიან. მედროვე სკამის მონები ქვეყანას მტრობენ, ერთმანეთს სპობენ, სხვებს კი ლაქუცით თავს ევლებიან. ზოგიერთმა საკუთარი თავი რომ შეიცნოს, ურიგო არ იქნება, ზოგჯერ სარკეში ჩაიხედოს...
- უმწეო ოჯახის შვილები სხვა ბავშვებთან შედარებით უფრო დიდები არიან. ცხოვრებამ აიძულა, მალე გაზრდილიყვნენ. გაჭირვებაში მყოფი ბავშვების ბედზე წუხილი კაცობრიობის უპირველესი ზრუნვის მიზეზი უნდა იყოს.
- ღირსეული, უკომპრომისო და საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედნი ყოველთვის თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ და არიან.
- ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრების წესით ეხმიანება სამყაროს. სამშობლოსა და ხალხის უანგარო მსახური სიკეთის ქმნის პროცესია.
- აღიარება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. თუმცა გააჩნია, ვინ გცნობს დიდ პიროვნებად, მოღვაწედ. ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, ვინ გაღიარებს – ნათესავები და ცოლ-შვილი? უნიგნურთა ბრბო თუ ფართო საზოგადოება და ქვეყანა? როდესაც გუშინდელი ჩანჩალ-ჩანჩურები დღეს

ჭკუას ასწავლიან ხალხს, დიდი თუ პატარა „ბატონები“ კი თავისი ტაკიმასხარების გარემოცვაში დანავარდობენ, „ვარსკვლავთცვენას“ ბოლო აღარ უჩანს. ყოველ ნაბიჯზე გაისმის „ბედნიერი ახალი დროის გმირების“ კაკაფონია: ახლა ჩვენი დროა... შენ დაუკარ, ჩვენი ტაშ-ფანდურის დრო დადგა... შემთხვევით, დროებით აღზევებულების – ყვარყვარე ჩანჩალ-ჩანჩურების გეშინოდეთ, ხალხო! კიდევ კარგი, აქა-იქ ნიჭი, ღირსება, იმედის ნაპერწკალი კვლავინდებურად ღვივის...

- შემოქმედება და მეცნიერება სიკეთის უმაღლესი გამოვლინებაა.
- საკმარისი არ არის, იყო არსება ან სუბიექტი. უმთავრესია, იყო პიროვნება. არსება და სუბიექტი მხოლოდ საკუთარი თავის რჩენასა და კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, პიროვნება კი თავის გონებასა და ენერგიას საქვეყნო საქმეებსა და ხალხის კეთილდღეობას ახმარს.
- ადამიანების უმრავლესობას ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ერთბაშად უნდა.
- წაგებულ ომში გამარჯვებული ხალხის იმიჯის მორგება მკრეხელობაა.
- ხილული წარმატება ხშირად უხილავი ძალისხმევით მიიღწევა.
- გაჭირვება ხალხს სისასტიკეს ასწავლის, ხშირად დაუნდობლები ხდებიან.
- როცა არაფერი გაგაჩნია, ოცნებალა გრჩება. ოცნებას კაცი არ მოუკლავს. მაშ, იოცნებეთ, ოცნება ხომ უფასოა. რა გაეწყობა, ოცნება შესაძლოა, შემთხვევით ან საერთოდ არ განხორციელდეს. ამიტომაც უწოდებენ მას ოცნებას. რაც ხორციელდება, იმას რეალობა ჰქვია.
- ვნება შემოქმედებით პროცესშია, ტკობა კი ქმნილების შემდეგ.

- შური, ბოლმა და გაუტანლობა ცუდი მრჩეველია. ეს არის გზა არსაით.
- როდესაც გაიძახიან, ვაშენებთ ახალ ქვეყანას, რომლის მსგავსი ადრე არასოდეს ყოფილა, ხომ შეიძლება ის ვინმეს არ მოეწონოს? ხომ არ შეიძლება ადამიანებს ჰქონდეთ კოლექტიური აზროვნება და გემოვნება?
- ჭეშმარიტი შემოქმედი და მეცნიერი ის პიროვნებაა, რომელიც თავისი დროის მთელ ეპოქას წარმოაჩენს.
- კაცუნა, ქონდრისკაცი, ტანმორჩილი, ნახევარი კაცი არც იქით არის, არც აქეთ, არც კაცია, არც სხვა რაიმე. მის კაცობას ვერ გაიგებ, ვერ იგრძნობ, ვერც მიხვდები. არც გაჭირვებაში გარგია და არც ლხინში. მლიქვნელი, გაიძვერა და ტაკიმასხარაც არის. ხან ჭკვიანური სახის გამომეტყველებით, სერიოზული მზერით დინჯად მოძრაობს, ცდილობს, არ გაიღიმოს, ხან კი ყურებამდე კბილებდაკრეჭილი, მუხლებზე ხოხვით ფეხქვეშ ეფინება საჭირო პერსონებს. ვერაგი და დაუნდობელია, მოსაჩვენებლად კი საცოდავი და მიუსაფარი. კაცუნას ტანი პატარა აქვს, ზოგჯერ შეიძლება სიმაღლეც არ აკლდეს, მაგრამ ქონდრისკაცის დამახასიათებელი ტანი კი არ არის, მისი სულია.
- შემოქმედის ქმნილება ხან ელვარეა, ხალასი, ხან – ბობოქარი, მოვარდნილი, შმაგი, ხანაც – ნაზი, მშვიდი. მის ყოველ ქმნილებაში შეიგრძნობ და ისმენ ცხოვრების რიტმს, დაძაბულ მაჯისცემას, სუნთქვას, დიდებულ პოეზიას და მუსიკალურ ჰანგებს, ფერთა სიმფონიას.
- მუსიკის ღვთიურ სამყაროში მხოლოდ ღმერთები მღერიან.
- კლასიკური მუსიკა აყვანილი უნდა იყოს ადამიანების აზროვნების უმაღლეს საფეხურზე. მუსიკა შესისხლბორცებული უნდა იყოს მათ ყოფაში, როგორც თანმდევი და აუცილებელი სულიერი საკვები.
- ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს, დემოკრატიული ვერ იქნება.

- ერის საბოლოოდ დამარცხება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა სულიერებასა და რელიგიას გამოაცლი და ურწმუნო არსებად გადააქცევ.
- შემოქმედი ერთნაირად უნდა ფლობდეს სიღრმეებისა და სიმსუბუქის შეგრძნებას, თემისა და ხასიათის ფილიგრინებას, ადამიანის სულის მელოდიურობას, მასშტაბურობას, დროის შეგრძნებას...
- წინასწარმეტყველება უძველესი დროიდან წარმოჩნდა გავლენიან საზოგადოებრივ ფაქტორად. ისინი რეაგირებდნენ და ეხმიანებოდნენ მიმდინარე მოვლენებს და, როგორც სახალხო ბელადები, ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მათმა მოღვაწეობამ უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი დროის სასულიერო ცხოვრებაზე, გადამწყვეტი როლი შეასრულა თავიანთი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში და ღრმა დაღიჯ დაასვეს შემდგომ ეპოქათა კულტურას.
- შემოქმედი ადამიანისთვის უცხო არ არის აღმაფრენა და უეცარი დაცემა, იმედგაცრუების აღფრთოვანებით ჩანაცვლება და პირიქით.
- ქალები იმისთვის არსებობენ, რომ მამაკაცებს მუდმივად სიხარული და პრობლემები არ მოაკლონ.
- ხელმოცარული ადამიანი ცდილობს, ყველგან გამოჩნდეს, სინამდვილეში ის არსად არ არის.
- მსოფლიო შეიცვალა, ადამიანებს შორის ახალი ურთიერთობები ყალიბდება, სხვაობები იშლება. სამყარო იქით მიექანება, რომ ყველა ერთნაირი იყოს და ამ პროცესს თითო-ოროლა თუ ეწინააღმდეგება.
- შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში წყნარ და ბედნიერ დღეებს მღელვარებით აღსავსე მოვლენები სჭარბობს, რაც მის ქმნილებებში სათანადოდ აისახება.
- პატარა ქვეყანა და მისი ხალხი დიდი ქვეყნის დახურდავებულ ხურდა ფულად იქცევა ხოლმე, რაც გარკვეულწილად

მათ მომავალზე საგრძნობლად აისახება. მხოლოდ ძლიერი ეროვნული სულიერება თუ გადაარჩენს მათ.

- ტალანტი დაავადებასავითაა, მოსვენებას არ გაძლევს და ყოველთვის რალაცას გკარნახობს.
- ომი ფულისა და უბედურების სავანეა.
- ლამაზ ქალთან ალერსი და ღამის გატარება სურთ, ლამაზთან და ჭკვიანთან, ალერსის გარდა, ურთიერთობაც სურთ.
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ გახდება ბავშვის სულიერი გმირი.
- ზოგჯერ ძალაუფლება სხვისთვის ქველმოქმედია, თავისიანებისთვის კი – მამინაცვალი.
- ელიტა ან აღარ არსებობს ან თითებზე ჩამოსათვლელია, რომლებიც, სამწუხაროდ, თავს ველარ გრძნობენ დიადი ხალხისა და ქვეყნის ნაწილად. მათი ადგილი ოლიგარქებმა და დროებით აღზევებულებმა დაისაკუთრეს.
- შემოქმედი სკრუპულოზურად იცავს თავისი შემოქმედების ინტონაციას, ბგერას, ფრაზას, სიტყვასა და ფერის ქსოვილის თავისებურებას, რითიც თავის ინდივიდუალურ ხელწერას წარმოაჩენს.
- ქალების უმრავლესობამ არ იცის, რა უნდათ, მაგრამ არ ისვენებენ მანამდე, სანამ არ მიაღწევენ იმას, რაც უნდათ.
- ოპტიმისტების აზრით, ყველა ადამიანის სიყვარული, განუსაზღვრელად კანის ფერისა და აღმსარებლობისა, მხოლოდ ღმერთს შეუძლია, პესიმისტების აზრით კი - რომანტიკოსებს.
- სიტყვის თავისუფლება ყველას ეძლევა, მათ შორის იმათაც, ვისაც არაფერი აქვთ სათქმელი.
- „დაბრუნების“ შესაძლებლობა მხოლოდ იმისთვის შეიძლება არსებობდეს, ვინც უკვე იყო „იქ“. „შემობრუნება“ კი ცხოვრებაში ახალი მიმართულების არჩევაა, რომელიც ხანგრძლივი სულიერი პროცესია.

- დაფნის გვირგვინებს რომ იდგამენ თავზე, კიდევ კარგი ამ კოკისპირულ ვარსკვლავთცვენაში თითო-ოროლა რომ ბრწყინავს. მათ გამო ზოგჯერ სირცხვილის გრძნობა იპყრობს და თავს უხერხულად გრძნობს ადამიანი. როგორც ჩანს, ზოგიერთისთვის მბჟუტავი და კაშკაშა ვარსკვლავი ერთი და იგივეა. თუმცა სიკაშკაშეს ვინლა დაეძებს. რაც ოდესღაც ოდნავ ბჟუტავდა, ისიც მინელდა და ჩაქრა. კარგის, ცნობილის ან წარმატებულის სახელი აღარავის ხიბლავს, მთავარია, ვარსკვლავი გერქვას, თუნდაც ჩამქრალი. მიძინებულ და ჩამქრალ ვარსკვლავსაც ხომ ვარსკვლავი ჰქვია?!
- როგორც სხვა არაფერს, მის აღმატებულებას შემთხვევას ძალუძს, ძირფესვიანად შეცვალოს ადამიანი.
- იმპროვიზაცია ფსიქოფიზიკური მდგომარეობის აბსოლუტური თავისუფლებაა, რომელსაც შინაგანი პასუხისმგებლობისა და ზომიერების გრძნობა თან ახალვს.
- შეყვარებულ ადამიანს ზოგჯერ ისეთი შგრძნება ეუფლება, თითქოს საათი გაჩერებულია და ერთი და იგივე დროს აჩვენებს.
- ეროვნული პოლიტიკისა და იდეოლოგიის არქონამ, უცხო ქვეყნის მიმართ მიბაძვით სულდგმულობამ, შესაძლოა, ქვეყანა სრულ ეროვნულ კატასტროფამდე მიიყვანოს.
- ცხოვრება წამიერი გაელვებაა წარსულსა და მომავალს შორის.
- უპირველესად, ბავშვებს დედ-მამა სჭირდებათ და მერე სხვა ყველაფერი.
- რაც უფრო დაბალია ინტელექტი და კულტურა, მით მეტი ხმაური და ბაგა-ბუგია.
- ცხოვრება არც წარმოდგენაა, არც დრამა და არც კომედია, ის ძიების უსასრულო შარაგზაა, რომელშიც ზოგს უმართლებს და ზოგს – არა.

- რახან საკითხი ისმის, პასუხიც უნდა გაეცეს, თუმცა ზოგჯერ დუმილიც თავისებური მრავალსმთქმელი პასუხია.
- ომი ნგრევა და სიკვდილია. არ არსებობს სამართლიანი ომი, თუნდაც სამართლიანობისთვის წამოწყებული. ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასადაც კი არ ღირს არანაირი ომი.
- ცხოვრება ისეთია, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა. ის არც არასოდეს ყოფილა ისეთი, როგორიც ზოგიერთებს წარმოუდგენია.
- შემოქმედმა თავად არ იცის შემოქმედებითი პროცესი, ზოგჯერ საით გაამწესებს და სად ამოაყოფინებს თავს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი სულ შუა კარში დგას, არც გადის, არც შემოდის, ოღონდ დროდადრო გაუჩინარდება ხოლმე.
- მოდერნიზებულ დიქტატურას დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო.
- ზოგიერთ ხალხში, თუ პირველი კაცი არ ხარ, კაცი არა ხარ.
- დიდი შემოქმედი თავისი დროის, ეპოქის ჟამთაღმწერია.
- მშობლიური ენა – ეს ბედნიერების ენაა.
- ცხოვრება ბევრად მარტივია, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია, უბრალოდ, ჩვენ, ადამიანები, უფრო ვართულებთ მას.
- ნაძირლები ვირთხებივით ნაგავში ერთად იქექებიან.
- ადამიანი თვისი ნებით არ შექმნილა და არც თავისი ნებით მოვევლინა ქვეყნიერებას. ადამიანი ამ სამყაროსთვის მაღალი და ზნეობრივი არსებობისთვისაა შექმნილი. მას უდიდესი მისია აკისრია.
- მდიდრები მღერიან და ცეკვავენ. ღარიბები ტაშს უკრავენ და ტირიან, მთავრობა კი დირიჟორობს.
- ნიჭიერი ქმნილებანი – ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველთვის თანამედროვე და სიახლეა.
- ბგერა და ჰანგი ხშირად სიჩუმიდან იბადება. რიგ შემთხვევაში კი სიჩუმე და პაუზა მუსიკის სულია.
- პოლიტიკა ისეთია, როგორსაც მას ადამიანები ქმნიან.

- მოწინააღმდეგე შენს მხარეს რომ გადმოიყვანო, უნდა შესთავაზო ისეთი რამ, რასაც სხვები არ სთავაზობენ.
- ზოგიერთ ქვეყანას დღემდე ვერ მიუღწევია პოლიტიკური სრულყოფილების ასაკისათვის, მუდამ პოლიტიკური სიყმანვილის ასაკში იმყოფება.
- სამყაროს ისე არაფერი ანათებს და ათბობს, როგორც ჩვილი ბავშვის ღიღინი.
- ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობა და შეხება ისტორიასთან შეხების ტოლფასია.
- თავისუფლება მძიმე ტვირთია, ყველას არ ძალუძს მისი ზიდვა. ის რჩეულთა ხვედრია.
- ზოგიერთი ხელისუფლების მექანიზმი და სისტემა ისეთ გაფუჭებულ მანქანასავითაა, რომ, თუ ბოლომდე არ დაშალე და თავიდან არ ააწყვე, არაფერი ეშველება.
- ქვეყანა, სადაც ნიჭიერი ადამიანები უგულვებელყოფილნი არიან, ვერ გაძლიერდება.
- ქალაქი, უბირველეს ყოვლისა, ეს მისი ადამიანებია და შემდეგ სხვა ყველაფერი.
- იქ, სადაც მუზა მბრძანებლობს, მხოლოდ შემოქმედი სულდგმულობს.
- კახბა, განურჩევლად სქესისა, კაცი იქნება თუ ქალი, იმისაა, ვინც უფრო მეტს გადაუხდის.
- ჭკვიანი და მიმზიდველი ქალი მრავალფეროვანია და უფრო დახვეწილად იმორჩილებს მამაკაცს.
- არცთუ იშვიათად უწმინდური სინმინეებს არის ამოფარებული, რათა შენიღბოს თავისი შავ-ბნელი საქმეები და წარსული.
- ვისაც თავისი თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია, ვინ შეძლებს მის გაგებას?
- შეიძლება საყვარელი ადამიანი დაკარგო, მაგრამ სიყვარული არსად მიდის, არ იკარგება. მარად შენს გულში რჩება.

- ახლანდელ დროში უბრალო სულებს ვერ შეხვდებით, უმრავლესობა უმაღლესი განათლებით და რაიმე ცენზით არის აღჭურვილი. ცხოვრება კი ხშირად ჭკვიანებზე უკეთ აქვთ აწყობილი.
- იბადებიან ცოცხალ არსებებად, ადამიანებად კი ხდებიან.
- მშობლიურ ადგილას თოვლიც კი თბილია.
- ურთიერთობაში კრიზისი ყველას ემართება, მათ შორის იდეალურ წყვილსაც კი.
- ზოგჯერ სახელისუფლო ელიტა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს დემოკრატიის ბოლო ვაგონით მგზავრობდეს.
- ადრე თუ გვიან ყველა წარმოდგენა მთავრდება, ჯამბაზე-ბი კი რჩებიან.
- ბრძენკაცობა არ არის საჭირო, რომ კაცმა იცოდეს, როდის და რატომ.
- ადამიანს ბევრი რამ სჭირდება, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მას სჭირდება, რწმენა და სიყვარულია.
- ზოგიერთ ქვეყანაში ციხე ციხეშია, რადგან ქვეყანა თავად არის ციხედ გადაქცეული.
- არიან ისეთები, რომლებსაც ღია კარებში შესვლა არ ხიბლავთ, ყოველთვის ცდილობენ, ცხოვრებას უკანა კარით შემოუარონ და ღია ფანჯარაში გადაძვრნენ.
- თამაში მანამდე გრძელდება, სანამ მეფე არ წაიქცევა, თუნდაც სიცოცხლეშივე ყველა თამაში წაგებული ჰქონდეს.
- ქალის გაგება იოლი არ არის, მითუმეტეს პოეტი ქალისა, თუმცა ქალსაც გააჩნია და პოეტსაც.
- ბავშვი დედის ლოცვებით იზრდება.
- ბოროტება ისე ხმაურობს, თითქოს ამქვეყნად სიკეთე არ არსებობდეს.
- სამყაროს სიკეთეც მართავს, რაც ხშირად შეუმჩნეველი რჩება.

- მუზა და შთაგონება დაუპატიჟებელი სტუმარია, რომელსაც არ უყვარს უნიჭობთან და ნაცარქექიებთან სტუმრობა, მხოლოდ მას ენგევა, ვინც მას მოუხმობს და ელოდება.
- უფალი იმყოფება ყველგან და მისი დანახვა შესაძლებელია იქ, სადაც მას სურს, იპოვონ.
- მეცნიერების მამოძრავებელი ძალა ერუდიცია, პროფესიონალიზმი, ლოგიკა და ინტუიციაა.
- კულტურა, ინტელექტი და ზნეობა ცოდნას ემყარება. ეს კი გონიერების ის საყრდენია, რომელიც ქეშმარიტების გზის მაჩვენებელია.
- მეცნიერული აზროვნება მეცნიერისათვის შემოქმედების საგანს უნდა წარმოადგენდეს, შემოქმედება კი მეცნიერებაში – აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს. დიდ მეცნიერთა შემოქმედებას, ჩვეულებრივ, ახლავს სამყაროს მხატვრული, შემოქმედებითი ხედვის ჰორიზონტი.
- ნებისმიერი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, გარემომცველი სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი მძლავრი და შთამბეჭდავი საშუალებაა, რომელსაც უდიდესი ზეგავლენის მოხდენა ძალუძს ადამიანზე.
- ჭკვიანმა ქალმა იცის, ნაკლოვანება როგორ დაფაროს და ღირსება როგორ წარმოაჩინოს.
- ადამიანების უმრავლესობისთვის ის არის მისაღები, რის დაჯერებაც სურთ.
- თუ წასვლა გადანყვიტე, უნდა დროულად, ღირსეულად წახვიდე. თუ უკან დაბრუნებას ფიქრობ, ისე უნდა წახვიდე, რომ მობრუნების არ მოგერიდოს.
- მტერი ყოველთვის გვერდითაა, ჩრდილში დგას და ხითხითებს.
- ქეშმარიტი შემოქმედი შინაგანად თავისუფალი და ბუნებით ოპოზიციონერია. ის არასოდეს გახდება ხელისუფალთა მეხოტბე და ლაქია.

- სამწუხაროდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ საყვედურის ღირსი, ხშირად სხვას საყვედურობს და განსჯის.
- ღირსეული ადამიანი არაადამიანურ პირობებშიც კი ადამიანად რჩება.
- კაცობრიობის მიზანი ყოველთვის იყო და არის, მიაღწიოს უფრო მაღალ მდგომარეობას.
- იმედი არსებობს მანამ, ვიდრე არსებობს გადარჩენის მცირეოდენი შანსი. რწმენა კი ცოცხლობს მაშინაც კი, როდესაც აღარ არსებობს იმედი.
- ვერც ერთი კანონი ვერ იკანონებს, თუ ადამიანს ზნეობრივი კანონი სულში არ გააჩნია.
- მდუმარება განსჯის, აზროვნებისა და სიდიადის თანმხლებია.
- ვისაც ბავშვობაში ბებია-ბაბუასთან მჭიდრო ურთიერთობა არა აქვთ, ძალიან ბევრს კარგავენ.
- მხოლოდ პარადოქსების ქვეყანაში შეიძლება გაუბედურებულ ხალხს ბედნიერი ხელმწიფე ჰყავდეს, დაქცეულ ქვეყანას – აშენებული ბატონ-პატრონი, გაღატაკებულ ხალხს – დალხინებული მამა-მარჩენალი. გიხაროდეთ! ბატონი ყოველთვის მართალია!
- ადამიანების უმრავლესობა სხვებზე მათ მიმართ გავრცელებული აზრის მიხედვით მსჯელობს.
- სუსტი ქალები ძლიერი მამაკაცებისკენ მიილტვიან, სუსტი მამაკაცები კი ძლიერი ქალების ნადავლი ხდებიან.
- ოპტიმისტი სიბერეშიც კი თავს შინაგანად ისევ ახალგაზრდად გრძნობს.
- ჩალიჩა ადამიანი მთელი ცხოვრება ჩალიჩობს, რომ რაღაც გაიჩალიჩოს და სხვებსაც გაუჩალიჩოს.
- ოდეს ტურფა ქვეყანა კახეების სანავარდოდ გადაიქცევა, მაშინ ვარდივით მეყოლე.
- ტრადიციულ ერში ყველა დღესასწაული ოჯახისა და ქვეყნის ერთიანობის იდეებს ეფუძნება.

- ვისაც უნარი არ შესწევს თამაშიდან დროულად გასვლისა, სხვის თამაშში პაიკად გადაიქცევა.
- ყოველი გენიოსი მცირეოდენად მაინც ბავშვია. ბავშვად დარჩენის ხელოვნება უდიდესი ხელოვნებაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ის განსაკუთრებული პიროვნებაა, ვისაც არავის ნაკვალევზე არ უვლია.
- ადამიანი მიჰყვება და ემორჩილება ჟამთასვლას, ცვლილებებს განიცდის, იხვეწება და დროთა განმავლობაში თავად ქმნის დროის ტენდენციებს.
- ხალხს პურთან ერთად უნდა მისცე იდეა, უნდა აუხსნა და ჩააგონო ამ იდეის აუცილებლობა, პროგრესულობა და იგი აუცილებლად გამოგყვება.
- „ვარდეკლიანი ტურფა“ ცხოვრებაგამოვლილ ხალხს საოცნებო სამყაროსკენ მიეჩქარება, სამწუხაროდ, მისკენ სავალ გზას კვლავ ვერ აგნებენ.
- სამართლიანობის გარეშე დემოკრატია, მშვიდობა და თავისუფლება ილუზიაა.
- წიგნთა წიგნი – ძველი აღთქმა ის მოძღვრებაა, რომელმაც სასულიერო და ინტელექტუალური რევოლუცია მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში. მის სიბრძნეში წვდომით ადამიანი ჰპოვებს საკუთარი არსებისა და გარემომცველი სამყაროს შეცნობას და ამ საყაროში მის კუთვნილ ადგილს.
- ალორძინების ეპოქაში დიდი ყურადღება დაეთმო შემოქმედების, მეცნიერებისა და კულტურის ჰუმანისტურ იდეას, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდას. ალორძინების ეპოქაში, როდესაც ადამიანმა ირწმუნა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობებისა, ბუმბერაზები წარმოიშვნენ, ბუმბერაზები აზრის სიძლიერითა და დიადი ქმნილებით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით.
- სიკეთის გასაკეთებლად ნურც მიზეზებს ეძებთ და სიკეთის უკან დაბრუნებასაც ნუ ელით. კეთილი საქციელი ღვთიური აქტია.

- ყოველმხრივი განვითარების პროცესი ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროა.
- რად ღირს მშვიდობა, თუ ჭეშმარიტებაზე არ არის დამყარებული.
- ზოგჯერ ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ამ უკიდველურ სამყაროში შენი ადგილი არსად არის.
- წინასწარ განჭვრეტის გარეშე არამცთუ ქვეყნის მართვა, მცირერიცხოვანი ოჯახის გაძლოლაც კი წარმოუდგენელია.
- შემოქმედი იმ იშვიათი კოჰორტიდანაა, ვინც შეიგრძნობს თავის ზეციურ სულიერ დანიშნულებას.
- დედა ენა უბრალოდ მხოლოდ ინსტრუმენტი როდია, რომლითაც სათქმელს ვამბობთ, დედა ენა უპირველესი თავყვანისცემის ობიექტია, რომლითაც ვიზრდებით, ადამიანებად ვყალიბდებით. დედა ენა ერის კულტურის, ზნეობისა და ტრადიციების, წარსულის, ანმყოს და მომავლის ნათელი ნიშანსვეტია.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით მალდებს ლაჟვარდოვან ციურ მწვერვალამდე. მისი დიდებული ქმნილებანი თავისი ეპოქის ნათელი სვეტია.
- ყოველი ადამიანი მიწის, ზეცის და წყლის ნაწილია. მიწას, ზეცას და წყალს ნუ ნაბილწავთ – იგი წმინდაა.
- ყველას აქვს ბედნიერების უფლება, მაგრამ ყველა როდია ბედნიერი. რამდენი ჭკვიანი და ღირსეული ადამიანია უბედური, ვინ მოთვლის?
- ყველაფერი ადამიანების კეთილდღეობას უნდა ხმარდებოდეს, ოღონდ არა სხვა ადამიანების ხარჯზე.
- ის, ვინც ქალებს გადაჭარბებულად აქებს ან ლანძღავს, მათ არც კარგად იცნობს და არც მათი ფასი იცის. ერთი რამ უდავოა: ქალების გარეშე ცხოვრება უაზრო და წარმოუდგენელია.

- ნიჭიერი შემოქმედი ქმნის ჭეშმარიტ მაღალმხატვრულ მარგალიტებს, რომლებშიც წარმოაჩენს ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის ქმნილებას, რაც მას ანიჭებს უნივერსალურ აზრს და მნიშვნელობას.
- შემოქმედის ქმნილებაში ნიჭის, მრავალმხრივი ცოდნის და ღრმა აზროვნების დონე აირეკლება.
- ძველ დროში ვისაც ძალა ჰქონდა, ის ბატონობდა. თუმცა ეს ამბავი ახლაც როდია უცხო. ჩანს ძალაუფლებას აქვს ეს თვისება.
- ნიჭიერი ავტორის შემოქმედებითი გენია მთელი სიცხადით, ჟღერადობით, გამოხატვის ემოციურობით და მასშტაბურობით წარმოაჩენს მხატვრული აზრის მშვენიერებას და სიდიადეს.
- საყვარელ ადამიანთან ერთად ყველგან სამოთხეა.
- ყოველი ახალშობილი წმინდანია.
- ხელოვნება გარემომცველი სამყაროს შეცნობის და წარმოსახვის მხატვრული საშუალებაა, მეცნიერება კი ბუნების მართვის ხელოვნებაა!
- მთელი სიცოცხლე ადამიანი კეთილდღეობისა და სამოთხის ძიებაშია. სამოთხე კი მასშია, მის სულშია.
- ყოველივე იყო, არის და იქნება მუდამ. ეს არის ის ჭეშმარიტება, რომლის ქადაგება ძალუძს მხოლოდ უფალს.
- მეცნიერებას და ხელოვნებას ის აახლოვებს, რომ ორივე კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის სული, გული და დედაბოძია. ორივე მაშინაა უფრო კეთილისმყოფელი, როცა მარტო გონებით კი არა, გულითაც ვღებულობთ.
- ხელოვნებისა და მეცნიერების წყალობით ადამიანი ავითარებს საკუთარ თავს, ხვენს და სრულყოფს თავის გრძნობებს. სწორედ ხელოვნებასა და მეცნიერებაშია თავმოყრილი კაცობრიობის მიერ დაგროვილი უდიდესი გამოცდილება.

- მორწმუნე ადამიანის და თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედის რწმენას საზღვრები არ გააჩნია.
- ჭეშმარიტების შემეცნება მეცნიერების უპირველესი ამოცანაა. ადამიანის თანდაყოლილი მისწრაფებაა, სრულყოფილ გარემომცველი სამყარო და საკუთარი თავი.
- ომშიც კი ურთიერთდაპირისპირებული ძალა ახერხებს ერთმანეთთან საუბარს და შეთანხმების მიღწევას, რასაც ზოგჯერ ერთი ქვეყნის ორი პარტია ვერ ახერხებს, სამწუხაროდ.
- დღიური შემოქმედი და გენიოსი ადამიანის ცხოვრებისა და მემკვიდრეობის ერთადერთი მემატრიანე აღმოჩნდება ხოლმე.
- სიახლეს დრო სჭირდება, რათა აღქმული და გაგებული იქნეს.
- მერყევი მთავრობა დიდ რყევებს ვერ უძლებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი არა მხოლოდ მშობლიური ხალხის შვილია, იგი სხვა ერების კუთვნილებაც ხდება.
- ლამის წყვილადის შემდეგ იმედით სავსე დილა თენდება.
- ერთი კულტურის მეორეში ორგანულად შერწყმა კულტურათა ურთიერთგამოცდილების უნიკალური მოვლენაა.
- უძველესი კულტურის ხალხის სიდიადე იმაშიც გამოიხატება, რომ ის კარჩაკეტილი ცხოვრებით არ ცხოვრობს, ის დინამიკურია, მუდმივად პროგრესს განიცდის.
- წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეურაცხყო სინმინდებები და დაბინძურო გარემო, როცა ის ასე მშვენიერია.
- შიშველ ქალზე უფრო მიმზიდველი ზოგჯერ ჩაცმული ქალია, რომელიც ისეა შემოსილი, რომ ყველაფერს, რასაც მაღავს, აშკარად გამომწვევად აჩენს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი გრანდიოზული შემოქმედების შეფასებისას მოკრძალებულია.

- ლამაზმანები ცხოვრებაში ზოგჯერ თვალსა და ხელშუა ზეზეურად ჭკნებიან.
- ერთ-ერთი უმთავრესი უნარი გაოცებისა და იდუმალების გრძნობაა, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედისა და მეცნიერის თანდაყოლილი გრძნობაა. ვისაც ეს უნარ-ჩვევები დაკარგული აქვს, იგი, როგორც შემოქმედი, მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- ემოცია, ინტუიცია და ფანტაზია განაპირობებს შემოქმედის შთაგონების ხარისხს. შემოქმედებითი ექსტაზის დროს შემოქმედი უდიდეს ბედნიერებას და აღმაფრენას განიცდის.
- მეცნიერებაში ძიება არის შემოქმედებითი აქტი, რაც განპირობებულია შემოქმედის უნარით, დაინახოს რაღაც ახალი სამყაროში და გადასცეს ეს ხედვა სხვებს. ასეთ პროცესებში ვლინდება მეცნიერული შემოქმედების უნარ-ჩვევები.
- დიდებულია, როდესაც ნათელი ოცნება მოქმედ ძალად იქცევა. წარმოსახვა, ოცნება და ფანტაზია ხელოვნებასა და მეცნიერებაში რეალური ფაქტია, პროგრესის სტიმული და ევოლუციის წყაროა. ამ თვისებებისა და უნარ-ჩვევების გარეშე წარმოუდგენელია რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა.
- ექსტრემალურ ვითარებაში გაცნობილ ქალს და მამაკაცს ხშირ შემთხვევაში უყვარდებათ ერთმანეთი.
- ნაძირალა ჭაობში სულდგმულობს და სხვებსაც თავის სამფლობელოში მიაქანებს, ღორი ტალახს ყოველთვის მოძებნის და სხვებსაც დააბინძურებს.
- პოლიტიკურ სცენაზე გამუდმებით ერთი და იგივე სახეების და პერსონაჟების ხილვა მოსაბეზრებელია. ისიც მოსაბეზრებელია, როცა ახალი პოლიტიკოსები ისევ ძველი სცენარით თამაშობენ.
- ვინც მთავრობის ქვეტექსტებს აცნობიერებს, იუმორი ნამდვილად არ აკლია.
- წიგნზე და გამოცდილებაზე დიდი მასწავლებელი არავინ არის.

- კაცობრიობის ისტორია მომავლისაკენ წინსწრაფვაა.
- საზოგადოება გაფაციცებით უნდა აკვირდებოდეს ხელისუფლების ყოველ გადაწყვეტილებას და აქტიურად უნდა მოქმედებდეს, მუდმივი ოპონირების რეჟიმში უნდა იმყოფებოდეს ხელისუფლებასთან.
- განწირულია ის, ვინც ცოდვებით იწყებს ახლის შენებას.
- ადამიანი ახალგაზრდაა მანამ, სანამ სასიყვარულო თავგადასავლები ხიბლავს, სისულელეების ჩადენის არ ეშინია და იუმორის გრძნობა შენარჩუნებული აქვს.
- ადამიანის ბედი ყოველთვის ბენჯზე ჰკიდია, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის საამურია.
- სიღარიბე, როგორც ბევრს ჰგონია, არც დაავადებაა და არც გადამდები სენი.
- თუ გსურთ, იხილოთ წმინდანის სახე, თვალებს ნუ დაიღლით ამო ძეხნით, უბრალოდ, შეხედეთ ბავშვებს.
- რაც უფრო ხანგრძლივია ძიების პროცესი, მით უფრო ძვირფასია ნაპოვნი განძი.
- პროგრესული მეცნიერები ყოველთვის მტკიცედ იცავენ მეცნიერების ჰუმანურ საფუძვლებს, მოითხოვენ, რომ მეცნიერთა მიღწევებს ჰქონდეს ერთადერთი მიზანი: სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. სამწუხაროდ, რეაქციული ძალები მიისწრაფვიან, გაანადგურონ ჰუმანური ტრადიციები, მეცნიერთა მიღწევები გამოიყენონ პოლიტიკური და საომარი მიზნებისათვის. კაცობრიობას მასობრივი განადგურების საშიშროება ემუქრება. არ შეიძლება ერთდროულად ღმერთსა და ეშმაკს ემსახურო.
- კაცობრიობის სიამაყე და დიდება წმიდათაწმიდა მიწა, დედამიწა – ჩვენი მიწა მარჩენალი ყველას დედაა, ყველასათვის ის ზრუნავს. ადამიანის მოდგმას არ ჰყოლია მიწაზე უფრო ერთგული მოკავშირე, მფარველი და მეგობარი. დღეს კი, სიყვარულისა და მონყალების ნაცვლად, ჩვენი მიწა მარჩენალი მძევლად იქცა უპასუხისმგებლო ადამიან-

თა ხელში. ნუ გვაგინყდება, რომ მიწიდან შექმნილი მიწას-ვე ვუბრუნდებით.

- რა არის სამყარო ადამიანის გარეშე? სამყაროს არსებობა ხალხის გარეშე წარმოუდგენელია. იგი რაღაცაში ხომ უნდა განეგრცოს, რომ იარსებოს მარად. და მოვევლინა სამყაროს ადამიანი მატარებელი ღვთაებრივი ნაპერწკალისა. ადამიანის შექმნით ქვეყნიერების ქმნადობამ თავის უმაღლეს სტადიას მიაღწია.
- შემოქმედის მოწოდება სიკეთისა და საოცრების შექმნაა.
- ბოროტება რომ არ იყოს, შესაძლოა, სიკეთის ფასი ვერ გაიგოს ადამიანმა.
- რატომ და სად იკარგება სიკეთე? მას მხოლოდ ბოროტი ადამიანი შთანთქავს. სიკეთე შეიძლება დროებით მიჩქმალონ, მაგრამ ვერ მოსპობენ, ის არსად არ იკარგება, მუდამ თან სდევს სიკეთის მთესველს.
- ადამიანების უმრავლესობა საკუთარ აზრს უფრო ენდობა, ვიდრე პოლიტიკოსებისა და ბელადების სიტყვას.
- ცხოვრებაში ბევრი დაღუბა სიმდიდრის ძებნამ, სიღარიბეში კი უფრო ბევრმა განუტევა სული.
- შემოქმედის უშრეტი ნიჭი და შთაგონება ასაკს არ ებუება.
- მეცნიერული კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომა შესაძლებელს ქმნის დიდი აღმოჩენებისა. არ არსებობს ზღვარი ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვანის მხატვრულ ძიებას შორის.
- ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება იწვევს რიგი დამკვიდრებული შეხედულებების გადაფასებას, ყველაზე აქტუალური მსოფლმხედველობითი პრობლემატიკის განახლებას.
- ხელოვნებასა და მეცნიერებას აქვს საერთო საფუძველი – კაცობრიობის გამოცდილება. ხელოვნება, ისევე, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ადამიანის მოთხოვნილებათა შედეგად. მეცნიერება და ხელოვნება ერთი ფესვიდან აღმო-

ცენებული სინამდვილის ასახვის მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია.

- საყვარელ ადამიანს ყველაფერი ამშვენებს.
- ზოგიერთი ცხოვრების დიდ სცენაზე წამყვან როლს ასრულებს, ზოგიც კი ეპიზოდურს. უმრავლესობას ბუტაფორიის ფუნქცია აკისრია, სხვა ყველა დანარჩენს კი – რეკვიზიტისა.
- მოწინააღმდეგე ისე უნდა გყავდეს მიზანში ამოღებული, რომ ვერც გამჩნევდეს და ვერც გაქცევას ახერხებდეს.
- მზე სიხალისეს და ენერგიას გვმატებს, მოწყენილი და ბებერი მთვარე კი ნუგეშს გვაძლევს.
- თავისუფლება ჭკვიან და ბრძენ ხალხს სჭირდება. არანორმალურები და ბეცები ისედაც თავისუფლები არიან.
- წარსულის ექოში ანმყო ხმიანებს და მომავალი ელვარებს.
- ბუნებაში არ არსებობს სიცოცხლეზე უმნიშვნელოვანესი, ურთულესი, უდიდესი და სრულყოფილი მოვლენა. სიცოცხლე ბუნების განვითარების უმაღლესი მწვერვალია.
- ყოველი მეცნიერული მიღწევა დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის ბედნიერებასა და კაცობრიობის არსებობასთან.
- სიტყვა მძლავრი იარაღია, თუმცა გულში აღწევს მხოლოდ გულიდან წამოსული სიტყვები.
- ბუნებაში მრავალი ბგერაა მიმოფანტული, მაგრამ ყველა როდი ქმნის მუსიკას. მუსიკა არ წარმოადგენს ბგერების შემთხვევით თანხმიანობას, შემთხვევით ნაკრებს. მუსიკას ქმნის ნიჭიერი, მოაზროვნე შემოქმედი ადამიანი.
- მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე ზემოქმედებს. სავარაუდოდ, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მუსიკა დასაბამიდანვეა ჩადებული ცოცხალ არსებაში და ორგანიზმის მოდულაციას ახდენს. შესაძლოა, მუსიკა ბიოლოგიურ სისტემათა ორგანიზაციის საეთო პრინციპიცაა.
- კაცობრიობის ხსნა აღზრდის, კულტურის, განათლების გამოხატვითაა შესაძლებელი.

- თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელია ცოდნის ყველა დარგის კოლოსალური პროგრესი. ადამიანი სიცოცხლის წარმოშობისა და თვით სამყაროს საიდუმლოებებს წვდება. ამაშია ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლის აზრი და კაცობრიობის ხანგრძლივი არსებობის გამართლება.
- იდეები დიდებულია, მაგრამ უმთავრესი მოქმედებაა.
- დიადი ადამიანის სიდიადეს დრო და სიკვდილი ვერაფერს აკლებს.
- ყველაზე მეტად საშიში გულით ნაადრევი სიბერეა. გული არც ერთი წამით არ უნდა ბერდებოდეს. მას სიყვარული უნდა ათბობდეს.
- ცხოვრებაში როდის, როგორ და რაზე დაუკრავ, მხოლოდ ღმერთმა იცის.
- ძალიან ბევრი იმ ადამიანის როლს ასრულებს, როგორიც არასოდეს ყოფილა.
- უმიზნოდ და უინტერესოდ ყოფნა არყოფნაა.
- სხვისი მზეობითა და ნათებით ბევრს უბნელდება მზის ნათება და გამობრწყინება.
- ქვეყანა, სადაც ინტელიგენცია არ ფასდება, ვერც ის ქვეყანა და ხალხი დაფასდება.
- თუ არ ეძებ, ვერ იპოვი, მაგრამ რომ იპოვნო, უნდა იცოდე, სად და როგორ მოძებნო.
- გულღია ღიმილი ბევრ პირმოღუშულს აფრთხობს.
- ფული ბევრს ნიშნავს და არა ყველფერს.
- მტერზე უფრო განდიდების მანიით შეპყრობილი კაცის ამბიციები და უფრო მეტად მისი უნიჭობა და ავკაცობაა საშიში.
- ჭეშმარიტი შემოქმედი სხვათა განქიქებაში დროს არ კარგავს. ის დღენიდაც დიდ სულიერებას ქმნის და სიკეთეს თესავს.

- ხალხი ერთგული უნდა იყოს თავისი ადამიანების, მაგრამ სასიკეთო სიბრძნეს კარჩაკეტილი არ უნდა დახვდეს, ფართოდ უნდა გაუხსნას კარი.
- ლაქია და ტაკიმასხარა დიდ ადამიანად არასოდეს არავის არ აღიარებს.
- იქ, სადაც ასპარეზზე ვირები დაჯირითობენ, ბედაურებს არა ესაქმებათ რა.
- დროებით აღზევებულ ფუჭ დიდებას დროთა განმავლობაში სანაგვეზე მიმოფანტავს ქარი.
- ეშმაკმა იცის, ვინ როდის ფხიზლობს და სძინავს, მაგრამ თვითონ არასოდეს სძინავს.
- შემოქმედი ადამიანის სულიერი მღელვარება საოცრად წრფელი და გადამდებია.
- იჩქარე, სანამ გაქვს საშუალება, სანამ საკუთარ სიცოცხლეს შენ მართავ, სანამ არსებობ... ქმნა სიკეთისა და სილამაზისა.
- თუ კეთილშობილი ხარ და შენი გული კეთილია, ჩემი გულიც გაიხარებს.
- შემოქმედი პოეტური სულის მეოცნებე ადამიანია. მისი ცხოვრება განცდების, ძიების, ტანჯვის, ცრემლნარევი სიხარულისა და აღმაფრენის უსასრულო ყოფაა.
- გაუფრთხილდი საკუთარ თავში ადამიანს და სხვათა ღირსებას.
- როცა გიყვარს, სული მღერის. სიყვარული მუსიკა, პოეზია და თავდავინყებაა. როცა ყველაფერი დუმს, სიყვარული სულში მღერის.
- მშვენიერება მრავალფეროვნებაშია.
- სილამაზე ისეთივე ღირსებაა, როგორც გონიერება, რომელსაც ადამიანები ხშირად სათანადოდ ვერ იყენებენ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც წესიერებით გამოირჩევიან.

- ცხოვრებაში, როგორც ბევრს ეგონა, მხოლოდ შავი ფერი არ დომინირებს. ცხოვრება მრავალი სხვადასხვა ფერითაა გასხვივოსნებული.
- ვინც არ იცის, ასწავლე, მადლია. ვინც იცის, ისწავლე მისგან, კარგია. ვისაც არ ახსოვს, შეახსენე, დაგლოცავს. ვისაც არ ესმის, გააგებინე, ცოდოა. ვისაც უჭირს, დაეხმარე, შენი ვალია.
- პოლიტიკოსს უნდა გააჩნდეს ალლო და განჭვრეტის უნარი, თუ რა მოხდება მომავალში, აგრეთვე უნარი, ახსნა, რატომ არ მოხდა ეს ყველაფერი და მის სიმართლეში ეჭვი არავის შეეპაროს.
- ზოგიერთს მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი აქვს, რადგან თავის დროზე სწორი არჩევანი გააკეთა, თუ ვის ჩრდილში შეეფარებინა თავი.
- არ არსებობს ცუდი, რომლის სიკეთით გარდაქმნა არ იყო შესაძლებელი.
- შემოქმედება ფაქიზ და წმინდა ზნეობას მოითხოვს.
- ადამიანს არაფერი აწუხებს ისე, როგორც ცარიელი თავი და ჯიბე.
- მაიმუნმა ქუჩაში სარკე იპოვა, ჩაიხედა და შეწუხებულმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა: ნუთუ მე ვარ? როგორ შევცვლილვარ.
- შემოქმედის ქმნილებაში თავისი ერის სული, სიტყვა და ჰანგი ბობოქრობს.
- დიდი ადამიანი შორიდან მოსჩანს, სიახლოვეს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ.
- ადამიანურ სიმაღლეზე უფრო მაღალი ვერასოდეს იქნება პოლიტიკური თუ სხვა რომელიმე სიმაღლე.
- რელიგიურ ექსტრემიზმს ხშირად სიბრყვითის ვირუსი ამძვინვარებს.
- ადამიანს ყველაფერი ახსოვს. რაც არ არის საჭირო, ისიც კი ახსოვს.

- ყვავილები გვილამაზებენ ცხოვრებას, გვიფაქიზებენ სულს. ადამიანებივით ღალატი არ იციან.
- წიგნთა წიგნის სიბრძნე უფლის შეცნობის საწინდარია.
- რწმენა და ანალიტიკური აზროვნება, თვითანალიზისა და ფსიქოლოგიური თვითგანჭვრეტის უნარი, ფილოსოფიური საფუძვლების წვდომა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, აღმოაჩინოს ღმერთი ყველაფერში.
- ადამიანების უმრავლესობის წინდაუხედაობის გამო დიდი პიროვნება ხშირად უგულებელყოფილი არის. ზოგჯერ სა-ზოგადოება ყრუს და ბრმას ემსგავსება.
- სიცოცხლის პირველი ფორმა – მიკრობი მუტაციას განიცდის, ის ან ვითარდება, ან კვდება. ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. აშკარაა, რომ სიცოცხლე მარტივიდან რთულისკენ განვითარდა, მაგრამ უმნიშვნელოვანესია, მიგნებული იქნეს, თუ რამ მოახდინა მათი ინიცირება.
- ყოველი ერის და ქვეყნის ბედი დამოკიდებულია სამყარო-ში განვითარებულ გლობალურ მოვლენებზე. ერისა და ქვეყნის გადარჩენის პასუხისმგებლობას არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ უნდა გაექცეს და დაემალოს. მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ მთელ სამყაროზე.
- არაფერს ყველაფერი სჯობია.
- ოჯახი უპირველესად სიყვარული, ერთგულების და, ამავე დროს, თავგანწირვის ტაძარია.
- უაზროა, ებრძოლო იმას, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს.
- პრობლემებს ვერ მოაგვარებ, თუ პრობლემების სათავეს ვერ აღმოაჩენ.
- ადამიანები მრავალი სასწაულის მომსწრენი არიან, მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული თავად ადამიანია.
- ძალაუფლების გადამეტება ხელისუფალთა უკუზრუნებელი სენია.
- ყვავილი დედა ბუნების ღიმლია.

- თითოეულ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეექმნას, თითქოს მომღერალი მხოლოდ მისთვის მღერის.
- ღვთიური აზრი არა მხოლოდ გარეგნულად მოსავს ქმნილებებს, არამედ მათ შინაგან არსსაც ასხივოსნებს.
- ჯალათებთან მებრძოლმა არ უნდა დაუშვას, რომ თვითონაც ჯალათად იქცეს.
- ადამიანი ღმერთს თვითონ უნდა დაუახლოვდეს. ხელისუფლება კი თავად უნდა დაუახლოვდეს ადამიანს.
- პოლიტიკურ სიბნელეს მცირერიცხოვან ხალხში პოლიტიკოსთა კოკისპირული ცვენა ინვევს.
- მიუწვდომელ სიყვარულს დიდი ფასი აქვს, ძალზე დიდი ფასი, ისეთივე, როგორც აუხდენელ ოცნებას.
- უმჯობესია პესიმისტნარევი ოპტიმისტი იყო, ვიდრე გამოუსწორებელი ოპტიმისტი.
- სინმინდეებს ამოფარებულ უნმინდურებს ხელთ წმინდა წიგნი უპყრიათ და მკრეხელობას სჩადიან. უფალო, გონება გაუნათე ცოდვის შვილებს, რადგან მრუშობა, მომხვეჭელობა და ფარისევლობა მიძიმე განუკურნებელი სენია, ვნებს და ღრღნის სულს და გადამდებიცაა. წმინდა საქმე სუფთა გულითა და ხელებით აღესრულება.
- შემოქმედის ქმნილებაში გამოკვეთილი უნდა იყოს ეროვნულობა, ინდივიდუალურობა და ორიგინალურობა, რაც მის შემოქმედებას მაღალმხატვრულ ღირებულებებს სძენს და ზოგადსაკაცობრიოს ხდის.
- ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი ხალხი უნდა იყოს. ყველა პრიორიტეტი ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს.
- ადამიანის მომავალს მისი მრავალფეროვნება და არჩევანი განსაზღვრავს და არა ილბალი და სურვილები.
- სიძულვილი და ანგარიშსწორება გამოსავალი არ არის. ეს სასაფლაოსკენ მიმავალი გზაა. ადამიანი ტაძრისაკენ მიმავალ გზას უნდა ადგეს.

- აუხდენელი ოცნება ჰორიზონტივითაა, რაც უფრო უახლოვდება, მით უფრო გმორდება.
- უნიჭოები დღენიადაგ ნიჭიერებს ებრძვიან. უნიჭოების, უნიგნურებისა და გაიძვერების აღზეება დასასრულის დასაწყისია.
- ადამიანი ყველაზე მეტად თავისუფალი და უბედური მაშინ არის, როცა ყველაფერს კარგავს.
- სწავლა, რწმენა და ქველმოქმედება სამყაროს არსებობის საფუძველია.
- თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანის დამნაშავედ გამოცხადების გამო ხელისუფლება დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს, ხოლო სამართალდამცავებმა პასუხი უნდა აგონ ხალხისა და კანონის წინაშე.
- ქვეყნის წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზი მისი მშობლიური ხელისუფლება და ხალხია.
- დანგრეული ტაძრის ადგილი და ნანგრევები თავის სინმინდეში რჩება. უფალი არ სტოვებს წმინდა ადგილებს.
- ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია. ლოკოკინის ნიჟარაც კი ლოკოკინასთან ერთად იზრდება.
- პოლიტიკოსები და პოლიტიკა მდიდრებს ფულს წაგლეჯენ, ხალხს კი – ხმებს, ქვეყანას კი კეთილდღეობას ხოლმე.
- ბრძნული გამონათქვამების ეფექტურობა: ორიოდ სიტყვა და მრავლისმთქმელი აზრია.
- იმას არ უნდა ენდოთ, ვინც თქვენთან ურთიერთობას მალავს.
- მოთმინება და სიამაყე იქ მთავრდება, სადაც ადამიანის შეურაცხყოფა იწყება.
- სიცოცხლის წარმოქმნის გამოცანას ზოგიერთისათვის არა აქვს არანაირი ლოგიკური ახსნა. მართალია, ბუნების კანონები იდეალურია სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ის არაფერს ხსნის იმ პირობებზე, რაც მის წარმო-

საქმნელადაა აუცილებელი. დღესაც აქტუალურია, თუ როგორ გარდაიქმნა ენერგია დიდ გონებად.

- ის, რაც ნიჭიერებით არის შექმნილი, მომავლის გზასაც მონახავს.
- კაცი ქმნის საქმეს და საქმე ქმნის პიროვნებას.
- ერის სიამაყე მხოლოდ ისინი კი არ არიან, ვინც თავი გამოიჩინეს, არამედ ისინიც, ვისი შვილებიც სამაგალითონი იქნებიან.
- როდესაც მუზა ეწვევა შემოქმედს, თუ სილალე არ იგრძნო, უმაღ გაქრება და გაუჩინარდება.
- ხალხთა მეგობრობა ადამიანების ურთიერთობის ყველაზე ნათელი სიმფონიაა.
- შემოქმედის სათქმელი მის გულში მღერის, მისი სული მუდამ ღიღინებს, ღელავს და იფერფლება.
- ხელოვნება არის ერის კულტურის საზომი.
- მუზა მოულოდნელად ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე შეიჭრება შემოქმედის სულში და ჰანგებად, ლექსად და ამღერებულ ფერთა ნარნარით გადმოიღვრება დღის სინათლეზე.
- ღირსეული ადამიანისათვის სამშობლო დედასთანაა გაიგივებული.
- ხელისუფალმა სახელმწიფო უნდა გააძლიეროს ხალხისთვის და არა მათ ხარჯზე.
- ნაყოფის მოსაპოვებლად მხოლოდ უგუნურები ჭრიან ხეს.
- ფული ბედნიერება და დღესასწაულია, რომელიც გვერდით ჩაგიქროლებს და ყოველთვის სხვებთან არის.
- შემოქმედებით პროცესს საზღვრები არ გააჩნია. ის არასოდეს არაფრით არ არის შეზღუდული.
- ადამიანს ორი მთავარი ფასეულობა გააჩნია: სიცოცხლე და თავისუფლება.
- ხელოვნება, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, უგულოდ მკვდარია.

- დემოკრატია განსხვავდება მმართველობის სხვა ფორმები-საგან, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად უფრო ხე-ლისუფლების ძალაუფლებაა, ვიდრე ხალხის.
- შეიძლება მთელი სიცოცხლე მშვიდობისკენ მიილტვოდე, მაგრამ ამისათვის იძულებული იყო, მუდმივად იომო.
- შემოქმედს უნდა გააჩნდეს შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც შინაგან თავისუფლებაზეა დამყარე-ბული, რის გარეშეც შემოქმედი არ შედგება.
- ყველა ხელისუფლებას თავისი მოქმედების ხელწერა და პოლიტიკა გააჩნია, საერთო კი, რაც მათ ახასიათებთ, ეს თვალნათლივ შესამჩნევია: ხელს არ გახლებთ, თუ ჩვენ არ შეგვეხებით.
- ზოგიერთი ავტორი უმჯობესია მსმენელი, მკითხველი ან მაყურებელი იყოს, ვიდრე ავტორი.
- მებრძოლი გენს, რომელიც ჯერ კიდევ ბუუტავს, გაღვივე-ბა სჭირდება და არა ჩაქრობა.
- სიკეთემ თავად უნდა დაიცვას საკუთარი თავი, ასეთია ცხოვრებისეული ლოგიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლოგი-კაც კი არცთუ იშვიათად ძალას მოკლებულია.
- ბალაგანი თავისებურად საინტერესოა, მასში კომიზმი და ლირიზმი ჰარმონიულად არის შერწყმული. ის, რაც ზომიე-რების შეგრძნებას სცილდება, როცა საზღვრები დარღვე-ულია და ფანტაზიის სიგიჟეს ბოლო არ უჩანს, ადამიანებ-ში ცნობისმოყვარეობას და ინტერესს აღვივებს.
- როდესაც ირგვლივ ამდენი დილეტანტი, სექტანტი თუ მუ-ტანტი ბოგინებს, შეუუძლებელია, შენი სრულფასოვნება ვინმეს აინტერესებდეს.
- ჭკვიანი ხალხი მტერსაც კი სათავისოდ იყენებს და თავის საქმეს მათი ხელით აკეთებს. ზოგიერთები კი მოყვარეს მტრად იხდიან და თავიანთ ღირსეულ ადამიანებს ებრძვი-ან და ანადგურებენ.

- ძეგლების დანგრევით სისტემა არ შეიცვლება, მით უმეტეს, როცა ამ ძეგლებს თავად ამავე სისტემის მემკვიდრენი ანგრევენ.
- ქვეები, მიუხედავად იმისა, რომ მარადიულები არიან, ადამიანზე უკეთესი მეხსიერებით გამოირჩევიან.
- კარგი, დიდსულოვანი ადამიანის წყალობით ცუდნი უკეთესად ცხოვრობენ.
- ხალხი ქუჩაში ოპოზიციის სიყვარულით კი არა, ხელისუფლების სიძულვილით გამოდის ხოლმე.
- ზოგჯერ ისეთი დრო დგება, როცა არავინ აღარ უყვართ, არავის პატივს აღარ სცემენ, ძეგლები და კუშირები დამხობილია, მხოლოდ პედესტალები დგანან ცარიელი ახალი გმირების მოლოდინში.
- პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია, რომელიც წარმოიდგენს, რომ იქნება ცუდი, კარგს კი, როგორც საჩუქარს, ისე იღებს.
- ბრძოლა წესების გარეშე მიუღებელია. ცნება – ვინც მაგარია, იმან გაიმარჯვოს – დამღუპველია, ძალადობა და ბოროტებაა. გონიერებით გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნია.
- სიყვარულს ძალუძს, ადამიანს საკუთარი თავი დაანახოს ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში არის.
- ვინც კაციჭამია ვირთხებს გამოზრდის, ისიც უნდა იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან ისინი ერთმანეთს დაერევიან.
- ძალაუფლება, რომელიც ვერ ელევა სამეფო ტახტს, აღსასრულის ჟამს კუდის ქნევითა და სასიკვდილო კრუნჩხვებში ჩავარდნილი ემშვიდობება ხოლმე მას.
- ზოგიერთისთვის სიყვარული აბსურდია, ის ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ თუ ასეა, უნდა დავსძინოთ, რომ სიყვარული მშვენიერი აბსურდი ყოფილა.
- თავისუფლება მხოლოდ ფასეულობათა გადაფასება არ არის, ის გაცილებით დიდი ცნებაა.

- ჩანჩალ-ჩანჩურამ იმდენი იჩანჩალა, სანამ შემთხვევით აღ-ზევებულთა დროში არ მიჩანჩალდა. გვერდს „კეკელკა“ უმ-შვენებს, ცხოვრებას ნალებიც მოხადა, მაგრამ არა ეშველა რა, მაინც ჩანჩალად დარჩა. აღზევებული ჩანჩალ-ჩანჩურა მატერიალურმა დოვლათმა სულიერი სილატაკიდან მაინც ვერ გამოაჩანჩალა.
- ერი ერთი დიდი ოჯახია, ის, როგორც ოჯახის თითოეული წევრი, მთელი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ეს იმიტომ, რომ მას ოჯახის ყველა წევრთან ბუნებრივი სიყვარული აკავშირებს.
- დრომოჭმული რეჟიმის ჩანაცვლება ახალი რეჟიმით ეს მხოლოდ მანევრია და სხვა არაფერი, რადგან რეჟიმი რეჟიმს არასოდეს ცვლის, ის იგივე სახეშეცვლილი, მოდერნიზებული რეჟიმია.
- ზოგჯერ თუ პოლიტიკური იმპოტენცია არ გაჯანსაღდა და რეჟიმი არ შეიცვალა, „ყარტაყურტა“ მინისტრების წასვლა-მოსვლით ძალაუფლება უბრალოდ დროს იხანგრძლივებს.
- შემოქმედ ადამიანს უკან მოხედვის არ ერიდება, ბევრი რამ აქვს საამაყო, მაგრამ ის მუდამ წინ იცქირება, რადგან მისალწევი ჯერ კიდევ ბევრი აქვს.
- მუსიკა მხატვრული აზრის, გრძნობის, დროისა და სიცოცხლის უსასრულობაში გატყორცნაა.
- ჭკვიანმა კაცმა იცის, ისე უნდა იცხოვროს, რომ თავის ტკივილი ჰქონდეს სხვას, უკეთეს შემთხვევაში, არც სხვას და არც მას.
- სანამ სამყარო და ადამიანი არსებობს, სათქმელი და აღმოსაჩენი კიდევ ბევრი იქნება. ეს შეუქცევადი პროცესია.
- ენა არის ერის სიბრძნის, კულტურის, სილამაზისა და არსებობის საფუძველი.
- შემოქმედი ცოცხლობს მუსიკაში, ლექსში და ლაჟვარდ ფერთა სიმფონიაში.

- მუსიკის გარეშე სამყარო ყრუ-მუნჯად გადაიქცევა.
- ცხოვრება და ხელოვნება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ორივე ერთმანეთს ავსებენ.
- ცივილიზებულ სამყაროს ხშირად არ შესწევს იმის ძალა და უნარი, რომ ბოროტებას წინ აღუდგეს.
- ეროვნული კულტურა სულიერების ფუძეა. ეს ფესვები ადამიანებს, განსაკუთრებით კი შემოქმედს, უდიდეს ენერგიას და საშუალებას ანიჭებს ახალი იდეების განვითარებისა და ქმნილებების შესაქმნელად.
- ყველაფერი მატერიალური დროებითია. შეიძლება ადამიანს ყველაფერი წაგლიჯონ, გაძარცვონ, მაგრამ ერთ რამეს – ღირსებას, რაც ადამიანის ჭეშმარიტი კუთვნილება და სიამდიდრეა, ვერ წაგლეჯენ.
- ერთი ძალის გაძლიერებისთვის მეორე ძალის ავტორიტეტი ხოლმე ხელისშემშლელი. ამიტომაც მძევნეარებს ღია თუ ფარული ბრძოლა საკუთარი ინტერესებისა და ძლიერების გასამყარებლად.
- ცოცხალ ლეგენდად ქცეულ ადამიანს ხშირ შემთხვევაში ღირსებას და სიდიადეს არ პატიობენ, ზოგჯერ წყლიდან ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით ლაფავს სულს, იმის ნაცვლად, რომ წყალში შეაცურონ, შეიძლება პირიქით ზურგში დანა გაურჭონ.
- ზოგან ყველაზე რთული შრომა ქურდბაცაცობაა, რადგან ეს საქმიანობა არნახული, დიდი კონკურენციით სარგებლობს.
- უდაბნო, ყველანაირი ცარიელი ადგილი და საერთოდ სიცარიელე უადამიანოდ დაწყველილია.
- ვისაც საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს და რასაც არ იმსახურებს, იმის მიღება სურს, იმ იხვის ჭუკსა ჰგავს, გედად რომ ვერ გადაიქცევა.
- ძალაუფლება ხშირად ხალხის დუმის გამო ნავარდობს, მაგრამ ამ შემზარავ სიჩუმეს ქარიშხალი მოჰყვება ხოლმე.

- ბოლო დროს ქალების უმრავლესობას პირველი შეხედვით სიყვარულის აღარ სჯერა, რადგან ძალიან ძნელია უეცრად, ერთი შეხედვით მიხვდე, თუ ვინ რა ავლადიდების პატრონია...
- თავისუფლებას უსაფრთხოების გარანტია თან თუ არ ახლავს, შესაძლოა, ის განტევების ვაცად იქცეს.
- ოპოზიცია ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების და მისი ნასუფრალის მენილეა, ყვეს, მაგრამ არ იკბინება.
- არსებობს აზრი, რომ დღეში ერთხელ ერთი ჭიქა ღვინის დალევა სასარგებლო საქმეა. ალბათ, ამიტომაც ზოგი ერთბაშად ერთ დღეში ათზე მეტ სასარგებლო საქმეს აკეთებს.
- დროის დინებას ახლავს თავისუფლებათა ახალი ხედვა, გადაფასება. მხოლოდ შედეგები უძლებენ დროს.
- შინაგანი სილამაზის გამოსავლენად, გარეგნული ბრწყინვალეობაც საჭიროა.
- თანამედროვე ნათელმხილველები ჩივიან, რომ მომავალს ვეღარ ხედავენ, სულ წარსული უტრიალებთ თვალწინ.
- ძალაუფლება დიდი ხანია, რაც თავისი ქვეყნის გუშინდელ დღედ არის ქცეული. მისი გედი კარგა ხანია, რაც ყელმოღერებული მღერის. გედი კი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მღერის...
- თუ ადამიანს პოზიცია არ გააჩნია, რა აზრი აქვს მის ცხოვრებას? თუმცა ნებისმიერი პოზიცია, თუნდაც უარყოფითი, თავისებური პოზიციაა. „მეფის კარზე“ მოფარფატე ვარსკვლავების და ინტელექტუალების პოზიციას ყოველთვის განსაკუთრებული ფასი ჰქონდა და აქვს, რაც მატერიალურად სახელმწიფო ჯინჯილებითა და ნუგბარით უზრუნველყოფს მათ უშფოთველ და ნეტარებით აღსავსე ცხოვრებას.
- ნაწარმოების შექმნა მუხლჩაუხრელ შრომასა და თავის ტკივილთან არის დაკავშირებული, რომელსაც დიდი სიხარული და იმადგაცრუებაც თან სდევს.

- მაგარი ის კი არ არის, ვისაც ზოგჯერ აღმერთებენ, უბრალოდ ბაქია ხალხია სუსტი და ლაჩარი.
- მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობებთან ერთად თამაშის მონაწილე უნდა გახადო. მას ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცე.
- ზოგჯერ დიდ ქვეყანას იმდენი დიდი პოლიტიკოსი არ ჰყავს, რამდენიც პატარა ქვეყანას. ყველა პოლიტიკოსობს, სოფლად კი გლეხი და მუშა აღარ შემორჩა, საქმე ვიღამ უნდა აკეთოს?
- დიდი მამის შვილობა არ კმარა იმისთვის, რომ იყო დიდი.
- არიან ისეთები, რომლებსაც მთელი სიცოცხლე სხვის უკანალში აქვს თავი ჩარეული, დრო და დრო გამოყოფენ თავს იქიდან, მიიხედ-მოიხედავენ, სხვა უფრო დიდი და თბილი ადგილი ხომ არ გამოჩნდა და ისევ უკან შეძვრებიან თავიანთ სამფლობელოში.
- ყველაზე ძნელი დრომოჭმული ადათების აღმოფხვრაა.
- სხვათა ავლადიდების დათვლა ცუდი თვისებაა, მაგრამ საინტერესო.
- ძეგლებს ხშირად ავაზაკები და საკუთარი ძეგლის წამოჭიმვის მაძიებლები ამხობენ.
- შემოქმედი ადამიანის სიცოცხლე და ქმნილებები დიდ წიგნს ჰგავს, რომელსაც მუდამ ახლებურად კითხულობენ.
- ტვინის დამსახურებაა, ჩვენ რომ ვაზროვნებთ, ვფიქრობთ და ისიც, რომ გვგონია, ვფიქრობთ.
- ძალაუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე გამარჯვებას ზეიმობს, ეს თანდათან მანიაკის რიტუალურ როკვას ემსგავსება მსხვერპლის გარშემო. თავისი ძლევამოსილების აღსანიშნავად ზეიმებს მართავს ხოლმე და ამ სანახაობის მოსაწყობად ფულს ისევ დამონებულ ხალხს ახდევინებს.

- ახალგაზრდობისას ფილმივით გამოსხივებული ოცნების წლები მთელი სიცოცხლის მანძილზე ძვირფასი და სანუკ-ვარია.
- ღმერთი მოწყალეა, მაგრამ დაუნდობელია მრისხანებისას, ამის მიზეზი კი ადამიანების ცოდვებია.
- ადრე იდეოლოგია არსებობდა, როგორი იყო ის, ყველა-სათვის ცნობილია. ახლაც არსებობს რაღაც, რომელიც ღალადებს: როგორც შეძლებთ, ისე იცხოვრეთ.
- სილამაზეს კომპრომისები ახასიათებს. სამყაროს კი კე-თილგონიერება და სიკეთე გადაარჩენს.
- სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, ბოლო დროს ბევრი მიხ-ვდა, რომ მხოლოდ ნამუსით თავს ვერ გაიტანენ, მის უდი-დებულებსობას ნამუსს შემოსავალი აღარ მოაქვს...
- ღმერთს კეთილი ადამიანები გამორჩეულად უყვარს, მაგ-რამ რატომღაც ისინი ბოროტებთან შედარებით უფრო უიღბლონი არიან.
- იმპროვიზაცია შემსრულებელს, მსმენელსა და მაყურე-ბელს შორის მაშინ შედგება, როცა ის წარმატებულია, რომლის აქტიური თანამონაწილე და ამყოლიც თავად ხდე-ბიან, როცა სუყველა იმპროვიზაციის სტიქიის ეპიცენ-ტრში აღმოჩნდებიან.
- მამაკაცი შინაურია, სანამ სახლშია, სახლიდან რამდენიმე მეტრით დაშორებული, უკვე არავისი ან სხვისია.
- იმპროვიზაცია არსებული თემის ფარგლებში უფრო ბუ-ნებრივი და სასურველია.
- რასაც ადრე მტერი ცეცხლითა და მახვილით ვერ აღწევ-და, ახლა ერთი გასროლის გარეშე გახდა შესაძლებელი. დაავიწყე ერს წარსული და ის მოკვდება.
- თუ შემოქმედი ადამიანი არ მიისწრაფვის კაცობრიობის უმაღლესი მიზნის – სულიერი განვითარებისაკენ, ის მნიშ-ვნელოვანს ვერაფერს შექმნის.

- ადამიანი ზოგჯერ უნდა შეჩერდეს და საკუთარ თავს ჰკითხო: – „რისთვის ვხმაურობთ, ძმებო?“
- ადამიანების უმრავლესობამ, რომელიც მარადიულ სიცოცხლეზე ოცნებობს, ზოგჯერ ის არ იცის, თუ რა უნდა ქნას შუადღის შემდეგ.
- სამყარო განვითარებადი და ცვალებადია. ცვალებადობა კი, უწინარესად, პროგრესს გულისხმობს. ადამიანური გრძნობები კი მარადიულია. ადამიანი დღესაც ისევე მწვავედ განიცდის ერთგულებას და ღალატს, სიყვარულსა და სიძულვილს, როგორც მრავალი საუკუნის წინათ განიცდიდა.
- ზოგჯერ ხალხის საქციელი გაოცებას იწვევს, სულ პოლიტიკური სპექტრის და ხელისუფლების კრიტიკაშია. იმას არ ფიქრობენ, რომ, როგორებიც თვითონ არიან, ისეთი პოლიტიკური სპექტრი და ხელისუფლება ჰყავთ.
- არაფერია იმაზე დიდი უბედურება, როგორც ძალაუფლება, ფული და არაკომპეტენტურობა.
- ჭკვიანმა ქალმა მამაკაცს შეიძლება ერთხელ ისე შეხედოს, რომ ის სამუდამოდ კაბაზე გამოიბას.
- სული და სხეული ერთი ორგანიზმის ნაწილია, მაგრამ ხშირად არ არიან ხოლმე ურთიერთთანხმობაში.
- ზოგჯერ ხელისუფლების სიძლიერის ერთ-ერთი მიზეზი სუსტი ოპოზიციაა.
- ბევრი ფული მსუბუქად ატარებს ადამიანს, ცოტა კი – მძიმედ. ვინც სულიერებით საზრდოობს, მისთვის ბევრ და ცოტა ფულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.
- ყოველთვის კანონიერი ან სამართლიანი როდია ის ხელისუფლება, რომელსაც უფრო ძლიერი შეიარაღება აქვს.
- ისინი, ვინც საკუთარი მამა-პაპის საფლავს დაკარგავენ, მათ მოძიებასა და დაბრუნებას არ ღამობენ, განწირულები არიან, სხვათა საფლავებზე რწყან ყვავილები, რადგან აღარ ეცოდინებათ საკუთარი სად არის, საიდან მოდიან და საით მიდიან.

- შესაძლოა, შემოქმედს ჩაკეტილ სივრცეში უხდება ზოგჯერ მოღვაწეობა, მაგრამ მისი შემოქმედება შეუძლებელია, იყოს ჩაკეტილი. ჭეშმარიტი ქმნილება ყველა დროისა და ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს.
- სიახლე გაკვირვებას იწვევს, შემეცნება კი გაკვირვებისაგან იწყება.
- ვისაც უნდა, ერთმანეთი არ დაკარგონ, წყენა უნდა გაინანილონ.
- პოლიტიკა ყველას არ აინტერესებს, მაგრამ პოლიტიკური სიახლეები ყველასათვის საინტერესოა.
- არ არსებობს ძალა, რომელიც მოსპობს მუსიკას. მუსიკა უძლეველია.
- სამშობლო დედისაგან და ბავშვობიდან იწყება.
- რაციონალური აზრი ნიჭიერ შემოქმედს ხდის თავისი დროის ეპოქალურ პიროვნებად, მას ძალუძს, შეიგრძნოს, დაინახოს და ქმნილებაში წარმოაჩინოს დროის ყოველი ნიუანსი, ადამიანის სულიერი განცდები, წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ლაჭვარდები.
- თუ გინდა იყო ბედნიერი, არასოდეს არავისი არ უნდა შეგშურდეს.
- თაობათა ცვლა მტკივნეული პროცესია. როდესაც შეილები ბრძოლას უცხადებენ მამებს, თაობათა კავშირის რღვევას არაფერი კარგი არ მოაქვს, არც პირადი ღირსებისთვის, არც კულტურის განვითარებისათვის და არც ქვეყნისთვის.
- ადამიანი შეიძლება ჩამოაცილო ტაძარს, მაგრამ არა ღმერთს.
- რომ შექმნა, პირველ რიგში, უნდა დაინახო, გაიგონო, იგრძნო, წარმოიდგინო და შემდეგ შექმნა. უბრალოდ, ეს ყველას არ შეუძლია – ეს ღვთაებრივი განძია.
- ადამიანი ყოველთვის სიკეთისა და სიყვარულის ტალღაზე უნდა იმყოფებოდეს.

- აზრი თავისუფალი ცნებაა. იმდენი აზრის მოსმენა შეიძლება, რამდენიც წარმოიშობა თითოეულ ადამიანში. ყოველი ინდივიდი აზროვნებს თავისი დონისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად.
- ადამიანები მუდამ უნდა ისმენდნენ და უცქერდნენ რაიმე ზეშთავონებულს, ზეამაღლებულს.
- როდესაც ადამიანს სიბინძურეს ასხამ, უნდა იცოდეს, რომ ეს სიბინძურე შენს ხელებზეც დარჩება.
- შემოქმედებითი პროცესი ჯადოქრობაა. ეს არის გონებრივ და ემოციურ სფეროთა სინთეზი, ნიჭის და ოსტატობის შერწყმა დიდ ცოდნასთან, ჭკრეტის, გარდასახვის და ფანტაზიის უნარი, თანამედროვე ტექნიკის ფლობის უნივერსალობა. შემოქმედის ქმნილება ტიტანური შრომის ნაყოფია.
- სანამ ვინმე გიყვარს, ცხოვრება საამურია. სიცოცხლის მიზანი სიყვარულია.
- როდესაც გრძნობა სჭარბობს გონებას, ნაწარმოებზე ის თავის ზეგავლენას ახდენს, შემოქმედებაში ყველაფერი ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული.
- თუ გარშემო სუყველა სულელია, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვის ირგვლივ იკრიბებიან.
- ძალაუფლების გვერდში დგომა ყოველთვის არ ნიშნავს ქვეყნის გვერდში დგომას.
- ღიმილის მომგვრელია, როცა წარმოჩენას ცდილობენ, თითქოსდა ერთმა ადამიანმა იცის ყველაფერი და ლამის აღმერთებენ.
- ძლიერ მოწინააღმდეგეს თუ დაუთმობ, ინანებ, თუ არ დაუთმობ, მაინც ინანებ. ჭკუით უნდა აჯობო მას.
- ხელისუფლების შეცნობა იმითაც არის შესაძლებელი, თუ როგორი ადამიანებით არის გარშემორტყმული.
- ისინი, ვინც ადამიანებს სულიერად არაფერს აძლევენ, ქვეყანასაც მნიშვნელოვანს არაფერს შეჰმატებენ.

- შეგიძლია ყველას პატივისცემით მოექცე, მაგრამ ყველას არ უნდა ენდო.
- წარმატება და კეთილდღეობა ეს ისეთი სასიამოვნო ხუმრობაა, რაც შეუმჩნევლად მოდის და ასევე მოულოდნელად უჩინარდება.
- შემოქმედისთვის და მეცნიერისათვის სამყარო იდუმალე-ბითაა მოცული. რაც უფრო ეცნობი და ღრმად ჩანვდები მას, მით უფრო ღრმავდებიან მისი საიდუმლოებანი.
- თანამედროვე ადამიანი უნდა აზროვნებდეს თანამედროვედ. ახალი ეპოქა ახალ აზროვნებას მოითხოვს.
- მთელ ქვეყანაზე ადამიანებს უფალი იცავს. ოღონდ დაცვის გარანტი რატომღაც ყველას სხვადასხვაგვარი აქვს.
- შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, გენიოსებიც და ყველაზე ნათელი გონების ადამიანიც კი.
- შემოქმედებით პროცესში შემოქმედი ეთიშება ყოველივე ყოფითს, მისი გონება და მისწრაფება დამუხტულია ღვთაებრივი ძალის შთაგონებით, ის იმყოფება სულ სხვა განზომილებაში, სხვა სასიცოცხლო სფეროში.
- ზოგიერთს სიცოცხლე მხოლოდ სუნთქვა ჰგონია.
- წიგნთა წიგნი უდიდესი სიბრძნე და სინამდნეა, ეს ის საოცრებაა, რომლის შესასწავლად უხსოვარი დროიდან მოყოლებული ღირსეული წინაპრები თავს სწირავდნენ, რათა მომავალი თაობებისთვის შემოენახათ სამყაროს ღვთაებრივი საგანძური.
- ვინც ცხოვრებაში შანსს ერთხელ ხელიდან გაუშვებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შანსი არ მიეცემა და ისევ ხელიდან არ გაუშვებს.
- რამდენიც უნდა გლანძღონ და გადიდონ, მაინც შენი საქმე უნდა აკეთო.
- დრო მიფრინავს, პროგრესი თვალსაჩინოა, ადამიანების უმრავლესობას კი რატომღაც ჭკუა არ ემატება...

- გაცილებით უფრო ძნელია, დარჩე ადამიანად, ვიდრე სახელი მოიხვეჭო და გახდე ცნობილი.
- იყო ჭკვიანი, კარგია, სასარგებლოა. იყო „ძალიან ჭკვიანი“, სახიფათოა!
- ხელისუფალი ხალხთან ერთად უნდა ფიქრობდეს და გონივრულ გადანყვეტილებას თავად უნდა იღებდეს.
- რეალურად საქვეყნო საქმეს ის აკეთებს და იმას დაეჯერება, ვინც სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.
- ქალები უყურადღებოდ არ ტოვებენ საინტერესო მამაკაცებს. უფრო მეტ ყურადღებას იმ მამაკაცებს აქცევენ, რომლებსაც ლამაზი ქალები უმშვენებენ გვერდს.
- ადამიანების უმრავლესობას სჯერა ზედაპირულად, მაგრამ ეჭვობენ და ეშინიათ საფუძვლიანად.
- ტექნოლოგიურ პროგრესს ახასიათებს ტრადიციებისა და ღირებულებების გაუფასურება.
- ხელისუფლება ხალხის ცრემლებს ხედავს, მაგრამ ხშირად მათი ტირილის ხმა არ ესმის.
- ჭადრაკის დაფაზე მეფესთან ყველაზე ახლოს პაიკებია განლაგებული. ცხოვრებაშიც პაიკების გარემოცვა ზოგიერთისთვის ილუზიას ბადებს, რომ მეფე არის.
- რა ეშველებათ რომანტიკოსებს? ზოგიერთ მამაკაცს ორმოცი წლის ასაკშიც კი ისევ ზღაპრების სჯერა, განსაკუთრებით კი, როცა ამ ზღაპრებს ლამაზმანები უყვებიან.
- როდესაც მტრობის, შურის და გაუტანლობის ჭია უხსოვარი დროიდან ღრღნის ერის სულიერებას, ერი უფრო კარგავს, ვიდრე პატრონობს თავის დიდებულ, ნიჭიერ პიროვნებებს და სულიერ მონაპოვარს.
- ქალების უმრავლესობას ურჩევნია, უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე ჭკვიანი, რადგან მამაკაცების უმრავლესობა უფრო კარგად ხედავს, ვიდრე აზროვნებს.
- როდესაც სხვისი ფეხსაცმელი გაცვია და ნათხოვარი ზონარით იკრავ, ფეხიდან რომ არ გაგძვრეს, ტყუილად ნუ

ცდილობ და ვერავის ვერც დააჯერებ, რომ ყოვლის შემძლე ხარ.

- ზოგს სიძულვილი უნარჩუნებს სიცოცხლის სიტკბოს. მთავარია, წამოდგომაში დაეხმარო ადამიანს, დაცემა იოლია. ადამიანები უხსოვარი დროიდან ესროდნენ ქვებს ერთმანეთს.
- როდესაც ხელისუფლებამ არ იცის, რა აკეთოს ან როგორ იმოქმედოს, ტრადიციულად ხალხს ერთი მხრიდან მეორე მხარეს აბურთავენ. ძალაუფლება სატყუარა მინასავითაა, მასზე მოკალათება სანუკვარი ოცნების აღსრულებაა, დროულად მასთან განშორება არავის ეთმობა, მოგვიანებით მშვიდობიანი წასვლა კი შეუძლებელი ხდება, რადგან, როგორც კი მისგან ჩამოსკუბდები, შეიძლება იფეთქოს. ქვეყანა ყალბი გმირებით და ისტორიით ვერ გაძლიერდება.
- რწმენა, ცოდნა და ქველმოქმედება ყოველთვის იყო ჩვენი მფარველი წარსულში, გვიფარავს დღეს და დაგვიფარავს მომავალშიც.
- ჭკვიანი ადამიანი თვითონ არის თავისი ცხოვრების სცენარისტი, მასახიობიც და რეჟისორიც.
- ყოველთვის ასე იყო. ქვეყნისა და ერის მომავალი დედების ხელშია.
- ცხოვრება დიდი თამაშია, სუყველა თავისი თამაშის წესით თამაშობს, წაგებული კი ხშირ შემთხვევაში ის არის, ვინც თამაშის წესებს იცავს. წარმატებას რომ მიაღწიო, ნიჭი, ცოდნა და საღად აზროვნებაა საჭირო. სხვებზე მეტი უნდა იშრომო, სხვებზე მეტი და კარგი უნდა შექმნა და სხვებზე ნაკლებს უნდა ელოდო. წარმატებას და დიდებას მეტწილად მედროვეები, ხელისუფლებასთან მიტმასნილი უნიჭო მომხვეჭელები ეპოტინებიან და ჰპოვებენ კიდეც. ვის რაში ენაღვლება და სჭირდება შენი ნიჭიერება, თავმდაბლობა ან კარგი კაცობა. ავანგარდში ისინი არიან, ვინც ყველაზე მეტ მტვერს აყენებს, ხმამაღლა ყვირის და მუშტებს იქნე-

ვენ. ყველა მთავრობას თავისი მეხოტბე ჯინჯილიანი ტაკიმასხარები ჰყავს.

- სამყაროში ყველაზე მიუღწევლად და საოცრებად ის მეჩვენება, რაც უკვე სამყაროს სახით მიღწეული და უნიკალურია.
- ჩემმა ბავშვობამ თბილისის ძველ ცენტრალურ უბანში – მთაწმინდასა და სოლოლაკში გაიარა, იქ, სადაც განსაკუთრებით შეიგრძნობა გარდასულ წლებთა, დროსა და კულტურათა ურთიერთკავშირი. მე შორსა ვარ ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდული წლების იდეალიზებისგან. იმ დროს ბევრი რამ თავსმოხვეული და იდეოლოგიზებული იყო, მაგრამ უფროსი ადამიანების უმრავლესობა და შემდეგ ჩვენც, როცა წამოვიზარდეთ, უნარი შეგვწევდა სიმართლისა და ტყუილის გარჩევისა. მრავალი წლის შემდეგ, ახლა, როდესაც ახლობელი ადამიანები და მეგობრები მთელ მსოფლიოში არიან მიმოფანტული, სამწუხაროდ, ბევრი ცოცხლებიც აღარ არიან, აცნობიერებ, თურმე ჩვენ რა შესანიშნავ გარემოცვაში გვიხდებოდა წარსულში ცხოვრება და როგორ ვაფასებდით ერთმანეთს არა სიმდიდრის, მატერიალური უპირატესობისა და ეროვნების ნიშნით, არამედ სულიერების, წესიერებისა და სიკეთის მიხედვით.

GURAM PAATASHVILI

THE WORLD OF MAESTRO'S IDEAS

Summary

The first and second parts of Guram Paataashvili's book "Pages of Life and Activity" have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paataashvili. The work contains a collection of his thoughts "The World of Maestro's Ideas". The book is intended for a wide circle of readers.

We are offering a passage from the second part of this book.

გამომცემლობის რედაქტორები:

დამკაბადონებელი
გარეკანის დიზაინერი

რუსუდან მიქენაია

მარინა ჭყონია

ხათუთა ბადრიძე

მარიამ ებრალიძე

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128

Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279

<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

